# კვირის პალიტრა

№ 17 (478) ◆ 26 აპრილი – 2 მაისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „მოლაშვილის საკითხს პირად კონტროლზე ავიყვან“

გვ.7,33

„აბა, მიკროფონთან მნახე, ვინა ვარ...“



გვ.7



## „ზურაბ უკან არავის ვუხსნართავ ინტრიგებს“

„კობასგან მეწყინა, თორემ სხვისგან...“

## „ყველა აფხაზური ტურისტული სააგენტოს უკან კრიმინალები დგანან“



**„ნორდოსტის“ ტერორისტს ჯიბეში სოხუმში გაცემული რუსული პასპორტი ედო(!)**

„სოხუმში მოკლული რუსი მოქალაქის პასპორტში ჩააკრეს აბუბაქარის სურათი და ტერორისტიც ლაღად დასეირნობდა მოსკოვში, როგორც რუსეთის მოქალაქე. ეს ამბავი რუსებმა მიჩქმალეს...

...მუდმივად ვაფრთხილებთ ოფიციალურად რუსეთის ხელისუფლებას, თავი შეიკავონ აფხაზეთში დასვენებისგან, მაგრამ არ ესმით ჩვენი და რა ვქნათ? თვითონ იჭრიან ყელს“.

...აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრეზიდენტის ვაჟი რუს ტურისტებს ატეროrებს — რუსებს ბოროტება ბუმერანგივით უკან დაუბრუნდათ...

გვ.5,11

*სამხედრო თემაზე:*

გვ.8,9

## ვინ იცის, იქნებ აბაშიძე „ანკესია“?!



სპეციალური ოპერაცია — „აჭარის ლომის“ „მოსათვინიერებლად“?



## „საჯარიმო სანქციები მერე შემოიღეს, რომ მეტი ფული მიეთვისებინათ“

გვ.6,14

რატომ არ სთხოვს გენერალური პროკურატურა სათბობენერგეტიკის ყოფილ მინისტრს ზარალის ანაზღაურებას?!

## შუბლზე „ძმაკაცობის ნიშანი“

გვ.18

რეზო ჩხეიძე გამომეკიდა გრაფინით, მე მოულოდნელად შევასხი წყალი, მან მოიქნია გრაფინი და უნებლიეთ თავში მრეხვა. წამიყვანეს საავადმყოფოში. გამოიხედა ფუნთულა თეთრმა ქალმა და შეიცხადა: — უიმე, ეს ბიჭი სად მოგყავთ, აქ სამშობიაროაო...

***კარლო საკანდელიძე***

## „თანახმა ვარ, 10 მინისტრს მხოლოდ ჩვენმა კომპანიამ გადაუხადოს ხელფასი“



გვ.11

## პოლიციელმა მიბარებული 29 ათასი ლარი სამორიგეოდან გაიტაცა(!)

დილის 6 საათზე მორიგე შევიდა ოთახში, აიღო ფული, ორი პისტოლეტი და წავიდა(?!)

გვ.4



მეტროპოლიტენის გაუხმაურებელი ამბები...

„პოლიციელი თავისუფალ დროს ბაზარში არ უნდა ვაჭრობდეს“

ექსკლუზივი

## ფერადი ტელევიზორი გათამაშდა!

გვ.4

ვინ არის გამარჯვებული?

არჩევნები-2004

## კომპანია იმპერიალი BBDO გამარჯვებული მსოფლიო ასპარეზზე

გვ.13

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ეს იქნება მებრძოლი პარლამენტი

ახალი საკანონმდებლო ორგანოს „ინაუგურაციის“ შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყველას მოუწოდებს, ლექსიკონიდან ამოიღონ სიტყვები — მორჩილი პარლამენტი.

მორჩილი პარლამენტი არ შეესაბამება არც მის მრწამსს და არც იმ ხალხის შეხედულებას, ვინც თავად პრეზიდენტმა შეიყვანა „ნაციონალური მოძრაობის“ სიაში — ასეთია პრეზიდენტის პოზიცია.

„ზუსტად ვიცოდი, რომ სიაში შემყავდა არა მორჩილი, არამედ მოაზროვნე, გონიერი, პატრიოტი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ იბრძოლონ თავისი ქვეყნისთვის. ყველა ალბათ ვერა, მაგრამ უმრავლესობა გაამართლებს“ — აღნიშნა მან.

სააკაშვილის თქმით, პარლამენტის უკვე ჩატარებულმა სხდომებმა მასზე საკმაოდ დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა: „ეს პარლამენტი ვერანაირად ვერ იქნება მორჩილი. პირიქით, ის იქნება მებრძოლი იმისთვის, რომ საზოგადოება უკეთესობისკენ შეიცვალოს“.

მიხეილ სააკაშვილი 25 აპრილს მუსლიმანთა სალოცავს, მეჩეთს ეწვია. სტუმრობისას მან ყველა რიტუალი დაიცვა და თბილისელ მუსლიმანებს დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს ისტორია შეახსენა. დიდი მეფის მსგავსად მე პატივს ვცემ ყველა რელიგიას, — განაცხადა პრეზიდენტმა.

## ისევ კომენდანტის საათი?!

აჭარაში კვლავ ამოქმედდება კომენდანტის საათი(!). ავტონომიური რესპუბლიკის სენატმა ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო აჭარაში მცხოვრებთ მოუწოდებს, არ დაემორჩილონ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო ბრძანებებს და უკანონო ქმედებებში მონაწილეობა არ მიიღონ. 25 აპრილს უკვე დილიდანვე გახდა ცნობილი, რომ აჭარის ხელისუფლებამ ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარზე დამატებითი სამხედრო ძალის მობილიზება დაიწყო. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ისინი იძულებული ხდებიან აბაშიძის ხელისუფლების ხუშტურებს დაემორჩილონ, თუმცა, მათი აზრით, რეგიონში საგანგებო სიტუაციის გამოცხადების უფლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივაა. მიხეილ სააკაშვილმა, აჭარაში კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა: „სისულელეა იმის თქმა, რომ ვინმე აჭარაში შეჭრას აპირებს. ჭკუაზე გადასულ რამდენიმე ადამიანს თვითონ აჭარლები მიხედავენ.“ 24 აპრილს, გვიან ღამით, აბაშიძის ოპოზიციის, „ჩვენი აჭარის“ ოფისის ფანჯრები ჩაამსხვრიეს. დაზარალებულთა თქმით, აჭარაში დარბევების ახალი სერია იწყება. მიხეილ სააკაშვილმა აბაშიძეს ერთხელ კიდევ მოუწოდა გონს მოეგოს და თბილისში მთავრობის სხდომებს დაესწროს.

## გოგიტიძე სტეჩკინით აშინებდა „კმარელებს“

ბათუმში „კმარელების“ დაკავების ფაქტები გრძელდება. 24 აპრილს გვიან ღამით აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა პლაკატის, „იძებნება დუმბაძე“ გაკვრისათვის ბათუმელი „კმარელი“, 15 წლის თამაზ მამისეიშვილი დააკავეს და სამინისტროს იზოლატორში მოათავსეს.

„ჩვენი აჭარის“ ბათუმის ორგანიზაციის ლიდერის, ელგუჯა მაკარიძის ინფორმაციით, დაკავებული თამაზ მამისეიშვილი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა შს მინისტრმა, ჯემალ გოგიტიძემ მისივე სახლში წაიყვანა და მშობლების თვალწინ სცემა.

მაკარიძის თქმით, გოგიტიძემ მამისეიშვილების სახლში ყოფნისას აგრეთვე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თამაზ მამისეიშვილის მამას, ეროვნული მოძრაობის პირველი თაობის აქტივისტს და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ნაბრძოლ ვახტანგ მამისეიშვილს. თვითმხილველთა მტკიცებით, შს მინისტრი გოგიტიძე მამისეიშვილების სახლში ყოფნისას ასლან აბაშიძის წინააღმდეგ მებრძოლ ოჯახს სტეჩკინის ტიპის პისტოლეტით აშინებდა.

დაკავებული 15 წლის თამაზ მამისეიშვილი ამჟამად იზოლატორში იმყოფება, რაც შესაძლოა კარგა ხანს გაგრძელდეს, რადგან მამისეიშვილის გათავისუფლებაზე აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი პირები ჯემალ გოგიტიძის განკარგულებამდე თავს იკავებენ.

## ფიშერიც კმაყოფილია და სააკაშვილიც

საქართველოში სტუმრად მყოფი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოშკა ფიშერი სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვდა.

„ვინც არ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი, გერმანიას საქართველოსთან ყოველთვის თბილი და განსაკუთრებული ურთიერთობა ექნება“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრის შემდეგ.

მისი თქმით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბრის მთავარი თემა ევროპის გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო ინიციატივაში საქართველოს ჩართვის საკითხი იყო, რომელშიც ქართულ მხარეს გერმანიის დახმარება ესაჭიროება. პრეზიდენტის ვარაუდით, საქართველო ამ ინიციატივაში ივნისში ჩაერთვება.

იოშკა ფიშერი, რომელიც საქართველოში პირველად იმყოფებოდა, აღფრთოვანდა ქართველი ხალხით და თბილისით. „გერმანია კვლავაც გააგრძელებს მეგობრულ ურთიერთობას საქართველოსთან. გვსურს, გერმანიამ საკუთარი წვლილი შეიტანოს კონფლიქტების მოგვარების საკითხში. ჩვენი პოლიტიკაა, საქართველო იყოს დამოუკიდებელი და აღდგეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა“ — განაცხადა მან გერმანიაში დაბრუნების წინ.

## თავდაცვის მინისტრი ამერიკაში გაემგზავრა

24 აპრილს რესპუბლიკის მოედანზე ჩატარებული სამხედრო აღლუმის შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ვიზიტის დროს თავდაცვის მინისტრი შეხვდება ამერიკის სახელმწიფო მდივანსა და უშიშროების საბჭოს მდივანს კონდოლიზა რაისს. გაიმართება ასევე შეხვედრები პენტაგონსა და სენატში.

როგორც თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, შეხვედრებზე საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება ამერიკასა და საქართველოს შორის ახალი სამხედრო პროგრამის დაწყების საკითხის დაზუსტება.

მინისტრის განმარტებით, სამომავლო თანამშრომლობის პროგრამის მონახაზი უკვე ცნობილია და უახლოეს ხანებში პროგრამის დეტალები დაზუსტდება. აშშ-ში ხუთდღიანი ვიზიტით გაემგზავრა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც, რომელიც აშშ-ის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს შეხვდება.

## აშფაკი აფხაზებს მოუწოდებს

გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა კაზი აშფაკმა სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრთან, რაულ ხაჯიმბასთან შეხვედრის შემდეგ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაცია არასტაბილურად შეაფასა და მხარეებს კვლავ კონსტრუქციული დიალოგისაკენ მოუწოდა.

შეხვედრის შემდეგ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ თურმე ქართველი სამართალდამცველების მიერ ზუგდიდის რაიონში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება მხარს უჭერს ე. წ. პარტიზანებს და „აქტიურად თანამშრომლობს მათთან“. ამის დასტურად მან ქართველი ძალოვნების მიერ აფხაზური გვარდიის კაპიტნის, ვალერი მარხოლიას და კიდევ 4 მოქალაქის გატაცების ფაქტი დაასახელა. მაშინ, როცა ამ პირთა არათუ ტყვეობიდან გათავისუფლება, დღემდე ადგილსამყოფლის დადგენაც კი ვერ მოხერხდა.

თავის მხრივ, კაზი აშფაკმა ხაჯიმბას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება აფხაზურ მხარესთან დიალოგისა და მოლაპარაკებების გაგრძელების მომხრეა და ყურით მოთრეული მიზეზების ნაცვლად, ჯობს არძინბას ხელისუფლებაც აქტიურად ჩაერთოს ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების პროცესში.

„ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების წარმოებაზე აფხაზურ მხარეს უარი არასდროს უთქვამს და არც მომავალში აპირებს, მაგრამ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით სოხუმის პოზიცია კვლავაც უცვლელი დარჩება“, — შეაგება პასუხი ხაჯიმბამ აშფაკს.

## ჯუღელს ლეკიშვილი არ მოსწონს

საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილი ნიკო ლეკიშვილის კანდიდატურის გამო ხმაურიანი აღმოჩნდა. უმრავლესობის წარმომადგენელი უკმაყოფილო ბესო ჯუღელი მისივე ფრაქციის წევრებს დაუპირისპირდა. ნიკო ლეკიშვილის კანდიდატურას ჯუღელი მხარს არ უჭერს. იგი მიიჩნევს, რომ „კომიტეტის თავმჯდომარედ ისეთი ადამიანი უნდა ავირჩიოთ, რომელსაც ქართული ეკონომიკისათვის რაიმე მაინც აქვს გაკეთებული“.

მისი აზრით, აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას შესანიშნავად გაართმევდა თავს ლადო პაპავა, კახა რუსია ან გია ნაცვლიშვილი.

თავად ნიკო ლეკიშვილი კი აცხადებს, რომ მისი კანდიდატურა ფრაქცია „დამოუკიდებელმა მაჟორიტარებმა“ წარადგინეს. იგი ბესო ჯუღელის რეპლიკებზე კომენტარს არ აკეთებს.

## საზღვრებს ერთად გააკონტროლებთ

ქართველი და რუსი მესაზღვრეების ურთიერთთანამშრომლობის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას.

შს მინისტრ გიორგი ბარამიძის განცხადებით, რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტებს შორის ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებასა და გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელის, ვლადიმირ პრონიჩევის განმარტებით, შეთანხმების მომდევნო ეტაპი კონკრეტული ღონისძიებების გატარებას გულისხმობს და თანამშრომლობის მომდევნო წელი სწორედ ამ ღონისძიებებს დაეთმობა.

ბადრი ბიწაძის რუსი კოლეგის განცხადებით, რუსეთისა და საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპერტამენტების ერთობლივი თანამშრომლობა კარგა ხნის წინ დაიწყო. ამის მაგალითად მას მოჰყავს უკანონო ფორმირებების დაკავების ფაქტები, რაც სწორედ რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიაზე მოხდა.

## 1 კვმ მიწა 6 თეთრად(!)

შავი ზღვის სანაპირო ზოლის მონახულების შემდეგ ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი თამარ სულუხია მიწების გასხვისებისა და მშენებლობის წარმოების მხრივ შავი ზღვისპირა ზოლში არსებულ მდგომარეობას კატასტროფულად მიიჩნევს. მინისტრმა, ძირითადად, გურიის რეგიონი დაათვალიერა.

სულუხიას განცხადებით, მთლიანად პრივატიზებულია მკაცრ ზედამხედველობას დაქვემდებარებული 100 და 300-მეტრიანი ზღვისპირა ზონები, რაც საგანგაშოა როგორც ზღვისპირა ზოლის სტრატეგიული განვითარების, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. მინისტრის თქმით, ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ლანჩხუთის რაიონში. მინისტრის ვიზიტს „მიუღებელი პოლიტიკის გამო“ ლანჩხუთის მთავარი არქიტექტორის თანამდებობაც შეეწირა.

მთავრობის დადგენილებით, მშენებლობისა და არქიტექტურის შესახებ ახალი საკანონმდებლო პაკეტის წარმოდგენამდე, რაც სავარაუდოდ, ოქტომბრის თვეში მოხდება, ზღვისპირა ზოლში მიწების გასხვისება და მშენებლობებზე ნებართვების გაცემა აიკრძალა. ოზურგეთის არასამთავრობო ორგანიზაციები კი გურიის ვიცე-გუბერნატორს ადანაშაულებენ სახელმწიფო მიწების უკანონო ყიდვა-გაყიდვაში. ნოდარ გოგუას ბრალად სდებენ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და კორუფციას. „დემოკრატიული განვითარების კავშირის“ წარმომადგენლის, კახა ჭავლაშვილის განცხადებით, ვიცე-გუბერნატორმა სს „შეკვეთილის“ კუთვნილი 165 ჰექტარი მიწა უკანონოდ მიითვისა და ასევე უკანონოდ გაასხვისა იურიდიულ და კერძო პირებზე. ჭავლაშვილის თქმით, გოგუამ შავი ზღვისპირა ზოლში დიდი ოდენობით მიწა სახელმწიფოსგან მიზერულ ფასად — 1 კვმ 6 თეთრად(!) შეისყიდა და შემდეგ გაყიდა, რის გამოც სახელმწიფომ დაახლოებით 8 მლნ დოლარი იზარალა.

## ჯვარცმას სამების ტაძარში დაასვენებენ

ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთიდან მაცხოვრის ჯვარცმის ფეხით გადმოსვენების პროცესი დაიწყო. იგი ცხრუკვეთის მკვიდრმა თენგიზ ბიწაძემ ხეზე ამოკვეთა საგანგებოდ თბილისის სამების საკათედრო ტაძარში დასასვენებლად. თბილისში გადმოსვენებამდე ჯვარცმა ცხრუკვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ცხუმ-აფხაზეთისა და ჭიათურა-საჩხერის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა აკურთხა. გადმოსვენების პროცესს პრეზიდენტი სააკაშვილიც უნდა დასწრებოდა. მიხეილ სააკაშვილს დიდი ხანია ამაოდ ელიან მშობლიურ სოფელში, სადაც მან ჩასვლა ვერც 24 აპრილს შეძლო უამინდობის გამო. მაცხოვრის ჯვარცმას სამების ტაძარში 11 მაისისთვის ჩამოასვენებენ. მანამდე კი ფეხით გადმოსვენების პროცესია კაცხს და გელათს მოილოცებს.

## „დათვი“ ისევ დაიჭირეს

პოლიტიკური მოძრაობა „დათვის“ ლიდერი და ექსპრეზიდენტ შევარდნაძეზე ტერაქტის ორგანიზებისთვის ნასამართლევი თემურ ხაჩიშვილი, ქვემო ქართლის შსს-ს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის, გოდერძი ჩარქსელიანის განცხადებით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. სამართალდამცველებისათვის ცნობილი გახდა, რომ თემურ ხაჩიშვილი უკანონოდ ატარებს და ინახავს ცეცხლსასროლ იარაღს. მოწმეთა თანდასწრებით ჩატარებული ჩხრეკის დროს მისი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი „აკაემი“ 25 საბრძოლო ვაზნით, რუსული წარმოების პისტოლეტი „ბაიკალი“ და „ერ-გე-დეს“ ტიპის ხელყუმბარა. ჩარქსელიანის განცხადებით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომლის თანახმად, ხაჩიშვილს იარაღის უკანონო შენახვისთვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. თემურ ხაჩიშვილი ქალაქ რუსთავის სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. „დათვის“ ლიდერი ციხიდან გათავისუფლების შემდეგ დაუახლოვდა აჭარის ავტონომიური ხელისუფლების ლიდერსა და მის ქვეშევრდომებს. ხაჩიშვილი დროის დიდ ნაწილს სწორედ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ატარებდა. თემურ ხაჩიშვილის განცხადებით, იგი ზურაბ ჟვანიასთან დაპირისპირების გამო დააპატიმრეს.

## სულავა დააპატიმრეს

გასულ პარასკევს გენპროკურატურამ შსს-ს კიდევ ერთი მაღალჩინოსანი დააკავა. ამჯერად საკუთრების დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი თამაზ სულავა დააპატიმრეს.

სულავა უხმაუროდ აიყვანა გენპროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში მოკვლევისა და კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველომ, რომლის უფროსმა ზურაბ კუხიანიძემ „კვირის პალიტრას“ განუცხადა, რომ სულავას ოფიციალურად ბრალს ორშაბათს წაუყენებენ. „ჯერჯერობით არ შემიძლია დეტალების გახმაურება, მაგრამ მთავარი ბრალდება სამსახურებრივი გულგრილობა და უფლებამოსილებათა გადამეტება იქნება“.

თამაზ სულავა რამდენიმე თვის წინ გაათავისუფლეს დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, სადაც იგი ბოლო ორი წლის მანძილზე მუშაობდა.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით სულავას დაცვის პოლიციის თანამშრომელთა ხელფასების გაუცემლობას მოჰკითხავენ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომუშავე დაცვის პოლიციელებს თვეების მანძილზე არ აუღიათ ხელფასი. პროკურატურის კულუარებში ამბობენ, რომ არსებობს სერიოზული ეჭვი ამ ფულის არამიზნობრივად ხარჯვაზე. ეჭვია ეს თუ რეალობა, ამ კითხვაზე უკვე გამოძიებას და სულავას მოუწევთ პასუხის გაცემა.

## ლექტორი წამებით მოკლეს

თბილისში ძალადობის კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი დაფიქსირდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის ლექტორი ნელი იმედაშვილი წამებით მოკლეს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის, თამაზ გეთიას განცხადებით, ნელი იმედაშვილი დანითაა მოკლული. მას გულ-მკერდის არეში, ფეხსა და ტანზე ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობები აქვს მიყენებული. იმედაშვილის ცხედარი ნათესავებმა მას შემდეგ აღმოაჩინეს, როდესაც იგი ოთხშაბათს, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე დაგეგმილ ლექციაზე არ მივიდა. აღნიშნული ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით. გამოძიებას ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა აწარმოებს.

### მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

### წინა ნომრის „მკითხველის პრემიის“ შედეგები ასეთია:

1. **ინგა ჯაყელი** — „სიკვდილმისჯილის“ მონოლოგი“ — 91 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „მეოთხე დღეს მილიციელს ნერვებმა უმტყუნა და დანაშაული აღიარა“ — 76
3. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 21

4-5. **იზო რიკაძე** — „ასეთი ამბის შემდეგ გუმბარიძე დააწინაურეს, რატომ?“ — 16

4-5. **ეკა ლომიძე** — „რას ვსვამთ — წყლის ხარისხი ბევრად გაუარესდა“ — 16

თქვენს პრემიას ამჯერად ჟურნალისტი **ინგა ჯაყელი** მიიღებს

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 316-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# ან მთელს საქართველოში იქნება დემოკრატიული წყობა, ან მთელ საქართველოში არ იქნება!..



**სახელმწიფოში მთავარი, გადამწყვეტი მისია — კანონს, მის უზენაესობას ენიჭება და არა ამა თუ იმ მოსაზრებას!**

პარლამენტის პირველ სხდომასთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რევოლუციური ეპოქა დასრულდა. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ბევრი ნაცნობი და ბევრიც — უცნობი სახე მოხვდა. ძნელი სათქმელია, დაიწყო თუ არა ამით საქართველოში თვისებრივად ახალი საპარლამენტო ცხოვრება — ყოველ შემთხვევაში, ისედაც მითქმა-მოთქმის საგნად ქცეულ ეროვნული ჰიმნის პოპულარიზებასა და ქართველი დეპუტატების მაღალმოქალაქეობრივ შეგნებაზე ნამდვილად არ მეტყველებდა კადრები, როდესაც ჰიმნის აჟღერებისას კანონმდებლები, ერთმანეთის მოწოდების შემდეგ, ზანტად წამოიშალნენ, ზოგი კი კვლავაც ტელეფონით საუბარს აგრძელებდა(!).

პრეზიდენტმა კიდევ ერთი დანაპირები კიდევ ერთხელ აასრულა და მისი თაოსნობით პარლამენტმა ერთხმად გაიუქმა იმუნიტეტი — ამიერიდან სამართალდამცველებს საპარლამენტო ნებართვისა და აურზაურის გარეშე ექნებათ უფლება, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დეპუტატი დააპატიმრონ ან დაკითხონ. ერთი მხრივ, ეს მოვლენა იმით არის კარგი, რომ მომავალ არჩევნებზე დეპუტატის მანდატი საგრძნობლად გაიაფდება, რადგან ბიზნესმენებსა და დამნაშავეებს პარლამენტში მოხვედრის მადა და სურვილი დაეკარგებათ. მეორე მხრივ კი, პოლიტიკაში დღეს შექმნილი უალტერნატივო ვითარება ისედაც „სიმამაცით" ცნობილი ქართველი პოლიტიკოსების უმეტესობას კიდევ უფრო დაადუმებს და ამით, ვფიქრობთ, უპირველესად, პრობლემა კრიტიკოსთა გარეშე დარჩენილ აღმასრულებელ ხელისუფლებას შეექმნება.

პარალელურად, გრძელდება „ბათუმური ოდისეაც". ძნელი სათქმელია, რა გავლენას იქონიებს სანზონაში, „ღრმაღელის", „ვაგზლის მოედნის" მეტროსთან თუ გადასასვლელ ხიდთან გამოკრული განცხადებები გენერალ დუმბაძის ძებნის შესახებ. მაგრამ ბათუმში ამ განცხადებების გაკვრამ შედეგი უკვე გამოიღო — „ანტიაბაშიძისტური" ქმედების გამო 15 წლის თამაზ მამისეიშვილი მასზე გაცილებით უფროსმა, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა მამის თვალწინ გალახა! მიხეილ სააკაშვილი ურჩ გენერალს სამშობლოს მოღალატედ აცხადებს და ამით ცდილობს, აბაშიძის მორჩილი სხვა ჩინოვნიკები დაარწმუნოს, თუ რაოდენ მკაცრი და დაუნდობელია სეპარატიზმის მიმართ. უქმად არც აბაშიძეა — მისმა ქვეშევრდომებმა რომ დაიჯერონ, ჩვენს „ბაბუს" არაფრისა ეშინიაო, საკმაოდ ძვირად ღირებული კონსტრუქტორებით თამაშობს და ამერიკიდან ჩამოტანილი ნაწილებით ჯიპებს აწყობს. თანაც, საკუთარი ტელეეთერიდან ბავშვური მიამიტობით გვარწმუნებს, — ამ ავტომობილებს სომხებს, აზერბაიჯანელებს და თვით ამერიკელებსაც(?) კი მივყიდიო. გეგონება, სხვა საფიქრალი მართლა არ ჰქონდეს... თუმცა, მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ ბიზნესმენთა იმედით ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის გამართვა თბილისში გადაწყვიტა, საფიქრალი მართლაც ექნება — სპორტის რომელი სახეობის ფედერაცია დაიყოლიოს ბათუმში შეჯიბრების ჩატარებაზე.

როგორც ჩანს, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი კოფი ანანთან სამუშაოდ ველარ მოეწყობა — ალბათ ბოლო წუთს „ზემოდან აღარ დარეკეს", თორემ შევარდნაძის თქმისა არ იყოს, გაეროში სერიოზული ხალხი მუშაობს და ასე უცბად სიტყვას როგორ გადათქვამდნენ? არადა ქართველ ხალხს ეს ამბავი სატრაბახოდ მართლაც კარგა ხანს ეყოფოდა...

რომ არა კონტროლის პალატის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარის პროფესიული ალღო და გამჭრიახობა, ტელემაყურებელი კორუფციაში ჩაფლული ჩინოსნის დაკავების მორიგ სასტიკ ოპერაციას იხილავდა ნიღბიანი სპეცრაზმელებისა და ლურჯი „მარშრუტკის" მონაწილეობით (თანაც, დიდი ხანია, ასეთი რამ აღარ მომხდარა). მაშინ, როდესაც უშიშროების თანამშრომლები მის ბინაში შეღწევას ცდილობდნენ, მოლაშვილი გენერალური პროკურატურის საშვთა ბიუროს რიგში იდგა — დასამალი რა მაქვს, ჩემი ნებით მოვედიო. როგორც ავი ხმები ამბობენ, დასამალი მას არა, მაგრამ ხელისუფლებაში მოკალათებულ ზოგიერთ პოლიტიკოსს შეიძლება მართლაც ჰქონდეს — წარსული მოღვაწეობიდან, ყველა რომ ყველაფერს იპარავდა, მაშინდელი...

**რატომღაც, ამ ხალხს ჰგონია, რომ ლოკალურად, ბათუმში, ყველაფრის გაკეთების უფლება აქვს. მაგრამ ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ და არ შეიძლება, სახელმწიფოს ერთ კუთხეში ვინმეს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ წლების განმავლობაში შერჩა და ასე დამკვიდრდა.**

**ან მთელ საქართველოში იქნება დემოკრატიული წყობა, ან მთელ საქართველოში არ იქნება! არჩევანი ასე უნდა დადგეს და ასე უნდა გაკეთდეს...**

თუმცა, ეს ყველაფერი მალე გამოჩნდება. სხვათა შორის, ზემოთ აღნიშნული პოლიტიკოსების ცოდვებიც.

ამ და საქართველოში განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **დავით დარჩიაშვილს**:

**— გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ალბათ დეპუტატის იმუნიტეტის გაუქმება უნდა ჩაითვალოს. ბოლო დროს ხშირად გაიგონებდით — „შევარდნაძის ეპოქისგან" განსხვავებით, რევოლუციის ეპოქაში იმუნიტეტის ამგვარი სახით გაუქმება მიუღებელიაო.**

— საკანონმდებლო ნიუანსებზე ლაპარაკი გამიჭირდება — ამაზე, სჯობს, იურისტებმა იმსჯელონ. იმუნიტეტი ყველა ქვეყანაში არსებობს და ალბათ უნდა არსებობდეს კიდეც, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ჩვენთან იყო — ცნება „დეპუტატი" — ბიზნესმენს და დამნაშავეს უფრო ნიშნავდა, ვიდრე კანონმდებელს. თუმცა მხოლოდ ამგვარი დემონსტრაციული აქციით სიტუაცია არ შეიცვლება. მით უმეტეს, როგორც ჩანს, სანახაობით მოვლენებს მაინც ვერ გადავეჩვიეთ — სხვაგვარად ვერ ავხსნი დეპუტატების მასობრივ, ნარკოლოგიურ შემოწმებას. არ მესმის, რა აზრი ჰქონდა დეპუტატად არჩევის შემდეგ ამ ხალხის შემოწმებას. ეს უნდა ხდებოდეს ამა თუ იმ პიროვნების კანდიდატთა სიაში შეყვანამდე, რადგან სხვაგვარად, როგორც გითხარით, ეს აქცია დროში აცდენილი გამოდის. თან, ყველაფერს ხომ თავისი ეთიკა და ფორმა უნდა ჰქონდეს. თუ ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ვინმეს რამე დავანახვოთ, სხვა საქმეა. პოპულიზმი ჩემთვის არც ისე მიუღებელი სიტყვა გახლავთ — მით უმეტეს, როდესაც პოლიტიკაზეა ლაპარაკი, მაგრამ ბავშვი ნაბან წყალს არ უნდა გადავაყოლოთ! ზოგჯერ მეჩვენება, რომ რევოლუციური პერიოდი უჩვეულოდ გაგვიგრძელდა. როგორც ჩანს, ცდუნება საკმაოდ დიდია, რომ ესა თუ ის ნაბიჯი დროით გამოწვეული აუცილებლობით გაამართლოს კაცმა. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ალბათ რაიმე რევოლუციური ორგანოებიც უნდა შეიქმნას — გაკეთდეს საჯარო განცხადება იმის თაობაზე, რომ საგანგებო რეჟიმით ვცხოვრობთ და ზოგ შემთხვევაში არაეთიკური ქმედება, ან ადამიანის უფლებათა დარღვევა სახელმწიფო ინტერესებთან არის დაკავშირებული... მაგრამ რამდენადაც ვიცი, ჩვენ კონსტიტუციურ ფორმაციაში ვცხოვრობთ და ევროპაში ინტეგრაციასაც ვცდილობთ. ასეთ შემთხვევაში კი სახელმწიფო, ამა თუ იმ ქმედების განხორციელებისას, ფორმებს გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს.

**— პარლამენტის პირველ სხდომაზე ახალი ჰიმნიც აჟღერდა და, შეიძლება ითქვას, ამით მისი ოფიციალური, კონსტიტუციური ლეგიტიმაციაც მოხდა. თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად შეეფერება ეს მაღალფარდოვანი ცნებები დეპუტატების რეაქციას, რომელიც ჰიმნის აჟღერებისას ჰქონდათ... დღეს იმასაც ამბობენ, რომ ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის ჰიმნს მნიშვნელობა არა აქვს და ყველაფერს დრო მოიტანს...**

— მე ასე ვიტყოდი: მნიშვნელობაც აქვს და დროც მოიტანს. ის, რაც დღეს ხდება, და არა მხოლოდ ჰიმნის თვალსაზრისით, მაინცდამაინც მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონის მაჩვენებელი არ არის. ვერც იქნება, რადგან ასეთი ღირებულებები ვინმეს დაკვეთითა და სურვილით, ერთ და ორ დღეში არ იქმნება. ამ შეგნებამდე უნდა მივიდეს მთელი საზოგადოება — თავის ხალხიან-მთავრობიანად და პოლიტიკოსებიანად. ჰიმნი ნამდვილად არ არის მეორეხარისხოვანი საკითხი. მისადმი დამოკიდებულება სწორედ ზემოაღნიშნული ღირებულებების ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოება ჯერ მართლაც არ არის მზად, რომ ეროვნული ჰიმნი საკუთარ თავმოყვარეობასთან და სამშობლოს ღირსებასთან მთელი სერიოზულობით გააიგივოს. ჰიმნის ნაჩქარევად მიღებას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ წარსულში ყოველგვარი მოლაპარაკება და მსჯელობა დროის გაჭიანურებასთან, ხალხს მიღმა პოლიტიკურ გარიგებებთან და სახელისუფლებო, პოლიტიკურ ინტრიგებთან იყო გაიგივებული. თან ისიც ფაქტია, რომ მოსახლეობას ამ საკითხის საჯარო გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მაინცდამაინც დიდი დაინტერესება არ გამოუჩენია. სხვათა შორის, თავის დროზე ეიფელის კოშკი პარიზელების ტრაგედიად ითვლებოდა — დღეს ის პარიზის სიმბოლოდაა აღიარებული... ვნახოთ. დრო გვიჩვენებს — თუ შევეგუეთ და გავითავისეთ, ხომ კარგი, თუ არადა, ხალხის მოთხოვნით ხელისუფლება შეიცვალა და ჰიმნსაც რამენაირად მოევლება — მთავარია, მოხდეს მისი მნიშვნელობის გააზრება.

**— პარლამენტის პირველი სხდომა კამათითა და მწვავე ლობებით დიდად გამორჩეული არ ყოფილა. ხომ არ გამართლდა მითქმა-მოთქმა — ერთსახოვანი, სუსტი და მორჩილი პარლამენტი გვყავსო?**

— ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ პირველი სხდომა იყო და წინ ოთხი გრძელი წელიწადი გვიდევს. ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გაართმევს თავს არსებულ სერიოზულ პრობლემებს არსებული ხელისუფლება — აბაშიძის საკითხი, რუსეთთან ურთიერთობის ჩამოყალიბება და განსაზღვრა, ეკონომიკური პოლიტიკა... ეს ისეთი სახისა და მასშტაბების პრობლემები გახლავთ, რომ მათი გადაწყვეტის შესაბამისად განლაგდება საპარლამენტო ძალებიც. არც ისე შორეულ მომავალში თქვენ მიერ ნახსენები ერთფეროვანი სახე შეიძლება წარმოუდგენლად მრავალფეროვანი გახდეს. სხვათა შორის, შევარდნაძის პერიოდის პარლამენტის მუშაობა შეიძლება საყურებლად იყო სასეირო და გასართობი, თორემ ფაქტია, რომ მას, ქაღალდზე დაწერილი უფლებების გარდა, არაფერი გააჩნდა და, ფაქტობრივად, პრეზიდენტის კარის გარიგებებსა და პოლიტიკურ ინტრიგებზე იყო დამოკიდებული. იქ მყოფი ხალხის მნიშვნელოვან ნაწილს რაიმე სერიოზული პრეტენზია, ქვეყნის კანონმდებლობაზე, არც ჰქონდა, მათი მთავარი მიზანი ხომ ან უკვე არსებული ბიზნესის მფარველობა იყო, ან ახლის გაჩენა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს უფრო სავაჭრო ბირჟა გახლდათ, ვიდრე საკანონმდებლო ორგანო. დღევანდელი ვითარება — თუნდაც ხელისუფლების მხრიდან მისი დათხოვნის უფლების გათვალისწინებით, რეალობასთან ბევრად უფრო ახლოს დგას. თუ პარლამენტი თავის პირდაპირ მოვალეობას ისე შეასრულებს, რომ მეტი უფლებების პრეტენზიაც გაუჩნდება, შესაძლოა, მისი გაძლიერებაც დადგეს დღის წესრიგში. მანამდე კი ქვეყანას პარლამენტის მუშაობა სჭირდება და ამ მუშაობისთვის კი, როგორც გითხარით, ყველანაირი საკანონმდებლო პირობაა შექმნილი.

**— ცენტრალური ხელისუფლების აბაშიძესთან დაპირისპირებამ უკვე ქრონიკული სახე მიიღო, სააკაშვილმა ურჩი გენერალი სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა და ამგარივე ბედი უწინასწარმეტყველა ყველას, ვინც სეპარატიზმის გზას აირჩევს. პარალელურად კი, 25-ე ბრიგადა თბილისში გადმოდის. რამდენად ეფექტიანი იქნება ასეთი სტრატეგია?**

— დუმბაძის მოღალატედ გამოცხადებას რაც შეეხება, ვფიქრობ, ასეთი სერიოზული და შეიძლება ითქვას, საშინელი დანაშაულის ასე გამოცხადება და გაუბრალოება არ უნდა ხდებოდეს. როდესაც სამხედრო პირს სამშობლოს ღალატის ბრალდებას უყენებ, იგულისხმება, რომ მან სამშობლო მტერს მიჰყიდა. ასეთ შემთხვევაში კი, დამეთანხმებით, საქართველოს მტრების სახელიც ოფიციალურად უნდა დაკონკრეტდეს. ალბათ დემონსტრაციული და შთამბეჭდავი განცხადებების მიღმა, შეიძლებოდა ამ პირისთვის სხვა ბრალდება წაეყენებინათ — თანამდებობრივი უფლების გადამეტება, სუბორდინაციის დარღვევა და ა.შ. არც აბაშიძე და არც სხვა დამნაშავე თუ პოლიტიკოსი უკვდავები არ არიან, სამშობლოს ღალატის ბრალდება კი შვილთაშვილებსაც ლაქად გაჰყვებათ...

მეორე მხრივ, ცენტრალური ხელისუფლების მიერ არჩეულ პოლიტიკას ნამდვილად ვერ გავამტყუნებ. აჭარასთან მიმართებაში რაიმე სწრაფი, ძალისმიერი ოპერაციების განხორციელება დაუშვებელია და გამორიცხული, თავად იქ მცხოვრები ხალხის მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს. წლების განმავლობაში აჭარაში დამკვიდრდა განწყობა, რომლის თანახმადაც აბაშიძე ფეოდალია და მას აჭარის მართვის მემკვიდრეობითი უფლება აქვს. ამის გამო მისადმი შეწინააღმდეგება ხალხში ისე აღიქმება, როგორც ერთი ძალის მეორით ჩანაცვლების მცდელობა. ალბათ აქტიური მუშაობა სწორედ ამ ხაზით არის აუცილებელი — რომ ხალხი გაერკვეს მთლიანად საქართველოში შექმნილ ვითარებაში და XXI საუკუნეში ფეოდალიზმს არ შეურიგდეს.

გამართლებულად მიმაჩნია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებებიც, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობას სრული წარმოდგენა ჰქონდეს აჭარაში არსებულ ვითარებაზე. უფრო სწორად კი, იცოდეს თბილისის ოფიციალური პოზიცია, თორემ აბაშიძის კლანის შესახებ, მერწმუნეთ, ყველამ ყველაფერი იცის.

რატომღაც, ამ ხალხს ჰგონია, რომ ლოკალურად, ბათუმში, ყველაფრის გაკეთების უფლება აქვს. მაგრამ ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ და არ შეიძლება, სახელმწიფოს ერთ კუთხეში ვინმეს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ წლების განმავლობაში შერჩა და ასე დამკვიდრდა.

ან მთელ საქართველოში იქნება დემოკრატიული წყობა, ან მთელ საქართველოში არ იქნება! არჩევანი ასე უნდა დადგეს და ასე უნდა გაკეთდეს...

**ნებისმიერი ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული — დამნაშავე იქნება ის, თუ არა. მაგრამ აქ მეორე მომენტიც არის: დღეს ბევრს ლაპარაკობენ კომპრომატებზე და ამის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე. შევარდნაძის დროს სისტემა ისე იყო აწყობილი, რომ ერთ ჩინოსანს მეორეზე კომპრომატი უნდა ჰქონოდა. თუ არ ექნებოდა, ისე მაინც უნდა ეჩვენებინა თავი, თითქოს ჰქონდა. რა ვქნათ, ამის გამო ხელი არავის ახლონ? დაე, სამართალდამცველებმა შეისწავლონ ის კომპრომატებიც და მათი რესპონდენტებიც.**

**— ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადებით, ხელისუფლების, უფრო ზუსტად კი, პროკურატურის ქმედება არც ისე დემოკრატიულად გამოიყურება. საზოგადოების ერთმა ნაწილმა მოლაშვილის დაპატიმრება პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აღიქვა.**

— ამგვარად ყველას შეუძლია თავი იმართლოს და სამართალდამცველების დაინტერესება პოლიტიკური ანგარიშსწორებით ახსნას. მთავარია, სახელმწიფოში დემოკრატიის მთავარი პრინციპი დამკვიდრდეს — რომ მიზანი არ ამართლებს საშუალებას და გარკვეულ ეტაპზე ძიებამ, უფრო მეტად კი სასამართლომ, დაადგინოს, სამართალწარმოების ქმედების რომელ სტადიაზე დაირღვა კანონი და რომელზე — არა. თუ დემოკრატიული საზოგადოების შექმნაზე გვაქვს პრეტენზია, მაშინ ნებისმიერი ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული — დამნაშავე იქნება ის, თუ არა. მაგრამ აქ მეორე მომენტიც არის: დღეს ბევრს ლაპარაკობენ კომპრომატებზე და ამის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე. შევარდნაძის დროს სისტემა ისე იყო აწყობილი, რომ ერთ ჩინოსანს მეორეზე კომპრომატი უნდა ჰქონოდა. თუ არ ექნებოდა, ისე მაინც უნდა ეჩვენებინა თავი, თითქოს ჰქონდა. რა ვქნათ, ამის გამო ხელი არავის ახლონ? დაე, სამართალდამცველებმა შეისწავლონ ის კომპრომატებიც და მათი რესპონდენტებიც.

მეორე საკითხია ის, რომ სახელმწიფო ნების განხორციელება სამართალდაცვის კუთხით — თავის თავში გულისხმობს ძალის დემონსტრირებას, ვინმეს დაპატიმრებას. ეს ბალეტი ხომ არ არის, მის შემსრულებელს სინაზე და ჰაეროვნება მოვთხოვოთ. სხვათა შორის, „პოლიტიკური პატიმარიც" საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, რომლის დემოკრატიულობაც, ვფიქრობ, არავის აეჭვებს, დღემდე არსებობენ პოლიტიკური პატიმრები, ასევეა ესპანეთსა და საფრანგეთში, სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მაგრამ ეს ხალხი ტერორისტები არიან — მათ ტერორისტული აქტი ამა თუ იმ პოლიტიკური ან რელიგიური მოსაზრებების გამო განახორციელეს. როგორ ფიქრობთ, მათი დანაშაულის პოლიტიკური ან რელიგიური მოტივის გამო ამ ხალხის დაჭერა არ შეიძლებოდა?

რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, არა მგონია, ვინმემ დღემდე დაკავებული რომელიმე ჩინოსნის ანგელოზობაზე დადოს თავი და განაცხადოს, — მავანი და მავანი სრულიად უდანაშაულოდ არის დაპატიმრებულიო, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევეგუოთ იმ აზრსაც, რომ სახელმწიფოში მთავარი, გადამწყვეტი მისია — კანონს, მის უზენაესობას ენიჭება და არა ამა თუ იმ მოსაზრებას!

***დაჩი გრძელიშვილი***

# პოლიციელმა მიბარებული 29 ათასი ლარი სამორიგეოდან გაიტაცა(!)

*რამდენიმე დღის წინ მეტრო „ელდეპოს“ შესასვლელში ერთმა ახალგაზრდამ ჟეტონის გარეშე მოისურვა გავლა. პოლიციელის გაფრთხილების მიუხედავად, იგი გამტარ ბარიერს გადაახტა. მერე მოულოდნელად იარაღი იშიშვლა და ჯერ სახტად დარჩენილ პოლიციელს დაუმიზნა, შემდეგ კი კონტროლიორს. ეტყობა, რამდენიმე წამს ფიქრობდა, ესროლა თუ არა. კიდევ კარგი, გადაიფიქრა და მხოლოდ ჰაერში გაისროლა...*

*პირველი შემთხვევა არ არის, როცა მეტროში ცეცხლსასროლი იარაღის ხმა გაისმა. წინა დღესაც დიდი ბათქაბუთქი ატყდა მეტროპოლიტენის იმავე ბაქანზე... ცოტა უფრო ადრე კი ყაჩაღთა ჯგუფმა ვაგონში, ხალხის თვალწინ, იარაღის ტარით ლამის თავის ქალა ჩაუმსხვრია მგზავრ ქალბატონს...*

*ბოლო დროს მეტროს ვაგონებში მომრავლებული ჯიბის ქურდები თუ მხოლოდ მგზავრთა ჯიბეებს უქმნიდნენ საფრთხეს, დღეს გარანტია არ არსებობს იმისა, რომ შუა ვაგონში ვინმემ სროლა არ ატეხოს.*

*ექსპერტების აზრით, კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებას თბილისის მიწისქვეშეთში — მეტროში — ობიექტური მიზეზები აქვს. მეტრო ხალხმრავლობის გამო ჯიბგირებისა და სხვადასხვა ჯურის დამნაშავეებისთვის ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს. სასწრაფოდ მოსაგვარებელია პოლიციელთა რაოდენობის საკითხიც. დღეს მეტროს იმდენივე პოლიციელი იცავს, რამდენიც კომუნისტების დროს იცავდა. არადა, მაშინ ამ ტრანსპორტით გაცილებით ნაკლები ხალხი მგზავრობდა.*

*მეტროპოლიტენში სიტუაციის გამწვავების და კონკრეტული ყაჩაღობების მატების ფაქტთან დაკავშირებით „კვირის პალიტრამ“ მეტროპოლიტენის პოლიციის სამმართველოს უფროსს,* ***შატო იოსელიანს*** *მიმართა:*

## „პოლიციელი თავისუფალ დროს ბაზარში არ უნდა ვაჭრობდეს“



— დღევანდელ სიტუაციას მართლაც ობიექტური მიზეზები აქვს. ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დედაქალაქში ჩამოვიდა. მათ შორის ისინიც არიან, რომელთა ძირითად საქმიანობას ქურდობა, ყაჩაღობა და ძარცვა წარმოადგენს. მეტროპოლიტენი დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ნახევარ მილიონზე მეტ კაცს ემსახურება. რა თქმა უნდა, ამდენ ხალხში „სარფიანია“ ჯიბის ქურდების თუ სხვა ბოროტმოქმედების საქმიანობა. სად უნდა წავიდნენ, თუ არა ასეთ ხალხმრავალ ადგილას. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მხოლოდ მიმდინარე თვეში დაკავებულია 22 პირი და 7 დანაშაულებრივი ჯგუფი. ამოვიღეთ სამი ცეცხლსასროლი იარაღი.

— **ვიდრე სტატისტიკასა და დანაშაულის ზრდის მიზეზებზე ვისაუბრებდეთ, იქნებ დავაკონკრეტოთ, რა მოხდა მეტროპოლიტენის სადგურ „ელდეპოში“?**

— რამდენიმე დღის წინ მეტროსადგურ „დიდუბეში“ ოპერატიულმა ჯგუფმა შენიშნა ხუთი საეჭვო ახალგაზრდა, რომლებიც ვარკეთილის მიმართულებით წავიდნენ. როგორც გითხარით, ისინი საეჭვოდ იქცეოდნენ. ამიტომ ოპერატიულმა ჯგუფმა გადაწყვიტა, ვაგონში შეჰყოლოდა მათ და გაერკვია, ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები. თავისთავად ცხადია, იმათაც შეამჩნიეს პოლიციის თანამშრომლები. ამიტომ, როგორც კი გაჩერდა მატარებელი, „ელდეპოში“ ხუთივე ახალგაზრდა ჩავიდა. ჩვენი თანამშრომლებიც მიჰყვნენ.

— **რამდენი იყვნენ პოლიციელები?**

— სამნი იყვნენ. როგორც კი ის ჯგუფი და ჩვენი თანამშრომლები ბაქანზე გავიდნენ, ერთ-ერთმა, ვინმე სარქისოვმა, გადაჭრილი თოფით — ე. წ. „აბრეზით“ ჩვენს თანამშრომელს ესროლა. მეორე ბოროტმოქმედმა — ქაჯაიამ კი სხვა თანამშრომლების მიმართულებით დაიწყო პისტოლეტით სროლა. მიუხედავად ამისა, ოპერატიულმა ჯგუფმა ორივე ბოროტმოქმედი ადგილზევე დააკავა. დანარჩენი სამი გაიქცა, მაგრამ მათი ვინაობა ჩვენთვის ცნობილია და უახლოეს მომავალში დავაკავებთ.

— **რა მოუვიდა პოლიციელს?**

— მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება... ორი დღის წინ იმავე სადგურზე კიდევ ერთმა პირმა ატეხა სროლა. თავდაპირველად, პოლიციელსა და კონტროლიორ ქალს უმიზნებდა, ბოლოს ჰაერში ისროლა და ბაქნისკენ გაიქცა. ვაგონში შესვლა მოასწრო, მაგრამ პოლიციელებმა მატარებელი გააჩერეს და დამნაშავე დააკავეს.

დანაშაულებრივ ფაქტს ჰქონდა ადგილი მეტროსადგურ „ვარკეთილშიც“. როცა მეტრო უკვე იკეტებოდა და სადგურიდან ხალხის ბოლო ნაკადი გადიოდა, ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა მოლარის უყურადღებობით ისარგებლა, მაგიდაზე საინკასაციოდ გამზადებულ ერთ ტომარა ფულს ხელი დასტაცა და გაიქცა. პოლიციელებმა ეს პირი მეტროს გარეთ დააკავეს.

— **ცოტა უფრო ადრე ყაჩაღები ვაგონში ქალბატონსაც დაესხნენ თავს...**

— ეს ფაქტი 26 მარტს, მეტროსადგურ „პოლიტექნიკურში“ მოხდა. ყაჩაღთა ჯგუფი, რომლის წევრების ვინაობას ოპერატიული მოსაზრებიდან გამომდინარე ვერ დავასახელებ, სავალუტო ჯიხურის თანამშრომელ ქალს — თამარ გადიძეს დაესხა თავს. ყაჩაღებმა იცოდნენ, რომ მას ფული გადაჰქონდა. მაგრამ ქალს ფული სხეულზე ჰქონია მიკრული. როცა წართმევა ვერ მოახერხეს, ყაჩაღებმა გადიძეს იარაღის ტარი რამდენჯერმე ჩაარტყეს თავში და გაიქცნენ. დარტყმის შემდეგ გადიძემ გონება დაკარგა. იგი რესპუბლიკურ საავადმყოფოში, რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. მას ფული თან ჰქონდა. ექიმებმა მაშინვე შეატყობინეს ტრანსპორტის პროკურატურას. პროკურორის თანაშემწემ კახა თელიძემ შეადგინა ოქმი და თანხა — 29 ათასი ლარი პოლიციის სამმართველოში მორიგე ტარიელ მარხვაშვილს ჩაჰბარდა.

— **ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამ ისტორიას გაგრძელება მოჰყვა და მორიგემ ფული გაიტაცა.**

— ოპერატიულ მორიგეს ჰყავს ქვემორიგე და მძღოლი. ყველა სამორიგეოში არის სათავსები, სადაც ინახება იარაღი, არის დასასვენებელი ოთახი და ცენტრალური პულტი, სადაც მორიგე მუშაობს.

იარაღის ოთახში ჩართულია სიგნალიზაცია და იქ შესვლის უფლება მორიგის გარდა, არავის აქვს. შესასვლელი კოდიც მხოლოდ მორიგემ იცის. სულ სამი მორიგეა და ყველას თავისი კოდი აქვს... თელიძემ თანხა სათანადო ოქმით დალუქული ჩააბარა მორიგე მარხვაშვილს. ფული იმ ოთახში შეიტანეს, სადაც იარაღი ინახება. დილის 6 საათზე მორიგე შევიდა, აიღო ფული, ორი პისტოლეტი და წავიდა(?!). ქვემორიგეს უფიქრია, გაივლის და დაბრუნდებაო. მაგრამ ერთი საათი რომ გავიდა და აღარ დაბრუნდა, განგაში ატეხა... მივიყვანეთ სპეციალისტები და კოდი მოვახსნევინეთ. აღარც ფული აღმოჩნდა თავის ადგილას და აღარც ორი პისტოლეტი.

— **ტარიელ მარხვაშვილი დიდი ხნის თანამშრომელი იყო?**

— იგი ჩვენთან 1992 წლიდან მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში არც ერთი საყვედური და არც ერთი სასჯელი არ მიუღია. ყველას გაგვიკვირდა, ასეთი რამ როგორ ჩაიდინა... ინციდენტიდან რამდენიმე საათში მის ბინაში აღმოვაჩინეთ ორივე პისტოლეტი, საწოლის ქვეშ ჰქონდა დამალული. საქმეში ჩავრიეთ მისი ოჯახის წევრები და ფულიც დააბრუნა. ეზოში დააგდო შეკვრა, თვითონ კი იმალება(?!).

— **კვლავ მეტროს დავუბრუნდეთ. ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმით, რაც ვაგონებში ხდება. რა არის ამის მიზეზი?**

— ქურდობა და ძარცვა, ძირითადად, მოძრავ შემადგენლობაში ხდება. გუშაგ პოლიციელებს, რომლებიც სადგურის ქვედა და ზედა ვესტიბიულებში დგანან, კატეგორიულად ეკრძალებათ ვაგონში შესვლა. გუშაგები არიან და საგუშაგოზე უნდა იდგნენ. რაც შეეხება ოპერატიულ სამსახურს, ჩვენს მეტროს სულ 8 ოპერატიული მუშაკი ემსახურება. წლების მანძილზე მეტროპოლიტენს სადგურები შეემატა, გაიზარდა ხალხის ნაკადიც, მაგრამ უცვლელი დარჩა პოლიციელთა რაოდენობა. 8 ოპერატიული მუშაკი ადრე დღეში 100 ათას კაცს ემსახურებოდა. დღეს კი მეტროთი ნახევარ მილიონზე მეტი კაცი სარგებლობს. მწარე რეალობაა, მაგრამ ამ კონტინგენტით, ფაქტობრივად, შეუძლებელია ოპერატიული მომსახურება.

— **გამოსავალი ალბათ პოლიციელთა რაოდენობის გაზრდა იქნება.**

— ამჟამად შსს-ს დღევანდელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ოპერატიულ მუშაკთა რაოდენობა ოცდაათამდე გაიზრდება. ეს საკმარისი იქნება იმისთვის, რომ დანაშაულთა რაოდენობა მინიმუმამდე დავიყვანოთ.

— **ცნობილია, რომ პოლიციელებიც არ მოდიან დიდი ენთუზიაზმით მეტროში სამუშაოდ.**

— იმიტომ, რომ პოლიციელის ხელფასი სულ 70 ლარია. ჩვენს სამსახურში 98% რაიონიდანაა ჩამოსული. ცვლების მიხედვით, სამ დღეში ერთხელ მუშაობენ. თავისუფალ დროს ან ვაჭრობენ, ან სხვა ხელობას მისდევენ. ხარაგაულიდან რომ დილის ხუთ საათზე გამოვა კაცი და მეტროში მორიგეობას შეუდგება, მუშაობის ეფექტი, რა თქმა უნდა, ნაკლები იქნება. ამიტომ თუკი ფინანსური დაინტერესება იქნება, პოლიციის შემადგენლობა პროფესიონალი და კეთილსინდისიერი კადრებით დაკომპლექტდება. პოლიციელის მთავარი საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უნდა იყოს და იმაზე არ უნდა ფიქრობდეს, მეორე დღეს ბაზარში რა გაყიდოს.

— **დღეს მთელ მსოფლიოში გაჩნდა ტერორიზმის საფრთხე. რამდენად არის დაცული ჩვენი მეტროპოლიტენი დივერსიული აქტებისგან?**

— ყველა სადგურზე პოლიციელთა ორ-ორი პოსტია. ერთი პოლიციელი ქვედა ვესტიბიულს აკონტროლებს, მეორე — ზედას. მათი მოვალეობაა გულდასმით გადაჩხრიკონ ყველა კუთხე-კუნჭული და საეჭვო ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, განგაში ატეხონ. გარდა ამისა, მეტროს დაკეტვის შემდეგ, მთელი ღამის განმავლობაში მეტროში დაახლოებით ათას ხუთასი სხვადასხვა პროფესიის ადამიანი მუშაობს. მოწმდება ყველაფერი. მერწმუნეთ, ძალ-ღონეს არ ვიშურებთ მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად...

P.S. როგორც მეტროპოლიტენის პოლიციის სამმართველოს უფროსი შატო იოსელიანი აცხადებს, მეტროს პოლიციელთა შემადგენლობა მალე გადახალისდება და რაოდენობაც გაიზრდება. იმედია, მეტროპოლიტენი აღარ იქნება ყაჩაღთა სათარეშო ადგილი და მგზავრებს ჯიბგირებისა და ყაჩაღების შიში აღარ ექნებათ.

***დავით დევიძე***

# სიმღერამ ხომ არ უშველა?

ზახარას ყველა იცნობდა. ვერაზე ფეხსაცმლის სახელოსნო ჰქონდა და მადლიერი კლიენტები არასოდეს შემოჰკლებია.

— ყველაფერი ფული ხომ არ არის, — ამბობდა ზახარა და ხშირად უფასოდაც აკეთებდა ფეხსაცმელს. მთავარია, ფეხსაცმლის პატრონი ყოფილიყო კარგი და უბოროტო კაცი.

თითქოს გუშინ იყო, მიტო აგლაძე რომ გამოუვლიდა და თავის ბიძებთან, ვლადიმერთან და ნიკოსთან წაიყვანდა, ქვის მხატვრულად დამუშავებას ასწავლიდა.

ისინი ცნობილი აგლაძეები იყვნენ, რომლებიც ქაშუეთის ტაძრის, თბილისის საადგილმამულო, სათავადაზნაურო ბანკის მხატვრულ გაფორმებაში მონაწილეობდნენ. მათვე შეაკეთეს სვეტიცხოვლის ქვის სახურავიც.

თავდაუზოგავად შრომობდა ზახარაც, ქვაზე ჩუქურთმები ამოჰყავდა... მერე ცხოვრება აერია, მამა ავად გაუხდა და მანაც სასწრაფოდ, უფრო იოლი, მაგრამ ძალიან საჭირო ხელობა — მეწაღეობა შეისწავლა.

— მენატრება ჩემი ძველი თბილისი, ბიჭები რომ ჩამოივლიდნენ ვერაზე, სიარულიც კი სხვანაირი ჰქონდათ, წელში გამართულები და ხალისიანები იყვნენ. ერთხელ მიამბო ერთმა: მეგობარი გაგვიხდა ავად, ექიმებმა გვითხრეს, ძალიან მძიმედ არის, დღეები აქვს დათვლილიო. ბევრი ვიფიქრეთ ბიჭებმა, რა გაგვეკეთებინა, რითი გაგვეხარებინა ავადმყოფი. ბოლოს მოვიფიქრეთ, ყოველ საღამოს შევიკრიბებოდით, ავიდოდით და ხალხურ სიმღერებს ვუმღეროდით. ბედნიერების ცრემლი უბრწყინავდა თვალშიო. გავიდა ერთი კვირა, ორი, სამი... ბოლოს ერთი თვეც, უკეთ და უკეთ გახდა კაცი. ექიმმა გვითხრა: ასეთი რამ იშვიათად ხდებაო. მაშინ ერთმა ბიჭმა კითხვა შეაგება: სიმღერამ ხომ არ უშველა, ექიმოო? გაეღიმა თეთრხალათიანს: ეტყობა, არც სადღეგრძელოებს აკლებდი, ამანაც ადღეგრძელაო... ბოლომდე სჯეროდათ იმ ბიჭებს, რომ მეგობარი გადაარჩინეს.

— **მეგობრები ხშირად გაკითხავენ?**

— ბევრი ცოცხალი აღარ არის, ბევრიც აქეთ-იქით წავიდა... მეც ხომ აღარა ვარ ვერაზე, იქ ყველაფერი გავყიდეთ, მერე გაჭირვებით ეს ჯიხური შევიძინე, მოვიტანე და ქავთარაძის ქუჩაზე ჩავდგი. ახლა ამ ჯიხურში განა მარტო ვმუშაობ, მე და ჩემი მეუღლეც აქა ვცხოვრობთ, ისევ ვშრომობ, ალალი ლუკმა ხომ უნდა ვჭამო... ერთის კი მეშინია, რომ ამბობენ, ჯიხურები უნდა ავილოთო, რა მეშველება? ღია ცის ქვეშ დავრჩებით.

— **ყველაზე მეტად რაზე დარდობთ?**

— ღმერთის იმედითა ვარ... წავალ და თან წავიღებ ჩემს გაწვალებულ ცხოვრებას. ზოგჯერ ვიფიქრებ, ასე რომ არ წასულიყო ჩემი ცხოვრება და მეც ქვის ოსტატი დავმდგარიყავი, ხომ კარგი იქნებოდა? ნეტავი მას, ვისი ხელით ქმნილი ჩუქურთმაც ქაშვეთს დაამშვენებს!

***ლელა ჯიყაშვილი***

# დაპირებული ფერადი ტელევიზორი გათამაშდა!

18 აპრილს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. I-X ადგილები ასე გადანაწილდა:

**1. ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები 66.24 %**
**2. ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიცია მრეწველები-ახლები“ 7.56 %**
**3. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია 6.01 %**
**4. პოლიტიკური მოძრაობა თავისუფლება — კონსტანტინე ზ. გამსახურდია 4.39 %**
**5. დემოკრატიული აღორძინების კავშირი 3.86 %**
**6. ბლოკი ედპ-ტრადიციონალისტები 2.55 %**
**7. ბლოკი ჯუმბერ პატიაშვილი — პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“ 2.47 %**
**8. სოციალისტური პარტია 0.48 %**
**9. ნაციონალისტები 0.27 %**
**10. ნოდარ ნათაძე — სახალხო ფრონტი 0.15 %**

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა განისაზღვრა 2.343.087 კაცით, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა კი 1.498.012-ით, ანუ **არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 64 %-მა.**

*მონაცემები ამოღებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდიდან.*



ჩვენს გათამაშებას 1229 მკითხველი გამოეხმაურა. შეგახსენებთ, რომ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მკითხველებს უნდა გაეკეთებინათ საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგების პროგნოზი. კითხვა ასეთი იყო: „რომელი პოლიტიკური პარტია/ბლოკი დაიკავებს I-X ადგილებს საპარლამენტო არჩევნებში?“

საგულისხმოა, რომ ზუსტი პროგნოზი ვერავინ გააკეთა. არჩევნების ოფიციალურ შედეგებთან ყველაზე მიახლოებული 5 ბარათი დაფიქსირდა. ხუთივე მონაწილემ ზუსტად ამოიცნო პირველ რვა ადგილზე გასულ პარტიათა თანმიმდევრობა. გათამაშების წესების მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, ტელევიზორს იგებს ის რესპონდენტი, რომელიც უფრო ზუსტად იწინასწარმეტყველებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა პროცენტს.

ყველაზე ზუსტი პროგნოზი გააკეთა 52 წლის ქუთაისელმა **გურამ ბენდელიანმა**. მისი აზრით, 28 მარტის არჩევნებში ამომრჩეველთა 66% მიიღებდა მონაწილეობას, რაც ყველაზე მიახლოებულია რეალურთან.

ვულოცავთ ბატონ გურამს და პრიზის — ფერადი ტელევიზორის მისაღებად ველით რედაქციაში **ხუთშაბათს, 6 მაისს, 17 საათზე.**

# „ყველა აფხაზური ტურისტული სააგენტოს უკან კრიმინალები დგანან“

## „ნორდოსტის“ ტერორისტს ჯიბეში სოხუმში გაცემული რუსული პასპორტი ედო



ახლახან თბილისში სტუმრად მყოფმა ქართველმა ქალბატონმა, რუსეთის მოქალაქე თამარ კ-მ აფხაზეთში თავს გადახდენილი საშინელი ამბავი მიამბო. მას მეუღლესთან და რუსი ეროვნების მეზობელ ქალბატონთან ერთად გაგრაში დასვენება გადაუწყვეტია. „აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველები ბევრს გვიშლიდნენ ამ ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ მაინც დავუკავშირდით ერთ-ერთ აფხაზურ ტურისტულ სააგენტო „რუსალტურს“. ვიცოდით, რომ ამ ფირმის ხელმძღვანელი ვლადისლავ არძინბას ქალიშვილი, მადინა იყო, რაც უსაფრთხოების გარანტიად მივიჩნიეთ. 2003 წლის აგვისტოს დასაწყისში ავიღეთ ერთკვირიანი საგზურები (დღე-ღამის გადასახადი $39) და აფხაზეთის სანაპიროს ვესტუმრეთ. უსიამოვნებები პირველივე დღიდან დაიწყო. ზღვაზე გასეირნების შემდეგ, საღამოს ნომრებში ასულებს ყველაფერი თავდაყირა დაგვხვდა. უცნობი ჩვენს ნომერში აშკარად ფულს ეძებდა, საბედნიეროდ, ვერ მიეგნო. მეორე დღემ უსაფრთხოდ ჩაიარა, მესამე დღეს კი ჩვენს თანმხლებ ანას პლაჟზე სიმპათიური გარეგნობის ახალგაზრდა აფხაზი მამაკაცი გამოელაპარაკა. ანამაც საუბარი გაუბა. მე და ჩემმა მეუღლემ სასტუმროში ასვლა დავაპირეთ, ანამ — წადით, მეც მალე ამოვალო. ამის შემდეგ ქალი თვალით აღარ გვინახავს, მოგვიანებით, ძებნისას, პლაჟზე მის პირსახოცს წავაწყდით. იმ საშინელი დღეების გახსენებაც კი აღარ მინდა. აუტანელი და შემზარავი იყო აფხაზურ მილიციასთან და სხვა ძალოვანებთან ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მოქალაქეები ვიყავით, მე და ჩემს მეუღლეს ქართული წარმოშობის გამო ჯაშუშურ საქმიანობასა და რუსი ქალბატონის მიზანმიმართულ მკვლელობაში დაგვდეს ბრალი. თურმე ამით აფხაზებისთვის პროვოკაციის მოწყობა გვინდოდა. სერიოზული ფულადი „გადასახადებისა“ და ცნობილი რუსი კრიმინალური ავტორიტეტების დახმარებით აფხაზურ სატანჯველს თავი დავაღწიეთ, მაგრამ გაგრაში ჩვენთან ერთად ჩასული ანა პოგორელოვას ამბავი დღემდე იდუმალებით მოცული რჩება.“ ამ საშინელი კრიმინალის მოსმენის შემდეგ აფხაზეთის ლეგიტიმურ უშიშროების სამინისტროს მივმართე. მაინტერესებდა, თუ ფლობდნენ ინფორმაციას აფხაზეთში სტუმრად ჩასულ პირთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ. როგორც გაირკვა, რეგიონში ამგვარი ფაქტები ყოველთვიურად რეკორდულად იზრდება. დაზარალებულთა, დაყაჩაღებულთა, გაუპატიურებულთა, გაძარცულთა და მოკლულთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეები არიან. როგორც ქართველმა ძალოვანებმა გვითხრეს, რუსული მხარე სერიოზულადაა შეშფოთებული აფხაზეთში შექმნილი სიტუაციით, თუმცა, ცდილობენ, რაც შეიძლება კარგად მიიჩქმალოს რეალობა და მიმდინარე პროცესების შესახებ ქართულმა მხარემ ნაკლებად იცოდეს რამე. თუ რატომ, ამის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ. მანამდე კი ერთ შემთხვევას გიამბობთ, რომელიც „ნოვაია გაზეტაში“ დაიბეჭდა. ავტორი სამხედრო მიმომხილველი ვიაჩესლავ იზმაილოვია. სტატიაში მოთხრობილია, თუ როგორ ჩავიდნენ მოსკოველი დედა-შვილი ელენე და ალექსი კოსოროგოვები გაგრაში დასასვენებლად. დაბინავდნენ სასტუმრო „ნარტში“. სულ მალე 18 წლის ალიოშა გაიტაცეს ადგილობრივმა კრიმინალებმა, რომელთაც თურმე არც მეტი, არც ნაკლები, რუსული სამშვიდობო ძალების ოფიცერი ალექსეი პავლოვიც ეხმარებოდათ. ტყვეობაში მყოფი ვაჟის დახსნა ელენე კოსოროგოვას 150 ათასი დოლარი დაუჯდა. ნაწამები შვილის დაბრუნებაში დედას აფხაზეთის არც ერთი თვითმარქვია ძალოვანი არ დახმარებია. ქართველ ძალოვანებს აფხაზეთში ჩადენილი ძალადობის შესახებ სხვა ინფორმაციებიც გააჩნიათ. 2002 წლის 6 ივნისს მოსკოველი ვიქტორ გალიანსკი სოხუმში მოკლეს და ზღვაში გადააგდეს. ისიც დასასვენებლად იყო ჩასული აფხაზეთში. მოგვიანებით იგი ზღვამ გამორიყა. სხეულზე ეტყობოდა წამების კვალი. მოსკოვში მოღვაწე ბერძენი ბიზნესმენი სტავრო სტილიდა შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე სეირნობისას მანქანის საბარგულში ჩატენეს და გაიტაცეს. ხანგრძლივი წამების შემდეგ მხოლოდ 240 ათასი დოლარის საფასურად გაათავისუფლეს. ბიჭვინთის სანატორიუმ „სამშიტოვაია როშჩაში“ გატარებული დღეები კოშმარივით გაახსენდება ასევე რუსეთის მოქალაქე დედა-შვილს, რომლებიც ჯერ დააყაჩაღეს, მერე გააუპატიურეს და მანამ სცემეს, სანამ სიკვდილის პირას არ მიიყვანეს. თუმცა ქალები გადარჩნენ. გუდაუთელმა ვინმე ჩალმაზმა ამაზრზენი ძალადობა იხმარა 16 წლის დამსვენებლის ანა დრუჟინინას მიმართ. ჩალმაზი აფხაზმა სამართალდამცველებმა დააპატიმრეს, თუმცა გაგრის პროკურორმა მისი ნათესავებისგან ქრთამად 300.000 რუსული რუბლი აიღო და აფხაზ სადისტს თავისუფლება უბოძა. ამგვარი ფაქტები უხვადაა აფხაზეთის უშიშროების სამინისტროში. არსებულ სიტუაციაზე საუბარი ვთხოვეთ აფხაზეთის უშიშროების მინისტრს **ლევან კიკნაძეს.**

— **ბატონო ლევან, გაგრაში, სასტუმრო „ნარტში“ კოსოროგოვებზე განხორციელებული ძალადობა თქვენთვის ცნობილია. რა ინფორმაცია გაგაჩნიათ ალექსი კოსოროგოვის გატაცებაში მხილებული ასია ხარაზიას, თემურ ლოგუას, ალხაზ ლაგვილავას და ვლადისლავ არშბას შესახებ? ეს უკანასკნელი თურმე აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრეზიდენტის ვაჟი ყოფილა.**

— ასია 17-18 წლის გოგონაა. კრიმინალურ სამყაროში ის ცნობილი არ არის, „დამხმარის“ როლს ასრულებს, შესაბამისად, მასზე ინფორმაციაც ნაკლებადაა. რაც შეეხება დანარჩენებს, ყველა მათგანი აფხაზია, ოღონდ რუსეთის მოქალაქე. თითოეულს რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები ეძებენ. თუმცა, გაუგებარია ერთი რამ, ვლადისლავ არშბა მოსკოვში ცხოვრობს და უცნაურია, რატომ არ დააკავეს რუსებმა ამდენ ხანს.

— **რუსი ოფიცრის, პავლოვის შესახებ რა იცით, რუსულ სამშვიდობო ძალებში სცადეთ რამეს გარკვევა?**

— ვცადეთ გვენახა ეს პიროვნება, მაგრამ შინ გაგზავნილი დაგვხვდა. თანაც თურმე არავის უფიქრია პავლოვის დასჯა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მოქალაქის გატაცებაში იყო გარეული. როცა სხვა სამხედრო პირებისგან ვცადეთ რაიმეს დადგენა, — ისე შემოგვხედეს და გაიკვირვეს, აშკარა იყო, არაფრის გახსენება არ სურდათ. მერე ქალბატონ ელენე კოსოროგოვასთან დაკავშირება ვცადეთ მოსკოვში, იქაურ კოლეგებსაც ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ ამაოდ თურმე ვერც დედას მიაგნეს და ვერც შვილს, რომელიც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

— **„რუსალტურზე“ რას იტყვით?**

— მადინა არძინბას საკუთრებაა. ამგვარი სააგენტოების სჯერათ რუსებს და ჩვენი გაფრთხილებისა — არა. მუდმივად ვაფრთხილებთ ოფიციალურად რუსეთის ხელისუფლებას, თავი შეიკავონ აფხაზეთში დასვენებისგან, მაგრამ არ ესმით ჩვენი და რა ვქნათ? თვითონ იჭრიან ყელს. ყველა აფხაზური ტურისტული სააგენტოს უკან კრიმინალები დგანან. იქ რომ მიხვალ, სანამ საგზურს აიღებ, უკვე იციან შენ შესახებ ყველაფერი — რა ქონება გაბადია, სად მუშაობ და ა.შ. იქ მძევლად იშვიათად აჰყავთ ვინმე. „სუფთა“ საქმეზე მუშაობენ, დაგიჭერენ, წაგართმევენ, გცემენ, თუ შეეწინააღმდეგები, მოგკლავენ.

როცა რუსეთი აკეთებდა და აკეთებს განცხადებებს, საქართველოს ტერიტორიაზე კრიმინალები და ტერორისტები დათარეშობენო, არ აფიქსირებს ტერიტორიულ ადგილმდებარეობას, მაგრამ აფხაზეთს გულისხმობს. რუსებმა მშვენივრად იციან, რუსეთის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულების გამო მათი სამართალდამცავების მიერ ძებნილი უამრავი დამნაშავე რომ აფარებს თავს აფხაზეთს. ეს დღეს რუსებისთვის უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე საქართველოსთვის. რუსებმა თვითონ გაუყარეს ყულფში თავი, როცა აფხაზეთში მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭეს და გამარტივებული საპასპორტო რეჟიმი შემოიღეს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*



# რატომ არ სთხოვს გენერალური პროკურატურა სათბობენერგეტიკის ყოფილ მინისტრს ზარალის ანაზღაურებას?!



## „საჯარიმო სანქციები მერე შემოიღეს, რათა მეტი ფული მიეთვისებინათ“

ოთხ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო ქონებისა და გადასახადების დამალვაში ეჭვმიტანილი ჩინოვნიკებისა თუ ბიზნესმენების ორთაჭალის ერთ პირქუშ დაწესებულებაში გამწესება დაიწყო. დაპატიმრებული ჩინოვნიკების უმრავლესობა დათანხმდა ხელისუფლების წინადადებას და მიტაცებულ-მოპარული თანხები დაუბრუნა სახელმწიფოს, ოღონდ მხოლოდ ის თანხა, რომლის მითვისება დამნაშავეებს გამომძიებლებმა „დაუდგინეს“. კორუმპირებულთა დაპატიმრებები კვლავაც გრძელდება და მეხუთე იზოლატორის „კომფორტით დამტკბარი“ და უკვე „ზალოგით“ გათავისუფლებული ჩინოვნიკები მუხლების კანკალით ელოდებიან, როდის წავა ოქრუაშვილი მეორე „კრუგზე“. ყოველივე ამან ნოდარ დუმბაძის რომანის, „თეთრი ბაირაღების“ ერთ-ერთი გმირის, შოშიას მონოლოგი გამახსენა: „...გამომძიებელმა ის თანხა მითხრა, რაც მოვიპარე, მილიონ ჩემტაო. კიდევ კარგი, ის ჩემტო არ იცოდა, ცხრაასი ათასი რომ იყო... მთელი შენი საგვარეულო და ჯილაგი რომ დაჯდეს, ათ წელიწადს ვერ დაითვლის მილიონ დევიატსოტ ტისიაჩს! ეს, რაზეც დამიჭირეს! რაზეც ვერ დამიჭირეს, კიდევ ათი წელი უნდა...“

პირველი, ვინც „რეპრესიების“ მსხვერპლი შეიქნა, საქართველოს სათბობენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა გახლდათ. 16 იანვარს, როდესაც საქართველოს გენერალურ პროკურატურაში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილემ გენადი ქაჩიბაიამ მირცხულავას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილება წაუკითხა, ყოფილ მინისტრს ინფარქტი მოუვიდა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ინფარქტს ინსულტიც დაერთო, მაგრამ ექიმების ძალისხმევით დავით მირცხულავა ორ-სამ კვირაში ისე გამოკეთდა, რომ მისი დაკითხვა შეიძლებოდა, მაგრამ გამოძიება რატომღაც არ ჩქარობდა. მხოლოდ ერთხელ „შეაწუხეს“ გამომძიებლებმა მირცხულავა. ამასთან, პროკურატურას მირცხულავასთვის სხვების მსგავსად არც ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების წინადადებით მიუმართავს! ამასობაში კი წინასწარი პატიმრობის ვადა — სამი თვეც ამოიწურა.

წინასწარი პატიმრობის ვადის გასრულებამდე ორი დღით ადრე, პროკურატურამ სასამართლოს სთხოვა, ყოფილი მინისტრისთვის სამი თვით კიდევ გაეგრძელებინა პატიმრობა. სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამასობაში კი (ვფიქრობ, სავსებით სამართლიანად) საზოგადოების ერთ ნაწილს ასეთი კითხვები გაუჩნდა — რა რაოდენობის ზარალი მიაყენა ბიუჯეტს დავით მირცხულავამ და თუ მიაყენა, რატომ არ მოსთხოვა პროკურატურამ მას ზარალის ანაზღაურება? ბუნებრივია, იგივე კითხვები ჩვენც დაგვებადა, ამიტომ შევეცდებით მათზე პასუხი გავცეთ.

გთავაზობთ საქართველოს სათბობენერგეტიკის ყოფილი მინისტრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებას მცირეოდენი შემოკლებით (სტილი დაცულია): — „საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 14 ნოემბრის №1213 განკარგულებით მას, როგორც სათბობენერგეტიკის მინისტრს, დაევალა სომხეთის ენერგოსისტემის წინაშე არსებული დავალიანების დაფარვის გრაფიკის შესრულებაზე სისტემატური კონტროლი. თავის მხრივ, აღნიშნული დავალიანება წარმოიშვა სომხეთიდან 1998-99 წლებში ელექტროენერგიის შესყიდვის გამო. კერძოდ: 1998 წლის 24 ივლისს და 11 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც სომხეთის მხარემ საქართველოს 1998 წლის აგვისტოდან იმავე წლის დეკემბრის ჩათვლით მიაწოდა ელექტროენერგია. არც ერთი აღნიშნული კონტრაქტი პროდუქციის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების დაკისრებას არ ითვალისწინებდა და ფაქტობრივად წარმოადგენდა უპროცენტო კრედიტს. 1999 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე საქართველოს ელექტროენერგია მიეწოდებოდა უკვე 1998 წლის 31 დეკემბერს და 1999 წლის 15 თებერვალს გაფორმებული მეორე ხელშეკრულების საფუძველზე (რომელშიც წინა ხელშეკრულებების პირობებისაგან განსხვავებით, დასახელებულ კონტრაქტში უკვე ჩაიდო საჯარიმო სანქციების გავრცელების პირობაც). სულ 1998 წლის აგვისტოდან 1999 წლის მარტამდე სომხეთის რესპუბლიკამ საქართველოს მოაწოდა 172,9 მლნ კვტ/სთ. 1999 წლის 3 სექტემბერს გაფორმდა შემაჯამებელი ურთიერთშემაჯერებელი აქტი, რომლითაც საქართველოს დავალიანება განისაზღვრა 4 მილიონ 394 ათასი დოლარით. დავალიანების განსაზღვრისას სრულად იქნა გათვალისწინებული 1999 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულებით რეგლამენტირებული საჯარიმო სანქციები. საქართველომ ვალის დაფარვა ვერ მოახერხა. ამიტომ 2001 წლის 19 იანვარს „არმენენერგომ“, სათანადო შეთანხმების საფუძველზე, საქართველოდან ვალის მოთხოვნის უფლება გადასცა რუსულ-სომხურ კომპანიას — „ენერგომანქკორპორაციას“. ამ შეთანხმებით განისაზღვრა და დაკომპლექტდა საქართველოს დავალიანების მოცულობა, რამაც ძირითად თანხასთან და საჯარიმო სანქციებთან ერთად შეადგინა 4,394 მილიონი დოლარი.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული შეთანხმება საკმაოდ ბუნდოვნად განსაზღვრავდა შუამავალი ორგანიზაციის — „ენერგომანქკორპორაციის“ როლს ვალის ამოღების ნაწილში და პრაქტიკულად ვერ ასაბუთებდა სომხურ-ქართულ ურთიერთობებში ასეთი სუბიექტის ჩართვის აუცილებლობას, დ. მირცხულავამ უკრიტიკოდ გაიზიარა შეთანხმების შინაარსი და იგი დაამტკიცა ხელმოწერით. მეტიც, მირცხულავამ, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, გამოავლინა არაკომპეტენტურობა და მითითებული შეთანხმების 6.3 და 6.4 პუნქტებში ჩადო საქართველოსთვის კაბალური აშკარად წამგებიანი პირობა, რომლის თანახმად, ქართული მხარე არ იხსნიდა სომხეთის რესპუბლიკის წინაშე პასუხისმგებლობას „ენერგომანქკორპორაციის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაშიც კი; ანუ თუ შუამავალი ორგანიზაცია ქართული მხარისაგან ვალის ამოღების შემდეგ, სომხეთის მხარეს, ანუ „არმენენერგოს“ არ აუნაზღაურებდა თანხებს, დავალიანების გადახდის ვალდებულება ისევ საქართველოს რჩებოდა. ათი დღის გასვლის შემდეგ საქართველოს მხარესა და „ენერგომანქკორპორაციას“ შორის შედგა შეთანხმების აქტი, რომლითაც სათბობენერგეტიკის მინისტრმა სახელმწიფოს სახელით ფაქტობრივად აღიარა არა 4 მილიონ 394 ათასი აშშ დოლარის, არამედ 6 მილიონ 737 ათასი აშშ დოლარის დავალიანება; ანუ მან საქართველოს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების იგნორირებით იკისრა 1998-99 წლებში სომხეთიდან მიღებული ელექტროენერგიის არა მარტო დავალიანების, არამედ ხელოვნურად „ენერგომანქკორპორაციისათვის“ გამორჩენის მისაღებად შექმნილი საჯარიმო სანქციების 2 მილიონ 343 ათასი აშშ დოლარის გადახდის ვალდებულებაც, მაშინ, როცა 2001 წლის 19 იანვარს გაფორმებული შეთანხმება არავითარ დამატებით საჯარიმო სანქციას არ ითვალისწინებდა და ეხებოდა მხოლოდ 4 მილიონ 394 ათასი დოლარის გადახდას. საქართველომ სრულად გადაიხადა 2001 წლის 23 თებერვლიდან 2002 წლის 13 დეკემბრამდე, როგორც ვალის ძირითადი თანხა, ასევე ხელოვნურად შექმნილი საჯარიმო სანქციები. თავის მხრივ, შუამავალი ორგანიზაციის „ენერგომანქკორპორაციის“ ხელმძღვანელებმა ისარგებლეს რა ერთი მხრივ მირცხულავას დანაშაულებრივი უმოქმედობით, ხოლო მეორე მხრივ, ამ უკანასკნელის მიერ 2001 წლის 19 იანვრის შეთანხმებაში ჩადებული კაბალური პირობით, რომლის თანახმად „ენერგომანქკორპორაციის“ მიერ სომხეთის მხარისათვის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში სომხეთის რესპუბლიკის წინაშე ვალი მაინც საქართველოს რჩებოდა, „არმენენერგოს“ აუნაზღაურეს მხოლოდ 439 ათასი დოლარი. დარჩენილი თანხა ექვს მილიონზე მეტი აშშ დოლარი მიითვისეს... არადა მირცხულავას პრეზიდენტის განკარგულებით უნდა გაეკონტროლებინა დავალიანების დაფარვის შესრულება. მან ასევე რეაგირების გარეშე დატოვა სომხეთის რესპუბლიკის სათანადო სამსახურებიდან 2002-2003 წლებში მიღებული არაერთი წერილობით შეტყობინება იმის თაობაზე, რომ „ენერგომანქკორპორაცია“ არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და არ იხდიდა თანხებს. მეტიც, მირცხულავა... მინისტრის პრივილეგირებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად, კარიერისტული ქვენაგრძნობით, შეგნებულად უშვებდა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას; ანუ „ენერგომანქკორპორაციის“ ხელმძღვანელების მიერ დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლებას“. ამ დადგენილებას ხელს აწერს გენადი ქაჩიბაია.

დადგენილების წაკითხვის შემდეგ მკითხველს ეჭვი არ შეეპარება იმაში, რომ ყოფილმა მინისტრმა სახელმწიფოს ექვს მილიონ დოლარზე მეტი აზარალა. რატომ არ მოსთხოვა ამ თანხის დაბრუნება პროკურატურამ მირცხულავას?

ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ის დოკუმენტები, ასევე სხვებიც, რომლებიც ნახსენებია ბრალდების დადგენილებაში. ვესაუბრეთ ექსპერტებს, სამართალდამცველებს, ენერგეტიკოსებს და აღმოჩნდა, რომ... თუმცა სჯობს ყველაფერს თავიდან მივყვეთ.

აუდიტური და საკონსულტაციო კომპანიის „თბილისის მენეჯერებისა და კონსულტანტების“ პარტნიორმა **ზურაბ ლალაზიშვილმა** დავით მირცხულავას ადვოკატების თხოვნით შეისწავლა ზემოხსენებული დადგენილება და ყველა ის დოკუმენტი, რომლებითაც იხელმძღვანელა გენადი ქაჩიბაიამ და განაცხადა: — დადგენილების მიხედვით გამოძიება ბრალს დებს დავით მირცხულავას „ენერგომანქკორპორაციის“ სასარგებლოდ ხელოვნურად შექმნილი საჯარიმო სანქციის, 2 მილიონ 343 ათასი აშშ დოლარის დავალიანებისა და „ენერგომანქკორპორაციის“ მიერ 6 მილიონ 338 ათასი აშშ დოლარის მითვისების ხელშეწყობაში. მაგრამ თუ დოკუმენტებს გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ პროკურატურის გამომძიებელს სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნდა, ან უარესი — მან ბრალდება შეთითხნა და ყველაფერი ისე წარმოადგინა, თითქოს მირცხულავა იყოს დამნაშავე. მან ალბათ შეგნებულად გამოტოვა ან არც წაუკითხავს რუსულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება. გამომძიებელი დადგენილებაში ამტკიცებს, რომ 1999 წლის 3 სექტემბერს გაფორმებულ ურთიერთშედარების აქტში მოყვანილი თანხა, 4 მილიონ 394 ათასი აშშ დოლარი მოიცავს, როგორც ძირითად, ასევე საჯარიმო სანქციებსაც. სინამდვილეში, აქტში ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები იმის შესახებ, რომ თანხა მოიცავს საჯარიმო სანქციებსაც. საინტერესოა, საიდან მოიტანა ბრალდებაში მან ეს მტკიცებულება? გამომძიებელს დადგენილებაში აღნიშნული აქვს, რომ „არმენენერგომ“ „საქენერგოს“ მიაწოდა 172,9 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ელექტროენერგიის ტარიფად ხელშეკრულებებით განსაზღვრული იყო 0,0254 აშშ დოლარი 1 კვტ/სთ-ზე და მიწოდებული ელექტროენერგიის საერთო რაოდენობას გავამრავლებთ ტარიფზე, მივიღებთ 4 მილიონ 394 ათას აშშ დოლარს, რაც წარმოადგენს მხოლოდ მოწოდებული ელექტროენერგიის ღირებულებას ყოველგვარი საჯარიმო სანქციის გარეშე. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ დავალიანება 4 მლნ 394 ათასი აშშ დოლარი მოიცავდა საჯარიმო სანქციებსაც.

**— გამოძიება ამტკიცებს, რომ საჯარიმო სანქციები, რომელიც დაერიცხა ძირითად თანხას, ხელოვნურად იყო შექმნილი, მაგალითად 1998 წლის ხელშეკრულება ელექტროენერგიის ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების დაწესებას არ ითვალისწინებდა და იგი უბრალოდ უპროცენტო კრედიტს წარმოადგენდა.**

— ხელშეკრულების მეოთხე თავის მეორე პუნქტში მითითებულია, რომ მისაწოდებელი ელექტროენერგიის ღირებულების გადახდას „საქენერგო“ დაიწყებს ელექტროენერგიის მიწოდებამდე ხუთი დღით ადრე; ანუ წინასწარი გადახდა თავისთავად არ ითვალისწინებდა საჯარიმო სანქციებს და ის არც არის და არც უნდა იყოს მითითებული ხელშეკრულებაში. რაც შეეხება შემდგომ ხელშეკრულებას, იგი ხელშეკრულება კი არა, შეთანხმებაა და ნაწილობრივ წინა ხელშეკრულების გაგრძელებას წარმოადგენს. შეთანხმებაში ვკითხულობთ — „ვალი დაფარული იქნება „საქენერგოს“ მიერ უპროცენტოდ, თუ „საქენერგო“ დაუბრუნებს იმავე მოცულობის ელექტროენერგიას სომხეთის მხარის მიერ მითითებულ მესამე პირს.“ ანუ აქ თანხაზე ლაპარაკი არ არის და ვალის დაბრუნება ნატურით უნდა მომხდარიყო. ამ შეთანხმებაშიც არ ჩაიწერებოდა საჯარიმო სანქცია. საქართველომ ხელშეკრულებით მიიღო ელექტროენერგია, მაგრამ მას მისი საფასური არც წინასწარ გადაუხდია და არც შემდგომ და ვერც მესამე პირისთვის შეძლო იმავე რაოდენობის ელექტროენერგიის დაბრუნება. სომხეთის მხარე იძულებული გახდა უკვე შემდგომი ხელშეკრულებით მოეთხოვა 1998 წელს მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა და საქართველოც დაეთანხმა. ამ ხელშეკრულებაში ძველი ვალის გადახდის გრაფიკიც არის მითითებული და იქვე აღნიშნულია, რომ თუ ვალი გრაფიკის მიხედვით არ დაიფარება, „საქენერგო“ ვალდებულია „არმენენერგოს“ გადაუხადოს 0,1 პროცენტი ვალის საერთო თანხისა ყოველ გადაცილებულ დღეზე. იგივე საჯარიმო სანქციაა გათვალისწინებული მიმდინარე წელს მისაწოდებელი ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ხოლო 1999 წლის 15 თებერვალს დადებული ხელშეკრულება ყოველ გადაცილებულ კვარტალზე საჯარიმო სანქციის ოდენობას 10 პროცენტით განსაზღვრავს. აქ გამომძიებელი ყურადღებას ამახვილებს ახალი ხელშეკრულების იმ ნაწილზე, სადაც მისაწოდებელი ელექტროენერგიის საჯარიმო სანქციებზეა ლაპარაკი და არაფერს ამბობს იმაზე, რომ ხელშეკრულება ძველი, ანუ წინა წლის ვალის რეგულირებასაც ითვალისწინებს. მასში ხაზგასმით მითითებულია, რომ თუ „საქენერგომ“ გრაფიკის მიხედვით არ გადაიხადა ძველი ვალი, მას საჯარიმო სანქცია დაეკისრება. ნიშანდობლივია ერთი ფაქტიც: როდესაც პირველი ხელშეკრულებები იდებოდა სომხეთის მხარესთან, საქართველოს სათბობენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა არ ყოფილა და რამდენად მომგებიანი თუ წამგებიანი იყო ისინი, პასუხს იგი არ აგებს. როდესაც მირცხულავა მინისტრად დაინიშნა, ზემოხსენებული ვალები საჯარიმო სანქციებთან ერთად უკვე ძალაში იყო.

ჩვენ დავუკავშირდით „პი-ეი გოვერმენთ სერვისის“ მისიის ხელმძღვანელს, ბატონ დინ უაითს, საქართველოს მთავრობის კონსულტანტს ენერგეტიკის საკითხებში და მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ. ბატონმა **დინ უაითმა** კითხვებს წერილობით უპასუხა.

**— „არმენენერგომ“ თავისი სურვილით დაუთმო „ენერგომანქკორპორაციას“ საქართველოში სომხეთიდან 1998-1999 წლებში მოწოდებული ელექტროენერგიის ვალის ამოღების უფლება. საქართველომ „ენერგომანქკორპორაციას“ გადაუხადა ვალი, მაგრამ თავის მხრივ მან „არმენენერგოს“ არ გაუსწორა ანგარიში. შეიძლება თუ არა სომხეთის მხარეს საქართველოს მიმართ ჰქონდეს რაიმე პრეტენზია ვალის ხელახალი გადახდის მოთხოვნით?**

— ვალის დათმობა საერთაშორისო პრაქტიკაში ნიშნავს, რომ დამთმობს, ანუ ამ შემთხვევაში „არმენენერგოს“, ვალის მოთხოვნის უფლება აღარ აქვს.

სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ განაცხადა: „ჩვენ ინსტიტუტის წამყვან სპეციალისტებთან ერთად შევისწავლეთ სომხეთიდან საქართველოში მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვის შესახებ არსებული მასალები. უნდა მოგახსენოთ, რომ სომხურ მხარეს უფლება არ აქვს რაიმე პრეტენზია წაუყენოს ქართულ მხარეს. „არმენენერგომ“ ვალის გადახდა უნდა მოსთხოვოს არა ქართულ მხარეს, არამედ საკუთარ კრედიტორად აღიარებულ „ენერგომანქკორპორაციას“. ამასთან, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სათბობენერგეტიკის სამინისტროს არ ეკისრება ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციების განხორციელება. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ აუდიტური ფირმებისა და თბილისის საარბიტრაჟო პალატის დასკვნას, სადაც კერძოდ მითითებულია: „საჯარიმო სანქციების დასადგენად რომ არ გამოყენებულიყო 1999 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულება, მაშინ აუცილებლად უნდა ემოქმედა 1998 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით „საქენერგო“ ვალდებული იყო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაეხდა საჯარიმო სანქცია დავალიანების 0,1 პროცენტი.

*(გაგრძელება იხ. გვ. 14)*

სააკაშვილის უმრავლესობით დაკომპლექტებულ პარლამენტში გლდანის მაჟორიტარმა ოპოზიციონერობით ლამის ოფიციალურ საპარლამენტო ოპოზიციასაც გადააჭარბა. კობა დავითაშვილისა და პრეზიდენტის შერიგების შემდეგ ზოგი ფიქრობდა, რომ მეამბოხე დეპუტატი გაცილებით ზომიერად მიუთითებდა ხელისუფლებას შეცდომებს, მაგრამ დავითაშვილი „ვერ დაჭკვიანდა“, მაინც იქნევს მათრახს და პრემიერის მთავრობის კრიტიკას საკუთარი კოლეგების კრიტიკასაც უმატებს... შედეგად, ფსიქოლოგიური კანონზომიერება ამოქმედდა — დავითაშვილს მომხრეები გამოუჩნდნენ. კულუარებში უკვე ლაპარაკობენ ახალი ოპოზიციური ძალის შექმნაზე. ეს იდეა ჩვენთან საუბარში **კობა დავითაშვილს** არ უარუყვია. რა იქნება ხვალ, სად და ვისთან ითანამშრომლებს გლდანის მაჟორიტარი, ამ და სხვა კითხვებზე პასუხს ინტერვიუდან გაიგებთ:

ვაკრიტიკებდი. ეს ოხრები წავიდნენ, მე უნდა მოვიდე მათ ადგილზე-მეთქი. ოპონირებას იმიტომ ვეწევი, რომ ხელისუფლებას სასიკეთო ქმედებებისკენ ვუბიძგო. ეს დადგენილება მთავრობამ უთუოდ უნდა გააუქმოს. თუ ამას იგი არ გააკეთებს, პრეზიდენტს აქვს მისი გაუქმების უფლება. სასწაულს ხომ არ ვითხოვ, — 3 ლარით გაიზარდოს პენსია და პარალელურად დაიწყოს ძველი დავალიანების გასტუმრება. ტყუილს და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას ვერ შევეგუები. როდესაც ხელისუფლება კრიტიკის საფუძველს მაძლევს, გავაკრიტიკებ, აბა, რას ვიზამ?! — როდესაც ვიღაც რამეს აშავებს და არ ხსნიან, პასუხი ყველამ უნდა აგოს.

— **ამბობენ, დავითაშვილის სახით ოპოზიცია მალე კარგ შევსებას მიიღებსო.**

— ვინ ვის რიგებს შეავსებს, საკითხავია...

— **თვითონ ხომ არ ეპატიჟებით ოპოზიციას?**

# „მოლაშვილის საკითხს პირად კონტროლზე ავიყვან“



## „აბა, მიკროფონთან მნახე, ვინა ვარ...“

— **ამ დღეებში არაერთხელ გაისმა „ექსნაციონალი კობა დავითაშვილიო“, ამგვარად მოხსენიება არ გეხამუშებათ?**

— რა ვქნა, ცრემლად დავიღვარო? სავსებით კორექტული ტერმინია, — როდესაც ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური მდივნის თანამდებობიდან გადავდექი, პარტიაც დავტოვე და სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ნაციონალური მოძრაობის წევრი აღარ ვარ.

— **ახალ პარლამენტში სად იქნება კობა დავითაშვილი?**

— მიკროფონებთან... მიკროფონთან დგომას რომელიმე ფრაქციაში ყოფნა არ სჭირდება და როდესაც ვინმეს დავჭირდები, სხდომათა დარბაზის მიკროფონთან მიპოვის... ზოგიერთის გასაგონად კი ვიტყოდი (იცინის) — აბა, მიკროფონთან მნახონ, ვინა ვარ... უფრო სერიოზულად კი გეტყვით — მე ხალხთან ვიქნები.

— **მაგრამ პენსიონერების გამო თქვენი შეშფოთება პრეზიდენტმა ამაო ვაებად მონათლა. ტყუილად თუ ფუჭად წუხან ზოგიერთები — პენსიონერთა ვალები ხელისუფლებამ აღიარა და გავისტუმრებთო.**

— მე დოკუმენტებით მიყვარს ლაპარაკი. ბატონი მიხეილი კი აცხადებს, პენსიები გაიზარდაო... მაგრამ 2004 წლის 10 აპრილის მთავრობის დადგენილებაში, რომელსაც ხელს ჟვანია აწერს, წერია, ეს 3 ლარი საპენსიო დავალიანებათა ეტაპობრივი დაფარვის მიზნით გაიცემაო; ანუ ხდება გამოქვითვა ძველი, გაყინული პენსიებიდან, რათა პენსიონერები ნელ-ნელა გაისტუმრონ. 2008 წლამდე პენსიონერების გასტუმრების გეგმა ჯერ კიდევ შევარდნაძეს ჰქონდა, რაც ჩვენთვის მიუღებელი იყო. შარშან, სექტემბერში, ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაატარა ყრილობა, რომელზეც პენსიონერებმა გადაჭრით უარყვეს შევარდნაძის გეგმა და ჩვენ გამოგვიცხადეს ნდობა. თუ ნაციონალური მოძრაობა აქამდე უჭერდა მხარს პენსიონერებს, ახლა რატომ აღარ უჭერს, რატომ იწონებს პრეზიდენტი სააკაშვილი საპენსიო დავალიანებების დაფარვის ნოღაიდელისა და ჟვანიას შევარდნაძისეულ გეგმას?

— **თქვენს კრიტიკას ნოღაიდელის ნაცვლად, მისი მოადგილე ხადური შეეწირა...**

— სულ ტყუილად — ხადური არ იყო დამნაშავე. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ უდანაშაულო კაცი გაწირეს. სასამართლოში სარჩელების შეტანა და გამოტანა ბატონი ხადურის გადასაწყვეტი არ იყო. თამაშის წესი ასეთია — როდესაც ნოღაიდელი რაღაცას აშავებს, ჟვანიამ უნდა მოხსნას. თუ ჟვანია ნოღაიდელს არ მოხსნის, ფინანსთა მინისტრის ქმედებაზე პასუხისმგებლობას ჟვანია და მთელი მთავრობა კისრულობს. ამიტომაც ვითხოვ მთელი მთავრობის გადაყენებას. კონსტიტუციის თანახმად, ასეთ ვითარებაში პარლამენტში მთავრობის ნდობის საკითხი უნდა დადგეს.

— **რატომ გგონიათ, რომ ეს პარლამენტი მთავრობას პირველივე სხდომებზე დაუპირისპირდება და ერთი მერცხლის ჭიკჭიკისა არ იყოს, თქვენი მოთხოვნებიც „გაზაფხულს“ მოიყვანს.**

— სულაც არ მინდა ხელისუფლებამ რაღაც ცუდად გააკეთოს, მერე მე გამოვიდე და ვიძახო — აი, რა მართალი ვიყავი, ამათ რომ

— რა თქმა უნდა, ოღონდ შერჩევის ძალზე მკაცრი კრიტერიუმი მექნება. თუ მსურველები საკმარისად იქნებიან, ვიმსჯელებთ და შესაძლოა ცალკე ოპოზიციური ფრაქციაც შევქმნათ. მაგრამ ახლანდელი ოპოზიციის მსგავსად კი არ მოვიქცევი — ოღონდ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა არ დამბრალდესო და არის თუ არა გასაკრიტიკებელი, ყველაფერში ეწინააღმდეგება ხელისუფლებას. პოლიტიკოსისთვის უმთავრესი საზოგადოების აზრი უნდა იყოს. თუ ხალხისთვის სასიკეთოს გააკეთებს მთავრობა, მხარს მასაც დავუჭერ, ამოჩემებული კი არ მყავს. პარლამენტში არ უნდა იყოს მკვეთრი დაყოფა ოპოზიციად და უმრავლესობად. გამოდის, რაკი უმრავლესობაში ხარ, მთავრობა რომ ხრამში ჩეხავდეს ქვეყანას, უნდა გადაჰყვე. თუკი ოპოზიციონერი ხარ, მთავრობამ რომც ააყვავოს ქვეყანა, მაინც უნდა გააკრიტიკო?

როდესაც პრეზიდენტმა გამაკრიტიკა, კმაყოფილი დავრჩი. ე. ი. ჩემი კრიტიკა გულზე მწარედ ხვდება და ამიტომ მპასუხობს. იმედი მაქვს, პრეზიდენტი დასჯერდება საპასუხო კრიტიკას და იმ საქმეებს გამოასწორებს, რაც ჯერჯერობით ისევ ცუდად მიდის.

არანაირი პრეტენზია არ მაქვს ჟვანიასთან, როგორც პიროვნებასთან. უბრალოდ, არც წარსულში მომწონდა მისი ქმედებები და არც ამჟამად მომწონს. მაგრამ თუ ის სწორ ნაბიჯებს გადადგამს, არ შემრცხვება იმის აღიარება — ეს კაცი ახლა სწორად იქცევა და მხარს ვუჭერ-მეთქი. მაგრამ როგორც ვაკვირდები, ქვეყნის ისტორიული განვითარების გადამწყვეტ მომენტებში მუდამ არასწორ გადაწყვეტილებებს იღებს და სხვებსაც უბიძგებს, დანაშაულში ითრევს. საპენსიო საკითხებთან დაკავშირებით ჟვანიას ჩანაფიქრის გამოცნობა ძნელი არ არის. ჟვანიას რეიტინგი ისედაც არ აქვს და ასეთი ნაბიჯები ვერ დააზარალებს, მაგრამ მექმნება შთაბეჭდილება, რომ თავისი ქმედებებით ის პრეზიდენტ სააკაშვილს „ურტყამს“, — ყველას თვალში პენსიონერების საკითხი ხომ ნაციონალურ მოძრაობასა და მიხეილ სააკაშვილთან არის ასოცირებული და არა ზურაბ ჟვანიასა და „დემოკრატებთან“. ყოველივე ამით მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი დაზარალდებიან.

— **როგორ ფიქრობთ, ასლან აბაშიძესა და პრეზიდენტს შორის გამწვავებული ურთიერთობის დარეგულირებისა და ვითარების განმუხტვისთვის რომელი გზაა მართებული?**

— სწორია პრეზიდენტი, მისი გამონათქვამებიც მომწონს, მაგრამ სააკაშვილის განცხადებები არ უნდა დაემსგავსოს ჩინეთის 1001-ე გაფრთხილებას (აშშ-ს აფრთხილებდა). აქტიურ მოქმედებებს ვითხოვ. ჯობს, ხელისუფლებამ ნაკლები ილაპარაკოს და მეტი აკეთოს. უცნაური და პარადოქსულია, რომ საქმეები ასლან აბაშიძის გარემოცვის წევრების წინააღმდეგ აღიძრა, აბაშიძეზე კი არა. ეს სამართლებრივად და ტაქტიკურადაც არასწორია. როდესაც აბაშიძეს დიქტატორად აცხადებენ და ამტკიცებენ, აჭარაში აბსოლუტურად ყველაფერს აკონტროლებსო, რატომღა ადანაშაულებენ მხოლოდ და მხოლოდ მის ხელქვეითებს? ისინი ხომ ასლან აბაშიძის გარეშე არ მოქმედებენ? ტაქტიკურად სწორი იქნებოდა, რომ პირიქით უსაფრთხოების გარანტია მისი ხელქვეითებისთვის მიეცათ და სისხლის სამართლის საქმე ასლან აბაშიძეზე აღეძრათ. ხელშეუხებლობის გარანტია უნდა მიეცეს იმ ხალხს, რომლებიც ასლან აბაშიძის ბანაკს დატოვებენ და მას დაუპირისპირდებიან. როდესაც ტერიტორიულ მთლიანობასა და სამშობლოს ღალატზეა ლაპარაკი, ქართველებს არც შეიძლება განსხვავებული აზრი გვქონდეს.

(გაგრძელება იხ. გვ. 33)

# „ზურგს უკან არავის ვუხლართავ ინტრიგებს“



## „კობასგან მეწყინა, თორემ სხვისგან...“

გასულ კვირას, როდესაც კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი დააპატიმრეს, კულუარებში უმალ გაჩნდა ეჭვი, რომ მისი დაპატიმრება უცნაურად დაემთხვა პარლამენტში იმუნიტეტის გაუქმებას. კონტროლის პალატის თავმჯდომარის დაკავების ფაქტზე გვინდოდა მისი წინამორბედის, რეზო შავიშვილის აზრი მოგვესმინა, მაგრამ ბატონმა რეზომ ამ საკითხზე „დუმილის უფლება“ არჩია და მხოლოდ ეს გაგვიმხილა — პოლიტიკაში საქმიანობა დავამთავრეო.

გასულ კვირას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — პარლამენტმა პირველი ვიცე-სპიკერი აირჩია. გავიცესპიკერებულ **მიხეილ მაჭავარიანს** მოლაშვილის ამბავიც ვკითხეთ და ისიც, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა მის დაწინაურებას მისი ყოფილი თანაგუნდელი კობა დავითაშვილი.

— **ბატონო მიხეილ, კმაყოფილი ხართ ახალი თანამდებობით?**

— ვერ ვიტყვი, კმაყოფილი ვარ-მეთქი (რადგან სიტყვა „კმაყოფილი“ არ მომწონს). ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მეგობრებმა ნდობა გამომიცხადეს და იმაზე მეტი საქმის გაკეთების საშუალება მომცეს, ვიდრე ჩვეულებრივი დეპუტატობის დროს შევძლებდი. სასაყვედურო არაფერი მაქვს — 36 წლის ვარ და ძალზე მნიშვნელოვან პოსტებზე მიმუშავია. ერთ-ერთი სერიოზული და არც ისე ცუდი პარტიის(!) გენერალური მდივანი ვიყავი, მესამე მოწვევის პარლამენტის წევრი ვარ, ვიყავი მინისტრი და ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვარ — ეს სერიოზული მიღწევაა.

— **დაახლოებით სამი თანამდებობაღაა თქვენს ამჟამინდელ თანამდებობაზე ზემოთ და ალბათ იმათზეც იფიქრებთ?**

— ღმერთმა დამიფაროს. ვიცი საკუთარი შესაძლებლობები. ამჟამინდელი პოსტი ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს შეესაბამება, ამაზე მეტი არ მინდა.

— **ვისი დამსახურებაა, ამ პოსტზე რომ დაინიშნეთ — პრეზიდენტის, პრემიერის თუ პარლამენტის თავმჯდომარის?**

— სამივესი... და კიდევ ჩვენი გუნდის. ისე, ამ პოსტზე პირველად მაია ნადირაძემ და გიგა ბოკერიამ დამასახელეს და მერე ყველამ მოიწონა.

— **წარმოვიდგინოთ ასეთი ვითარება: პარლამენტში მთავრობისა და მისი მეთაურის, ზურაბ ჟვანიას პასუხისმგებლობის საკითხი დგება, რას მოიმოქმედებს პრემიერ-მინისტრის ერთგული მიხეილ მაჭავარიანი, თუკი იგი სხდომას უძღვება?**

— ჟვანია არ მიიყვანს საქმეს იქამდე, რომ სერიოზულად გააკრიტიკონ. ზურაბი ძალზე გამოცდილი კაცია, მას კარგად ვიცნობ, არავის არასოდეს სთხოვს, დამიცავიო. ვიცი, რომ უთუოდ ეცდება ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი გვქონდეს. თავს დადებს ქვეყანაში სიტუაციის გამოსწორებისთვის. იმედი მაქვს, ჩემი დაცვა ამ მთავრობას არ დასჭირდება, მას მისივე გაკეთებული საქმეები დაიცავს. თუმც უნდა ვთქვა, რომ კომპრომისზე წავალ, კონფორმიზმზე კი არა.

— **ზემოთ განაცხადეთ, ჩემს არჩევაში ჩემი მეგობრები ერთსულოვანნი იყვნენო, მაგრამ კობა დავითაშვილი დაგავიწყდათ...**

— კობა დავითაშვილი ჩვენს გუნდში არ არის. მან თქვა, — წინააღმდეგი ვიყავი ნაციონალებისა და დემოკრატების გაერთიანების, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ, რომ უმრავლესობა დაიშალოსო... კობამ მშვენივრად იცოდა, რომ უსაფუძვლოდ მედავებოდა. გენპროკურორი არ არის ის კაცი, ვინმესთან კითხვა ჰქონდეს და შეკითხვა მოერიდოს. ღმერთმა დამიფაროს, რამე შეცდომა დამეშვა. ასე რომ ყოფილიყო, იმ დარბაზში არც შევიდოდი. კობასგან მეწყინა, თორემ ერთი-ორი კაცისგან თავიდანვე ველოდი შეტევას.

— **ირაკლი ოქრუაშვილმა ჩვენთან საუბრისასაც განაცხადა, — მაჭავარიანისთვის უხერხული კითხვების დასმა მოგვიწევსო, მაგრამ მოგვიანებით ეს კითხვები არ გახმიანებულა. პირად საუბარში ხომ არ უპასუხეთ უკვე მის კითხვებს?**

— ამ საკითხზე ირაკლი ოქრუაშვილთან არ მისაუბრია. ირაკლი პირდაპირი კაცია, არავის მოერიდება და როგორც კი საჭიროდ ჩათვლის, მაშინ დამისვამს შეკითხვას და მეც უსათუოდ ვუპასუხებ. შემიძლია დავიფიცო, რომ ამ საკითხზე მე და გენპროკურორი არ შევხვედრივართ ერთმანეთს.

თუ კობა დავითაშვილს მართლაც აინტერესებდა ეს საკითხი, შეეძლო პარლამენტის სხდომაზე კი არა, გაცილებით ადრე ეკითხა ოქრუაშვილისთვის. მით უმეტეს, ორი კვირით ადრე იცოდა, რომ ვიცე-სპიკერის პოსტზე მიპირებდნენ არჩევას. მან მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ატეხა ერთი ამბავი, რომ ეხმაურა და პარლამენტში განსხვავებული აზრი დაეფიქსირებინა.

ასევე გაუგებარი იყო საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ კობას დასახელება. და მერე ვინ დაასახელა ამ პოსტზე მისი კანდიდატურა? — მისმა „საყვარელმა“ ახალმა მემარჯვენეებმა...

— **ახალ პარლამენტში ოპოზიცია მეტისმეტად სუსტად გამოიყურება. ზოგიერთი უკვე საკანონმდებლო ორგანოდან წასვლასაც ფიქრობს — ამბობენ, შევარდნაძის დროს უფრო დემოკრატიული იყო პარლამენტიო.**

— ოპოზიციის უფლებები პარლამენტში რეგლამენტითაა განსაზღვრული. მათ სიტყვით გამოსვლას არავინ უშლის. ეტყობა, თვითონ ჩაიყენეს თავი დაჩაგრულის პოზიციაში, თორემ პირში ბურთი მათთვის არავის ჩაუჩრია. როდესაც იმუნიტეტის მოხსნის საკითხი განიხილებოდა, ქალბატონმა ნინომ განგებ იკითხა, ვინმეს ხომ არ უნდა სიტყვით გამოსვლაო, მაგრამ ოპოზიციას ხმა არ ამოუღია. ძალიან ცუდია, რომ ბატონი გოგი თოფაძე პარლამენტიდან მიდის, მაგრამ ეტყობა მას რაღაც სხვა მიზეზი აქვს...

— **რამდენიმე თვის წინ თქვენ და ნინო ბურჯანაძეს სერიოზული უთანხმოება გქონდათ. პრესითაც გააკეთეთ ერთმანეთის მისამართით მკვეთრი განცხადებები, ამჟამად ამოწურულია ეს კონფლიქტი?**

— რამეზე გვეტყობოდა, რომ გაბუტულები ვიყავით? ნინოს ვაფასებ და მეგობრად მიმაჩნია, პირადად მასზე ნაწყენი არ ვყოფილვარ. შესაძლოა მას რაღაც ვაწყენინე, იმიტომ, რომ ზედმეტად ფიცხი ვარ, მაგრამ ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ, ზურგს უკან არავის ვუხლართავ ინტრიგებს. თუ რაღაც ვთქვი, ეტყობა, მქონდა ამის საფუძველი. დღესდღეობით ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს (მე ასე ვფიქრობ).

— **ამბობენ, მაჭავარიანი თანამდებობებს ხშირად იცვლისო, საინტერესოა, რომელი იქნება მისი შემდგომი თანამდებობა.**

— ბუნებით კონსერვატორი ვარ და არ მიყვარს თანამდებობების ცვლა. პარტიის გენერალური მდივანი ჩემი ნებით არ ვყოფილვარ, მინისტრადაც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ გამიშვეს. ფრაქციის თავმჯდომარედ ისე ამირჩიეს, არც ვიცოდი. ახლაც, როგორც გითხარით, მაიასა და გიგას ინიციატივა იყო ჩემი ვიცე-სპიკერად დანიშვნა. მეგონა, მეტყოდით, — თანამდებობებზე ხშირად ამბობ უარსო. ალბათ გახსოვთ, სოფლის მეურნეობის მინისტრობაზეც უარი ვთქვი და იმერეთის გუბერნატორობაზეც, იმიტომ, რომ პარლამენტარობა მინდოდა.

ჩემი მიზანია (ჩემი მეგობრებისაც) პარლამენტმა ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძოლოს და საამისოდ კარგი საკანონმდებლო ბაზა შექმნას. პარლამენტი მთავრობას დაეხმარება და ამავდროულად ის კონტროლსაც განახორციელებს საიმისოდ, რომ შეცდომები არ დააშვებინოს. ყოველ ოთხშაბათს ისევ მივიღებ ამომრჩეველს და ისევ ფეხით გავაგრძელებ პარლამენტში სიარულს, რათა უფრო ახლოს გავიცნო ხალხის ცხოვრება, უკეთ გავიგო, რა უჭირთ და რა ულხინთ...

— **გასულ კვირას პარლამენტის გადაწყვეტილებას იმუნიტეტის მოხსნაზე უმალ მოჰყვა კონტროლის პალატის თავმჯდომარის დაპატიმრება, რომელსაც ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე სერიოზული კომპრომატები ჰქონდა. თქვენი თანაგუნდელებიც ადასტურებენ — მოლაშვილის დაპატიმრება უცნაურად დაემთხვა პარლამენტის გადაწყვეტილებასო.**

— მოლაშვილზე რომ საქმე აღძრული იყო, ჯერ კიდევ დეკემბერში ვიცოდით. ისიც ნათელია, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარეც დასანიშნია. ვერ გავიგე, რატომ ხედავს ოპოზიცია ჩვენს გადაწყვეტილებაში რაღაც ინსინუაციებს. ოპოზიციას როცა უნდა, ერბო ქონია, ხოლო როცა უნდა — კარაქია. ადრე თუ გვიან, კონტროლის პალატის თავმჯდომარის საკითხი უთუოდ წამოიჭრებოდა პარლამენტში და რა შუაშია ამასთან იმუნიტეტის მოხსნა? ოპოზიციას ნუ ავიწყდება, სანამ კონტროლის პალატის თავმჯდომარეს მოვუხსნიდით იმუნიტეტს, მანამდე საკუთარი იმუნიტეტი მოვიხსენით, მაგრამ არც ერთი დეპუტატი არ დაუპატიმრებიათ. ნუთუ ეს არ უნდა იყოს კონტრარგუმენტი ჩვენი ოპონენტებისთვის?

***იზო რიკაძე***

# ვინ იცის, იქნებ აბაშიძე „ანკესია“?!

## სპეციალური ოპერაცია – „აჭარის ლომის“ „მოსათვინიერებლად“?



**30 აპრილს დაგეგმილ სამხედრო-საზღვაო სწავლებას „დიოსკურია-2004“-ს, აჭარის ლიდერი მისი ლიკვიდაციისთვის გამიზნულად მიიჩნევს და აჭარაში საგანგებო მდგომარეობას აცხადებს**

ასლან აბაშიძე ბოლო დღეებში ვაშინგტონსა და მოსკოვში გაგზავნილ წერილებში წერს, რომ ოფიციალური თბილისი მის ფიზიკურ ლიკვიდაციას გეგმავს.

აბაშიძის პანიკური შიში, თავდასხმების მიმართ, დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ იქნებ ამჯერად არ ტყუის და თბილისს მართლაც აქვს დაგეგმილი აჭარის კრიზისის ერთი დარტყმით გადაწყვეტა?

ეს ორი-სამი თვეა, საქართველოს პოლიტიკურ არენაზე სიტუაცია ყოველდღიურად იძაბება და, ბუნებრივია, წარმოიშობა ათასნაირი ვარაუდი, აჭარის კრიზისის გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტზე. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბოლო ორი კვირის განმავლობაში არაერთხელ გააჟღერა აზრი, აჭარის კრიზისის პოლიციური ოპერაციით მოგვარების შესაძლებლობებზე, რადგან აჭარაში სისხლის სამართლის დამნაშავეები ბლომად არიან და ისინი პოლიციურმა და არა სამხედრო ძალებმა უნდა გააუვნებლონ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ინფორმატორები მარტო სააკაშვილსა და მის ერთგულ უშიშროებისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროებს როდი ჰყავთ ასლან აბაშიძის გარემოცვაში. დიდი ფულისა თუ შანტაჟის შიშით ამავე სამინისტროებიდან, არ არის გამორიცხული, რომ ცენტრის მოქმედების გეგმას აბაშიძესაც აცნობენ მისი ერთგულები.

თუკი, ვინიცობაა, მართლაც ჩატარდა ელვისებური სპეცოპერაცია, მაგრამ შედეგი ვერ გამოიღო და აბაშიძემ რეჟიმი შეინარჩუნა, ეს სპეცოპერაციის ფართომასშტაბიან შეიარაღებულ შეტაკებაში გადაზრდას ხომ არ მოასწავებს? ან განუსაზღვრავს ვინმეს თუ არა, რომ სპეცოპერაციას გადარჩენილმა აბაშიძემ საკუთარი რეჟიმის შესანარჩუნებლად აჭარელი მაჰმადიანების დაჩაგვრაში დასდოს თბილისს ბრალი და ეცადოს, ახლო აღმოსავლეთის ათასნაირი ჯურის ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული რაზმები „მიიწვიოს“ აჭარაში?

კულუარული ინფორმაციებიდან ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტს სურს აჭარის კრიზისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის — 26 მაისისთვის — საბოლოოდ გადაჭრას და თბილისთან ერთად ბათუმშიც გრანდიოზული სამხედრო აღლუმი ჩაატაროს.

ამიტომაც ალბათ თბილისის აქტიურ მოქმედებებს უახლოეს დღეებში უნდა ველოდოთ, მით უმეტეს, რომ ქართული არმიის დღეს — 30 აპრილს — აჭარის რეგიონის მეზობლად, ფოთსა და ყულევში, ფართომასშტაბიანი სამხედრო-საზღვაო სწავლებები — „დიოსკურია-2004“ იწყება, რის გამოც ამ რაიონში სამხედრო პოლიციური და სპეცსამსახურების უწყებების ბევრი დანაყოფი და სამხედრო ტექნიკა იყრის თავს.

თუმცა, ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოფიციალური თბილისი, თავისი ძალისმიერი გამოსვლებით, გარკვეულწილად, ცდილობს, დააფრთხოს აბაშიძე და ის და მისი გარემოცვა აიძულოს, საქართველოდან გაიქცნენ, მაგრამ აბაშიძის „აგდება“ არც ისე ადვილია.

მაგრამ ვინ იცის, იქნებ აბაშიძე სწორედ ის ანკესია, რომელსაც დიდი ხანია „არხევენ“ და ამით აღიზიანებენ ცენტრს, იტყუებენ „გადასაყლაპად“. მთავარია, ვის უჭირავს ეს ანკესი და მისი „გადაყლაპვის“ შემთხვევაში რა მოხდება საქართველოში.

# ვიყიდოთ იარაღი, მაგრამ კოორდინირებულად!

## ხელისუფლება იწყებს დიდი რაოდენობით იარაღისა და საბრძოლო მასალების საზღვარგარეთ შესყიდვას

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, „კვირის პალიტრა“ თავს უფლებას არ მისცემს, დაწვრილებით გააცნოს მკითხველს ის ინფორმაციები, რაც ქართული სამხედრო ძალებისთვის საზღვარგარეთ იარაღისა და საბრძოლო მასალების შესყიდვას ეხება. თუმცა, არ არის გამორიცხული, ხელისუფლების რომელიმე ემოციურ მაღალჩინოსანს ეს პირდაპირ ტელეეთერში წამოსცდეს.

მთავარი კი ის არის, რომ თურმე ქვეყანაში შეიძლება მოიძებნოს სახსრები, რომლებიც მოხმარდება როგორც ქართული არმიის, ასევე მთლიანად სამხედრო ძალების შეიარაღებისა და აღჭურვილობის განახლებას, რაზეც წინა ხელისუფლება თავს დიდად არ იწუხებდა.

ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს რამდენიმე ქვეყნის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან დიდძალი ოდენობით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და, რაც შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანია, საბრძოლო მასალის შესაძენად. თანაც საბრძოლო მასალის ნომენკლატურა მოიცავს თითქმის ყველა იმ კალიბრის ვაზნას, ნაღმსა თუ ჭურვს, რომელთა მწვავე ნაკლებობას წლობით განიცდიდა ქართული არმია.

ანუ თუკი ამ გარიგებათაგან ერთ-ერთი (რომლის საკონტრაქტო ღირებულება დაახლოებით 3,5 მლნ დოლარს აღწევს) მაინც წარმატებით განხორციელდა, არტილერია და ტანკები სრული საბრძოლო კომპლექტითა და რეზერვით რამდენიმე წლით უზრუნველყოფილი იქნებიან, რაც ქართულ არმიას 1-2-კვირიანი ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების წარმოების საშუალებას მისცემს. იმ ქვეყანაში, სადაც საბრძოლო მასალების შესყიდვა მიმდინარეობს, უკვე იმყოფებიან ჩვენი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სპეციალისტები და იმედია, უხარისხო საბრძოლო მასალას არ შეიძენენ, როგორც ეს ადრე არაერთხელ მომხდარა.

საგულისხმოა, რომ არსენალის შევსებას მარტო მთავარი სამხედრო უწყება არ აპირებს. დღევანდელი შინაგანი ჯარები, რომელსაც უზარმაზარ, 22-ათასიან ჟანდარმერიად გარდაქმნა აქვს განზრახული, ასევე ყიდულობს ავტომატების უზარმაზარ პარტიას. დაახლოებით ამ ოდენობის „კალაშნიკოვები“ ერთადერთხელ შევიძინეთ იმდროინდელი თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის თაოსნობით. მან ყაზახეთისგან 10 ათასამდე ავტომატი და სნაიპერული შაშხანა იყიდა.

მკითხველისთვის ასევე საინტერესო უნდა იყოს, რომ ერთ-ერთ, ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყანაში შეიძლება შევიძინოთ ულტრათანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღის მცირე პარტია სპეციალური დანიშნულების რაზმების (მათი, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას ემორჩილებიან) შესაიარაღებლად.

დღემდე ჩვენში ყველაზე თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღი იყო გერმანული ავტომატური შაშხანა G36. ის ორი წლის წინ აშშ-ის სპეცსამსახურებმა საქართველოს სამთავრობო დაცვის სპეცდანიშნულების რაზმსა და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტულ ცენტრს (შავნაბადაზე) უფეშქაშეს.

მაგრამ, ამ იმედისმომცემი ინფორმაციის გარდა, კვლავ გაჩნდა საშიშროება, რასაც სხვადასხვა უწყების არაკოორდინირებული მოქმედება ეწოდება. კერძოდ, საზღვარგარეთ სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურები თავის ემისრებს ხშირად მოუმზადებლად და ერთმანეთთან შეუთანხმებლად გზავნიან, რის გამოც იარაღის გამყიდველ უცხოურ ფირმებთან გაუგებრობები იქმნება.

ამასთან, უკვე გაჩნდა ერთგვარი ლობირების მეთოდებიც: ამა თუ იმ დიდჩინოსან სახელმწიფო მოხელესთან დაახლოებულ ქართულ ფირმას ევალება საზღვარგარეთ იარაღის შესასყიდად კონტრაქტის გაფორმება(!).

ასეთ შემთხვევაში კი შეუძლებელია სრულად გამოირიცხოს კორუფციის შემთხვევები, რომელსაც ასე ხმამაღლა ებრძვის საქართველოს ახალი პრეზიდენტი.

ალბათ საჭიროა ეროვნული უშიშროების საბჭომ განახორციელოს ზედმიწევნით კოორდინირებული მოქმედება, რათა საქართველოს სამხედრო ძალებისთვის საზღვარგარეთ შეძენილ იქნეს ხარისხიანი იარაღი და საბრძოლო მასალები, თანაც უსათუოდ ხელსაყრელ ფასად.




# მოიერიშეები ქობულეთელებს არას ერჩოდნენ

19-21 აპრილს ქობულეთელები შეაშფოთა მათ სიახლოვეს საბრძოლო თვითმფრინავების დაბალ სიმაღლეზე გამოჩენამ.

სიმართლე რომ ითქვას, აჭარის თავზე 15-20 წლის წინ ორიოდ მოიერიშე თვითმფრინავი კი არა, საფრონტო ბომბდამშენების და გამანადგურებლების ესკადრილიები დაფრინავდნენ კოპიტნარიდან და ცხაკაიიდან და ვერავინ გაბედავდა, ეს გაეპროტესტებინა.

გასაგებია, რომ პოლიტიკური დაძაბულობის გამო ქობულეთელებს შიში გაუჩნდათ, როცა ცაში საბრძოლო თვითმფრინავები გამოჩნდნენ. თუმცა ამ მოიერიშეების პილოტები ირწმუნებიან, არავის დაშინება არ გვქონია მიზნად, უბრალოდ, სასწავლო-საბრძოლო დავალებას ვასრულებდით ყულევის პოლიგონზეო.

სამხედრო საქმეში გაუცნობიერებელი და ხშირად პოპულისტური გამოსვლებით განთქმული ზოგიერთი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის მეოხებით ქართული ავიაცია მხოლოდ ერთადერთი, ყულევის პოლიგონის იმედად დარჩა.

თვითმფრინავი და, მით უმეტეს, საბრძოლო, სამარშრუტო ტაქსი არ არის, რომ ერთ საჰაერო დერეფანში იფრინოს. სამხედრო პილოტებს ფართო სივრცე სჭირდებათ ოსტატობის დასახვეწად, თორემ მანევრირების გარეშე, მხოლოდ სწორხაზოვნად ფრენისას „სტრელებისა“ და „იგლების“ ლუკმა ადვილად გახდებიან.

## ორ დღეში Су-25-ების პილოტებმა უფრო მეტი იფრინეს, ვიდრე ადრე ორ თვეში დაფრინავდნენ


საქართველოს საჰაერო ძალების Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავები ამ კვირის ბოლოსაც აპირებენ რაკეტების სროლას ყულევის პოლიგონზე

იმ დღეებში, როდესაც ქობულეთელები „საჰაერო იერიშს“ უფრთხოდნენ, საქართველოს საჰაერო ძალების ოთხი Су-25-ის ტიპის მოიერიშე თვითმფრინავისა და ორი Ми-8 ტიპის შვეულმფრენის ეკიპაჟები ოსტატობას ხვეწდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკული საჰაერო დარტყმების განხორციელება ყულევის პოლიგონზე, რადგან ასეთი სროლები ქართველ პილოტებს შარშანდელს შემდეგ აღარ გაუმართავთ.

საპოლიგონო პრაქტიკული ჩვევების აღდგენის პროგრამით მოიერიშეების ხუთმა პილოტმა ყულევის პოლიგონზე 100-120 კგ საავიაციო ბომბებით, უმართავი რაკეტებითა და საბორტე ქვემეხებით მიზანში სროლაში ივარჯიშა. თითოეულმა მათგანმა 2,5-3 სთ იფრინა, რაც გასული წლების ორი-სამი თვის ნორმა გახლდათ. სამხედრო პილოტებმა წელიწადში 100 სთ მაინც უნდა იფრინონ, რათა შეინარჩუნონ მაღალი საბრძოლო მზადყოფნა. ეს კი დიდ ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რადგან იგივე Су-25 ფრენისას ერთ საათში დაახლოებით 3 ტონა საავიაციო ნავთს ხარჯავს.

P.S. სამხედრო მფრინავები, რომლებსაც პრეზიდენტის დავალებით ჯერ 100 ტონა საავიაციო საწვავი გამოუყვეს, შემდეგ კიდევ დაუმატეს, სააკაშვილის მადლიერნი არიან. სხვათა შორის, ახალგაზრდა პრეზიდენტმა მისი თანატოლი პილოტები, მათდამი პატივისცემის დასტურად, ორჯერ რესტორანშიც დაპატიჟა.

მფრინავები ამბობენ, არც ქობულეთელების და არც არავის დაშინება არ გაგვივლია გუნებაში, თორემ ასე რომ ყოფილიყო, უფრო დაბალ სიმაღლეზე და უფრო დიდი სისწრაფით გადავუფრენდით საცხოვრებელ სახლებსო.

— საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენას ქართველ პილოტებს ვერავინ აუკრძალავს, აჭარის მოსახლეობას, ისევე როგორც მთელი ქვეყნისას, ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ, ოღონდ ერთია, ქობულეთისა და აჭარის სანაპიროსპირა მოსახლეობას ჩვენზე მეტად აბაშიძისა უნდა ეშინოდეს — მან ხომ სანაპირო ზოლის ყოველ 200-300 მეტრში ქვიშით სავსე თეთრი ტომრების „დზოტები“ მოაწყო, რომლებიც ჰაერიდან ძალიან კარგად მოჩანს, — აცხადებენ მოიერიშეების ქართველი პილოტები.

# პრეცედენტები, სახელად — სამხედროთა დაუმორჩილებლობა

## პოლიტიკოსების მიერ მანიპულირებადი სამხედროები საბრძოლველად ნაკლებად გამოდგებიან

საქართველოს უშიშროების სამინისტრომ ეტყობა, მოიგო ის ფარული ბრძოლა, რომელსაც აჭარაში დისლოცირებული ქვეყნის სამხედრო ძალების რეგიონული სტრუქტურების განეიტრალება ჰქვია.

თავდაცვის სამინისტროს 25-ე კადრირებული მოტომსროლელი ბრიგადის ბირთვი უკვე თბილისშია და ორხევის ბაზაში ახალი, ოღონდ იმავე სახელწოდების, ბრიგადის შექმნას ცდილობს.

აბაშიძეს ნელ-ნელა ეცლება ხელიდან მეორე მთავარი დასაყრდენი ძალა — შინაგანი ჯარების ბათუმის ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონი.

უკეთესი სიტუაცია არც სასაზღვრო ძალების აჭარის რეგიონულ სამმართველოშია, რომლის მეთაური, გენერალი კონცელიძე, გენერალ დუმბაძისა და პოლკოვნიკ ცინცაძის მსგავსად, შეიძლება ასე თვალდასანახად არ გადასულა „ბაბუს“ მხარეზე, მაგრამ პირდაპირ არც უმაღლესი მთავარსარდლის ერთგულება უღიარებია.

აბაშიძის ერთგული ძალების შესუსტება ოფიციალური თბილისისთვის არც ისე მცირე გამარჯვებაა, რადგან იმსხვრევა მითი ასლან აბაშიძის „სამეფოში“ არსებული რკინის დისციპლინისა თუ შიშის შესახებ. თუმცა, ჩანს, აბაშიძის ყველაზე ერთგული და კბილებამდე შეიარაღებული პირადი დაცვისა თუ სწრაფი რეაგირების რაზმის წევრების გადაბირება თბილისს ძალიან გაუჭირდება.

ამ ფარული „ომის“ უკან იმალება ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რომელსაც პოლიტიკოსების მიერ სამხედროებით მანიპულირება ჰქვია.

საერთოდ, სამხედროები ნორმალურ ქვეყანაში ძალიან შორს უნდა იდგნენ პოლიტიკური თამაშებიდან, რადგან დიდ პოლიტიკაში ჩართული გენერლები და პოლიტიკოსები პროფესიონალ სამხედროებად აღარ გამოდგებიან, ვინაიდან სულ იმის ფიქრში იქნებიან, რომელ პოლიტიკურ ლიდერს რით ასიამოვნონ და არა იმისა, როგორ მოიგონ ბრძოლა და შეინარჩუნონ ჯარისკაცის სიცოცხლე.

გენერალ-მაიორი რომან დუმბაძე და პოლკოვნიკი მურად ცინცაძე, უმაღლესი მთავარსარდლის — პრეზიდენტის მიმართ თავიანთი აშკარა დემარშის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამშობლოს დამნაშავეებად ცხადდებიან.

გასაგებია, რომ თუკი აბაშიძეს განუდგებოდნენ და ცენტრალურ ხელისუფლებას დაემორჩილებოდნენ, მაშინ აბაშიძის რეჟიმი შერაცხავდა მათ მოღალატეებად და არც დაპატიმრებას მოერიდებოდა. მათ და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანმა სამხედრომ უკვე გააკეთეს არჩევანი, რის მიხედვითაც წარიმართება მათი ბედი.

სამწუხაროდ, წელიწადი ისე არ ჩაივლის, რომ მორიგი სკანდალი არ მოხდეს ხელისუფლების ურჩ ქართველ გენერლებთან და პოლკოვნიკებთან დაკავშირებით. ამას საფუძველი 13 წლის წინ ჩაუყარა კიტოვანმა და მას შემდეგ ქართულ არმიას არ მოჰკლებია ურჩი და საეჭვო პოლიტიკურ თამაშს აყოლილი გენერლები და სხვა მაღალჩინოსანი ოფიცრები...

# 64 მლნ დოლარიანი „წვრთნა და აღჭურვა“ დამთავრდა


იალღუჯის პოლიგონზე ეს ამერიკული ტანკი „შერმანი“ ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორებზე 50 წლით ადრე გამოჩნდა

## ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორებამდე ნახევარი საუკუნით ადრე ამერიკული ტანკი გამოჩნდა იალღუჯზე, თუმცა ეს ქართველმა გენერლებმაც არ იციან

24 აპრილს, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, საზეიმოდ დაიხურა ამერიკულ-ქართული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა, რომლის ფარგლებში სამი წლის განმავლობაში მომზადდა ოთხი ქართული ბატალიონი — „კომანდო“, საჩხერის მე-16 სამთო-მსროლელი, 113-ე („შავნაბადა“) და თელავის 111-ე. მეხუთე სამხედრო დანაყოფს შერეული ჯავშანსატანკო ასეული შეადგენდა, რომლის პირად შემადგენლობასთან (237 სამხედრო მოსამსახურე) ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები ბოლო სამი თვის განმავლობაში ხვეწდნენ ტანკებისა და ჯავშანმანქანების (სულ ამ ასეულის შეიარაღებაშია 10 ცალი Т-72 ტიპის ტანკი, ამდენივე ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1, ხუთი ჯავშანგამწევი МТ-ЛБ. ამ უკანასკნელებს 120 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნების ტარება ევალებათ), ეკიპაჟების ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას საბრძოლო მდგომარეობის დროს, როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი ოპერაციების შემთხვევაში.

დამთავრდა „წვრთნისა და აღჭურვის“ სამწლიანი პროგრამა, რომლისთვისაც აშშ-ის მთავრობამ საერთო ჯამში 64 მლნ დოლარი გამოყო.

გულახდილად რომ ვთქვათ, ამ, ჩვენთვის უზარმაზარი თანხის მოზრდილი წილი საქართველოში ჩამოსულ ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა ფუნქციონირებისთვის დაიხარჯა, მაგრამ უმადურები ნამდვილად არ უნდა ვიყოთ.

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის შედეგად ქართულმა სამხედრო ძალებმა მიიღეს არანაკლებ 2 900 განსწავლული და კარგად შეიარაღებული მებრძოლი (აქედან თავდაცვის სამინისტროზე 2 500-მდე მოდის), რომლებიც უნდა იქცნენ ახალი ფორმაციის ქართული არმიის ჩამოყალიბების საფუძვლად.

P.S. არის ერთი საინტერესო დეტალი, რომლისთვისაც, მგონი, ყურადღება არავის მიუქცევია.

იალღუჯის პოლიგონზე, რომელიც კრწანისის სასწავლო ცენტრის სახელითაა ცნობილი და 11 სექტემბრის ტერაქტებში დაღუპულთა სახელსაც ატარებს, პირველი ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების შესვლამდე (2002 წელი), ზუსტად 50 წლით ადრე ამერიკული ტანკი გამოჩნდა.

პოლიგონის შესასვლელში, ლეგენდარული საბჭოთა ტანკის, Т-34-ის გვერდით, დგას მეორე ჯავშნიანი მანქანა, რომელსაც კოშკურა არ უყენია. „კვირის პალიტრამ“ შეძლო მისი იდენტიფიცირება — ის გახლავთ ამერიკული საშუალო ტანკი M4 „შერმანი“.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირმა, ლენდ-ლიზის დახმარების პროგრამით, აშშ-იდან 4 063 ამ ტიპის ტანკი მიიღო. ეტყობა, ერთ-ერთი მათგანი გადაურჩა პოლიგონზე სამიზნის როლს და ნახევარი საუკუნე ელოდა თანამემამულეებთან შეხვედრას!

საგულისხმოა, რომ ომის შემდგომი პერიოდის მძიმე ტანკებს — ИС-3 „იოსებ სტალინებს“ — ქართველი ყუმბარმტყორცნელები დაუზოგავად ესროდნენ იალღუჯზე, შემდეგ ვაზიანის პოლიგონზე აათრიეს, სადაც მათი ჯავშნის სიმტკიცეს ტანკისტები Т-72-ის კუმულაციური ჭურვებით ცდიდნენ.

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## ერაყში ქართველების სამეზობლო დაბომბეს

ერაყში ჩასული 159-კაციანი ქართული სამხედრო კონტინგენტი ალ-ბაქუბაჰისა და ალ-მანსურიას ახლოს დისლოცირებულ ამერიკულ ბაზებში განთავსდა. ჯერჯერობით, მიმდინარეობს ქართველი მეომრების ადაპტაციის პროცესი და ამიტომ ისინი აქტიურ ანტიპარტიზანულ მოქმედებებში არ მონაწილეობენ. თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერაყელებმა რამდენჯერმე ნაღმები დაუშინეს ამ ამერიკულ ბაზებს. საბედნიეროდ, ქართველი სამხედროები არ დაზარალებულან.

## ავღანეთს „შარლ დე გოლიდანაც“ დაზვერავენ

ავღანეთში დაიწყო მორიგი ანტიტერორისტული ოპერაცია სახელწოდებით „დაუმარცხებელი თავისუფლება“, რომელშიც ამერიკის ჯარებთან ერთად, პირველად მიიღებს მონაწილეობას საფრანგეთის სიამაყე — ატომური ავიამზიდი „შარლ დე გოლი“.

ეს მისი პირველი საბრძოლო ოპერაცია იქნება. „შარლ დე გოლი“, ფრანგულ საზღვაო არმადასთან ერთად, არაბეთის ზღვაში იმყოფება და იქიდან გზავნის სადაზვერვო თვითმფრინავებს ავღანეთის ტერიტორიის გასაკონტროლებლად, ხოლო თუკი უსამა ბინ ლადენის კვალს აღმოაჩენენ, „შარლ დე გოლიდან“ აფრენილი მოიერიშეები არც დაბომბვაზე იტყვიან უარს.

## დაკარგულია 600 რუსი სამხედრო

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე კვლავ ეძებენ უგზოუკვლოდ დაკარგულ 600-მდე რუს სამხედროს. პირველი ომის დროს, 1994-1996 წლებში, ჩეჩნეთში დაიკარგა 298 სამხედრო მოსამსახურე; მეორე ომში, რომელიც 1999 წლის შემოდგომაზე დაიწყო, დაკარგულად ითვლება 244 კაცი. ამ ორ ომს შორის, 1997-1998 წლებში, 36 რუსი ჯარისკაცი და სერჟანტი „გაუჩინარდა“.

# ქართული „ნიანგები“ საქართველოშია

## ხუთწლიანი „ტყვეობა“ დასრულდა

2004 წლის 23 აპრილი შეიძლება ისტორიულ დღედაც კი მოინათლოს, რადგან ამ დღეს დასრულდა ქართული შვეულმფრენების იძულებითი „ფინანსური ტყვეობა“ უკრაინაში.

ფოთის პორტში შემოვიდა ბორანი, რომელმაც საქართველოში დააბრუნა 5 წლის წინ, ამავე გზით, უკრაინაში სარემონტოდ გატანილი 5 შვეულმფრენი.

ფაქტობრივად, სააკაშვილმა ორიოდ თვეში შეძლო ის, რასაც შევარდნაძემ თავი ოთხი წლის განმავლობაში ვერ გაართვა. ეს, ეტყობა, ხელისუფლების ახალ მიდგომაზე უფრო მეტყველებს, თორემ ძნელი დასაჯერებელია, მონდომების შემთხვევაში შევარდნაძის მთავრობას ვერ გამოეძებნა ამ შვეულმფრენების გასარემონტებელი და უკან დასაბრუნებელი თანხები.

გარემონტებული შვეულმფრენებიდან — სამი საბრძოლო Ми-24-ია, რომლებსაც მოფერებით „ნიანგებსაც“ ეძახიან, ორი — ამფიბია Ми-14 ტიპისა. ორი Ми-2 ტიპის შვეულმფრენი ჯერ ისევ სევასტოპოლში ელოდება რემონტს, თუმცა დასაფიქრებელია, რამდენად მიზანშეწონილია მათი გარემონტება.

ბორნიდან ჩამოტვირთვის შემდეგ შვეულმფრენებს დაუყენეს მოხსნილი ხრახნები და საფრენ მდგომარეობაში მოიყვანეს.


ქართული ხრახნებდახსნილი „ნიანგები“ საზღვაო ბორანმა უკრაინის ილიჩევსკის პორტიდან ფოთში ორ დღეში ჩამოიტანა

საგულისხმოა, რომ შვეულმფრენებს რამდენიმე უკრაინელი მფრინავი-ინსტრუქტორიც ჩამოჰყვა, რომლებმაც ქართველ კოლეგებს უნდა გააცნონ „ნიანგების“ პილოტირების ნიუანსები.

ფოთში „ნიანგებს“ მოუთმენლად ელოდნენ სწორედ ის ქართველი პილოტები, რომლებიც ოცნებობენ ამ მრისხანე, შეჯავშნული „ნიანგებით“ ფრენაზე. ეს მანქანები მათ აფხაზეთის ომში ერთგულად ემსახურებოდნენ.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

მალე! ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“! — „კვირის პალიტრისაგან“

# იქნებ ძაღლის თავი რკინიგზაშია დამალული?!

## ინაურის „ოინები“



### პროფესიონალი

იმ დღესაც ღამენათევი დაბრუნდა შინ ალექსი ინაური. აგერ უკვე მეორე კვირა იქნებოდა, რაც ბანკი გაძარცვეს და დღემდე ვერაფერი გაიგეს. კარგი კაცია ქუთაისის მილიციის უფროსი, მაგრამ ეტყობა, სხვა რამისთვისაა დაბადებული. ფორმალურად ყველაფერი წესრიგში აქვს: ოქმები, შეტყობინებები, დავალებები, მაგრამ ეს ხომ კანცელარიაა და მეტი არაფერი. მაძებარს კიდევ თანდაყოლილი ალღო და ყნოსვაც უნდა ჰქონდეს, რაც არც სპეცსკოლაში ისწავლება და ვერც სამსახურებრივ ინსტრუქციაში ამოიკითხავს. მხოლოდ ეს ერთი საქმე რომ იყოს, კიდევ არაფერი. მეოთხე წელია, ერთი კარგად ორგანიზებული ბანდა მოქმედებს ქუთაისსა და მის მეზობელ რაიონებში. აღარც ბანკი დატოვეს, აღარც საიუველირო მაღაზიები და ისე გათავხედდნენ, რომ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ რაიკომის მდივანს შეუცვივდნენ სახლში. ალბათ, ეგონათ, რაკი რაიონში პირველი კაცია, სხვაზე მეტი ექნებაო, მაგრამ მისი ღარიბული საცხოვრებელი რომ მოათვალიერეს, ხუთი წითელთუმნიანი დაუგდეს მაგიდაზე — ამ ფულით ბავშვებს დათბილული ფეხსაცმელები უყიდეო და იქაურობას გაეცალნენ. მეტი თავგასულობა გაგონილა? ჯერ ომმა მოუღო ბოლო ქვეყანას და რაც გადარჩა (მათ შორის, ადამიანის ღირსებაც), ესენი თელავენ. მოსკოვს ყველა საქმეზე კონტროლი აქვს დაწესებული, დღეში რამდენჯერმე რეკავენ. ჩვენ კი... ეტყობა, სანამ სტალინი არ დარეკავს, მანამდე არ აპირებენ ხელის გაძრევას, თორემ რა გახდა იმ ბანდის მხილება და აყვანაო, გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე თავსაც შემოსწყრა — აქედან ვიქნევ ხელებს, ერთხელაც არ ჩავსულვარ ადგილზე. საკაბინეტო მოსმენები რომ აღარ კმარა, ადრე უნდა მივმხვდარიყავიო და მეორე დღეს ისე უხმაუროდ დაადგა თავს თავის ქუთაისელ ხელქვეითებს, შენობის შესასვლელში მდგარმა მორიგემ მისალმებაც ვერ მოახერხა.

— უფროსამდე მიმაცილეთ, — ნახევრად ბრძანების კილოთი უთხრა დაბნეულ მაიორს და ის იყო, კიბეზე ასვლა დააპირა, რომ გონს მოსულმა მორიგემ მორიდებით მოახსენა:

— განყოფილების უფროსი შემთხვევის ადგილზეა გასული, ამხანაგო გენერალო!

— რა მოხდა? — თავიც არ შემოუბრუნებია, ისე გაიყინა ერთ ადგილზე რესპუბლიკის მილიციის შეფი.

— ლომბარდი წაიღეს გამთენიისას. თქვენ გირეკავდით, მაგრამ სამინისტროს მორიგემ არ შეგვაერთა. მთელი ორი კვირის უძინარია, შინ ახლახან წავიდა და ვერ შევაწუხებო. ჩვენი უფროსიც ეს-ესაა ჩამოვიდა თბილისიდან და ასეთი ამბავი დავახვედრეთ... ძალიან ვწუხვარ.

— კარგია, რომ წუხხართ, მაიორო. ოღონდ გვიანია თქვენი წუხილი. საქმე მანამ უნდა გადარდებდეს, სანამ წახდება, თორემ... — სიტყვა აღარ დაასრულა. იქვე მდგარ მილიციის სერჟანტს მანქანისკენ უბიძგა, — გზა მიმასწავლეო და გაძარცული ლომბარდისკენ აიღო გეზი.

აქაც აშკარად ჩანდა ნაცნობი ბანდის ხელწერა. ცემისაგან მისიკვდილებული, ხელფეხგაკრული დარაჯი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს; ძალაყინით გამონგრეული კედელი და შესადუღებელი აპარატით გადაჭრილი სეიფები.

ალექსი ინაური არც დაინტერესებულა ნაძარცვის რაოდენობით. ამწუთას მას თავში სულ სხვა აზრები უტრიალებდა:

— ასეა, ჩემო შალვა, — მიმართა მილიციის იქაური განყოფილების უფროსს, — ღამის თევას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა საქმეს აკეთებ. თორემ ინდოეთში ვიღაც გაჭირვებულს თურმე ოცდარვა წელია არ უძინია, მაგრამ ამით მის ცარიელ ჯიბეს ერთი რუპიაც არ მიმატებია. ახლა ასე მოვიქცეთ: ვიდრე ეს საქმეები არ გაიხსნება, ვიდრე საკნებში არ დავიგულებ ბანდის წევრებს, აქედან ფეხს არ მოვიცვლი. ამაზე მოსკოვს უკვე შევუთანხმდი. ვნახოთ, რა გამოვა. ყაჩაღები რომ არ დავაფრთხოთ, წყალტუბოში ვიცხოვრებ, როგორც ჩვეულებრივი დამსვენებელი. მხოლოდ დაბინდების შემდეგ გამოვალ კურორტიდან. ეცადეთ თქვენზე რიცხულ ყველა აგენტს შემახვედროთ. ჯერჯერობით, მეტი არაფერია საჭირო. დღეს საღამოს და შემდეგშიც სანატორიუმის უკან, შენობის შესასვლელთან, რაც შეიძლება დაფეხვილი მანქანა უნდა იდგეს. ვიდრე აქ ვარ, ხან ერთი, ხან მეორე, მხოლოდ ასეთი მანქანებით ვისარგებლებ. საჭესთან კი ის ოპერმუშაკი უნდა იჯდეს, ვის აგენტურასაც იმ ღამით უნდა შევხვდე. დაცვა და სხვა ამისთანები საჭირო არაა. გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო გენერალო, მაგრამ... — შალვას ხმაში აშკარა შიში იგრძნობოდა.

— არავითარი მაგრამ... შეასრულეთ!

— არის, ამხანაგო გენერალო!

ქუთაისელი ხელქვეითი კი წუხდა, შეფი მარტო როგორ დავტოვო სანატორიუმშიო, მაგრამ ალექსი ინაური სულაც არ იყო მარტო. წყალტუბოში მის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე მეშახტეთა სანატორიუმს სამი ისეთი ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა ეწვია, რომ მორიგე ექიმი პირდაღებული დარჩა. მართალია, რაიკომის მდივანმა დაურეკა, ჩემმა ახლობელმა მთხოვა, ერთ-ერთს მუხლი სტკივებია და იმ ორ მეგობარს გვერდიდან არ იშორებსო, მაგრამ ვიდრე თვითონ ახალგაზრდებს არ ჰკითხა, ვერაფრით დაადგინა, რომელი იყო მუხლმტკივანი, — გარეგნულად არც ერთს არაფერი ემჩნეოდა. მაინც არ დაიჯერა. იფიქრა, ესენი აქ ქალებზე სანადიროდ ჩამოვიდოდნენო და არც ბიჭებს გადაუკლავთ თავი. ერთი ეს იყო, ორაზროვნად უპასუხეს: — შეიძლება ასეც იყოსო და რაკი რაიკომის პირველი მდივნის პროტეჟეები იყვნენ, საუკეთესო ლუქსში დააბინავა და წარმატებაც უსურვა. ცოტა ხანში ალმასკომის თავმჯდომარემაც სთხოვა, ერთი ჩემი ნაცნობის ნათესავი უნდა მიიღო, რევმატიზმი აწუხებს და ერთ-ორ კვირას დარჩება, ოღონდ აუცილებლად მეორე სართულზე უნდა მოათავსოთ, კიბეზე სიარულის თავი არ აქვსო.

— ღმერთო კი მომკალი, პარმენიჩ. როგორ არ მივიღებ, მაგრამ მეორეზე ერთადერთი ლუქსი მქონდა და რაიკომის მდივნის ხალხი შევასახლე. იქნებ მესამეზე?

— არა, არა. მეორე სართული მთხოვეს. უბრალო ნომერი. არაა იმ რანგის სტუმარი, ჩვენ რომ ვიცით, თორემ გეტყოდი და...

— აგაშენათ ღმერთმა, მოვიდეს, ბატონო.

### დივიზიის მეთაურის ადიუტანტი

ათი დღე დაყო ალექსი ინაურმა მოუწყობელ, უწყლო და უშუქო ნომერში. იმ სამი ბიჭის გარდა, რაიკომის მდივნის ბრძანებით კეთილმოწყობილ ლუქსში რომ გრიალებდნენ, არავინ (არც ალმასკომის თავმჯდომარემ) იცოდა, ვინ იყო სინამდვილეში ის რევმატიზმიანი მამაკაცი, ხელჯოხით ძლივს რომ მიბობღავდა თავისი ნომრიდან სასადილომდე. მას ჯერჯერობით ძალზე ცოტა ვინმე იცნობდა საქართველოში. გენერალი ახალი დანიშნული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად. 1953 წლის იანვარი იდგა. იმდენად თბილი, რომ კალენდარი რომ არა, კაცი იფიქრებდა, სადაცაა გაზაფხული დადგებაო.

ღამღამობით, სანატორიუმის უკანა, სათადარიგო გასასვლელიდან გადიოდა გენერალი და დაფეხვილ „პიკაპში“ ან სატვირთოში ჯდებოდა. სათითაოდ შეხვდა ქუთაისის მილიციის ყველა აგენტს, რომელთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ვიღაცაზე ან რაღაცაზე განაწყენებულებიც იყვნენ და ქალაქისა და ქვეყნის პატრიოტებიც, ქურდებიცა და პატიოსანი ხალხიც. მაგრამ ისეთი, მომხდარ დანაშაულებთან ან დამნაშავეებთან რომ რაიმე კავშირი ჰქონოდა, არავინ ჩანდა. საჭირო იყო ახალი, დამხმარე ძალის გადმობირება დამნაშავეთა სამყაროდან. თუმცა საეჭვო იყო, ამასაც გამოეღო ნაყოფი. აშკარა იყო, ჩაკეტილ ჯგუფთან ჰქონდათ საქმე, ერთი და იგივე ხალხი სჩადიოდა დანაშაულს.

— სწორედ ეს გვამუხრუჭებს, ამხანაგო გენერალო, თორემ ყაჩაღებს აქამდეც მივაკვლევდით, — თავი იმართლა მილიციის უფროსმა.

— გასაგებია, მაგრამ ბანდის წევრები ახლობლებს და მეგობრებს თუ არა, ნაქურდლის გამსაღებლებს ხომ უკავშირდებიან?

— ყველა გადამყიდველს ვუთვალთვალებთ. დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ბანდის ნაალაფარი ქუთაისში კი არა, საქართველოშიც არ გაყიდულა, — ისე ამაყად განაცხადა შალვამ, ძნელი იყო მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა.

— დარწმუნებული ხართ? — ინაურმა ალმაცერად გახედა ხელქვეითს.

— სავსებით, — იყო პასუხი.

— მეზობელი რესპუბლიკების მილიციის სამსახურებს აცნობეთ?

— ვაცნობეთ, მაგრამ ამაოდ.

— ტრანსპორტით თუ დაინტერესდა ვინმე?

— ამხანაგო გენერალო, ჩვენი მანქანები ტექნიკური გაუმართაობისა და უგზოობის გამო რესპუბლიკის ფარგლებს ვერ სცილდებიან. თვითმფრინავები ქუთაისიდან არ მიფრინავენ. ფოთისა და ბათუმის პორტებში ისეთი კონტროლია, საეჭვოა, ნაქურდალი გაატარონ. დარჩა რკინიგზა. ჩვენი ხალხი ქუთაისიდან გასვლამდე უთვალთვალებს მოსკოვის იმ ორ ვაგონს, ყოველ საღამოს რომ გადის. სადგურ რიონში ორივეს „ერევანი-მოსკოვის“ შემადგენლობას მიაბამენ...

— სატვირთო ვაგონებით ვერ გაიტანენ?

— გამორიცხულია. ყველა შემადგენლობას შეიარაღებული გასამხედროებული დაცვა აცილებს.

— ვაგონების გამცილებლები თუ შეამოწმეთ. მათ შორის რამდენია აქაური?

— მხოლოდ ერთი. ნაომარი კაცია. სამშობლოში გერმანელებმა ამოუწყვიტეს ოჯახი. ერთხანს იხეტიალა და ბოლოს აქ დაბინავდა.



— ბევრი არაფერი გცოდნიათ... დღესვე შემახვედრეთ. იქნებ ძაღლის თავი რკინიგზაშია დამარხული. და კიდევ: დღეიდან მუშაობის ლეგალურ რეჟიმზე გადავდივარ; ანუ მე მე ვარ და არა რევმატიზმით დაავადებული დამსვენებელი.

— გასაგებია. გამცილებელს კი დღესვე მოგიყვანთ.

ნაშუადღევს ვასილი არტიომიჩ კამენევი, საშუალო სიმაღლის, მაგრამ საკმაოდ დაკუნთული, ასე ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის მამაკაცი შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინეს. შეხედა თუ არა ინაურს, უკრაინელს, რომელსაც მინისტრთან მოსალოდნელი შეხვედრის გამო აქამდე მუხლები უკანკალებდა, თვალები გაუფართოვდა, Эх ты-ო, თავისთვის ჩამარცვლა, მხედრულად გაიჭიმა და რიხიანად უპატაკა ამ შეხვედრით მასზე არანაკლებ განცვიფრებულ გენერალს.

— Адьютант командующего 34-ой дивизий южного фронта капитан Каменев прибыл по Вашему приказу, товарищ генерал, — ბოლო სიტყვაზე ხმამ უღალატა უკრაინელს, თვალებიდან ცრემლი წასკდა. თავს ძალა მაინც დაატანა და დამარცვლით გააგრძელა:

— Если бы вы знали, как я хотел и ждал этой встречи и одновременно боялся его, но уверен, первый победит над вторим. Я к вашим услугам Алексей Николаевич, — ყელში მოწოლილი მახრჩობელა ნერწყვი გადაყლაპა კამენევმა და ბრძანებას დაელოდა.

— Василий... Каменев. Неужели это ты, не ожидал, что здесь встретимся, но очень рад, подойди обнимимся, — გულჩვილობას უჩვევ მრისხანე გენერალსაც ცრემლი აუკიაფდა თვალებში, მაგრამ თავი მოთოკა და დივიზიის ყოფილი მეთაური თავის ყოფილ ადიუტანტს გადაეხვია.

გენერალმა დამსწრეთ ანიშნა, მარტო დამტოვეთ ამასთანო. როცა ორნი დარჩნენ, კამენევმა ხელები მაღლა შემართა, მავედრებელი თვალები მიაპყრო ალექსის და უთხრა:

— გნებდებით, ამხანაგო გენერალო. მერჩია, პირნათელი ვყოფილიყავი თქვენთან შეხვედრისას, მაგრამ გვიანია. ნურაფერს მკითხავთ. თვითონ მოგახსენებთ ყველაფერს.

თქვენ იცით, რომ ჩემი ოჯახი გერმანელებმა ამოწყვიტეს. აბა, ნასახლარზე როგორღა დავბრუნდებოდი და აქ დავიდე ბინა. ერთხანს ყველაფერი კარგად იყო, ცოტა ხელფასი, ცოტაც ხალტურა და მარტოხელას მეტი რა მინდოდა. მერე ერთი-ორჯერ უცნაურად შეფუთული ტვირთი მომიტანეს და კარგადაც გადამიხადეს. მოგვიანებით მთხოვეს ტვირთი ღამით, ჩიხში მდგომ ვაგონში საიმედოდ დამემალა. კარგად ვხვდებოდი, რა საქონელთანაც მქონდა საქმე, მაგრამ არაფერს ვიმჩნევდი. ახლა კი ეტყობა, პასუხი უნდა ვაგო. რა გაეწყობა, ამისთვისაც მზად ვარ.

გენერალი ისე უსმენდა, თვალი არ დაუხამხამებია, არც გაოცება გამოუხატავს, არც სინანული. როცა ვასიამ დაასრულა მონოლოგი, მძიმედ წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ომში სხვა კაცი იყავი, ვასია... მაგრამ ახლა მორალზე საუბრის დრო არ არის. იცი, ძალიან გამიჭირდება ჩემი ერთგული ადიუტანტის ციხეში ჩასმა. რამე უნდა მოვიფიქროთ.

— ნუ დამზოგავთ, ამხანაგო გენერალო. მე შებრალების ღირსი არ ვარ. როგორც წესდება გავალებთ, ისე მოიქეცით.

— წესდება, წესდება... ისეთებიც მინახავს, იმ წესდებით რომ წაუტეხიათ კისერი. ერთი სიტყვით, ასე მოვიქცეთ: იმათ ეტყვი, რომ აღარ გაძლევს ხელს ნაყაჩაღარის გადამზიდველის როლი. მით უმეტეს, როცა პასუხისმგებლობა დიდია და არც ანაზღაურებაა სახარბიელო. შესთავაზე, ან საქმეში სრული წილით გამიყვანთ, ანდა ხელები დამიბანიათქო.

— სხვა რომ გამოძებნონ?

— მაგაზე არ წავლენ. კიდევ ერთ კაცს არ გაიყვანენ საქმეში. თუმცა, შეიძლება შენი დაშინება სცადონ, მაგრამ მაგრად უნდა დახვდე...

— რითი შემაშინებენ, ალექსეი ნიკოლაევიჩ? ცოლს მომიკლავენ თუ შვილს? ხომ გახსოვთ, არც ისე მხდალი ვარ, მაგათ რომ ამიყვანონ...

— მახსოვს, ვასია... ისიც მახსოვს, ლვოვის მისადგომებთან რომ დაგვაყარეს გერმანელებმა, მთელი სხეულით გადამეფარე და რამდენიმე ჭრილობაც მიიღე. ახლა ჩემი რიგია. მე უნდა დაგიცვა... ასე რომ, წინ, კაპიტანო კამენევ. თუ ეს ბრძოლა მოვიგეთ, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ციხეში არ წახვალ — ამას კანონი ითვალისწინებს. თუ დავმარცხდით, ჩათვალე, რომ შენს საკანში მეც ვზივარ, რაკი მეგობრის დაცვა ვერ შევძელი.

— ვიცი, ვიცი, თქვენ ამ ბანდის აყვანა გინდათ. მეც ამაზე ვიმუშავებ, თუმცა ჩემს გადარჩენაზე მაინცდამაინც ნუ იზრუნებთ. რა მნიშვნელობა აქვს, ციხეში იქნება თუ მის გარეთ, ერთი ამოწყვეტილი, მარტოხელა ვასია კამენევი. მთავარია, თქვენ არ გაილანძღოთ ჩემ გამო. ახლა კი რახან დავალება მივიღე, აუცილებელი ფორმალობაც შევასრულოთ. ხელწერილს დაგიწერთ, რომ გაქცევას არ ვაპირებ და კვლავ თქვენს სამსახურში ვდგები, როგორც ოდესღაც.

— ხელწერილი არაა საჭირო. გენდობი, ვასილ არტიომიჩ. აბა, შენ იცი, არ გემშვიდობები. ახლა ხმა გაავრცელე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა თვითონ მოგძებნა და მოგიკითხა ყოფილი თანამებრძოლი. თორემ იმათ არაფერი გამოეპარებათ. ალბათ უკვე იციან, რომ ჩემთან ხარ.

და მართლაც, ვასია კამენევი ისე თავგამოდებით ამტკიცებდა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ახლობელი ვარო, რომ ბანდის წევრებმა დაუჯერეს — უეჭველია, ამ ახლობლობას შავ საქმეებში გამოიყენებს, სხვაგვარად ჩვენს გვარ-სახელებს ჩამოუკაკლავდა და აქამდე დაგვიჭერდნენო. გენერალმა ინაურმა კი სხვაგვარად გათვალა: ბანდის ყველა წევრი ერთდროულად უნდა აეყვანათ. თუნდაც ერთი კაცის გაქცევაც კი იმას ნიშნავდა, რომ დანარჩენები ყველაფერს გაქცეულს აჰკიდებდნენ და საქმის დასრულება გაჭიანურდებოდა. ამიტომ ქუთაისი ისე დატოვა, ვასიას ნაამბობის შესახებ სიტყვაც არ დასცდენია ხელქვეითებთან.

კამენევმა ორი კვირის შემდეგ დარეკა: „ძირითად შემადგენლობაში გადამიყვანეს. ზეგ სათვალიანის აბანოში გავგრილდებით, მერე კი მამის აგარაკს ვეწვევით, დანარჩენზე ხვალ საღამოს. დათქმულ ადგილზე დაგელოდებით.“

ღამის სამი საათი იყო. ამ დროს გენერალთან შინ მხოლოდ ცეკას პირველი მდივანი ან სამინისტროს პასუხისმგებელი მორიგე თუ დარეკავდა, მაგრამ ვასია სხვა იყო. ბანდის საქმეც რომ არა, ისედაც უყვარდა ეს კაცი ალექსი ინაურს. ოთხი წელი გვერდიდან არ მოსცილებია კამენევი. ერთი ჯამიდან ჭამდნენ და ერთ სადგომში ეძინათ.

— რას უნდა ნიშნავდეს სათვალიანის აბანო ან მამის აგარაკი? — ფიქრობდა ინაური და როცა გააცნობიერა, რასაც გულისხმობდა ვასია, ერთიანად აკანკალდა ეს გაუტეხელი მეომარი, — ნუთუ ასე გათავხედდნენ? ნუთუ ამას გაბედავენ? — იმეორებდა და ადგილს ვერ პოულობდა. ცდილობდა, თავი დაეჯერებინა, რომ ეს მხოლოდ მისი ვარაუდი იყო და მეტი არაფერი. მაგრამ, როცა ვასიამაც დაუდასტურა, ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც თქვენ გიფიქრიათო, გაშრა.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# „ყველა აფხაზური ტურისტული სააგენტოს უკან კრიმინალები დგანან“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ახლავე გეტყვით. აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქე, რომელსაც რუსეთის მოქალაქეობა სურს, საპასპორტო განყოფილებაში წარადგენს საბჭოთა სიმბოლიკიან პასპორტს. თუ ამგვარი პასპორტი არ გააჩნია პიროვნებას (ასეთი შემთხვევა ხშირია), მაშინ იგი წარმოადგენს ადგილობრივი მილიციის ორგანოების მიერ გაცემულ ფორმა №9-ს და რუსეთის მოქალაქეც გახდება. არავინ იკვლევს, რამდენად სწორია ფორმა №9-ის მისაღებად გაცემული მონაცემები. ანუ, თუ შენ ხარ რუსეთის მოქალაქე ვინმე ივანოვი, რომელმაც რუსეთის ტერიტორიაზე დანაშაული ჩაიდინე და როგორც ძებნილი თავს აფარებ აფხაზეთს, შეგიძლია სახლმმართველობაში საცხოვრებელი ადგილის მისამართი „იყიდო“. ამითაც ფულს აკეთებენ აფხაზები, მერე გამოგონილი სახელითა და გვარით წარდგები მილიციაში და მიიღებ რუსულ პასპორტს. ამის შემდეგ მშვიდად დაბრუნდები მშობლიურ რუსეთში. აფხაზებს ასევე შენახული აქვთ ძველი საბჭოთა პასპორტების სუფთა ნიმუშები, რაშიც დიდ ფულს აკეთებენ. ამ პასპორტში ძველი თარიღით ჩაწერენ შენთვის სასურველ მონაცემებს და... აი, ამას აკეთებს რუსეთის გამარტივებული საპასპორტო რეჟიმი აფხაზეთში. მეტსაც გეტყვით, ნორდოსტის ცნობილი ტერაქტის მონაწილე აბუბაქარს ჯიბეში აღმოუჩინეს სოხუმიდან წამოღებული პასპორტი, რომლის მიხედვით, ის რუსი მოქალაქე იყო. სინამდვილეში სოხუმში მოკლული რუსი მოქალაქის პასპორტში ჩააკრეს აბუბაქარის სურათი და ტერორისტიც ლაღად დასეირნობდა მოსკოვში, როგორც რუსეთის მოქალაქე.

**— ე.ი. დღესაც ჩვეულებრივად დადიან რუსეთსა და აფხაზეთს შორის ტერორისტები?**

— რა თქმა უნდა, მათი „რუსულად ლეგალიზება“ აფხაზეთში ხდება. ეს მშვენივრად იციან რუსებმა, მაგრამ არ ამბობენ, აბუბაქარის პასპორტის ამბავიც მიჩქმალეს. წარმოიდგინეთ, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში ვერ ამყარებენ რუსები კონტროლს, რუსეთში ყოველი ფეხის ნაბიჯზე ტერაქტები ხდება და აფხაზეთში შეძლებენ მღვრიე წყლის გაკონტროლებას? მათ სულაც არ სურდათ მიეღოთ ის, რაც აფხაზეთში დაემართათ, მაგრამ ქართველების მიმართ განხორციელებული ბოროტება ბუმერანგივით დაუბრუნდათ უკან.

**— რუსები თანამშრომლობას არ გთავაზობენ?**

— ნაკლებად. ცდილობენ, იმ საქმეებში არ ჩაგვახედონ, რაც მათ შეარცხვენს ჩვენს თვალში (და არა მარტო ჩვენს თვალში), მაგრამ ჩვენი ოპერატიული სამსახურების წყალობით ყველა ინფორმაცია, რასაც რუსები აფხაზებს (ან პირიქით) აცნობენ, ჩვენთანაც მოდის.

**— ბატონო ლევან, რითი ხსნით იმ ფაქტს, რომ რუსული სამშვიდობო ძალების ოფიცრები კრიმინალებთან არიან შეკრული და ამისთვის არ ისჯებიან?**

— ერთ რამეს გეტყვით და დასკვნა თვითონ გააკეთეთ. სამშვიდობო ჯარში ოფიცრებს კონტრაქტით იღებენ, მათ ამ კონტრაქტით დიდი ანაზღაურება აქვთ. მაგრამ ფულს ფაქტობრივად ვერ იღებენ. შეიძლება რუსეთის თავდაცვის სამინისტრო თანხას გზავნის, მაგრამ მას სამშვიდობო ძალების ჩინოსნები იჯიბავენ. მერე ოფიცრები ჩივიან, თან გასამრჯელოს „კომპენსაციას“ ეძებენ და კრიმინალებს ურიგდებიან ათასნაირ უბედურებაში. აფხაზეთიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადმომავალ კონტრაბანდაში რომ წილები აქვთ და ეს ყველაფერი მაგათი დაწყებულია, ამაზე ალარაფერს ვამბობ. ამ საქმეებიდან ოფიცრები ფულს თვითონაც შოულობენ და ზევითაც უხდიან უფროსობას.

ამიტომ გასაკვირი არცაა, მათი გაყვანის საკითხზე ლაპარაკის დაწყებისთანავე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები რომ იძაბება. ამ გაქსუებულ სამხედრო ჩინოსნებს მოსკოვში ლობისტები ჰყავთ. ისინი კონფლიქტური რეგიონებიდან, ყოველთვიურად, დიდ წილს იღებენ. როგორ ფიქრობთ, ეს ხალხი დაუშვებს შემოსავლის წყაროს მოსპობას? ან კიდევ, როგორ დასჯიდნენ ოფიცერ პავლოვს, რომელიც კოსოროგოვების საქმეში შესაძლოა ერთი უბრალო პაიკი იყო, სხვა სამხედრო ჩინოსანი კი...

P.S. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მოსკოვი თავს იწონებს აფხაზების მიმართ „ტოლერანტობით“ და აფხაზეთში საკუთარი მოქალაქეების სიმრავლით, ფაქტია, რომ ქაოსურ რეგიონში არა მარტო საქართველოს იურისდიქცია და კონსტიტუცია არ მოქმედებს, არამედ აფხაზებს რუსეთის ინტერესები და კონსტიტუციაც ფეხებზე ჰკიდიათ (უკაცრავად). იქაურ კრიმინალურ დე ფაქტო ხელისუფლებას მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებს, რამაც შესაძლოა, გაქრობის პირას მისული ეთნოსის საბოლოოდ პირისაგან მიწისა აღგვა გამოიწვიოს. არ არის გამორიცხული, საკუთარი „მოქალაქე“ აფხაზების უზნეობით და დაუმორჩილებლობით გაბრაზებულმა რუსეთმა ისევე სცადოს აფხაზების ჭკუაზე მოყვანა, როგორც ეს ჩეჩნეთში გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა კარგად იციან აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა.

*ეკა ლომიძე*



*საპარლამენტო ოპოზიცია ახალ პარლამენტში არცთუ კომფორტულად გრძნობს თავს. „ახლების“, „მრეწველების“ და კიდევ რამდენიმე არასახელისუფლებო პარტიის დეპუტაციის ხმა, ჯერჯერობით, საპარლამენტო უმრავლესობის ხმას ვერ ჯობნის. როგორც ჩანს, ამგვარმა მდგომარეობამ მთავარ მრეწველზე იმოქმედა —* ***გოგი თოფაძემ*** *პარლამენტიდან წასვლა გადაწყვიტა:*

# „თანახმა ვარ, 10 მინისტრს მხოლოდ ჩვენმა კომპანიამ გადაუხადოს ხელფასი“

## „ხელისუფლებამ წინამორბედივით გარე ძალებთან კუდის ქიცინი არ უნდა გააგრძელოს...“

— ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვიქნები თუ არა პარლამენტში. მთავარი ისაა, რომ ჩვენი გუნდი რჩება და დაწყებულ საქმეს გააგრძელებს. არ ვიცი, შეძლებენ თუ არა ამ შემადგენლობით პარლამენტში საკითხების გატანას, პარლამენტარების დარწმუნებას, რომ მძიმე მდგომარეობიდან დამოუკიდებელი ეკონომიკური და საკადრო პოლიტიკა გამოგვიყვანს. არა მგონია, ჩვენი აზრი გაითვალისწინონ, გაიგონ და იკამათონ მაინც. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ პარლამენტში საქმიანობაზე გული ამიცრუვდა. თუმც არის სხვა მიზეზიც — ჩვენს კომპანიას ბევრი საინტერესო ბიზნესპროექტი აქვს განსახორციელებელი, ეს კი დროს მოითხოვს.

**— როდესაც იმუნიტეტის მოხსნის საკითხზე მსჯელობდნენ, თქვენმა ფრაქციამ განაცხადა — არ შეიძლება ამ საკითხის ხელის გადაგრეხით გატანა პარლამენტშიო.**

— მოდი, დავაკონკრეტოთ — ეს ჩვენმა ფრაქციამ კი არა, ფრაქციის ზოგიერთმა წევრმა თქვა, კერძოდ, ახალმა მემარჯვენეებმა. მე და ჩემი თანაპარტიელები ვფიქრობთ, რომ პარლამენტარს იმუნიტეტი არ უნდა ჰქონდეს. თუმც ანგარიშგასაწევია „ახლების“ მოთხოვნაც — ოპოზიციონერს იმუნიტეტი სჭირდება, რათა მასზე ზეწოლა არ მოხდესო. ჩემთვის მიუღებელი იყო ამ საკითხის ნაუცბადევად გატანა პარლამენტში. იფიქრებდით, იმიტომ ჩქარობენ, რომ ვიღაც ჰყავთ დასაჭერიო. როდესაც საკითხი პარლამენტში დაისვა, სამართალდამცველები უკვე სახლთან ელოდნენ ზოგიერთს და გავიდა თუ არა საკითხი, ხუთ წუთში აიყვანეს.

თვითონ ვარ იმუნიტეტის წინააღმდეგი, მაგრამ არ შეიძლება საკანონმდებლო ცვლილებები კონკრეტული მიზნით, ვიღაცაზე ანგარიშსწორებისთვის განხორციელდეს. იმუნიტეტი არც მე მინდა და არც ჩემს თანაგუნდელებს, მაგრამ ზოგიერთ თანამდებობის პირს და ოპოზიციონერს კი უნდა ჰქონდეს.

**— მას შემდეგ, რაც ითქვა, შესაძლოა გოგი თოფაძემ პარლამენტი დატოვოსო, კულუარებში ალაპარაკდნენ, — მთავარ მრეწველს მალე ეკონომიკის მინისტრად ვიხილავთო.**

— არაფერი შემოუთავაზებიათ და ვიცი, არც შემომთავაზებენ. იმიტომ, რომ ჩვენს საკადრო პოლიტიკას, საუბედუროდ, დღეს უცხოელები მართავენ. ხელფასს უცხოელები იმიტომ გვიხდიან, რომ მორჩილი მინისტრები სჭირდებათ. ჩემი პოზიცია სავალუტო და სოროსის ფონდებისა და იმ დახმარებების თაობაზე, რომელიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციიდან მოდის, ყველასთვის ცნობილია — არ მომწონს. ამიტომ არავინ არაფერს შემომთავაზებს და რომც შემოეთავაზებინათ, უარს ვიტყოდი.

ხშირად გვესმის, სავალუტო ფონდი ჩვენზე წუხს და გვეხმარებაო. რა მივიღეთ ამ დახმარების შედეგად? ეს ფონდი მთელ მსოფლიოზე „წუხს“, მაგრამ ვერც ერთი განვითარებადი ქვეყანა ვერ წამოაყენა ფეხზე.

სავალუტო ფონდის წყალობით დაგვედო ამხელა ვალები, საიდანაც არაფერი არ მოხმარებია ეკონომიკის აღორძინებას. არც ერთ უცხოურ ორგანიზაციას არ სურს საქართველოს აღორძინება. სანამ მათი ზეგავლენის ქვეშ ვიქნებით, წინ ვერ წავალთ.

დღეს ახალი საგადასახადო კოდექსი მუშავდება. დარწმუნებული ვარ, ჩვენს აზრს არავინ იკითხავს. წინასწარ შევუთვალე, თუკი ეს საკითხიც სავალუტო ფონდთან უნდა შეათანხმოთ, მე და ჩემს თანაგუნდელებს ნუ დაგვიძახებთ-მეთქი. ჩემი ინფორმაციით, დაგეგმილია უმნიშვნელო შეღავათები სოციალურ და მოგების გადასახადზე. არავინ ფიქრობს, მოგებამდე როგორ მიხვალ ამ კოდექსით? სოციალური გადასახადი იმხელაა, მისი უმნიშვნელო შემცირება ვერაფერი შეღავათი იქნება. ასე რომ, საგადასახადო კოდექსის ცვლილებებისგან დიდ შედეგს არ ველით. უბრალოდ, ხელისუფლებას სალაპარაკოდ უნდა — აი, მეწარმეებს გადასახადი შევუმცირეთ, რეალურად კი ეს შეღავათი არ იქნება.

სოროსი რომ მართლა კეთილი კაცი და ანგელოზი იყოს, რუსეთში, ყაზახეთსა და უკრაინაში რატომ მოექცნენ ცუდად? რატომ უნდა უხდიდეს ჩვენს მთავრობას ხელფასს ის კაცი, ამას წინათ ვთქვი, ჩვენს მთავრობას ხელფასს ქართველი მეწარმეები გადავუხდით-მეთქი, ამაზეც ერთი ამბავი შეიქნა...

**— ითქვა, რომ ასეთ პირობებში ბიზნესმენებზე დამოკიდებული მთავრობა გვეყოლებაო.**

— მე ფონდის შექმნა შევთავაზე. ფონდი გადაუხდიდა ხელფასს მინისტრებს და არა ცალკეული ბიზნესმენი. ეს რომ გაეზიარებინათ, შევძლებდით ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. სოროსი ტყუილად არ იხდის. როდესაც ვიღაც ხელფასს გაძლევს, მოთხოვნასაც გიყენებს. სულ მალე ვნახავთ, რომ სოროსი ფოთის პორტის, რკინიგზისა და ქართული მიწების გასხვისებას მოგვთხოვს. ოღონდ ეს არ მოხდეს და მზად ვართ, ჩვენ დავაფინანსოთ მთავრობა. უკვე დაიწყო პიარი — ბიზნესმენებს უნდათ ხელისუფლების ხელში ჩაგდებაო. არ არის ასე. ჩვენ ფულს გადავიხდით, სტრატეგია პრეზიდენტმა და პრემიერმა შეიმუშაონ. ჩვენ არაფერში ჩავერევით, ვისაც უნდათ, მათვე დაუნიშნონ ხელფასი ფონდიდან.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)


რა უნდა ქნათ

თუ სისხლში HC-ვირუსი აღმოგაჩნდათ?

ნუ გადადებთ ექიმთან ვიზიტს მომავლისთვის

„ალერსიანი მკვლელი“ - ასე უწოდებენ C-ჰეპატიტს დრამატული ფინალის მქონე უსიმპტომო მიმდინარეობით.

დაიცავით ღვიძლი დაშლი

ამაში დაგეხმარებათ ნატურალური ჰეპატ

„სილიმარინი“



- იცავს ღვიძლის უჯრედებს ვირუსისა და ტოქსინების ზემოქმედებისგან
- ხელს უწყობს ღვიძლის უკვე დაზიანებული უჯრედების აღდგენა
- უზრუნველყოფს ღვიძლში დეტოქსიკაციის პროცესს.

ჯანმრთელი ცხოვრება – ბედნიერი ცხოვრება

ჯეოვიტი – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

Schiff 60

ჯეოვიტი GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

www.schiffvitamins.com




საქრისტიანო მოამბე

# ქუთაისში ხარების ეკლესიას „ასამართლებენ“ (?!)

ქუთაის-გაენათის მართლმადიდებლურ ეპარქიასა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა კავშირ „სავარდოს“ შორის ღვთისმშობლის ხარების ტაძრის თაობაზე დავას ბოლო არ უჩანს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქუთაისის საქალაქო და საოლქო სასამართლოების განჩინება, რომელშიც გარკვევით წერია, რომ განაჩენი საბოლოოა და იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება — ყველა ისტორიული წყაროსა და დოკუმენტაციის მიხედვით, ტაძარი მართლმადიდებელთა კუთვნილებაა, თუმცა კათოლიკეთა კავშირმა სარჩელი უზენაეს სასამართლოში მაინც შეიტანა. განაჩენს მოუთმენლად ელიან არა მხოლოდ სამღვდელოება და ტაძრის მრევლი, არამედ თითოეული მართლმადიდებელი.

მეუფე კალისტრატეს ეს დავა უდიდეს მკრეხელობად, ცოდვად მიაჩნია და ჟურნალისტებს უამრავ საბუთს წარუდგენს, რომელთა მიხედვითაც ტაძრის მართლმადიდებლური წარმოშობა უეჭველია...

ამაზე ფრანგი მოგზაურის დუბუა დე მონპერეს მიერ შესრულებული



*ხარების ეკლესია ქუთაისში*

ქალაქის გენერალური გეგმაც მიუთითებს (იგი 1833 წელსაა შედგენილი), სადაც მხოლოდ წმინდა სოფიას მართლმადიდებლური ტაძარი ჩანს.

1823 წელს, როცა საქართველოს არც მეფე ჰყავს, არც კათოლიკოსი და მას რუსული იმპერია მართავს, გამოდის ბრძანება, რომლის მიხედვითაც უნდა აშენებულიყო მხოლოდ ბაროკოსა და გოთური სტილის ტაძრები, ნიმუშად კი კიევის ლავრაა მოტანილი. ამ მიზნით რუსებმა წმინდა სოფიას ტაძრის გუმბათი მოანგრიეს (ამ დროს დაინგრა ეკლესიის გალავანიც) და ახლით შეცვალეს. XX ს-ის 50-იან წლებში კათოლიკე მისიონერებმა მაშინდელი მეუფე ალექსანდრესაგან მიიღეს ნებართვა ტაძრის მშენებლობისთვის.

კათოლიკეებმა ისარგებლეს მაშინდელი განუკითხაობით, წმ. სოფიას ტაძარს მიაშენეს პორტალი და მასზე ლათინური ასოები ამოკვეთეს. მგალობელთა აივანზე მესამე იარუსი დააშენეს, ტაძრის გვერდითა — ჩრდილო და სამხრეთ შესასვლელები ამოქოლეს და იქ მაცხოვრის, ღვთისმშობლის ქანდაკებები ამოკვეთეს.

„თუ მოვხსნით პორტალს, ლათინურ ასოებს, გავხსნით ამოქოლილ კარებს, მივიღებთ ბაროკოსა და გოთური სტილის მართლმადიდებლურ ტაძარს“, — ბრძანებს მეუფე კალისტრატე, რომელმაც ჯერ კიდევ 1989 წელს გააგზავნა უტყუარი საბუთები მოსკოვში სპეციალურ კომისიაზე გასატანად და დაუყოვნებლივ მიიღო დასტური ტაძრის ჭეშმარიტად მართლმადიდებლური წარმოშობის შესახებ და მასში წირვა-ლოცვის აღდგენის თაობაზე.

1990 წელს მეუფემ ეკლესია წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ხარების სახელზე აკურთხა და მასში მართლამადიდებლური წირვა-ლოცვა განახლდა.

*ცნობისთვის:* სადავო ტაძარში კათოლიკეები მხოლოდ 1939 წლამდე მოღვაწეობდნენ და 1990 წელს არც ერთი მათგანი არ გამოჩენილა, არც პროტესტი გამოუთქვამთ. ხმაური ამ საკითხზე რატომღაც მხოლოდ 2 წლის წინ ატეხეს, დაახლოებით იმ დროს, როცა საქართველოში სხვა რელიგიისა და მიმდევრობების წარმომადგენლებიც გააქტიურდნენ, რაც ჩემი აზრით, არა მგონია, შემთხვევითი იყოს. ხარების ეკლესიის წინააღმდეგ „გალაშქრება“ მხოლოდ ერთი ტაძრის „წაქცევის“ კი არა, მთლიანად მართლმადიდებლური რწმენის „დაჩოქების“ მცდელობაა, ხარების ეკლესიის დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია და რაც უფრო მალე მივხვდებით ამას, მით მალე „გაბრწყინდება იბერია...“

***ინგა ჯაყელი***

# ზედაზნელები

*ჩვენმა დიდმა მეოხმა დედა ღვთისამ, უბრძანა მამა იოანეს — მე-6 საუკუნეში მცხოვრებ მეუდაბნოე ბერს, თავის მოწაფეებთან ერთად წასულიყო საქართველოში და ეღვაწა ჭეშმარიტი რწმენისა და ბერმონაზვნობის განმტკიცებისათვის.*

მოწაფეთაგან არავის ეთმობოდა მოძღვარი, მაშინ სთხოვა მათ, ჩამოეწერათ თავიანთი სახელები და ტრაპეზზე დაედოთ, შემდეგ უფლისადმი ვედრებაში გაეთიათ ღამე და ღმერთის ნების გამოცხადებას დალოდებოდნენ. მეორე დღეს, ზიარების შემდეგ თვით უფლის ანგელოზის მეოხებით შეიტყვეს იმ მოწაფეთა სახელები, რომლებიც მოძღვარს უნდა ხლებოდნენ და რომლებიც მომავალში საქართველოში განიდიდნენ თავიანთი იმ ზედწოდებებით, სადაც მკვიდრობდნენ: **შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, ანტონ მარტყოფელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, სტეფანე ხირსელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, პირო ბრეთელი, ზენონ იყალთოელი და აბიბოს ნეკრესელი**.

## „მამაი ჩვენი იოანე გიბრძანებს“!

ძნელი და დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ ასურელი მამები მცხეთას მიუახლოვდნენ. სტუმრები დიდი პატივით მიიღეს კათოლიკოსმა და მეფემ. წმ. იოანემ საცხოვრებლად ზედაზნის მთა აირჩია, სადაც ძველ დროში იდგა კერპი ზადენისა და იწყეს მოღვაწეობა...

სულიწმიდის მადლით იოანეს ქართულად მეტყველების უნარი მიეცა და მან დაუბრკოლებლივ დაიწყო საუბარი იმ ენაზე, რომელიც მანამდე არათუ ესწავლა, არც კი გაეგონა.

...როდესაც ასურელმა მამებმა დასამკვიდრებლად ზადენის მთაზე დააპირეს წასვლა, არაგვი ადიდებული იყო და მასპინძლებს შეუძლებლად მიაჩნდათ მდინარის გადალახვა. მაშინ იოანემ მიმართა შიოს, ელოცა, რათა ღმერთს უვნებლად გადაეყვანა ისინი. შიომ ბრძანებისამებრ მორჩილად მოიდრიკა სამგზის მუხლი აღმოსავლეთისაკენ პირმიქცეულმა, ჯვარი გადასახა მდინარეს და წარმოთქვა: „მამაი ჩვენი იოანე გიბრძანებს, წყალო, რათა დაეყენნე სლვისაგან, ვიდრემდი წიაღ ვიდეთ იმიერ ხმელად“.

სასწაულებრივად შეჩერდა მდინარე. ვიდრე მამებმა, როგორც ხმელეთზე, ისე არ გადაიარეს მასზე. ამის შემხედვარე ერი მადლობდა ღმერთს, რომ სარწმუნოების ასეთი განმამტკიცებელნი გამოუგზავნა მათ.

ამჯერად მოგითხრობთ ასურელ



*წმ. ათცამეტი ასურელი მამა*

მამათა რამდენიმე სასწაულს, რომლებიც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მათ ღმრთივმოვლინებულობაზე.

## ჰაერში დაკიდებული ჭიქა

„მას ჟამსა შინა“ ნეტარმა იოანემ ზედაზენზე უხმო თავისთან მოწაფეებს — შიო მღვიმელსა და ისე წილკნელს.

მას შემდეგ, რაც ერთმანეთი საღვთო სიყვარულით მოიკითხეს, წმინდა იოანემ ღვინო მოითხოვა. როდესაც ილია დიაკონმა მოართვა ჭიქით, იოანემ ჯერ ჯვარი გამოსახა მასზე და შემდეგ ეს ჭიქა შემოდგა ჰაერზე. კარგა ხანს იდგა ასე ჭიქა და მხოლოდ მას შემდეგ მიმართა მოწაფეებს: „შთამოიღეთ ჭიქა ეგე აღსავსე ღვინითა და აკურთხეთ, რამეთუ ეპისკოპოსისა მიერ ჯერ არს კურთხევა“ — ეს ეპისკოპოსი ისე წილკნელი იყო. მაგრამ „მან ვერ შეჰბედა“. ამ უცხო სანახავის მხილველნი განცვიფრებას შეეპყრო — ჰაერში იდგა ღვინით სავსე ჭიქა!

მაშინ ნეტარმა ბერმა თვით ჩამოიღო ჭიქა, ისევ გადასახა ჯვარი და მიიღო სამივემ და მრავალმა იქ მყოფთაგან.

## მორჩილი მდინარე

იოანემ ახლა ისე წილკნელს მიხედა და მიმართა, როგორც ეპისკოპოსს: ახლა შენ გვაჩვენე შენი ძალაო. სულიწმიდის მადლით აღვსილი მოწაფე მორჩილებით წამოდგა, ზეცად აღაპყრო ხელები და დიდხანს მდუმარედ ევედრებოდა ღმერთს. შემდეგ მოძღვარს სთხოვა, ელოცა მისთვის და ღირს მამებთან ერთად გაემართა მდინარე ქსნისაკენ. აქ კიდევ ილოცა მან უფლისადმი და ღვთისმშობელს სთხოვა: „მოვედინ მადლი შენი, ჰოი, წმიდაო და ღვთივ მიმადლებულო დედოფალო, რათა წყალი ესე დამემორჩილოს და შემომიდგეს მე“.

დასცა წყალს კვერთხი იესო ქრისტეს სახელით და უბრძანა მიჰყოლოდა მას. მიდიოდა ის თავდაღმართში და მიჰყვებოდა მდინარე კაცთაგან ხელუხლებელი ეკლიან-ძეძვიანი ადგილებით ახალ კალაპოტში, ვიდრე წილკნის საყდრამდე არ მიიყვანა.

## გაშეშებული ხელი

წმინდა ანტონ მარტყოფელი, რომელიც მაცხოვარმა ასურეთიდან წამოღებული თავისი ხელთუქმნელი ხატის მფლობელობის ღირსყო, უკაცრიელ ადგილს მკვიდრობდა. მასთან ყოველ საღამოს, გარკვეულ დროს, მოდიოდნენ ირმები და თავიანთი რძით კვებავდნენ. ერთხელ ისინი უდროოდ მოვიდნენ დამფრთხალნი, უკან დაჭრილი ნუკრი მოსდევდათ — რა დაგმართნიათო — თვალით ეკითხებოდა ირმებს წმინდა მამა და ირმებმაც, გონიერი ადამიანივით, თვალის მოძრაობით ანიშნეს, რომ თავად უჩვენებდნენ, თუ მათ გაჰყვებოდა. მიჰყვა წმინდა ანტონი მათ კვალს და იხილა, რომ იქაური დაბა-სოფლის მთავარი ნადირობდა — ვინა ხარო? — ჰკითხა მან და, რადგანაც მამა ანტონმა სიტყვით ვერ გააგებინა, ხელით უჩვენა, თუ სად სახლობდა და რას საქმიანობდა. მაშინ მთავარი შეწყრა:

— მე შენი არ მესმის და რომელი ხელითაც მელაპარაკები, იმ ხელს მოგკვეთო!

ბრძანა, წაეყვანათ მჭედელთან და ხელი მოეკვეთათ მისთვის. მჭედელმა შანთი გაახურა, მაგრამ როგორც კი აღმართა წმინდანის ხელის მოსაჭრელად, დავარდა ძირს და თავისი საკუთარი ხელები შეშასავით გადაექცა. მომხდარით გაოგნებულ მჭედელს ენა ჩაუვარდა. წმინდა ანტონმა კი მას ჯვარი გადასახა და განკურნა.

როდესაც მიხვდა, რომ მის წინაშე მადლით შემოსილი კაცი იდგა, მთავარმა შემოირიგა მამა ანტონი და სულ მალე მთელ ახლობელ სოფლებს მოეფინა სახელი — ღვთისსათნომყოფელი კაცისა, რომელიც თავისი განუშორებელი ხატის შეწევნით უამრავი სასწაულით განადიდებდა შემოქმედ ღმერთს.

## რას გვეტყვი, მამაო?

**— ახლახან ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე ყური მოვკარი, რომ იუსტიციის სამინისტრო საქართველოს ყოველ მოქალაქეს აუღებს თითის ანაბეჭდს და ეს შევა საერთო ბანკში. ხომ არ არის ეს დაკავშირებული იმასთან, რისიც ასე გვეშინია — ანტიქრისტეს მოსვლის წინ, ეშმაკის ბეჭდით დაღდასმასთან?**

— სახელმწიფოს ხელისუფალი სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით უფლებამოსილია მოსახლეობის წინაშე გააკეთოს ესა თუ ის განცხადება, იქნება ეს საყოველთაო აღწერის, სისხლის გაღებისა თუ თითის ანაბეჭდის დაფიქსირება (და ა.შ.). სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს, რომ მოსახლეობა ამ განკარგულებას დაემორჩილოს. ეს ქრისტემ სახარებისეული სიტყვებით ასე განაჩინა — მიეცი კეისარს კეისრისა.

თუკი ხელისუფალი საკუთარ უფლებამოსილებას გამოიყენებს იმისთვის, რომ თავისი ხალხის სარწმუნოებას საფრთხე შეუქმნას, დედა ეკლესია ამას წინ აღუდგება და თავის სულიერ შვილებს გააფრთხილებს ამის შესახებ. მოცემულ შემთხვევას კი, ე.წ. ეშმაკის ბეჭედთან კავშირი არ აქვს.

**— 33 წლის ბიჭი გარდამეცვალა. ყველაფერს ჩემს თავს ვაბრალებ. რამდენჯერმე თავის მოკვლაც ვიფიქრე. ეკლესიაში დავდივარ, მაგრამ აღარაფრისა მჯერა, არც აღსარების, არც ზიარების, არც მკვდართა აღდგომის. მირჩიეთ რამე...**

— უპირველესად დედა ღვთისმშობელი წარმოიდგინეთ, რას განიცდიდა ის, როცა საკუთარი თვალით შეჰყურებდა, მის შვილს ჯვარზე როგორ აკრავდნენ. ასეთი ტკივილის შემდეგ ღვთისმშობელმა მაინც შეძლო ცხოვრებას დაბრუნებოდა, ჰყვარებოდა ადამიანები... იესოც 33 წლის იყო. დედა მარიამმა იცოდა, რომ მისი ძე მისი საკუთრება არ იყო. ის უფალმა მისცა და უფლის ნებითვე აღესრულა. ასევე, ღვთის კუთვნილებაა ჩვენი შვილების სიცოცხლეც. თქვენ უფალს გმობთ, თვითმკვლელობაზე ფიქრობთ და აღდგომას უარყოფთ, არადა, მთელი ჩვენი ცხოვრება ხომ სწორედ ამ აღდგომის, ანუ მეორედ მოსვლის სამზადისია. მოინანიეთ. რაც აქ დააკელით, მისთვის ლოცვით და მის სახელზე მოწყალების გაცემით აუნაზღაურეთ. აკეთეთ სიკეთე, — თქვენი შვილი ასეთი სახით ელოდება აქედან დედის დახმარებას. გვერწმუნეთ, თუკი თქვენ გულით გაიღებთ უფლისა და გარშემომყოფთა სიყვარულისთვის, იქ იგი უკეთ იქნება.

მის საფლავზე, მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში განუწყვეტლივ ანთია კან-




დელი. არ წყდება მომლოცველთა რიგი, რომელნიც სხვადასხვა მძიმე სენისგან იკურნებიან.

ამჯერად მორწმუნეებს საშუალება აქვთ გაეცნონ მამა გაბრიელის სამახსოვრო ფოტოებს, რომელიც გამოსცა მისმა სულელმა შვილმა ოთარ ნიკოლაიშვილმა.

ავტორის მოკრძალებული თხოვნაა, თუ ვინმეს მოეპოვება მამა გაბრიელის ფოტო ან ვიდეომასალა, დაუკავშირდნენ. (ტ. 899-94-60-24).

# ამაღლება



*ერწოს ხედი*

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წელს, ამაღლება დღეს, პირველად აღნიშნავს XV-XV საუკუნეებში სპარსეთში სარწუნოებისათვის მოწყვედილ ქართველთა ხსენებას. იმავე დღეს ფერეიდანში, ამაღლების მთაზე, იმ ადგილას, სადაც წმ. გიორგიმ სასწაულებრივად იხსნა ქართველნი, მივლენ ფერეიდნელი გურჯები, აანთებენ სანთლებს და უფალს შეავედრებენ დიდ საქართველოს. ამ მისტიკურ წამს უხილავად შეერთდება ზეციური და მიწიერი ქართველობა და მათი წმინდა ლოცვა როგორც „ზეითგამოქსილი“ მადლის კვართი, როგორც ჯაჭვის პერანგი შემოერტყმება მთელ საქართველოს.

იმ ავბედით ჟამს, XV-XV საუკუნეებში, სპარსეთში ძალით გადასახლებულ ქართველთა შორის 30.000 ერწო-თიანელი იყო. წმ. ნინოსეულ ემბაზში განათლულნი, ულამაზესი ქალ-ვაჟნი „ზოლეიხას სილამაზის მქონე ქალწულები, უწვერული, იოსებ მშვენიერის ლაწვებიანი, ხალებით დამშვენებული ვაჟები და ბავშვები“... ერი და ბერი, წმ. გიორგის ყმები. უამრავი მათგანი სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის მოწყდა, რამეთუ „ხატად ჰყავ, სალოცავ ხატად, მთიელთ სამშობლო თავისა“. ნეტავ სად არის ახლა მათი წმინდა საფლავები, რომ მივიდეთ და როგორც „ხატს სამთხვევლად დავეღიროთ“... ისე გავერანდა მაშინ ერწო-თიანეთი, რომ ლამის ერთი საუკუნე ფეხზე ვეღარ წამოდგა... გავიდა ხანი, ერწო-თიანეთში ნელ-ნელა დაიწყეს ჩამოსახლება მთიელებმა, ფშავლებმა, ხევსურებმა. გაქრა ერწო-თიანური დიალექტი, ნაწილობრივ შეიცვალა ტოპონიმიკაც... კიდევ ერთი განსაცდელი ერწოს თავს საბჭოთა საქართველოს პერიოდში დაატყდა. მაშინ ნაწილი ერწოელებისა აყარეს და გარე კახეთში გადაასახლეს, ხოლო მათ ნამოსახლარზე იორი დააგუბეს — ასე წარმოიქმნა სიონის წყალსატევი. წყალსატევმა დაფარა სოფლები, სახლები, საფლავები, ეკლესიები და თვით ერწო-თიანელთა ნათლობის ემბაზი — ჟალეთიც. თითქოს ჩვენს წარსულს მტვერი მიეყარა, თითქოს დავიწყების წყალსატევმა დაფარა ერწო-თიანეთის ისტორია, მამულისთვის მუდამ ერთგულ და თავდადებულ ქართველთა ისტორია...

მაგრამ, არა — მოხედა უფალმა თავის ერს. 2003 წლის 18 აგვისტოს, წმინდა სინოდის განჩინებით, წმინდანად შეირაცხნენ სპარსეთში სარწმუნოებისთვის მოწყვედილი ქართველები — მათ შორის ერწო-თიანელნიც და წმინდა მოწამეებმა იმავე დღესვე მოახდინეს (ჩვენი აზრით) პირველი სასწაული — გამოითხოვეს ღვთისგან თავის სამშობლო-კუთხისთვის, მონატრებული ფშავ-ხევსურეთისა და ერწო-თიანეთისთვის საკუთარი საეპისკოპოსო და ეპისკოპოსი, რამეთუ იქ ზეციური საქართველოდან ისინი უკეთ ჭვრეტდნენ ჩვენს სულიერ სიდუხჭირეს, გავერანებულ და განადგურებულ, კაცთაგან ლამის დაცარიელებულ ფშავხევსურეთსა და ერწო-თიანეთს.

რამდენი საღვაწი დახვდა ახალ ეპარქიაში, მის პირველ ეპისკოპოსს მეუფე იეგუდიელს. არც საკათედრო ტაძარი, არც რეზიდენცია, ამხელა ეპარქიაში — ერთადერთი მღვდელი. ამგვარია ფშავ-ხევსურეთისა და ერწო-თიანეთის ისტორიის თავფურცელი. მაგრამ იმედია, დიდი ჰყავს ამ მხარეს თავისი მეოხნი, წმ. გიორგი, წმ. მეფე არჩილი და სპარსეთში მოწყვედილი ქართველნი. და ჩვენც, ამ ეპარქიის შვილნი, გარინდებულნი წმ. მოწამეთაგან თითქოს ახალ სასწაულს ველით: როცა აღორძინდება ჩვენი მხარე, აღდგება და აშენდება ეკლესია-მონასტრები, მათ შორის იქნება ალბათ სპარსეთში მოწყვედილი მოწამეთა სახელობისაც. ახმაურდება ხახმატის, გუდანის, ლაშარის, წმ. მეფე არჩილის მონასტრის ზარები, როცა ერი და ბერი ამ ეპარქიისა, ერთი მწყემსი და ერთი სამწყსო იქნება... ნეტავ სულ მუდამ ასე ღმერთსა და ჩვენს მოწამე წინაპრებს „ვებარებოდეთ და ვეყვარებოდეთ“ დანო და ძმანო ფშავ-ხევსურნო და ერწო-თიანელნო.

დაბოლოს, ერთი ლოცვა გვინდა გავიხსენოთ მამა იოანე ხელაშვილის შედგენილი: „ეძიე ადონაი უფალო სისხლნი ივერიისა, დანთხეულნი მირიან მეფითგან ვიდრე აქამომდე და გამოიყვანე ერი იგი ქართველი ფერეითგან (ფერეიდნიდან)“. ამენ!

***კახაბერ კენკიშვილი***

*გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ*

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა** **იხ. გვ. 36.**



# „ახალ პარლამენტში დიდ პატივში ალბათ არ ვიქნებით“

*მიუხედავად იმისა, რომ აბაშიძე ნირს არ იცვლის და ტელეკამერების წინ წონასწორობას ინარჩუნებს, მისი სკამი რყევას განაგრძობს. პრობლემებისთვის თვალის არიდება აჭარის ლიდერის საქმეს ვერ შველის. იგრძნობა, რომ გარეგნული სიმშვიდე მხოლოდ და მხოლოდ პოზაა, ამით აბაშიძე საკუთარი, არცთუ სასიკეთო მდგომარეობის შენიღბვას ცდილობს. თბილისში ჰგონიათ, შეშინებულნი ომისთვის ვემზადებითო, ღიმილნარევად ამბობს აბაშიძე და „მშვიდობიანობის“ დასტურად ამერიკული „ჰამერებით“ „კატაობს“...*

*ასლან აბაშიძე დღეს ძველებურად წელგამართული ვერ არის. სააკაშვილისთვის ის ერთი „არცთუ დალაგებული“ კაცია, რომელიც გამუდმებით პრობლემებს უქმნის ქვეყანას. არც ის მოსწონს, რომ ავტონომიის ლიდერი მოღალატეებს მფარველობს და ურჩობას უბედავს... ერთი სიტყვით, სააკაშვილსა და აბაშიძეს ბევრი აქვთ სადავო და გადასაწყვეტი. დუელს როგორი ფინალი ექნება, მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი ახალარჩეულ პარლამენტში „აღორძინების“ დეპუტატები გამოჩნდნენ. შუახევის მაჟორიტარს,* **ვახტანგ აბაშიძეს** *რამდენიმე კითხვით მივმართეთ:*

— **ასლან აბაშიძის განცხადების შემდეგ — პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობას არ მივიღებთო — მოულოდნელი იყო სხდომაზე აჭარის მაჟორიტარების გამოჩენა. რა მოხდა, რატომ შეიცვალა მან აზრი?**

— ბატონი ასლანი არასდროს ეწინააღმდეგებოდა აჭარის დეპუტაციის მუშაობას პარლამენტში. ეს ჭორი განგებ გაავრცელეს. მრავალრიცხოვანი ვიქნებით თუ მცირერიცხოვანი, ჩვენ მაინც გავაკეთებთ იმას, რაც დეპუტატის მოვალეობას შეადგენს — დავიცავთ ჩვენი სამშობლოს ინტერესებს, საქართველოს მთლიანობასა და სიმშვიდეს.

— **აჭარიდან მაჟორიტარებად არჩეულები ჯემალ გოგიტიძე და როსტომ ჯაფარიძეც არიან, ისინი რატომ არ ესწრებიან პარლამენტის სხდომას?**

— ვერაფერს გეტყვით... რაღაც შეფერხებები არის, მაგრამ, როდესაც ყველაფერი გაირკვევა, უთუოდ მიიღებენ პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობას. თუ საქართველოს ხელისუფლებასა და პარლამენტს სურთ აჭარის ავტონომია აქტიურად მონაწილეობდეს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში და ქვეყნის მართვაში, ჩვენც ამის მომხრენი ვართ... თუკი ამის საშუალებას მოგვცემენ.

— **უახლოეს ხანში აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელის შეცვლას არ ელოდებით?**

— ბატონი ასლანის შეცვლას არ ველი, მაგრამ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ უთუოდ მოხდება ცვლილებები აჭარის ხელისუფლებაში. ვადამდელი არჩევნები და ვადამდელი ცვლილებები ჩემთვის მიუღებელია.

— **ასლან აბაშიძის გარემოცვის რამდენიმე წევრს სამშობლოს ღალატის ბრალდება წაუყენეს. თუნდაც ეს ფაქტი შეიძლება გახდეს მასთან მიდავების საბაბი.**

— მძიმე ცოდვაა ადამიანს სამშობლოს ღალატი დასწამო. აჭარის ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელები სამსახურიდან დათხოვას მიიჩნევენ უსამართლოდ, თორემ თუ სამშობლოს რამე დაემუქრება, ყველანი ერთად დავდგებით მისი ინტერესების დასაცავადო. სამშობლოს მტრად შერაცხულმა მეთაურებმა არ მგონია, ვინმეზე ნაკლებად დასდონ თავი საკუთარი ქვეყნისთვის.

— **მაგრამ პრეზიდენტი ასე არ ფიქრობს. გამორიცხავთ, რომ დუმბაძის დასაკავებლად, რომელიც თბილისში ჩასვლასა და ახსნა-განმარტების მიცემაზე უარს ამბობს, ოპერაცია ჩატარდეს?**

— არ ვურჩევდი ბატონ პრეზიდენტს აჭარაში ძალისმიერი მეთოდებით ოპერაციის განხორციელებას. ეს ჩემი კეთილი რჩევა და სურვილია. ასეთი ქმედება შეიძლება ცუდად დამთავრდეს. პრეზიდენტი ამბობს, აჭარის მოსახლეობა მხარს მიჭერსო, მაგრამ თუ იქ ვინმე გაისვრის, შენსას და სხვისას ტყვია აღარ გაარჩევს. ძალისმიერი მეთოდების გამოყენება აჭარაში არ შეიძლება...

— **პარლამენტის სხდომაზე როგორი განწყობით მოხვედით? როგორ დამოკიდებულებას გრძნობთ სხვა დეპუტატებისგან?**

— არც მალავენ და თქვენც დაინახავთ ჩვენ მიმართ დამოკიდებულებას. ცალ-ცალკე ყველა კარგია. დეპუტატები ერთმანეთს კარგად შევხვდით, მაგრამ ერთად როცა იკრიბებიან, მაშინ სხვა აზრებს გამოთქვამენ და ეს არ მომწონს. ახალარჩეულ პარლამენტში ალბათ დიდ პატივში არ ვიქნებით, მაგრამ კაცს თუ საქმის გაკეთება უნდა, ხის ძირშიც რომ დასვან, მაინც გააკეთებს. თუ მოგვცემენ მუშაობის საშუალებას, ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ.

— **ამბობენ, ის 4 დეპუტატი რომელიც პარლამენტის სხდომებს ესწრება, აჭარის ლიდერს გადაუდგა და სააკაშვილის მხარეს აპირებენ გადასვლასო.**

— უსაფუძვლო და სასაცილო ჭორია. ჩვენ ბატონი ასლანის გუნდში ვართ და ვიქნებით. ყველას ვთხოვ, შეურაცხყოფას ნუ მოგვაყენებენ ნურც ჩვენ და ნურც სხვას.

— **თქვენი აზრით, როგორ განიმუხტება სააკაშვილსა და აბაშიძეს შორის არსებული დაძაბულობა?**

— უპირველესად მასმედიის საშუალებებმა უნდა შეწყვიტონ ორივე მხარის პროვოცირება. ორივე ხელისუფალი ცალკე დაჯდეს და მოილაპარაკოს... და არა საჯაროდ. ბატონი ასლანი კი არის პრინციპული კაცი, მაგრამ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ უკან დახევაც შეუძლია. ამის გაკეთება პრეზიდენტმაც უნდა შეძლოს. მხოლოდ წინ სვლა შეუძლებელია, თუ მხოლოდ წინ იყურე, შესაძლოა ფეხი რამეს წამოჰკრა.

***მარი ზანდუკელი***

# იქნებ ქალღის თავი რკინიგზაშია დამალული?!

***(დასაწყისი იხ. გვ. 10)***

ბანდა ბერიას აბაზანებში (ასე უწოდებდნენ იმ წლებში წყალტუბოს მეექვსე თუ მეშვიდე სააბაზანო კომპლექსს) პატარა ქეიფის გამართვას აპირებდა. ეს ალიბისთვის სჭირდებოდათ ბანდიტებს. ლხინის დროს რამდენიმე კაცი უკანა ფანჯრიდან გადაძვრებოდა და მსოფლიო პროლეტარიატის მამის, იოსებ სტალინის აგარაკს გაძარცვავდა. ამას ის მოჰყვებოდა, რომ საკავშირო სუკ-ი ჯერ ალექსი ინაურს დაადებდა ბორკილებს, შემდეგ ცკ-ის მდივნებსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, — დამნაშავეობასთან ბრძოლაში გამოჩენილი უსუსურობისათვის.

ამის წარმოდგენაზე ისე გააჟრჟოლა, იფიქრა, ალბათ წუხელ გავცივდიო, მაგრამ მალევე მიხვდა, რა ციებაც სჭირდა.

— მაშასადამე, ხელთათმანი გვესროლეს! კი, ბატონო, ვიღებთ გამოწვევას. სულ რამდენი იქნებით, ვასია?

— ჯერ არ ვიცი. ზოგიერთს არც ვიცნობ. ამ ქეიფს ერთი მიზანიც აქვს — ჩემი წარდგენა ბანდის წევრებთან.

— კარგი... რაც მეტი იქნებით, მით უკეთესი. დაიმახსოვრე, როცა შენს დაჭერას შეეცდებიან, ადვილად არ დანებდე. ოღონდ იარაღი არ იხმარო. დანარჩენი მე ვიცი.

## ბანდის დასასრული, ანუ გაამოთ

ალექსი ინაური ბანდის აყვანას დანაშაულის ფაქტზე აპირებდა, მაგრამ ამჯერად ეს არ გამოვიდოდა. ბელადის აგარაკის ყაჩაღობის ობიექტად მოხსენიება თვითმკვლელობას ნიშნავდა და მანაც იქვე, სააბაზანოს ახლოს გადაწყვიტა მათი დაკავება. ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა სააბაზანოში, შიშვლების აყვანა, უიარაღოდ და უხმაუროდ, მაგრამ ვასია გაიშიფრებოდა და უთუოდ მოკლავდნენ იმ უბედურს...

...ის იყო, ბანდიტთაგან პირველი ფანჯარაში გადაძვრა, რომ იმავე ფანჯრის მეორე, დახურულ ნახევარზე ვასიას ხელი გამოჩნდა. მას ხუთივე თითი გაეშალა და ამით ამცნობდა გენერალს, აბაზანაში სულ ხუთნი ვართო. მალე ხუთივე გადაძვრა ფანჯრიდან. ფეხაკრეფით გაიარეს გაზონებით დამშვენებული ეზო და დასავლეთით, ქუჩის პირას შექუჩდნენ. აქ მათ აგარაკზე შესაღწევად საჭირო ძალაყინები, რკინის საკვნეტები და სხვა იარაღი ჰქონდათ გადამალული. ატამანმა (ეს ბანდის არა მარტო მოთავეობის აღმნიშვნელი, არამედ მეტსახელიც გახლდათ) ბოლო მომენტში შეცვალა სამოქმედო გეგმა — ხუთივენი დაეცემოდნენ ბელადის აგარაკს. რამდენიმე წუთში მოათავებდნენ საქმეს და ისევ იმავე გზით დაბრუნდებოდნენ სააბაზანოში, რომლის კარიც შიგნიდან იყო დაკეტილი მომსახურე პერსონალისთვის. ან კი რა მომსახურე პერსონალზე იყო ლაპარაკი — დარაჯს ორი თუმნიანი შეაჩეჩეს და მანაც უყოყმანოდ შეუშვა სააბაზანოში „მობანავეები“. ასე რომ, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე იყო... მაგრამ საიდან გამოტყვრა ეს მთვრალი რუსი (ვითომ შემთხვევით)... ეტყობოდა, ვასია თავისიანად მიიღო და სპირტით სავსე ნახევარლიტრიანით უპირებდა გამასპინძლებას. ვასიამ „ითმინა, ითმინა“ და მერე ისეთი ალიყური აჭამა, ცხვირით ათხრევინა გაზონების ჯერ კიდევ დაუბარავი მიწა. ლოთმა წამოდგომა ველარ შეძლო, მაგრამ ისეთი ხმით აღრიალდა, „Помогите, помогите“, რომ მილიციის ღამის შემოვლების ჯგუფის „ყურამდე მიაღწია“ მისმა ყვირილმა და თვალის დახამხამებაში მოჩხუბრებს გარს მილიციელთა მოზრდილი ჯგუფი შემოერტყა. უხმაუროდ გაბაწრეს ყველანი. მართალია, ვასიამ და ატამანმა თავგანწირვით იომეს, მაგრამ ამაოდ. ატამანს იარაღი არ უხმარია, ფიქრობდა, ჩხუბისთვის მილიციაში მიგვიყვანენ, დაგვაჯარიმებენ და გაგვიშვებენო, მაგრამ მეორე დილით მათი ძალაყინები და რკინის საკვნეტები, ბუჩქებში გადაყრილი ცეცხლსასროლი იარაღიც იპოვეს, საქმეს ციმბირის სუნი აუვიდა. ვასიას გარდა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ შემთხვევით ჩაცვივდნენ...

ამჯერადაც უძინარი ალექსი ინაური კი მოსკოვს ბანდიტების ჯგუფის აყვანას უპატაკებდა და არც იმის თქმა დავიწყებია, ერთ-ერთი შემთხვევით აღმოჩნდა მათ შორისო.

***ვაჟა გავაშელი***

***(გაგრძელება იქნება)***

# კომპანია იმპერიალი BBDO – გამარჯვებული მსოფლიო ასპარეზზე

სარეკლამო კომპანია იმპერიალმა კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა: ჟენევის მე-6 საერთაშორისო ხარისხის კონვენციის გადაწყვეტილებით, კომპანია იმპერიალ BBDO-ს მიენიჭა საუკუნის მსოფლიო ხარისხის ჯილდო „Century International Quality Era Award“. გასული წლის მარტში კი საინვესტიციო ბანკ „THE GALT & TAGGATR SECURITIES LLC“ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე სარეკლამო კომპანია იმპერიალი BBDO შევიდა საქართველოს 75 საუკეთესო ქართულ კომპანიათა რიცხვში.

12-წლიანი არსებობის მანძილზე სარეკლამო კომპანია იმპერიალი ყოველთვის მოწინავე პოზიციებზეა და ქართული სარეკლამო ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მას სარეკლამო მომსახურების სრული სპექტრი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიაში მისული დამკვეთი უზრუნველყოფილია სერვისის ერთიანი პაკეტით. დასავლურ პრინციპებზე ორიენტირებული სარეკლამო მომსახურება (full service) კომპანია იმპერიალისათვის დაარსების დღიდანვე მთავარი პრიორიტეტი იყო, რამაც მოგვიანებით განაპირობა კიდეც მისი მსოფლიოში პირველი საერთაშორისო სარეკლამო კორპორაციის BBDO-ს ქსელში გაერთიანება.



დაჯილდოების ცერემონიას ჟენევაში ესწრებოდა სარეკლამო კომპანია იმპერიალის გენერალური დირექტორი ბ-ნი კახა კუპატაძე, რომელსაც B.I.D - ის პრეზიდენტმა ბ-ნმა ხოსე ე. პრიეტომ უშუალოდ გადასცა პრიზი. მანვე აღნიშნა, რომ კომპანია იმპერიალი BBDO–ს მოხვედრა გამარჯვე-




*კომპანია იმპერიალ BBDO-ს გენერალური დირექტორი კახა კუპატაძე და B.I.D.- ის პრეზიდენტი ხოსე ე. პრიეტო.*

ბულ კომპანიათა შორის განპირობებულია კომპანიის მომსახურების საერთაშორისო დონით და განახლებისაკენ მუდმივი სწრაფვით.

ჟენევის მე-6 საერთაშორისო ხარისხის კონვენციის გადაწყვეტილებით, საუკუნის ხარისხის პრიზით კომპანია იმპერიალ BBDO-სთან ერთად დაჯილდოებულ კომპანიათა რიცხვში არიან ისეთი მსხვილი და სახელგანთქმული კომპანიები, როგორებიცაა: ÐÀÎ „ÅÝÑ Ðîñèè“ (რუსეთი) „DUBAI DUTY FREE” (არაბთა გაერთიანებული საამიროები), hurst parnell & co. (დიდი ბრიტანეთი), TMS (საფრანგეთი) და სხვა მრავალი.

იმედი გვაქვს, სარეკლამო კომპანია იმპერიალი BBDO კიდევ არაერთხელ მოიპოვებს საერთაშორისო აღიარებას.

Ⓡ


ღია კარის დღე ამერიკულ აკადემიაში

5 მაისს, 17 საათზე ამერიკულ აკადემიაში ჩატარდება ღია კარის დღე 2004-2005 სასწავლო წელს მე-9 კლასში სწავლის გაგრძელების მსურველებისა და მათი მშობლებისათვის.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 37ა (ახალი ეკლესიის უკან). დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: 22 74 41; 22 78 89



პრესის ქვეშ? –

როგორ დავაღწიოთ თავი სტრესს!

სუპერ B-კომპლექსი –

მხოლოდ ნატურალური კომპონენტებისგან

დაგიბრუნებთ სულიერ ჰარმონიას

- არეგულირებს ნერვული სისტემის ფუნქციონირებას
- მოგაცილებთ შფოთვას, უგუნებობას, ადვილად დაღლილობის შეგრძნებას
- აუმჯობესებს ძილის ხარისხს
- გავლენას არ ახდენს ავტომობილის მართვის უნარზე

გიხაროდეს ყოველი დღე!




სუპერ B-კომპლექსი

ჯეოვიტი – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

Schiff 60

ჯეოვიტი GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

www.schiffvitamins.com

# ასლან აბაშიძე: ყველაფრის თავიდათავი ყმაწვილი ლიდერების ახირებაა



საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და რეგიონის ლიდერის დაპირისპირება კურიოზამდე მივიდა: ბათუმს ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაც კი აუკრძალეს, მაგრამ ამას უფრო რთული პოლიტიკური სარჩული უდევს. როგორც **ასლან აბაშიძე** ამბობს: — ეს ყმაწვილი ლიდერების ახირებაა, რომლებიც ხელისუფლებაში ანგარების მიზნით მოვიდნენ. ისინი ცდილობენ, შეცდომაში შეიყვანონ ჩვენი და სხვა ქვეყნების მოსახლეობა. ზოგს სჯერა ამის, ზოგსაც არა, მაგრამ ცენტრი ბუმერანგულ დარტყმას მიიღებს.

— **ცენტრი აჭარის მოსახლეობაში იარაღის დარიგებაში გადანაშაულებთ. ამბობენ, რომ ავტონომიის ტერიტორიაზე ნარკოტრასაა გადის...**

— ჩვენ ამ ტრასის 60-ოდე კილომეტრი გვეკუთვნის, ნარკოტიკები კი საქართველოში 500-კილომეტრიანი გზით გადის. ამას მიხედოს ცენტრმა. ჩვენთან ეს საკითხი მოგვარებულია. საქართველოში ნარკოტიკებთან ბრძოლაში არასოდეს არავის ჰქონია ისეთი წარმატება, როგორც ჩვენ. თურქეთის სამსახურებთან ერთად, სხვადასხვა დროს, ტონობით ნარკოტიკი აღმოვაჩინეთ. ახლა ნარკოტიკი აჭარის გარეთ უნდა ეძებონ. თუ ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ იცის, ან არ სურს იცოდეს, საქართველოში სად აწარმოებენ ნარკოტიკს, რა გზებით მოდის აქამდე, ჩვენ ვიცით. ამიტომაც ამის დაბრალება ჩვენთვის არ შეიძლება. საქართველოში არც ერთ ხელმძღვანელს არ რგებია ის პატივი, რაც ასლან აბაშიძეს, რომელსაც ნარკოტიკებთან ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციამ გმირი უწოდა. ამ დოკუმენტს სამმა ქვეყანამ — რუსეთმა, ინგლისმა და აშშ-მა — მოაწერა ხელი. მე ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლმა ჯონ ტრავოლტამაც დამაჯილდოვა.

— **იარაღზე რას იტყვით?**

— ხუთი წლის წინ გვაბრალებდნენ — ირანისთვის ყველაზე თანამედროვე წყალბადის ბომბის დამზადებას. ახლაც ზღაპრებს იგონებენ. აჭარაში არასოდეს უწარმოებიათ და არც გაუყიდიათ იარაღი... ის, რაც მოსახლეობას აქვს — სამოქალაქო ომის შედეგია.

— **სად არის გამოსავალი, იქნებ ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის დოკუმენტში?**

— თითქოს მივეჩვიე ყველაფერს. საქართველო ოდითგან ასე ცხოვრობდა. ეტყობა, ეს ჩვენი ეროვნული თვისებაა. საქართველოში სიმშვიდე არასოდეს ყოფილა. ცენტრი რეგიონებს არბევდა, რეგიონები — თავს იცავდნენ. ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე. ბოლო უნდა მოვუღოთ ამას. სახელმწიფოს მოწყობის ისეთი ფორმა უნდა შევიმუშავოთ, რომ ველარავინ შეძლოს ისტორიის ბორბლის უკან დაბრუნება.

— **თუ ცენტრი განიარაღების პრობლემის მოგვარებას თავად გადაწყვეტს, მაშინ?**

— ვნახოთ, ალილო და ხვალეო...

— **თქვენ რომ გისმენთ, ძნელია იმის დაჯერება, თითქოს საქართველოდან წასვლას და ემიგრაციაში მთავრობის შექმნას აპირებდეთ.**

— ვინც ამ ჭორს ავრცელებს, ეტყობა, თვითონ იმზადებს ამ პლატფორმას. აბაშიძემ ისტორიაში შესასვლელი პლატფორმა მოამზადა.

— **თქვენ მაინც დაიჟინებთ ბათუმში ჭადრაკის ჩემპიონატის ჩატარებას?**

— ეს საერთაშორსო საზოგადოებრიობაზეა დამოკიდებული, რომელიც ალბათ დარწმუნდა, რომ ყველაფერი, რაც აჭარაში კეთდება, ცენტრალური ხელისუფლებისთვის მიუღებელია. ეს, სხვა არაფერია, თუ არა შური და სიძულვილი, რომელიც მანამდე არ ალმოიფხვრება, ვიდრე არ გამოჩნდებიან მამულიშვილები, რომელთაც ერთი მიზანი ექნებათ — აკეთონ სიკეთე, ააღორძინონ და ააყვავონ ქვეყანა.

***ბი-ბი-სი***

# „აბაშიძის კლანი — ბოროტმოქმედების, მკვლელების და ნარკობარონების ბანდაა“

22 აპრილს გაიმართა საქართველოს პარლამენტის პირველი სხდომა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია , მთავრობა და საქართველოში აკრედიტებული ელჩები ესწრებოდნენ. პროტესტის ნიშნად სხდომას არ დაესწრო 6 მაჟორიტარი დეპუტატი აჭარის რეგიონიდან. ლეიბორისტულმა პარტიამ სარჩელი შეიტანა უმაღლეს სასამართლოში პირველი სხდომის აკრძალვის მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. ლეიბორისტების ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა, საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართა და მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების მიტაცებაში დაადანაშაულა. მისმა მომხრეებმა კი, პარლამენტის სხდომის დაწყების წინ, რუსთაველის პროსპექტზე, საპროტესტო აქცია გამართეს. ხელისუფლება არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულეს პარლამენტს გარეთ დარჩენილმა ოპოზიციურმა პარტიებმაც (ნაციონალ-დემოკრატიული პარტია — ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, სოცპარტია, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი) და განაცხადეს — ახლანდელი პარლამენტი უკანონოაო. მიუხედავად ამისა, ოპოზიციამ ხელისუფლებას ზეიმი ვერ ჩაუშხამა. პარლამენტის შენობასთან ჩამწკრივებული საპატიო ყარაული ზალპით მიესალმა სესიის დაწყებას. ცესკოს თავმჯდომარემ, დიმიტრი ქიტოშვილმა, პარლამენტარებს არჩევნების შედეგები მოახსენა. მან მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, — 235 დეპუტატიდან 7-ს ნარკოლოგიური ტესტი არ გაუვლია, ამიტომ, კანონის მიხედვით, მათი უფლებამოსილება შეჩერებულია ტესტის გავლამდეო.



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მკვეთრი განცხადებები გააკეთა აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის მიმართ. მან აჭარის ხელისუფლებას „კრიმინალური კლანი“ და „ნარკობარონები“ უწოდა და მასთან შეურიგებელი პოზიციის დაკავება მოითხოვა. ამ დამნაშავეების, მკვლელების და ნარკოდილერების ბანდას აჭარელთა ინტერესები არ ადარდებსო, — თქვა.

შემდეგ პრეზიდენტი საერთაშორისო ურთიერთობებს შეეხო: — საქართველოს მომავალი ევროსაბჭოში გაერთიანებაშია. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია რუსეთთან კავშირის განმტკიცება, ამასთანავე, ურთიერთობის დამყარება არა მარტო ევროპის ქვეყნებთან და ამერიკასთან, არამედ ახლო აღმოსავლეთთან და ისრაელთანაცო. დაბოლოს, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ დეპუტატები სამუდამოდ დაიმკვიდრებენ სახელს ქვეყნის ისტორიაში, თუკი საქართველოს ფეხზე დადგომაში დაეხმარებიან.

კათოლიკოს-პატრიარქმა ახალ პარლამენტს წმინდა გიორგის ხატი უძღვნა.

***კომერსანტი***

# წერილი ვაშინგტონს

22 აპრილს, საღამოს, ასლან აბაშიძემ კიდევ ერთხელ განაცხადა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება სპეცოპერაციას ამზადებს ჩემს მოსაკლავადო და აღნიშნა, — საქმე იმით დამთავრდება, რომ აჭარაში სამშვიდობო ძალების შეყვანა გახდება საჭიროო.

აჭარის მეთაურმა თურმე წერილი გაუგზავნა ჯორჯ ბუშს, სადაც საქართველოში შექმნილი სიტუაცია აუხსნა. მსგავსი წერილით მას რუსეთის პრეზიდენტისთვისაც მიუმართავს. მხოლოდ ამ სახელმწიფოებს შეუძლიათ სააკაშვილის მოთოკვაო, — თქვა და აღნიშნა, — საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა აშშ-ის დაუკითხავად არაფერს გააკეთებსო. თუ გავითვალისწინებთ აბაშიძის მტკიცებას, — სააკაშვილმა ერთ-ერთ გავლენიან სახელმწიფოს უკვე მოახსენა — ოპერაცია დაგეგმილია და წარმატებით განხორციელდებაო, გამოდის, რომ მან სწორედ ამერიკის ხელმძღვანელობას „მოახსენა“ თავისი გეგმების თაობაზე. სიტუაციის გამწვავებას ხელი შეუწყო იმავე დილას, პარლამენტის სხდომაზე, ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებამ — აჭარაში ხელისუფლება კრიმინალებს უპყრიათო. სააკაშვილმა დეპუტატებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ აჭარის ხელისუფლების შეცვლას. ამავე დროს, საქართველოს პარლამენტმა დღის წესრიგში შეიტანა ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების კონსტიტუციური გამიჯვნის კანონპროექტისა და აჭარის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გაუქმების საკითხი. მოკლედ, უნდა ვაღიაროთ, რომ სააკაშვილმა დაწვრილებით წარმოადგინა თავისი გეგმა: ჯერ აჭარის ხელმძღვანელობის დისკრედიტაცია, მისი არალეგიტიმურობის დემონსტრირება, პარალელურად — საკანონმდებლო ბაზის მომზადება ავტონომიაში კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად და მისი ლიდერის გადასაყენებლად; ოღონდ გაურკვეველია, როგორ მოახერხებენ მთავარი მიზნის შესრულებას — აბაშიძის მოსპობას. აჭარის ლიდერი თავად არ გადადგება, მისი ძალით ჩამოგდება გაჭირდება, მხოლოდ „უბედური შემთხვევის“ ან კრიმინალური გარჩევების იმედიღა დარჩენიათ.

ამ კრიმინალურ-კანონმდებლურ განზრახვას აჭარაში თავდაპირველად მშვიდად შეხვდნენ. ავტონომიის პარლამენტმა დაადგინა, ემსჯელათ სააკაშვილის განცხადებაზე, ხოლო ასლან აბაშიძემ უშიშროების სამინისტრო გააუქმა და მის ბაზაზე ორი ახალი ძალოვანი სტრუქტურა — ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრი და ნარკობიზნესთან ბრძოლის ცენტრი — შექმნა. ამით სააკაშვილის ბრალდებები თითქოს აბუჩად აიგდო და რეაქციამაც არ დააყოვნა: საქართველოს პარლამენტმა დაგმო აჭარის უშიშროების სამინისტროს გაუქმების გადაწყვეტილება და მის მაგიერ ორი ახალი ძალოვანი სტრუქტურის დაფუძნება, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყველა დონის რეგიონულ სტრუქტურას შეიარაღებული ქვედანაყოფების შექმნის, შენახვის და მართვის უფლება არ გააჩნია. ამასთან, აჭარაში ძალოვანი სტრუქტურის რეფორმირება თბილისში „აბაშიძის სისუსტედ“ მიიღეს, რომელმაც თითქოსდა სააკაშვილს დაასწრო და, ფაქტობრივად, დათმობა გადაწყვიტა. ამ ამბების შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილი და აბაშიძე იმ ზღვრამდე მივიდნენ, როცა მოწინააღმდეგეთა ყოველი ახალი ნაბიჯი კიდევ უფრო ამცირებს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის იმედს. სააკაშვილი კი აშკარად ნერვიულობს.

ამის საბაბი აჭარაში განლაგებულ საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში შექმნილი მდგომარეობაა. 25-ე ბრიგადის კვალდაკვალ, აბაშიძის მხარეზე მე-3 ქვედანაყოფიც გადავიდა. შეიძლება ითქვას, რომ სანამ თბილისი აბაშიძის კონსტიტუციური გადაყენებისთვის ემზადება, აჭარაში შეიარაღებულ ძალთა ფორმირება მიმდინარეობს, რომელსაც საბრძოლო ტექნიკაც გააჩნია. ამ პირობებში აბაშიძის ნეიტრალიზება, შეიარაღებული შეტაკებების გარეშე, შეუძლებელი იქნება — კიდევ ერთი სამოქალაქო ომი კი უკვე საბოლოოდ დაშლის საქართველოს. ეს მშვენივრად ესმით არა მარტო თბილისში, არამედ ვაშინგტონსა და მოსკოვში. და რადგან აშშ-ის და რუსეთის მეთაურები ჯერჯერობით რადიკალურ ღონეს არ ხმარობენ კონფლიქტის მოსაგვარებლად, ასლან აბაშიძე შეეცადა სიტუაციის აფეთქებას და პირდაპირ მიმართა ვარდების რევოლუციის დამკვეთს. აჭარის ლიდერის ეს ნაბიჯი სავსებით ლოგიკურია, რადგან სააკაშვილის ბრალდებების შემდეგ, აბაშიძეს უკვე ფიზიკური განადგურების სერიოზული შიში გაუჩნდა, რომელიც შეიძლება „კრიმინალური გარჩევების“ სცენარით წარიმართოს.

***პოლიტ.კომ***

# „საჯარიმო სანქციები მერე შემოიღეს, რათა მეტი ფული მიეთვისებინათ“

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

ჩვენ ვცადეთ დავკავშირებოდით სათბობენერგეტიკის ყოფილ მინისტრს, დავით მირცხულავას. მისმა ძმამ, სამეცნიერო კვლევითი შპს „დიადჰესის“ დირექტორმა, **ზაზა მირცხულავამ** გვითხრა: — დავითი ინტერვიუს ვერ მოგცემთ, ციხის ადმინისტრაციამ და პროკურატურის გამომძიებელმა მას ჟურნალისტებთან კონტაქტი კატეგორიულად აუკრძალეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ციხის საავადმყოფოდან იზოლატორის საკანში გადაყვანით დაემუქრნენ. ჩემი ძმა სერიოზულადაა ავად და ამიტომ მის სიცოცხლეს საფრთხეში ვერ ჩავაგდებ. შემიძლია მე გიპასუხოთ თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.

— **ვის აძლევდა ხელს მისთვის სისხლის სამართლის საქმის შეთითხნა?**

— დავიწყოთ იმით, რომ დავით მირცხულავამ თავისივე ქმედებით ბევრი მტერი გაიჩინა ძველ თუ ახალ ხელისუფლებაში... გაიხსენეთ 2000 წლის დასაწყისი. ეს ის დროა, როდესაც ახალი დანიშნული იყო იგი მინისტრის თანამდებობაზე. მან იმ პერიოდში ამოაგდო შუამავალი კომპანია „საქგაზი“ (რომლისგანაც „თბილგაზი“ ბუნებრივ აირს 1.000 კუბმეტრს 60-65 დოლარად ყიდულობდა) და „თბილგაზი“ პირდაპირ დააკავშირა „იტერასთან“, რომელიც ბუნებრივ აირს 45 დოლარად ყიდდა. „საქგაზი“ ამ ოპერაციით მუქთა 20 დოლარს შოულობდა. „საქგაზის“ მაშინდელი ხელმძღვანელი დღევანდელი თავდაცვის მინისტრის ძმა, დავით ბეჟუაშვილი გახლდათ. ბევრს არ მოეწონა, როცა დავითმა 69 რაიონული ენერგოკომპანია, რომლებიც მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის თანხებს ითვისებდნენ, გააუქმა და მათ ნაცვლად ჩამოაყალიბა სადისტრიბუციო კომპანია. გაიხსენეთ, ვინ აწოდებდა ზესტაფონის ფეროს ელექტროენერგიას — ეს იყო „ალიონი პლუსი“. დავითმა ფეროს პირდაპირი ხელშეკრულება დაადებინა ელექტროენერგიის მიწოდების თაობაზე. მოგეხსენებათ, ყველა კომპანია, რომლის დასახელებაში სიტყვა ან ნიშანი „პლუსი“ იყო, ნუგზარ შევარდნაძეს ეკუთვნოდა. სხვათა შორის, ამან ბატონი შევარდნაძე ძალიან გააბრაზა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, როგორი მტერი გაუჩნდა, როცა კაპიკებად შემოტანილ მაზუთში 50 მილიონი დოლარი არ გადაუხადა ერთ-ერთ ყოფილ პარლამენტარს. „გაზპრომთან“ დადებული ხელშეკრულების გამო მირცხულავა მაშინდელმა ოპოზიციამ, ახლა კი ხელისუფლებამ, ხალხის მტრად შერაცხა. დრომ გვიჩვენა, რომ ეს ხელშეკრულება ერთადერთი მომგებიანი ხელშეკრულებაა საქართველოს ენერგეტიკის სფეროში.

— **აშოცკ-ნინოწმინდის ხაზზე და იმ ათეულ მილიონობით დოლარის გათეთრებაზე რას იტყვით, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ხდებოდა?**

— აშოცკ-ნინოწმინდის ხაზის მშენებლობას უპირველესად ჩემი ძმა ეწინააღმდეგებოდა. მან არაერთი ოფიციალური წერილით მიმართა პრეზიდენტს, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ძალა აღმართს ხნავსო. რაც შეეხება ფულის გათეთრებას, კერძო კომერციული სტრუქტურების გაკონტროლება ძნელი იყო. ამასთან, მაშინ მათ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ძლიერი მფარველები ჰყავდათ... იმისთვის არსებობდა და არსებობს სხვადასხვა ორგანო, რომ გამოევლინათ და დაესაჯათ დამნაშავეები.

დასასრულ, კომენტარი ვთხოვეთ ზემოხსენებული დადგენილების ავტორს, გამომძიებელ **გენადი ქაჩიბაიას**:

— **თქვენ ბრალდებაში ამტკიცებთ, რომ ხელშეკრულებებში არ იყო ჩადებული საჯარიმო სანქციები და ისინი უპროცენტო კრედიტს ითვალისწინებდა.**

— დიახ, ასეა.

— **მაგრამ ეს ხელშეკრულება თურმე წინასწარ გადახდას ითვალისწინებდა და საჯარიმო სანქციას როგორ ჩაწერდნენ?**

— არ ჩაწერდნენ, მაგრამ მეორე ხელშეკრულებაშიც, რომლის მიხედვითაც ელექტროენერგია წინასწარი გადახდის გარეშე მოგვეწოდებოდა, არ არის საჯარიმო სანქცია გათვალისწინებული.

— **ამბობენ, რომ ამ ხელშეკრულებაში ვერ იქნებოდა სანქციები, რადგან როგორც ირკვევა, საქართველოს იმავე რაოდენობის ელექტროენერგია უნდა დაებრუნებინა სომხეთისთვის.**

— ვიმეორებ, ეს იყო უპროცენტო ხელშეკრულებები და საჯარიმო სანქციები მერე შემოიღეს, რათა მეტი ფული მიეთვისებინათ. ნახეთ დოკუმენტები და დარწმუნდებით, რომ სომხეთის მხარე საქართველოს საჯარიმო სანქციების გადახდას არ სთხოვდა. არ არსებობს ასეთი წერილები და დოკუმენტები, სადაც სომხები საჯარიმო თანხებს ითხოვდნენ(?!).

P.S. ჩვენი მოკრძალებული ჟურნალისტური გამოძიებით შევეცადეთ გვეპასუხა კითხვისთვის — რატომ არ მოსთხოვა პროკურატურამ ყოფილ ენერგეტიკის მინისტრს სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება? არ გამოვრიცხავთ, გამოძიებას სხვა მტკიცებულებებიც გააჩნდეს, რომლებითაც დაამტკიცებს დავით მირცხულავას ბრალეულობას. თუმცა, ასე რომ იყოს, მირცხულავასთვის ზარალის ანაზღაურება აქამდე უნდა მოეთხოვათ. მაშინ რაშია საქმე?!

***ზვიად ჩაკვეტაძე***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებ-ში შემოგთავაზოთ.



## პაწაწკები გვწერენ

5 წლის **დათუნა მესხიძის** დედა ქათამს ქნიდა, თან ბიჭს უხსნიდა — ეს ფილტვებიაო. დათუნას გაგონილი ჰქონ-და სიტყვა „ფილტვების ანთება" და დედას გაკვირვებულმა ჰკითხა:

— დედი, მაჩვენე რა, საიდან ინთე-ბა ფილტვები.

***

2 წლის **შალვა უერთაშვილის** მამას ბიჭთან თამაშისას ჩაეძინა. შალ-ვა ჯერ შეშინდა, მერე კი დედას დაუძახა:

— დედიკო, დედიკო, მამიკოს თვალე-ბი გაუფუჭდა.

***

5 თვის ანა ძუძუს წოვს. მისი 4,5 წლის დაიკო **თაკო ბეგლარიშვილი** ეფერება პაწიას:

— მართლა შენი დედიკო კი არაა, მარტო ძუძუ გათხოვე.

***

5 წლის **ეთო ჟოლოკავა** დედას ეუბნება:

— დედიკო, იცი რა მიყიდე? კარტო-ფილივით რომ არის, რომ გაჭრი და შიგნით კიტრია.

ეთოს თურმე კივი უნდოდა.

## I ანა, გამოიცანი

**1) რამდენ წელიწადში ერთხელ მეორდება ნაკიანი წელიწადი?**

ა) 2; ბ) 4; გ) 5; დ) 6.

**2) რომელი არ შედის მსოფლიოს შვიდ საოცრება-ში?**

ა) ალექსანდრიის შუქურა; ბ) როდოსის კოლოსი; გ) ეიფელის კოშკი; დ) პირამიდები.

**3) ვინ შექმნა ქართული ენის პირველი ლექსიკონი „სი-ტყვის კონა"?**

ა) ვახუშტი ბაგრატიონმა; ბ) იოანე პეტრიწმა; გ) ვახტანგ VI-მ; დ) სულხან-საბა ორბელიან-მა.

**4) რა ჰქვია ჭურჭელს, რომელშიც ბავშვს ნათლავენ?**

ა) ემბაზი; ბ) თასი; გ) ლარ-ნაკი; დ) გობი.

**5) რომელი სიტყვა გად-მოსცემს უფრო ძლიერ განც-დას?**

ა) შეშფოთებული; ბ) თავზარ-დაცემული; გ) დამფრთხალი; დ) შეშინებული.

**6) რას საყვედურობს პო-ეტი მუხრან მაჭავარიანი ზო-გიერთ ბავშვს ლექსში — „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა"?**

ა) სიზარმაცეს; ბ) სიჯიუტეს; გ) ქართულის არცოდნას; დ) ამ-პარტავნობას.

**7) რომელი ცხოველის თავი იყო გამოსახული ვახტანგ გორ-გასლის მუზარადზე?**

ა) ლომის; ბ) დათვის; გ) მგ-ლის; დ) ჯიხვის.

**8) ანდაზის მიხედვით, რა სჯობს „სახელის გატეხას"?**

ა) თავის გატეხა; ბ) ცხვირის გატეხა; გ) გულის გატეხა; დ) კოკის გატეხა.

**იპოვე 10 განსხვავება**



## მეტიჩარა წვეთი

**ფანჯრის მინებს უკაკუნებს**
**წვიმის წვეთი პაწია,**
**იმდენი ქნა მეტიჩარამ,**
**სახლში შემოაღწია.**

*ხატია ქარენაშვილი*

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტა-ლურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„ბაჯბაჯა თაფლიჭამიას, ტყე ურჩევნია გალიას".***



II



ისრების მიხედვით გაიარე მთვარის ლაბირინთში



რომელი ნივთები ეკუთვნის პოლიციელს

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

## მოწაფეები ხვდებიან მკვდრეთით აღმდგარ იესოს

ბიბლიური მოთხრობა

ქრისტეს აღდგომის კვირა დღეს, საღამო ხანს, როცა სახლის კარი, სა-დაც მისი მოწაფეები იყვნენ, იუდე-ველთა შიშით დახშული იყო, მოვიდა იესო და უთხრა მათ: „მშვიდობა თქვ-ენდა!". ხოლო ისინი შეკრთნენ და შეძრწუნდნენ, ასე ეგონათ, სულსა ვხე-დავთო. მაგრამ იესომ უთხრა მათ: „რას ძრწიხართ, ან რა აზრები აღიძ-ვრებიან თქვენს გულში". დაგმო მათი ურწმუნოება და გულქვაობა.

„შეხედეთ ჩემს ხელებსა და ფეხ-ებს: ეს მე ვარ თვითონ; შემეხეთ და დარწმუნდებით, რადგანაც სულს არც ხორცი აქვს და არც ძვლები, მე კი, როგორც ხედავთ, მაქვს" და ხელ-ფეხი უჩვენა მათ. მაგრამ რაკი სიხარულის-გან ვერ დაეჯერებინათ და განცვი-ფრებულნი იყვნენ, უთხრა მათ: „საჭ-მელი თუ გაქვთ აქ?" მისცეს მას შემ-წვარი თევზის ნაჭერი და ფიჭის თაფ-ლი. იესომ აიღო და შეჭამა მათ თვალ-წინ.

კვლავ უთხრა მათ იესომ: „მშვიდო-ბა თქვენდა! როგორც მე მომავლინა მამამ, ისე მე წარგავლენთ თქვენ". ეს რომ თქვა, შეუბერა და უთხრა მათ, „მიიღეთ სული წმიდა, ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევება მათ; და ვისაც დაუტოვებთ, დარჩება მათ".

ხოლო თომა, ერთი თორმეტთა-განი, იესოს მოსვლისას არ იყო მათ-თან. სხვა მოწაფეებმა უთხრეს: „ვიხ-ილეთ უფალი." ხოლო მან თქვა: „სანამ არ ვიხილავ მის ხელებზე ლურსმნებ-ის ნაჭდევს და არ ჩავყოფ ნაჭდევში თითს, ხოლო მის ფერდში არ ჩავდებ ხელს, მანამდე არ ვირწმუნებ." რვა დღის შემდეგ, როდესაც კვლავ სახლ-ში იყვნენ მისი მოწაფეები, და თომაც მათთან ერთად იყო, შევიდა იესო, თუმცა დახშული იყო კარი, მათ შორის დადგა და თქვა: „მშვიდობა თქვენ-და!" მერე კი თომას უთხრა: „მოიტა შენი თითი და იხილე ჩემი ხელები; მოიტა შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდ-ში; და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ გწამდეს". თომა შეეხო და უთხრა მას: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!" უთხრა მას იესომ: „რაკი მიხილე, თომა, მი-ტომ მიწამე; ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუხილივარ და მაინც მიწამეს".


საუკეთესო ზღაპრები

+4 გასართობი გვერდი

გამოსულია 50-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი



ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები
1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

ყურადღება!
პატარა მკითხველების თხოვნით, ზღაპარი „ნაცარქექია" ხელახლა დაისტამბა

# 13-დან 19-მდე



# შეგიძლია მეგობრობა?

## ჩემი ძვირფასი დედინაცვალი...

*16 წლის თეონამ რედაქციაში ისეთი წერილი გამოაგზავნა, ეჭვი რომ არ შემპარვოდა მის გულწრფელობაში, ყოველგვარი კორექტურის გარეშე შეიძლებოდა მისი დაბეჭდვა. ბევრ უფროსსაც შეშურდება, ისეთი დახვეწილი ქართულით წერდა მეათეკლასელი გოგო და სიმართლე გითხრათ, ისიც ვიფიქრე, ალბათ ვინმე ფანტაზიას აყოლილი უფროსი „ზღაპარს“ გვიყვება-მეთქი...*

*მოკლედ, ვერ მოვითმინე და მოვძებნე ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი... დაირცხვინა — „კი, ნამდვილად მე მოგწერეთ და ალბათ არ ღირდა გამოგზავნა... თუ თქვენც ეჭვი გეპარებათ, რომ ყველაფერი მართლა ასეა, სხვები მით უმეტეს არ დაიჯერებენო!..“*

*თეონა კი აი რას გვწერდა:* „კვირის პალიტრას“ ყოველ ორშაბათს საუკეთესო მეგობარივით ველოდები, მით უმეტეს, რომ მეგობრებიც არა მყავს ისეთი, ვისთანაც ყველაფრის თქმას შევძლებდი...

მე დედისერთა ვარ. 10 წლის ვიყავი, როცა ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, სულაც არ მწყენია ეს, რადგან, ვხედავდი, დედას და მამას აღარ უყვარდათ ერთმანეთი, ყველა წვრილმანზე კინკლაობდნენ და კამათობდნენ, აღარც მე მერიდებოდნენ და ვეღარც ჩემს ცრემლებს ამჩნევდნენ. ბევრს ვფიქრობდი, რომელი იყო დამნაშავე და რომელი მეტად ამჟღავნებდა იმ აგრესიას, რომელმაც სახლში ყოფნის სურვილი დამიკარგა...

დედა მსახიობია და თუმცა მნიშვნელოვანი ჯერ არაფერი უთამაშია, თავად თვლის, რომ უდიდესი ტალანტის პატრონია. მე კი ვფიქრობ, რომ უბრალოდ ეგოისტია და საკუთარი თავის გარდა, არავის სიყვარული არ შეუძლია.

მამა ბიზნესმენია. დედის კაპრიზებმა ისე მოაბეზრა თავი, ბოლოს სულ აღარ მოდიოდა სახლში და მაინც დაშლილი იყო ოჯახი, სადაც მე მავალდებულებდნენ მხოლოდ დროზე მისვლას...

მოკლედ, 10 წლისა მარტო დავრჩი საკუთარ თავთან. მშობლების განქორწინების შემდეგ დედასთან დავრჩი, მაგრამ მას ჩემთვის არ ეცალა, ხშირად გათენებისას ბრუნდებოდა შინ და მე რომ გავიღვიძებდი, ის მაშინ წვებოდა დასაძინებლად. მამას შაბათ-კვირას მივყავდი



თავისთან, ისიც მაშინ, თუ ეცალა და სადმე არ გადიოდა ქალაქიდან...

12 წლის ვიყავი, დედა რომ გათხოვდა. ვანო პროვინციიდან ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მამინაცვალმა მალე გული აიცრუა — აბა, რომელ კაცს ეყვარება ქალი, რომელიც შინ არც სადილს აკეთებს და არც სისუფთავე უყვარს?! რამდენიმე თვეში გაიქცა და ჩემი დარდი წაიღო... მე ვინ დამითმობს შენს თავს, თორემ წაგიყვანდი, დედაშენთან როგორ უნდა გაძლოო?!

ვანოს მართლა შევუყვარდი, დღემდე ვმეგობრობთ. როგორც შევიტყვე, მამაჩემთანაც მისულა და მკაცრად უთქვამს: „გოგოა, პატრონი უნდა, მისთვის არც ცხელი სადილია, არც სისუფთავე, ბოლოს და ბოლოს, თავის მოვლა ხომ უნდა ასწავლოს ვინმემ, მიხედე, თუ არადა მე გამატანე, დედაჩემს ჩავუყვან სოფელში და ის მიხედავსო!..“

მამამაც თავისთან წამიყვანა. დედას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

მალე მამამ ცოლი შეირთო. ნატო ახალგაზრდაა, ჩემზე მხოლოდ ათი წლითაა უფროსი. უკვე თავისი შვილიც გაუჩნდა, მაგრამ მაინც ისე მექცევა, თითქოს პატარა თათია კი არა და მე ვიყო მისი ნანატრი შვილი. ძალიან ბევრი რამე მასწავლა, საქმის კეთებას მიმაჩვია, დღეს იგი ჩემი გულის მესაიდუმლეა და სწორედ ეს მინდოდა მეთქვა — თუ რა ბედნიერი ვარ, რომ ბედმა ჩემს ძვირფას დედინაცვალს შემახვედრა. ნატო რომ არა, ალბათ უსწავლელიც დავრჩებოდი, რადგან გაკვეთილებს სულ აღარ ვსწავლობდი დედისგან უყურადღებოდ მიგდებული. ნატო ინგლისური ენის სპეციალისტია და თავად შემასწავლა ენა სრულყოფილად, მამას უნდა საზღვარგარეთ გამიშვას სასწავლებლად და ნატო არ ეთანხმება — „თეონას გარეშე ძალიან გამიჭირდებაო!..“

ვიცი, ბევრი წყვილი ინარჩუნებს ოჯახს მხოლოდ იმიტომ, „შვილებისთვის ასე სჯობსო!“ მე კი იმისი ფიქრიც მზარავს, რა მოხდებოდა, ჩემს მშობლებს რომ ბოლომდე ერთად ცხოვრება ეფიქრათ... ოჯახი მხოლოდ მაშინ უნდა იყოს, თუ იქ სიყვარულია...

ჩემი დედინაცვალი „კვირის პალიტრას“ კითხულობს. გეხვეწებით, დაბეჭდეთ ჩემი წერილი და მათქმევინეთ მისთვის ის, რასაც პირადად რატომღაც ვერ ვეუბნები: „ნატო, მე შენ დედაზე მეტად მიყვარხარ... შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ... გმადლობთ ყველაფრისთვის. შენი თეონა!..“

*...ხომ გაგითბოთ სული თეონას წერილმა?! ბავშვობაში საოცრად არ მიყვარდა იმ ზღაპრების კითხვა, სადაც ბოროტი დედინაცვლები გერებს აწამებდნენ და შეშინებული ვეხვეწებოდი დედას: — დე, ხომ არ მოკვდები და ხომ სულ... სულ... სულ... ჩემთან იქნები-მეთქი?!*

*რა ბედნიერებაა, რომ ბოროტი დედინაცვლები ზღაპრებში დარჩნენ, რეალობა კი ისაა, რაც თეონამ გვიამბო.*

*მეც მინდა ნატოს მადლობა ვუთხრა „კვირის პალიტრის“ სახელით და მასთან ერთად ყველა იმ ქალბატონს, ვინაც უდედოდ დარჩენილი პატარა გულში ჩაიკრა და სიყვარული ასწავლა!..*

***ინგა ჯაყელი***

*ყველას როდი შეუძლია ჭეშმარიტი მეგობრის დაფასება და გაფრთხილება. ის, ვისაც მეგობარი ჰყავს, თავს მარტოსულად არასდროს იგრძნობს. შენ შეგიძლია კარგი მეგობარი იყო?*

**1. საუკეთესო მეგობრად თვლი...**

**ა)** მას, ვისთანაც ადვილად ვახერხებ ურთიერთობას;

**ბ)** რთულ სიტუაციაში ყველაზე მეტად ვისაც შემიძლია დავეყრდნო;

**გ)** ვისაც ცხოვრებაში ყოველთვის თავი გააქვს.

**2. გსურს, რომ შენი მეგობარი...**

**ა)** იყოს საინტერესო ადამიანი;

**ბ)** დამეხმაროს, როდესაც თხოვნით მივმართავ;

**გ)** რთულ სიტუაციაში არ მიღალატოს.

**3. როგორ გამოიყენებ თავისუფალ დროს...**

**ა)** საღამოებზე, კინოსა და თეატრში წავალ;

**ბ)** მეგობრებთან ერთად რაიმე საინტერესოს მოვიფიქრებ;

**გ)** მხოლოდ საყვარელ ადამიანს შევხვდები.

**4. ხედავ, რომ ადამიანები რაღაცის გამო დაობენ, კამათი მალე ჩხუბში გადაიზრდება, როგორ მოიქცევი?**

**ა)** ვეცდები დავაწყნარო;

**ბ)** გვერდზე გავდგები, რადგან ეს ჩემი საქმე არ არის;

**გ)** გავარჩევ, რომელია მტყუან-მართალი.

**5. ძილის წინ რა შინაარსის წიგნს წაიკითხავ?**

**ა)** სადაც მეგობრობაზეა საუბარი;

**ბ)** საინტერესო ადამიანის ცხოვრებაზე;

**გ)** დეტექტივზე ან ფანტასტიკაზე.

**6. ეთანხმები აზრს, რომ ადამიანები გაცილებით ბედნიერები იქნებიან, თუ ერთმანეთს მეტად ენდობიან?**

**ა)** ვფიქრობ, კი;

**ბ)** არ ვარ დარწმუნებული;

**გ)** ბედნიერება ამაში არ მდგომარეობს.

**7. შეიტყვე, რომ შენი მეგობარი სერიოზულ უსიამოვნებაში გაერია, რას მოიმოქმედებ, თუ დაგირეკავს?**

**ა)** არ დაველოდები მის ზარს, თავად დავურეკავ;

**ბ)** ტელეფონით თანავუგრძნობ;

**გ)** ვეცდები, რაღაც პერიოდი გავერიდო.

| კითხვა | პასუხი | | |
|---|---|---|---|
| | ა | ბ | გ |
| 1 | 0 | 3 | 6 |
| 2 | 6 | 0 | 3 |
| 3 | 6 | 3 | 0 |
| 4 | 6 | 3 | 0 |
| 5 | 0 | 6 | 3 |
| 6 | 6 | 3 | 0 |
| 7 | 3 | 0 | 6 |

***0-6 ქულა** — როგორც ჩანს, მეგობრების გარეშეც თავს მშვენივრად გრძნობ. არავითარი პასუხისმგებლობა არ გაწუხებს იმ ადამიანების წინაშე, ვისთანაც მეგობრობ. დაფიქრდი, სულის სიღრმეში თავს მარტოსულად არასდროს გრძნობ?*

***6-31 ქულა** — შენ ის პიროვნება ხარ, ვისთან ურთიერთობაც სასიამოვნოა, ამიტომ შენთან მეგობრობას ბევრი ნატრულობს. გაქვს შესანიშნავი თვისება — ერთგულება.*

***31-36 ქულა** — შენთვის მეგობრობა ყველაფერია. ძალიან გიჭირს, როდესაც დიდხანს შორდები მეგობრებს. მეგობრისთვის შეგიძლია ბევრი პირადული დათმო, თუმცა სხვებს რასაც უკეთებ, თავადაც იმავეს ითხოვ. ასეთი შეხედულება გაქვს მეგობრობაზე.*

***გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა***

## საყვარელო „პალიტრავ“

### გამოხმაურება

## მინდა, ყველას გასაგონად ვიყვირო, რომ მიყვარს



თქვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ნუკრი აბდუშელიშვილის წერილი, სათაურით — „ბიჭებო, ნუ გრცხვენიათ სიყვარულის“. ნუკრივით მეც ერთი თბილისელი ბიჭი ვარ, 19 წლის და მასავით მეც შეყვარებული ვარ. სიმართლე გითხრათ, ნუკრის ძალიან მშურს და იცით, რატომ? მიუხედავად იმისა, რომ არც კი იცის, იმ გოგოს შეუყვარდება თუ არა, მაინც იბრძვის. ყველაფერს აკეთებს, რომ მისი ყურადღება მიიპყროს. ის კი არა, საჯაროდ აცხადებს, რომ შეყვარებულია. მე კი... მოკლედ მოგიყვებით ყველაფერს.

ის, ვინც მე მიყვარს, როგორც დედაჩემი ამბობს, დაბალი წრის, საშინლად ვულგარული ოჯახის შვილია. ჩემს მშობლებს საერთოდ არ აინტერესებთ ჩემი აზრი, ჩემი გრძნობები. არა, იმას კი აღიარებენ, რომ თინიკო (ასე ჰქვია იმ გოგონას, ვინც მე მიყვარს) ლამაზი და კეთილი გოგონაა, მაგრამ ისევ დედაჩემის სიტყვებს მოვიშველიებ, „სისხლი თავისას იზამს და ეგეც დედამისივით ქუჩაში გავარდებაო“.

საკმაოდ პრესტიჟულ ფაკულტეტზე ვსწავლობ, ჩემი მშობლების წყალობით ახლო მომავალიც ნათელ ფერებში მესახება, ისიც კარგად ვიცი, უნივერსიტეტს რომ დავამთავრებ, სამსახურსაც მიშოვიან, ცოლიც რომ მოვიყვანო, თუ დედაჩემის მოსაწონი იქნა, ჩემსავით მასაც ხელისგულზე ატარებენ. როგორც ხედავთ, ყველაფერი ნათელია, ბურუსით მოცული მხოლოდ ჩემი სიყვარულია. ზოგჯერ მეცინება ხოლმე, რადგან თავი სერიალის ერთ-ერთი გმირი მგონია.

ალბათ თქვენც და მკითხველიც იმას იტყვით, ჯერ მხოლოდ 19 წლის ხარ, წინ კი ბევრი რამ მოგელის, უამრავი გოგო შეგიყვარდება და გადაგიყვარდებაო. ვინ იცის, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ახლა, დღეს, დარწმუნებული ვარ, რომ თინიკო მიყვარს. რაში მაინტერესებს, დედამისი როგორი წრის ქალია, მე თინიკოს ვიცნობ და მჯერა, ის ცუდ გზას არასოდეს დაადგება, მით უმეტეს, თუ მის გვერდით ვიქნები.

საკუთარ თავზე ვცეცხლდები, დედაჩემს რომ არ ვეწინააღმდეგები, უბრალოდ ვუსმენ მის მონოლოგს, ეგ არის და ეგ. თინიკოს კი დროდადრო მაინც ვხვდები (სკოლა შარშან დაამთავრა და სუპერმარკეტში მუშაობს), ვცდილობ, სახლში მისვლა არ დამაგვიანდეს, მაგრამ არ გამომდის, თინიკოს მორიგეობის დღეებში ველოდები, რომ შინ მივაცილო. რაც დრო გადის, ვხვდები, რომ დამალობანას თამაში მომბეზრდა. მინდა ყოველდღე ვნახო თინიკო.

ერთი თვის წინ სახლში მივაკითხე, სიმართლე გითხრათ, დიდად არ მომეწონა დედამისი. ისე მელაპარაკებოდა, თითქოს დღე-დღეზე მისი სიძე უნდა გავმხდარიყავი, თინიკო კი დედამისის სიტყვებზე ხან წითლდებოდა, ხანაც მწვანდებოდა. ნეტავ ის გამაგებინა, დედაჩემმა სად ნახა ეს ქალი, ალბათ მეგობრებისაგან ინფორმაციები მოკრიბა. ეს მისი ცხოვრების წესია. თუმცა, ეს არ არის მთავარი, არც ის, როგორი ქალია თინიკოს დედა, მთავარია, რომ ეს სიფრიფანა, პატარა გოგო მიყვარს. ძმაკაცი მეუბნება, არაფერი გამოგივა, შენ ის ბიჭი არ ხარ, ოჯახი თინიკოს გამო მიატოვოო. რატომ არავის სჯერა, რომ ცოლის მოყვანას ჯერ არ ვაპირებ, უბრალოდ თინიკოსთან მინდა ვიყო, მინდა ერთად ვისეირნოთ, მინდა ყვავილები ვაჩუქო, მეგობრებს გავაცნო და ყველას გასაგონად ვიყვირო, რომ მიყვარს!

ეგ არის და ეგ. როგორც წერილის დასაწყისში ვწერდი, დედაჩემს არაფერში ვეწინააღმდეგები. ახლა ეს წერილი თუ გამოქვეყნდა, მერე ნახეთ დედაჩემის სახე, ვფიქრობ, ეს პირველი წინააღმდეგობა იქნება ჩემგან. თუ ჩემმა ამბავმა დაგაინტერესათ, გპირდებით, რაღაც დროის გასვლის შემდეგ ისევ შეგეხმიანოთ.

***ლევან რ.-ა, თბილისი***

## ჩემი გულისტკივილი

ამ ქვეყანას რომ მოვევლინე, ყველას ეგონა, რომ ერთი ჩვეულებრივი ბიჭი დაიბადა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ... არაფერი მესმოდა. წლები გავიდა, გავიზარდე და დღეს იმდენი რამ მაინტერესებს, იმდენი პასუხგაუცემელი კითხვები დამიგროვდა, რომ არც კი ვიცი, ვინ დამეხმარება. ზოგჯერ იმაზეც ვფიქრობ, იქნებ კარგიცაა, რომ არ მესმის, ჩემ გარშემო ხომ ბევრი ტკივილი და ცრემლია, მაგრამ ასე ხშირად არ ვფიქრობ, ზოგჯერ მთელ ქვეყანას შემოვწყრები ხოლმე, რა იქნებოდა, რომ ღმერთს ჩემთვის მოეცა სმენა და მეც ჩვეულებრივ ადამიანად გავჩენილიყავი. გული, იცით, როგორ მაქვს გასივებული, ჯავრს ზოგჯერ დედაზე ვიყრი, არადა რა დამიშავა, განა არ ვიცი, როგორი დედა მყავს, მთელი ცხოვრება ჩემზე ზრუნვაში გაატარა, ყველაფერს აკეთებს, რომ გული არ მეტკინოს, მე კი ზოგჯერ საშინლად ვიქცევი. ვხედავ, დედას ცრემლით როგორ ევსება თვალი და როგორ ცდილობს თავი მომარიდოს, რომ კიდევ მეტად არ მატკინოს გული. მე კი...



მეორე მშობლებად მე ჩემი სკოლის აღმზრდელებს ვთვლი, რაშიც დედა ვერ მეხმარება, ისინი მშველიან, მასწავლიან, ამ ცხოვრებაზე მესაუბრებიან. რომ იცოდეთ, რა კარგი სკოლის დირექტორი მყავს. ჩვენი სკოლა-ინტერნატიც კეთილმოწყობილია, ჩემი დამრიგებელი ნანა მასწავლებელი ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მართალია, ძალიან არ მიხარია სკოლაში წასვლა, რადგან მიჭირს ტრანსპორტით სიარული. ჩემთვის ხომ გარე სამყარო ძალიან უცხო და ხშირად საშიშია. თუმცა სკოლაში მყავს მეგობრები, მხოლოდ ჩვენ გვესმის ერთმანეთის...

რამდენიმე თვეში სკოლას დავამთავრებ და ერთმანეთს დავშორდებით, მერე რა ვქნა, ან მე, ან მათ. სამსახურს ჩვენ ვერ ვიშოვით, ხალხში ვერ გავერევით... ვინ მეტყვის, რა ბედი გველის მე და ჩემნაირებს. ის კი ვიცი, რომ ყველაფერი ღმერთის ნებაა და ის არ გაგვწირავს. თქვენ კი რატომ გეხმიანებით, იცით? — იქნებ დაგვეხმაროთ, გვითხრათ რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ. იქნებ თქვენ იმაზეც დაფიქრდეთ, რომ ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორიც თქვენ, ჩვენც ისევე გვტკივა და გვიხარია, როგორც თქვენ. ნუღარ მატარებთ ჩემი გულისტკივილით, მეც ხომ თქვენნაირი ვარ.

***სმენადაქვეითებული სკოლა-ინტერნატის XIII კლასის მოსწავლე ჯიმი ყორბეჩაშვილი***

*გთხოვთ გამოეხმაუროთ ჯიმის (რედ.).*

**ორი ძლევამოსილი მეფის, ბაგრატიონთა დინასტიის სახელოვანი მემკვიდრეების, მამობილ-შვილობილის დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის ეპოქა წარმატებით გასრულდა. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისისთვის რეალური ნიადაგი შეიქმნა საქართველოს გაერთიანებისათვის. და მართლაც, მთელი ეს საუკუნე ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემით იყო დატვირთული. 1014 წელს ღვაწლმოსილი ბაგრატ მესამის ნეშტი აფხაზეთში მისივე აგებულმა ბედიის ტაძარმა მიიბარა. დარჩა ბაგრატ მესამეს მცირეწლოვანი მემკვიდრე, გიორგი, რომელსაც უნდა ეტვირთა საქართველოს მეფის საპასუხისმგებლო მისია. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის (25 წლისა აღესრულა, ზოგიერთი წყაროს მიხედვით კი 29 წლისა) მანძილზე, ფაქტობრივად, ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია.**

**გიორგი პირველის მეფობა მძიმე ფაქტით დაიწყო. ერთიან, ქართულ სახელმწიფოს განუდგა კახეთ-ჰერეთის მმართველი კვირიკე და ცალკე „რანთა და კახთა სამეფო" ჩამოაყალიბა.**

## დავით კურაპალატის „მემკვიდრეობა“

მემკვიდრეობით მიღებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უძნელესი იყო იმიერტაოსა და ბასიანის, ანუ დავით კურაპალატის მემკვიდრეობის პრობლემა. გავიხსენოთ ორიოდე სიტყვით: მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით ბიზანტიის იმპერიამ, მაკედონიური დინასტიის მეოხებით აღიდგინა ძველი დიდება — წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. ახალი ასული იყო საიმპერატორო ტახტზე ბასილი მეორე, რომ მის წინააღმდეგ სასტიკი აჯანყება მოეწყო მცირეაზიელი დიდებულის, ბარდა სკლიაროსის სარდლობით. საიმპერატორო კარი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. სწორედ მაშინ სთხოვეს დახმარება დავით მესამე კურაპალატს. ქართველთა ლაშქარმა იოანე-თორნიკეს მეთაურობით ჰალისის ნაპირებთან დაამარცხა მეამბოხენი და გადაარჩინა კეისრის ტახტი. სანაცვლოდ ბიზანტიამ დავით კურაპალატს სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიები გადასცა — იმიერტაო, ბასიანი და სხვა. ოღონდ ერთი პირობით — მისი გარდაცვალების შემდგომ ეს მიწები კვლავ ბიზანტიას უნდა დაბრუნებოდა.

ცხადია, ასეთი პირობა დავით კურაპალატს არ აკმაყოფილებდა, ამიტომ 987 წელს, როდესაც იმპერატორს ამჯერად სარდალი ბარდა ფოკა აუჯანყდა, კურაპალატი მეამბოხეს დაუდგა გვერდით, რომელიც როგორც ჩანს, სადავო ტერიტორიებს სამუდამოდ დაჰპირდა გამარჯვების შემთხვევაში. ბასილი მეორემ დაამარცხა აჯანყებულები, სარდალი ფოკა ბრძოლის ველზე დაიღუპა და დავით მესამე დიდი განსაცდელის წინაშე დადგა. ამიტომაც იძულებული იყო დაეწერა ანდერძი, რომლის მიხედვით გარდაცვალების შემდეგ მთელ თავის სამფლობელოს ბიზანტიას უთმობდა. ამით როგორც ჩანს, დროის მოგებას აპირებდა. მაგრამ გარდაიცვალა იგი 1001 წელს და კეისარმაც არ დააყოვნა, მსწრაფლ შემოვიდა ტაოში და დაიკავა იგი: „გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისთა და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა“. სამხრეთ ტაოსაგან შეიქმნა იბერიის თემი, ე. წ. საკატაბანო, რომელსაც ბერძენი მოხელე კატაბანი განაგებდა.

## გიორგი პირველის პოლიტიკური არჩევანი

გიორგი პირველს თავისი უმთავრესი მიზნის — ქვეყნის გაერთიანების გზაზე სამი დიდი პრობლემა გადაეღობა: კახეთ-ჰერეთის, თბილისის საამიროსა და საქართველოს სამხრეთის მიწების დაბრუნებისა. მისი ტახტზე ასვლისთანავე გამოეყო საქართველოს კახეთ-ჰერეთი. აქაური დიდებულები განუდგნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. საგულისხმო იყო ხელისუფალთა და მათი მეთაურის, მეფე კვირიკეს (1010-1037) პოზიცია, მაგრამ როდესაც ნახეს, რომ მეფე გიორგის უჭირდა, ისინი სწორედ ცენტრალური ხელისუფლების მოკავშირედ გვევლინებოდნენ საერთო მტრის — ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბიზანტიის გადამკიდე მეფე გიორგი ვერც კახეთ-ჰერეთის შემოერთებაზე ზრუნავს და ვერც დედაქალაქისთვის იბრძვის — ერთიანი საქართველოს ფარგლებს გარეთ რჩებოდა თბილისის საამირო, — ქვეყნის შუაგული, სადაც ჯაფარიანთა დინასტიის ამირები ბატონობდნენ. თითქმის სამი საუკუნე იყო გასული, რაც საქართველოს მთავარ ქალაქს მაჰმადიანები დაჰპატრონებოდნენ. დღის წესრიგში მისი გამოხსნაც იდგა. მით უფრო, რომ თბილისისკენ ზოგიერთი დიდებულის თვალი იყო მიპყრობილი და როგორც ჩანს, ამ პოლიტიკური ერთეულის განსაზღვრულ ნაწილზე პრეტენზიასაც აცხადებდა. ასეთი იყო მაგალითად, მძლეთამძლე დიდებული და მოხელე, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ მესამე ბაღვაში. ამ სტრატეგიული მიმართულებიდანაც იკავებდა თავს გიორგი პირველი.

მთელი მეთერთმეტე საუკუნის განმავლობაში უმთავრესი მიმართულება საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ბიზანტია იყო. მით უფრო, ასწლეულის პირველ ნახევარში, როდესაც ჩვენს ქრისტიან მეზობელს სიძლიერით ბადალი არ ჰყავდა: მსოფლიოს მპყრობელმა არაბებმა დაკარგეს ძველი ძალა და დიდება. მომავალი მძლავრი დამპყრობი — თურქ-სელჩუკები ჯერ არ იყვნენ გამოსულნი უპირველესი ბუდე-საცხოვრისიდან, ცენტრალური აზიიდან. ამიტომ იყო, რომ ბიზანტიის იმპერიას ამ ეტაპზე აღარ სჭირდებოდა ძლიერი საქართველო რომელიმე ძალის გასაწონასწორებლად და დასაპირისპირებლად. პირიქით, დროდადრო, თავის თავზე გრძნობდნენ ახალ ძალასა და პოტენციას მომავალი, მზარდი მეზობელი ქრისტიანული სახელმწიფოს სახით. ამჯერად უკვე აფერხებდნენ ქართველთა ქვეყნის გაერთიანებას (სომხეთისაც!) და ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს სეპარატიზმსა და ფეოდალთა განდგომას ამ ქვეყნებში.

სწორედ ბიზანტიის მძლავრობის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა მთავარი მიზანი გიორგი პირველისა მთელი მისი მეფობის მანძილზე, რათა დაებრუნებინა იმპერიის მიერ მიტაცებული იმიერტაო და სხვა ქართული მიწები, გაემაგრებინა ამით მორღვეული სამხრეთის საზღვარი და აღეკვეთა ბიზანტიის ჩარევა და სეპარატისტული ძალებისადმი მხარდაჭერა ქართველთა ქვეყანაში. ამ გეგმის განხორციელების ხელსაყრელ მომენტად ჩათვალა გიორგი მეფემ 1014 წელი. ეს ის დროა, როცა ბიზანტიის იმპერატორი ბრძოლებს აწარმოებდა ბულგარეთთან. გიორგი მეფე შეიჭრა სამხრეთ ტაოში, დაიკავა ის ციხეები და ტერიტორიები, რომლებიც დავით კურაპალატმა დაუთმო ბასილი მეორეს. ფაქტობრივად, ამით საქართველომ ომი გამოუცხადა ბიზანტიას.



სვეტიცხოველი.
ბადრი ვადაჭკორიას ფოტოეტიუდი

## ბასილი მეორე – „ბულგართმჟლეტი“

ალბათ ვერანაირად ვერ წარმოიდგენდა დავით კურაპალატი, 979 წელს, როდესაც კატასტროფის წინაშე მდგარ და პანიკაში ჩავარდნილ, ტახტზე ახალასულ ბასილი მეორეს ეხმარებოდა ტახტის შენარჩუნებაში, რომ მთელი ნახევარი საუკუნე ბასილი წამყვანი ფიგურა იქნებოდა აღმოსავლეთ ევროპასა და წინა აზიაში. უფრო მეტიც, იგი პრობლემებს უწინარესად საქართველოს შეუქმნიდა. და მაინც, ყველაზე ტრაგიკული როლი ბასილი მეორემ ბულგარეთის ისტორიაში ითამაშა. მას ასეთი ზედწოდებითაც მოიხსენიებენ — „ბულგართმჟლეტი“ და „ბულგართმმუსვრელი“. მთელი ოცდაათი წელი გრძელდებოდა ბულგარეთთან ომი. მეათე საუკუნის ოთხმოციან წლებში შინააშლილობით და აჯანყებებით გაწამებულმა ბიზანტიელებმა სასტიკი მარცხი იგემეს ბულგარეთში. ეს იყო დასაწყისი ხანგრძლივი ომისა, რომელიც ახალი სისასტიკით გაჩაღდა 1014-1018 წლებში.

...არის მსოფლიო ისტორიაში მოვლენები, რომლებიც ქართული მენტალიტეტისთვის, ცხოვრების ფასეულობებისათვის უცხოა და აბსოლუტურად მიუღებელი. ჩვენში ყოველთვის ფასობდა რაინდული სული. გავიხსენოთ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის გმირი, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, რომელმაც დიდსულოვნად შეიწყალა ძლეული მოქიშპე; ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაური, რომელმაც უარყო ადათი და მარჯვენა არ მოაჭრა ღირსეულ მეტოქეს... თუნდაც ქართული ჭიდაობის ფენომენი — ორი ფალავნის შერკინებისას თუ ერთ-ერთმა წაიჩოქა, ბრძოლა უმალ წყდება და თავიდან იწყება. რის ჩოქბჯენი... რა საკადრისია წაჩოქებული მეტოქის ძლევა. ამდენად, ქართველთათვის ყოველთვის აუხსნელი იქნება, ვთქვათ, თემურლენგის სისასტიკე, რომელმაც ადამიანის თავის ქალებისგან პირამიდები ააგო. ასევე წარმოუდგენელია გიორგი პირველის მოწინააღმდეგის, ბასილი ბულგართმჟლეტის არაადამიანური გულქვაობა. ახალი ასული იყო გიორგი მეფე ტახტზე, რომ ბასილმა ბულგარელები დაამარცხა სასტიკ ბრძოლაში. 1014 წლის ზაფხულში ტყვედ 15 ათასი ბულგარელი მხედარი ჩაიგდო და უმწეოდქმნილნი, რომელნიც მინდობილნი იყვნენ გამარჯვებულის წყალობას, არნახული სატანჯველისთვის გაიმეტა: თხუთმეტი ათასი ტყვიდან ასორმოცდაათს ცალი თვალი დასთხარა, ხოლო დანარჩენს, უკლებლივ ყველას(!) — ორივე თვალი! შემდეგ ასეულებად დაჰყო და თითოეულ რაზმს ცალთვალგამოთხრილი მეგზური მიუჩინა. გასაცოდავებულმა კოლონამ დიდი გაჭირვებით ჩააღწია სამშობლოში. ელდანაცემ მეფე სამუილს ამ ამბიდან დიდხანს აღარც უცოცხლია, რამდენიმე დღეში მიიცვალა!

ასეთ ულმობელ მეტოქესთან ბრძოლას შეალია თავისი მცირე ხნის სიცოცხლე უებრო მეომარმა მეფემ გიორგი პირველმა. ბასილი მეორის მანამდე არსმენილი სისასტიკე მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების დაშინებასაც ისახავდა მიზნად. მაგრამ ჩანაფიქრმა მიზანს ვერ მიაღწია. პირიქით კი მოხდა. გიორგი მეფემ იმით ისარგებლა, რომ იმპერატორი ბულგარეთის პრობლემებით და გაჭიანურებული ომით იყო დაკავებული, განამზადა მხედრობა და როგორც ამ ამბების მომსწრე არაბი მემატიანე იაჰია ანტიოქიელი გადმოგვცემს, განდევნა იმიერტაოდან და ბასიანიდან ბიზანტიური გარნიზონები.

ბასილი მეორემ სპეციალური უსტარით კატეგორიულად მოითხოვა „წართმეული“ ტერიტორიების დატოვება და თან ჯარიც მოაყოლა. ქართველებმა პირველ ბრძოლაში დაამარცხეს და გააქციეს მეტოქე, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ მთავარი ბრძოლები წინ იყო. რა თქმა უნდა, ამაზე ყრმა მეფეც და მისი მრჩეველნიც ფიქრობდნენ. სწორედ ამიტომ, მეფე გიორგის ინიციატივით დაიწყო დიდი ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნა. ვინ მოიაზრებოდა ქართული სახელმწიფოს მოკავშირედ? უპირველესად ქართული სამეფო კახეთ-ჰერეთისა. აგრეთვე მეზობელი სომხური სახელმწიფოები — ანისი (მეფე იოანე სუმბატი), ვანანდი და ვასპურაკანი (მეფე სენექერიმი). პოლიტიკურ ინტერესთან ერთად შეიძლება იმანაც იქონია გავლენა, რომ მათი მოდგმისა იყო (სენექერიმის ასული) საქართველოს დედოფალი — მარიამი, მეფე გიორგის მეუღლე.

გიორგი მეფემ ელჩები ეგვიპტის ფატიმიანთა დინასტიის სულთანს ალ-ჰაქიმსაც გაუგზავნა და მოკავშირეობას სთავაზობდა. სულთანი ბიზანტიის დაუძინებელ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. ამ კავშირის შესახებაც გახდა ცნობილი ბასილი კეისრისთვის (მას უამრავი მსტოვარ-მზვერავი ჰყავდა საქართველოში და არა მარტო აქ).

## შირიმნის ბრძოლა

1018 წლისათვის ბასილი მეორე ბულგართმჟლეტმა დაასრულა სლავთა დამარცხების საქმე და რადგანაც გიორგისგან სადავო ტერიტორიების დათმობაზე უარი მიიღო, გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა „ურჩი ქართველებისათვის“. ურიცხვი ლაშქრით 1021 წელს ბიზანტიის ჯარი საქართველოს სამანებში შემოიჭრა. მანამდე, თვალის ასახვევად სირიაში ლაშქრობა გამოაცხადა და ანტიოქიაში იარაღისა და სურსათ-სანოვაგის გაგზავნა დაიწყო. მოულოდნელად კი საქართველოსკენ იბრუნა პირი. ამავე დროს პროფესიულად მოქმედებდა ბერძენთა დაზვერვა — სწორედ მისი მსტოვრების ხელი ერია ეგვიპტის სულთნის ალ-ჰაქიმის მოულოდნელ მკვლელობაში.

გიორგი მეფემ რაწამს შეიტყო ბერძენთა გამოლაშქრების ამბავი, სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი, დაიხმარა მოკავშირენი და დაიძრა მტრის შესახვედრად. ბასიანში დაბანაკდნენ ერთმანეთის პირისპირ მეტოქენი. შებმას არც ერთი არ იწყებდა: „დაიბანაკეს ორთავე ქვეყანასა ბასიანისასა მრავალდღე და არა მიმართეს ბრძოლად ურთიერთსა“. ქართველებმა აქ შებმა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს და უკან დაიხიეს. ოლთისი გადაწვეს, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელთ და ბრძოლა შირიმნთან გაუმართეს. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ქართველებმა პირველ ხანებში იძალეს და მტერი უკუაქციეს. მაგრამ ეს წარმატება ვერ შეინარჩუნეს — ნაალაფარის გაყოფას გადაჰყვნენ და დამარცხდნენ კიდევაც. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ მამაცი სარდლები — კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე და ხურსი ერისთავი. ბიზანტიელებმა მოაოხრეს არტაანი, კოლა, ჯავახეთი... თრიალეთში შემოიჭრნენ. მდგომარეობა გამოასწორა კახეთ-ჰერეთიდან მოსულმა მაშველმა ჯარმა და სასწორის პინა ახლა ქართველთა მხარეს გადმოიხარა. მოახლოებულმა ზამთარმაც გაჰყარა მეტოქენი, ბერძნებმა ტრაპიზონის სანახებში დაიზამთრეს.

ამის შემდგომ კიდევ რამდენიმე ხანს მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები, ცვალებადი წარმატებით. ხმალდახმალ თავადაც იბრძოდა დაუცხრომელი მეფე. გიორგისთვის ბოლო იმედი თვით ბიზანტიაში დაწყებული აჯანყება იყო დიდგვაროვანი სარდლების ნიკიფორე ქსიფესა და ნიკიფორე ფოკას მეთაურობით. ამ აჯანყებაში ქართველი დიდებულებიც მონაწილეობდნენ. კვლავ იმარჯვა ბიზანტიელთა ოდითგან ნაცადმა ხერხმა. ერთმანეთს დაატაკა მოთავენი და ქსიფესაგან მოკლული ფოკას მოკვეთილი თავი მეფე გიორგის გამოუგზავნეს „ჭკუის სასწავლებლად“ — ურჩებსა და მოღალატეებს ასე ვუსწორდებითო... ომი კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ორივე მხარემ დაზავება არჩია 1023 წელს. სადავო ტერიტორიები ბიზანტიამ დაინარჩუნა და მძევალიც წაიყვანა — სამი წლის მემკვიდრე ტახტისა ბაგრატი — ორი წლის ვადით.

ქართველ დიპლომატთა მცდელობით, 1025 წელს დაიბრუნეს უფლისწული. იმავე წელს გარდაიცვალა დაუდგრომელი ბასილი მეორე და ტახტი მისმა ძმამ, კონსტანტინე მერვემ დაიკავა (1025-1028). ქართულ-ბიზანტიური დაპირისპირება და ბრძოლები არ შეწყვეტილა და სიცოცხლის ბოლომდე არ ჩაუგია ხმალი უშიშარ და გმირ მეფეს, გიორგი პირველს. სიცოცხლე კი სულ მცირე გამოიმეტა მისთვის არსთა გამრიგემ — სულ 25 წელი (როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ზოგიერთი წყაროთი — 29 წელი). ბევრი კი მოასწრო. თუნდაც სვეტიცხოვლის ტაძრის აგება რად ღირს, სრულყოფილი ხელოვნების ჰიმნისა, შექმნილი დიდებული ოსტატის, არსუკიძის მიერ.

არანაკლებ დიდებული ძეგლი აუგო სვეტიცხოველს კონსტანტინე გამსახურდიამ რომანით „დიდოსტატის მარჯვენა“. ამ რომანის გმირი დიდოსტატ კონსტანტინე არსაკიძესთან ერთად გიორგი პირველიცაა, უიღბლო მეფე, რომელსაც სიყვარულში არ გაუმართლა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, შორენა კოლონკელიძის ასულის და მისადმი მეფის უსამანო სიყვარულის შესახებ არაფერია თქმული ისტორიულ წყაროებსა და მატიანეებში... სამაგიეროდ, ცნობილია მეფე გიორგის „სხვა ცოლის“ შესახებ...

## ამბავი სიყვარულისა

არ არის საკამათო, რომ სიყვარულსა და მომავალი თანამეცხედრის შერჩევაში მონარქები თავისუფალნი არასოდეს ყოფილან. ჯერ ერთი, სადედოფლო თავადაც რომელიმე ქვეყნის საჭეთმპყრობლის შვილი უნდა ყოფილიყო. და კიდევ, ასეთი დინასტიური ქორწინებანი უპირველესად პოლიტიკურ კონიუნქტურას ითვალისწინებდა. არაერთი სათუთი, ადამიანური გრძნობა შეეწირა ამ წესს. როგორც ჩანს, მეფე გიორგის შემთხვევაშიც გაუწიეს ანგარიში საგარეო ორიენტაციას და 16 წლის გვირგვინოსანს ცოლად მოჰგვარეს არშაკუნიანთა სახელოვანი გვარის შთამომავალი მარიამი (რომელიც მოგვიანებით მნიშვნელოვან დიპლომატიურ მისიასაც შეასრულებს ბიზანტიასთან).

თუმცა, არც სასიყვარულო თავგადასავლები იყო უცხო ქართველთა მეფეებისთვის. ნადირობა-დროსტარებასა და ბოჰემურ ცხოვრებაზეც არ ამბობდნენ ხშირად უარს. ასევე ყოფილა გიორგი პირველის შემთხვევაშიც. „სხვა ცოლიც“ ჰყოლია ახალგაზრდა გვირგვინოსანს. ოვსთა მეფის მშვენიერ ასულს — ალდეს დაუპყრია მისი გონება და გული. დიდი სიყვარულითაც ჰყვარებია და ვაჟიც შესძენია მისგან, — სახელად დემეტრე. აფხაზეთში, ანაკოფიაში მიუჩენია მათთვის ადგილი. აქ ცხოვრობდნენ და დროდადრო აქვე აკითხავდა თურმე სამეფო კარისგან მალულად... შემდგომშიც არ იკარგება უფლისწულ ბაგრატის ნახევარძმის, დემეტრეს კვალი ისტორიაში. ალდე თავისი უკანონო ვაჟიშვილით საბოლოოდ, ოვსთა სამეფო სახლში დაფუძნებულა. საუკუნე-ნახევრის შემდგომ სწორედ დემეტრეს შთამომავლად მოგვევლინება სწორუპოვარი თამარის რაინდი მეუღლე — დავით სოსლანი.

**აღესრულა გიორგი პირველი 1027 წელს. ტახტზე ავიდა ძე მისი ბაგრატ მეოთხე, ისიც მცირეწლოვანი, — შემდგომში სახელოვანი მეფე და პაპა დიდი დავით აღმაშენებლისა.**

**გასრულდა ბობოქარი ცხოვრება ახალგაზრდა გიორგი პირველისა. სამწუხაროდ, არც ის აღუნუსხავს მემატიანეს, რამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე, იქნებ უმრწემესი ქალიშვილის, მართას გარდაცვალების დარდმა, იქნებ გამუდმებულმა ლაშქრად ყოფნამ, იქნებ უიღბლო სიყვარულმაც... ან იქნებ ბიზანტიელ მსტოვართა ხელიც მისწვდა ახალგაზრდა მეფეს...**

***ისტორიული წყაროების მიხედვით მოამზადა ნოდარ შოშიტაშვილმა***

CMYK

# კარლო საკანდელიძე: შუბლზე „ძმაკაცობის ნიშანი“ და ბევრი სხვა ამბავი...



რუსთაველის თეატრის მსახიობები ბუდემოშლილი ჩიტებივით არიან. ვიდრე იქ რემონტი დასრულდება, შორიდან ეფერებიან თავის თეატრს, ერთი სული აქვთ, როდის შევლენ საგრიმიოროში, კულისებში, სცენაზე. ამიტომ ცოტა სევდიანები და დაბნეულებიც ჩანან...

ბატონი **კარლო საკანდელიძე** მოწყენილი მეჩვენა. არადა რა იმედიანია, როგორი ხალისიანი ამბების მოყოლა იცის... ალბათ იმაზე ფიქრობს, მსმენელს გული არ დაუმძიმოს, არ დაღალოს, უშურველად აჩუქოს ღიმილი.

— დავიბადე ვანის რაიონში, სოფელ ზედა ბზვანში, — გვიამბობს ბატონი კარლო, — ძალიან ლამაზია ჩემი სოფელი... დედა სამი წლისას გარდამეცვალა. ჩემი დები ჩემზე ბევრად უფროსები იყვნენ, ერთი უნივერსიტეტში სწავლობდა, მეორე — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. წამომიყვანეს თბილისში და გამზარდეს... ყოველ არდადეგებზე ჩავდიოდი სოფელში, მამასთან. იქ კარგ დროს ვატარებდით მე და ჩემი თანატოლები. დილიდან საღამომდე ფეხბურთს ვთამაშობდით... ჩემი იქაური მეზობლებისა და მეგობრების სითბო და სიყვარული დღემდე მომყვება. რაც არ უნდა დამეშავებინა, არც დამტუქსავდნენ, არც დამსჯიდნენ. რაკი დედა არ მყავდა, ყველას ვებრალებოდი, ყველაფერს მპატიობდნენ...

**— ახლა თუ დადიხართ სოფელში?**

— არა... მამამ ვანში ობოლი გოგო — იულია — იპოვა, შინ მოიყვანა, გაზარდა. იფიქრა, განათლებას მივცემო, მაგრამ მან ვერ შეძლო სწავლა და ოჯახს უვლიდა. რაც ის გარდაიცვალა, აღარც ჩავსულვარ. მერე არეულობაც დაიწყო, გაჭირდა მიმოსვლა.

რეზო ჩხეიძე გამომეკიდა გრაფინით, მე მოულოდნელად შევასხი წყალი, მან მოიქნია გრაფინი და უნებლიეთ თავში მრეხვა — შუბლთან ახლაც მეტყობა ნაიარევი. ისეთი სისხლდენა ამიტყდა, ყველა შეშინდა. ისევ მე მოვიფიქრე და პერანგი მოვიხვიე თავზე. ღამე იყო. წამიყვანეს საავადმყოფოში. გამოგვხედა ფუნთულა თეთრმა ქალმა — ავადმყოფი შემოიყვანეთო. შევედით. ქალმა შეიცხადა: — უიმე, ეს ბიჭი სად მოგყავთ, აქ სამშობიაროაო...

**— რამე თუ დაგირგავთ, ან თუ გიყვარდათ ბაღში მუშაობა?**

— მიყვარდა კი არა, ახლაც მიყვარს. თბილისში ჩვენი ეზო გარაჟებით აივსო, ყველა გარაჟთან ორი-სამი ხე ჩავრგე. ისინი უკვე დიდები არიან, ერთი თუთა ისხამს კიდეც... დავრგე კაკალიც. გაიზარდა, მაგრამ, ჯერჯერობით ნიშანი არ მოუცია. ყველაფერი სოფლიდან მახსოვს — რა როგორ და როდის უნდა დარგო. ერთადერთი, მყნობა ვერ ვისწავლე.

**— რამდენი წელია, რაც რუსთაველის თეატრში თამაშობთ?**

— 1949 წელს ბატონმა აკაკი ხორავამ მიმიყვანა რუსთაველის თეატრში. მე მარჯანიშვილის თეატრისკენ მიმიწევდა გული. მაშინ იქ შალვა ღამბაშიძე იყო სამხატვრო ხელმძღვანელი, მასაც ჰქონია გამოგზავნილი მოთხოვნა ჩემზე სამინისტროში. არაფრით არ დაუთმო აკაკი ხორავამ — ამას და დოდო აბაშიძეს ნუ მომთხოვ და დანარჩენი 9 კაციდან, ვინც გნებავს, წაიყვანეო. ასე მოვხვდი 20 წლის ბიჭი რუსთაველის თეატრში. ადრე ასე იყო: თეატრში ახალ მსახიობს დასს წარუდგენდნენ ხოლმე: გიყვარდეთ თქვენი კოლეგა ესა და ესაო... მე რომ წარმადგინა დოდო ანთაძემ, ქალბატონმა ნინო ლაფაჩმა, არაჩვეულებრივმა, ლამაზმა მსახიობმა, შემომხედა და — ვაიმე, ეს ჩემი კოლეგააო? — იკითხა შეწუხებულმა...

**— ბედის რჩეული ბრძანებულხართ, დიდ მსახიობებთან გიხდებოდათ მუშაობა.**

— ამ დიდი კულტურის მქონე ხალხთან ურთიერთობა მართლაც ბედნიერება იყო. არ გვათამამებდნენ. წლობით გვათამაშებდნენ მასობრივ სცენებში, გვაკვირდებოდნენ, მერე ეპიზოდს მოგვცემდნენ, ამას მთავარი როლი მოჰყვებოდა... ახლა თეატრში მისვლა და მთავარი როლის თამაში ერთია. მსახიობისთვის ძველებური პრაქტიკა სჯობს, უფრო საინტერესოცაა. საოცარია როლის მოლოდინი, თან სწავლობდი...

**— წარმომიდგენია, რას განიცდიდით მთავარი როლის მიღებისას.**

— თუ ჩემი ნაოცნებარი და მოცემული როლი ერთმანეთს დაემთხვეოდა, ცას ვწვდებოდი სიხარულით. საბედნიეროდ, ხშირად ამხდენია ნატვრა, გულისტკენაც შემხვედრია, რა თქმა უნდა, მაგრამ თავიდან რომ დავიწყო ცხოვრება, ისევ ამ გზას დავადგები. ხომ იცით, შემთხვევით არაფერი ხდება... მამაჩემი წინაალმდეგი იყო ჩემი მსახიობობისა. მეუბნებოდა, — ისეთი კორიფეები გვყავანან, შენი არტისტობა მათთან რა მოსატანიაო, ალექსი-მესხიშვილს შენ გაეჯიბრებიო? აკაკი ხორავას ვერ უყურებ, ან რა ხმა აქვს, ან რა შესახედაობაო. მირჩია, ექიმი გახდი, ჩამოდი სოფელში, აგერ, სახლკარი, აგერ ცხენი, შეჯექი, გაიარ-გამოიარე, ავადმყოფებს მიხედეო. გავბრაზდი, დავუდე წინ ჩემი წარჩინების ატესტატი — ა, ბატონო, გჩუქნი, როგორც გინდა, ისე მოიხმარე-მეთქი. მეტი რა გზა ჰქონდა, დამითმო. ჩემი მსახიობობა V კლასში დაწერილმა პიესამ განაპირობა. მაშინ მე, ნათელა მგალობლიშვილმა და შოთა კუპრავამ დავწერეთ პიესა ესპანელი ბავშვების ცხოვრებაზე — „მამა, სდექ!“ დავდგით კიდეც. მე ვიყავი რეჟისორიც, მხატვარიც, მთავარი როლის შემსრულებელიც. ამის შემდეგ მთელმა სკოლამ სხვანაირად შემომხედა: თითქოს რიდი და პატივისცემა გაუჩნდათ. ეს მომეწონა. მაშინ ჩავიბეჭდე გონებაში, მსახიობი უნდა გამოვიდე-მეთქი.

**— მამა თუ მოესწრო თქვენს წარმატებებს?**

— კიდევ კარგი, მოესწრო. გებელსის როლში მნახა სპექტაკლში „დაუვიწყარი 1919 წელი“. აიწურა, ლამის ბოდიში მოეხადა ჩემთვის. მოესწრო ჩემს პირველ სურათს, მენახშირე ბიჭს „მაგდანას ლურჯაში“. ეს რომ ნახა, მითხრა, — ახლა კი მშვიდად ჩავალ სამარეშიო. დიდხანს მართლაც აღარ უცოცხლია.

**— თეატრმა კარგი მეგობრები შეგძინათ, არა?**

— სტუდენტობაშივე დავუახლოვდი ეროსის, ბადრი კობახიძეს, ელენე ყიფშიძეს. ერთი სული და გული გვქონდა. ეროსი გულიანი კაცი იყო, სულ სიყვარულით ჰქონდა თვალები სავსე, მაგრამ თუ აიცრუებდა გულს კაცზე, ახლოს არ გაიკარებდა. ასეთებს მატყუარებს, მაბეზღარებს ეძახდა. ერთხელ ფოიეში შემთხვევით ყური მოვკარი, ერთი კაცი (არ დავასახელებ) ეროსის ეუბნებოდა: — რა არის, კარლომ რომ გითხრას, მტკვარში გადავარდებიო, მე გეპატიჟები პურმარილზე და არ მოდიხარო. ის კარლოა და იმიტომ, — უპასუხა ეროსიმ. მართლაც უყვარდა ჩემთან ერთად მოლხენა. რომ ვეტყოდი, სადღაც მივდივარ, მაგალითად, კახეთში-მეთქი, მეტყოდა: — ბიჭო, პურმარილისთვის წევიდეთ იქო? მაგრამ უარს არასოდეს მეტყოდა...

უთუოდ უნდა გავიხსენო იპოლიტე ხვიჩია. ის დოდო ანთაძემ მოიყვანა თეატრში. ერთად ვითამაშეთ „ქუთათურებში“. აი, ვინ იყო ბავშვივით გულღია! სცენაზე დეკორატიული მანქანა გვედგა... სცენის მუშებს ვთხოვე, ჩემი შესვლის წინ მიაწექით მანქანას-მეთქი. სცენაზე შემოგორებული ავტო რომ დაინახა, იპოლიტეს ისეთი სიცილი აუტყდა, ხმა ველარ ამოიღო... სამაგიეროდ, მე ვესროდი რეპლიკებს. ისე გაბრაზდა, დეკორაციების დასამაგრებელ სიმძიმეს (16 კილოს მაინც იწონის!) დაავლო ხელი და გამომეკიდა — უნდა მოგკლაო. რას დამეწეოდა! დავმეგობრდით. დომინოს თამაში არ იცოდა. ჩვენ ვითომ ვერ ვხედავდით, ამოირჩევდა ქვებს და ვიცოდით, რა ჰქონდა. მაინც სულ აგებდა... საყვარელი კაცი იყო. ხშირად მახსენდება ერთი ამბავი, რომელიც „მაგდანას ლურჯას“ გადაღებისას მოხდა. წუწაობა დავიწყეთ. რეზო ჩხეიძე გამომეკიდა გრაფინით, მე მოულოდნელად შევასხი წყალი, მან მოიქნია გრაფინი და უნებლიეთ თავში მრეხვა — შუბლთან ახლაც მეტყობა ნაიარევი. ისეთი სისხლდენა ამიტყდა, ყველა შეშინდა. ისევ მე მოვიფიქრე და პერანგი მოვიხვიე თავზე. ღამე იყო. წამიყვანეს საავადმყოფოში. გამოგვხედა ფუნთულა თეთრმა ქალმა — ავადმყოფი შემოიყვანეთო. შევედით. ქალმა შეიცხადა: — უიმე, ეს ბიჭი სად მოგყავთ, აქ სამშობიაროაო... ეს იარა დამრჩა. რეზო ჩხეიძემ „ძმაკაცობის ნიშანი“ დაარქვა.

**— თქვენზე ამბობენ, კარგი მოჯირითეაო?**

— მამას ყოველთვის ბედაურები ჰყავდა. თოხარიკიც იცოდა მისმა ცხენმა, ლაფშურიც. ძალაუნებურად მეც შემაყვარა ეს ცხოველი. ცხენი ძალიან ჭკვიანია, მაგრამ აგდებაც იცის, თუ შეგატყო, რომ შეკრთი და შეშინდი. ეს „დათა თუთაშხიას“ რომ ვიღებდით, მაშინ გამოვცადე. მომიყვანეს ინგლისური ჯიშის ლამაზი ცხენი, ოღონდ კბენაც იცოდა, წიხლიც და კისრულიც. კისრული, იცით, რა არის? რომ მიდის გაქაფული, უცებ შეჩერდება და კისერს დახრის, წინ გისვრის ორ მეტრზე. ვამბობდი: რაღა მე მომეცით ეს ცხენი, უნდა დამამტვრიოთ-მეთქი? არა, შენ ლაზათიანად ზიხარო... გამიჯიუტდა ეს ცხენი... ბევრი ვეფერე. შინიდან შაქარი მიმქონდა, ვაჭმევდი. არა და არა... მაინც მეურჩებოდა. გამახსენდა მამაჩემის დარიგება, — ცხენს თავი არ ააგდებინოო, რომ შეჯდები, გატანჯეო. როგორ-მეთქი? აიყვანე მაღლობზე, ჩამოიყვანე იმავე გზით, ისევ აიყვანე და ჩამოიყვანეო, ამ დროს ცხენს სული ეხუთება, რომ გასავათდება, ჩამოხტი და მიეფერეო. ასეც მოვიქეცი. ისე შეიცვალა ეს ჩემი ინგლისური ბედაური, კუდში ფინიასავით დამდევდა, ცხენოსნებს უკვირდათ — ეს რა ქნა ამ კაცმა, როგორ დაიმორჩილაო... გადაღებები დავამთავრეთ, გვთხოვეს, საპირველმაისო აღლუმზე ცხენებზე ამხედრებულები მოდით „დათა თუთაშხიას“ მსახიობებიო. არ ვიცი, რა მოხდა. მივდივართ მწკრივში, უცებ წამართვა თავი ცხენმა და თოხარიკით წავიდა ტრიბუნისკენ, „მიესალმა“ მთავრობას. ვიფიქრე, ვაიმე, რას იფიქრებენ, არ თქვან, თავმომწონეობს-მეთქი... რომ ჩამოვხტი უნაგირიდან და მოვცხე ცხენს...

სიხარულით მირბის ჩემი ძაღლი — ჩიტო. ჩავედით ჭალაში. ჩიტო გაინაბა. შევუძახე — ეცი-მეთქი. გადახტა ჩიტო. აფრინდა მწყერი, ვესროლე, ავაცილე. აფრინდა მეორე, მესამე, ვერც ერთს ვერ მოვარტყი... ძაღლმა შემომხედა. გეფიცებით, არ ვაჭარბებ, თვალებით მითხრა, — ვაი, შენს პატრონსო და შინისკენ მოუსვა. ვეძახე, ჩიტო, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ?

**— ბუნება გყვარებიათ, თქვენი კოლეგები ამბობენ, თევზაობა და ნადირობაც კარგი იცისო...**

— ერთხელ, შორეულ აღმოსავლეთში ვიყავით გადაღებებზე. გავედით ზღვაში გემით... მეუბნებოდნენ: რომ ტრაბახობ ხოლმე, დიდი მონადირე და მეთევზე ვარო, ახლა გვაჩვენე, რა ბიჭიც ხარო. გადავაგდებ ანკესს, არ მოდის თევზი. ორ მეტრში დგას ბადრი კობახიძე, იჭერს და იჭერს. მიკვირს... ვიფიქრე, იქით გადავალ-მეთქი. არც იქით მოდის თევზი. გავგიჟდი. თურმე ესენი, ჩემს გასახელებლად, თევზს დაიჭერენ და ჩამოუკიდებენ ბადრის ანკესზე. ბოლოს, გამომიტყდნენ... ბევრი ვიცინეთ. გემის კაპიტანმა უხა გააკეთა და კარგი დროც გავატარეთ. პირდაღებული მოგვჩერებოდა კაპიტანი.

**— როგორც ყველა მონადირეს, თქვენც ბევრი გექნებათ მოსაგონარი...**

— მამას სანადირო თოფი ჰქონდა. ერთხელ, IX თუ X კლასში ვიყავი, მოვპარე და მწყერზე სანადიროდ წავედი. წავიყვანე მამაჩემის ძაღლი. თოფს რომ დაინახავდა, კაცის სიმაღლეზე ხტოდა სიხარულით. დავტენე ჰილზები... ყველაფერი ვიცოდი — რამდენი საფანტი უნდა ჩამეყარა, რა ნომერი, მაგრამ მწყრებზე არასდროს მენადირა. სიხარულით მირბის ჩემი ძაღლი — ჩიტო. ჩავედით ჭალაში. ჩიტო გაინაბა. შევუძახე — ეცი-მეთქი. გადახტა ჩიტო. აფრინდა მწყერი, ვესროლე, ავაცილე. აფრინდა მეორე, მესამე, ვერც ერთს ვერ მოვარტყი... ძაღლმა შემომხედა. გეფიცებით, არ ვაჭარბებ, თვალებით მითხრა, — ვაი, შენს პატრონსო და შინისკენ მოუსვა. ვეძახე, ჩიტო, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ? მივდივარ შინ ცხვირპირჩამომტირალი. უცებ კაკლის ხიდან ქედანის ღუღუნი გავიგონე. ვეძებე და დავინახე. ვესროლე და ჩამოვარდა ხუთი ქედანი — ახლოახლო სცოდნიათ დასხდომა. გახარებულმა შემოვირტყი ნანადირევი და მივდივარ ამაყად, თითქოს ქორბუდა მომეკლას. გზად შემხვედრნი მლოცავდნენ: ასი, ასიო... ესე იგი, ასჯერ მეტი მოინადირეო. შინ მამას ვუთხარი, მწყერი ვერა, მაგრამ ქედანი მოვკალი-მეთქი. მონადირემ ტყუილი იცის და არ მომატყუოო, გამაფრთხილა. მერე მკითხა: ხუთი ქედანი როგორ მოკალიო. ვუთხარი, ერთი კაკლის ხეზე იჯდა, მეორე რცხილაზე... მესამე იქით, მეოთხე — აქეთ. რატომ ცრუობო, — მკითხა მამამ, — ხუთივე ერთი სროლითაა ჩამოგდებულიო... იხტიბარი არ გავიტეხე — მერე რა, იყოს ერთი სროლით, ცოტაა-მეთქი? ტყუილს ნუ იტყვი, თორემ ცოტა არ არისო... ჩემმა მეგობრებმა მაინც მატყუარა შემარქვეს. განსაკუთრებით „ციგანი“ რამაზ ჩხიკვაძე იყო. ის, გურამ საღარაძე და მე პიონერთა სასახლიდან ერთად მოვდივართ. ეს ამბავი რომ მოვუყევი მათ, რამაზმა გააფორმა: მამამისს თოფი ჰქონია, სამპირიანიო. ერთში კარაბინის ჰილზებს დებს, ორს საფანტით ტენისო... გაოცებას რომ შეატყობდა მსმენელს, უხსნიდა: — ორით მწყერზე ნადირობს, გარეული თხა თუ გამოხტა, მესამით იმას ესვრისო.

**— წარსულის გახსენებაზე სითბო გეღვრებათ თვალებში.**

— ბევრი სიხარულიც შემხვედრია და ბევრიც წყენა, ასეა ცხოვრება. ყველაფერი მაინც თბილად მახსენდება. ნათქვამია, გული არ ბერდებაო... ისეთი სხარტი ვიყავი, ერთ ადგილას ვერ გამაჩერებდით. ახლა შემიძლია შინ საათობით ვიჯდე და ვიკითხო, თუმცა სიცოცხლე ისევ მიყვარს. ვხედავ ჩემიანებს, მეგობრებს, თუნდაც უცხო ადამიანებს და მიხარია. ვიღლები კიდეც, მაგრამ ეს დაღლაც სასიამოვნოა, მთავარია, მქონდეს დასაღლელი და გასაკეთებელი. თანაც ბავშვივით მჯერა — ყველაფერი კარგად იქნება...

**ლელა ჯიყაშვილი**



# სკანვორდი ფრაგმენტებით




1. გიგანტური ტალღა წყალქვეშა მიწისძვრისას
2. ნიკოლოზ ბაგრატიონის მეტსახელი
3. ერი
4. VII ს-ის ქართული ეკლესია თურქეთში
5. ფრანგული რევოლუციის მოღვაწე
6. ბრიტანეთის სადაზვერვო ორგანიზაცია
7. ედგარ პოს ლექსი
8. მაგარნაჭუჭიანი კვერცხის მქონე ფრინველი
9. რუს მეფეთა ტიტული
10. ჰექტრის 1\100
11. დიდნისკარტა ფრინველი
12. ის, რაც ღონეს სჯობია
13. ხეხილის მაგარი ნაწილი
14. ქალაქის ადმ.–ტერ. დანაყოფი
15. ჩინური ლექსის ფორმა
16. ჯამბაზი ცირკში
17. ფლობერის რომანი
18. პეტრარკას შეყვარებული
19. ცეკვის ნაბიჯი
20. შ. სტოუნი ფილმში „მშვენიერი ...“
21. სახელმწ. აფრიკაში ...–ფასო
22. მიდამო, არემარე
23. სააკაძის ყოფილი ციხე-დარბაზი
24. 3 ქვეყნის ნაკრებში ნათამაშები ფეხბურთელი
25. ენაჩლუნგი
26. კედლის ნათურა
27. წელზე შემოდებული ხელები
28. ... ლოლობრიჯიდა
29. პრუსიის მეფეთა სასახლე „სან ...“
30. იტალიელი ფეხბურთელი
31. დამუხტული ნაწილაკი
32. ბუსუსები ქსოვილის ზედაპირზე
33. ნაპოლეონის მარშალი
34. თავადაზ. ტიტული დასავლეთ ევროპაში



35. უდიდესი არგენტინ. ფეხბურთელი
36. მელოტის ოცნება
37. ლატვიის დედაქალაქი
38. სვეტებიანი გალერეა შენობის შესასვლელში
39. „ქალბატონი“ (იტალიურად)
40. ამერიკელი პოლარული მკვლევარი
41. მიზეზობრ. კავშირი წარსულისა მომავალთან
42. კარტოფილი „მაკდონალდს-ში“
43. ვარჯიში შეჯიბრის წინ
44. ღვინის ჭურჭელი
45. სამხ. აფრიკული ცხოველი
46. ელ. მუხტის ერთეული
47. ორბიტის ნაწილის დაშორება დედამიწასთან
48. ქართ. მწერალი ... მეუნარგია
49. იაპონური თეატრი
50. ... ბრეგვაძე
51. კუნძული კანარის კუნძულების შემადგენ.
52. თაღი
53. ... მორჩილაძე
54. მასობრივი ინფორმაცია
55. სამოსის შესაკრავის ნაირსახეობა
56. მიმდინარეობა თანამედროვე პოპ-მუსიკაში
57. ნარკოტიკის დოზა
58. რუსული სკანდალური დუეტი
59. იგივეა, რაც დიახ
60. ფრანგ მეფეთა დინასტია
61. რუსული თვითმფრინავის მარკა
62. შვარცენეგერის მეტსახელი
63. 3,14
64. სიმებიანი საკრავი
65. შესაფუთი მასალა
66. ცისფერთმიანი „ბურატინოს თავგ-ში“
67. ... თურმანი
68. მარცხის ადგილი რუსეთ-იაპონიის ომში




**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. პიკასო; 2. კაასი; 3. ქარვა; 4. სამიტი; 5. მარაბუ; 6. ტრავმა; 7. მი; 8. „აივა; 9. ტლუ; 10. ბარბი; 11. იბნ; 12. მძინარე; 13. ძია; 14. „ადა“; 15. განა; 16. არაგვი; 17. შუშა; 18. შიიტი; 19. სონატა; 20. როტონდა; 21. „სუ“; 22. უშუ; 23. გესი; 24. გინეა; 25. ბაქო; 26. იმაგო; 27. ლემური; 28. მარე; 29. ალეპო; 30. ოპერა; 31. აგა; 32. პო; 33. არია; 34. ეის; 35. „რა“; 36. ეკალა; 37. რემა; 38. მური; 39. მენიუ; 40. ენა; 41. იენა; 42. მეი; 43. ადრიატიკა; 44. ისი; 45. თართი; 46. ია; 47. ჩუ; 48. ნიუ; 49. ენგრი; 50. ხაო; 51. ძუა; 52. უბისი; 53. „პეჟო“; 54. ატიკა; 55. ურიკა; 56. ალა; 57. ჰავა; 58. კარანტინი; 59. ნოე; 60. „კიკა“.
1. პუტინიანა; 2. მომავლის საძინებელი; 3. სააღდგომო ათინათი; 4. ნორჩი როდეისტი; 5. დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა რამაზ ალანიაძ

# მამულ-დედული

## საიდან მოდის პური...



უძველესი დროიდან პურს ადამიანები ადარებდნენ სიცოცხლეს, მზეს, ოქროს... უძღვნიდნენ ლექსებსა და სიმღერებს. პურით ხვდებოდნენ და დღესაც უამრავ ქვეყანაში ხვდებიან ძვირფას სტუმრებს. ბავშვებს ასწავლიდნენ პურის ფასს...

ქვის ხანაში პურის მარცვლებს პირდაპირ ღეჭავდნენ ადამიანები, ხოლო მოგვიანებით დაიწყეს ქვებს შორის მარცვლის გასრესა და წყალში გარევა. ასე შეიქმნა პირველი ხელსაფქვავი, შემდგომ წისქვილის ქვა, წისქვილი და რა თქმა უნდა, პირველი ფქვილი. როგორც კი პირველყოფილმა ადამიანმა ცეცხლის გამოყენება ისწავლა, დაიწყო პურის მარცვლების მოხალვა და მისგან ფაფისმაგვარი კერძის მომზადება, რომელსაც მანამდე მიირთმევდნენ, სანამ არ მიხვდნენ, რომ შესქელებული ფაფა ცხელ ქვაზე „გამოეცხოთ“. ასე ჩაეყარა საფუძველი კაცობრიობის ძირითად საკვებს — პურს.

ამის შემდეგ ათასწლეულები გავიდა, სანამ ცომის გაფუებას ისწავლიდნენ და ნამდვილ პურს გამოაცხობდნენ.

პირველი პური 5-6 ათასი წლის წინ ძველმა ეგვიპტელებმა გამოაცხვეს. პურის ცხობის დეტალური სურათი გამოსახულია ფარაონის განსასვენებლის კედლებზე, რომელიც 5 ათასი წლის წინ უცნობმა მხატვარმა შეასრულა. დღემდეა შემონახული ეგვიპტის ქალაქ გიზში ცომის მზელავის მცირე ზომის ქანდაკება.

პური შეიცავს ჯანმრთელობისთვის ისეთ აუცილებელ ნივთიერებებს, როგორიცაა: ცილები, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები (უმთავრესად B ჯგუფის), მდიდარია ფოსფორით, კალიუმით, მაგნიუმით, გოგირდით, მცირე რაოდენობით შეიცავს კალციუმსა და ნატრიუმს. პირველხარისხოვანი პურისგან ადამიანის ორგანიზმი ითვისებს ცილის 85% და ნახშირწყლების — 95%-ს.

პურის ცხობის ხელოვნება ძველი ეგვიპტელებისგან ისწავლეს ბერძნებმა და რომაელებმა.

ჰომეროსის მიერ აღწერილ არისტოკრატთა ტრაპეზებში მოხსენიებულია, როგორ მიჰქონდათ პური სუფრაზე მწვადთან ერთად, ოღონდ მიირთმევდნენ ცალ-ცალკე. ძველ ინდოეთში, ჩვენი ერის დასაწყისში, არსებობდა კანონი, რომლის მიხედვით დამნაშავეს სჯიდნენ იმით, რომ განსაზღვრული დროის მანძილზე პურის ჭამას უკრძალავდნენ...

ძველი ეგვიპტელები და ბერძნები პირველნი მიხვდნენ, რომ ორგანიზმისთვის სასარგებლოა ძველი პური და არა ცხელი, ახალგამომცხვარი.

## ჟირაფი საილოზე ორჯერ მაღალია



ტანი და თავი ცხენს მიუგავს, ფეხები — ანტილოპას, კისერი და მხრები — აქლემს, ყურები — ხარს, კუდი — ვირს, ტყავი — პანტერას... მსგავსებით კი არც ერთს არ ჰგავს. დიახ, ასეთი უცნაური ცხოველი გახლავთ ჟირაფი. ისეთი არაპროპორციული აგებულება აქვს, რომ იფიქრებ, ცუდ ხელოსანს ზემოთ ჩამოთვლილი ცხოველების ნაწილებისგან ხელოვნურად „ჩამოუსხამსო“. ამ 0,5-ტონიანი ცხოველის ტანის სიგრძე 2 მ-ია, სიმაღლე კისრისა და თავის ჩათვლით — 7 მ-მდე. ძალიან ლამაზი თავი და თვალები აქვს, მაგრამ ამის ნახვა შორიდან მოგიწევთ, დაახლოებით ორსართულიანი სახლის სიმაღლეზე.

ჟირაფები აღმოსავლეთ აფრიკაში ჯოგებად ცხოვრობენ. იკვებებიან ხის ფოთლებით. რამდენადაც მარჯვეა 6-7 მეტრის სიმაღლეზე ფოთლების მოკვნეტაში, იმდენად უსუსურია ბალახის ძოვაში.

ამ უიშვიათეს ცხოველს ადამიანი ოდითგანვე ემტერება ძვირფასი ხორცისა და ლამაზი ტყავის გამო. ვირს იმითაც ჰგავს, რომ ერთადერთი მისი თავდაცვის საშუალება წიხლია, რომლისაც ლომებსაც კი ეშინიათ. ამიტომ ლომები იშვიათად ესხმიან თავს ჟირაფებს.

ჟირაფი ნელა და მედიდურად მიაბიჯებს, სამაგიეროდ მისი ნაბიჯის სიგრძე 4-5 მეტრია.

ჟირაფი ერთ შვილს აჩენს, რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ დაკუნტრუშებს და გაჭრილი ვაშლივით ჰგავს დედას.

სამწუხაროდ, ჩვენს პატარებს მხოლოდ ფილმებში და ტელევიზორში შეუძლიათ ჟირაფების ნახვა. ჩვენს ზოოპარკში ეს ცხოველი ჯერჯერობით არ ჰყავთ...

## თუთიყუში

თუთიყუშები მხოლოდ იმით არ გამოირჩევიან, რომ ადვილად იმახსოვრებენ არა მარტო სიტყვებს, არამედ მთელ წინადადებასაც და მერე მთელი დღეები „ჭორაობენ“. ერთად შეკრებილი მრავალი თუთიყუშის ხმა კი იმდენად ძლიერია, რომ მაღალი წყალვარდნილის ხმაურსაც ფარავს. სხვადასხვა სახეობის თუთიყუში სხვადასხვა ხმაზე „ლაპარაკობს“, ზოგი თითქოს ყეფს, ზოგი უსტვენს, ყიყინებს, კნავის... მამალი თუთიყუში განსაკუთრებული სასიამოვნო ხმით უმღერის დედალს. ისიც ცნობილია, რომ დედალ-მამალი წყვილი მთელ სიცოცხლეს ერთად ატარებს და მიუხედავად იმისა, რომ ერთ ადგილას მრავლად ბუდობენ, წყვილი ერთმანეთს არ „ღალატობს“. ის კი არა, მამალი თუთიყუში მამაკაცსაც არ აძლევს უფლებას, მოეფეროს მის დედალს.

სხვათა შორის, როცა სურთ გაიგონ თუთიყუშის სქესი, ეფერებიან მას. თუ მამაკაცის მოფერებაზე ჯავრობს, ე. ი. მამალია, თუ არა, — დედალი.

არსებობს თუთიყუშის 600-მდე სახეობა, რომლებიც ხშირად ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ყველა სახეობა ცხელ ქვეყნებში ბინადრობს — ველებსა და უდაბნოებში.

თუთიყუში ბუდეს იკეთებს ხის ფუღუროებში, მიწის ხვრელებში ან კლდის ნაპრალებში. დებს 3-დან 10-მდე კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 3 კვირამდე.



გარდა ლაპარაკის უნარისა, თუთიყუშს აქვს ყველა ფრინველისგან განსხვავებული მძლავრი ნისკარტი, რომლითაც 5-6 სმ სისქის ფიცარს თავისუფლად ხრავს, ტეხავს კაკალს. ნისკარტს სამოძრაოდაც იყენებს. ფეხის გადადგმის წინ ხის ტოტს ან სხვა საგანს მოეჭიდება ნისკარტის ზედა, მოკაუჭებული ბოლოთი.

ყველა ფრინველისგან განსხვავებით, ოთხი გრძელი თითიდან ორი წინ და ორი უკან აქვს მიმართული. ამ უცნაურ ფეხებს, გარდა იმისა, რომ ტოტზე მჭიდროდ დამაგრების უნარი შესწევთ, კვების დროსაც ხმარობს. იგი ფეხის თითებით იღებს და პირში იდებს საკვებს. ასე რომ არ იყოს, გრძელი და მოღუნული ნისკარტით გაუჭირდება პირდაპირ აიღოს საკვები.

თუთიყუში იკვებება ძირითადად მცენარეთა ნაყოფით და თესლით, ასევე მწერებით, მატლებით. ზოგი მათგანი არც ხორცზე ამბობს უარს. სამაგიეროდ, არც ადამიანები ამბობენ უარს ზოგიერთი სახეობის თუთიყუშის ხორცზე.

ამ ეგზოტიკური ფრინველის გუნდები ანადგურებენ ხეხილსა და თავთავიან ნათესებს. მოშინაურებული თუთიყუში ჭამს თითქმის ყოველგვარ საჭმელს. ზოგჯერ საკუთარ ბუმბულს იგლეჯს, რაც არასწორი კვების შედეგია. ამის გადასაჩვევად გალიაში უხვად უნდა ჰქონდეს საჭმელი და რაიმე თავის შესაქცევი, თუნდაც ხის ნაჭერი, რომელსაც განუწყვეტლივ ხრავს.

## მკითხველის ფოტო



ეს ბებოს თონეა...

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

## მოზაიკა

* * *

*სპარსეთის ანუ ირანის პოეტური სახელწოდება „გიულისტანი“ — ვარდის ბაღს ნიშნავს.*

* * *

*ირანული „გიულ-ნამე“ — ვარდის სადიდებლად შექმნილი თხზულებაა.*

## რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## ფინიკის პალმა

**— ძალიან მინდა, სახლში პალმის ხე მქონდეს. იქნებ დამეხმაროთ.**

***თამრიკო ბაზღაძე***



— საამისოდ ფინიკის პალმა გამოგადგებათ. იგი ლამაზიცაა და ადვილადაც მრავლდება. მართალია, ოთახის პირობებში არც ყვავილობს და არც ნაყოფს იძლევა, მაგრამ უამისოდაც საკმაოდ ეფექტურია.

იყიდეთ ფინიკის ნაყოფი (ანუ ინდის ხურმა) და მისი კურკები ცალ-ცალკე ჩათესეთ საშუალო ზომის ფსკერგახვრეტილ პლასტმასის ქილებში. ჩვეულებრივი მიწის ნაცვლად უმჯობესია მდინარის სილის, ნახერხის და ტორფის ნარევის გამოყენება. ნარევი კარგად ჩატკეპნეთ, დაასველეთ და 3-5 სმ-ის სიღრმეზე ჩათესეთ.

როგორც კი აღმონაცენი 10-15 სმ-ს მიაღწევს, გადარგეთ დიდ ქოთანში ან კასრში. გამოიყენეთ ტყის ნეშომპალით მდიდარი მიწის, სილისა და კორდის მიწის თანაბარი რაოდენობის ნარევი.

ნერგის ქილიდან ამოსაღებად, ნიადაგი კარგად დაასველეთ, ქილა ხელისგულზე გადმოიპირქვავეთ ისე, რომ აღმონაცენი თითებშუა მოჰყვეს და ქილა მოაცილეთ. შეგიძლიათ ქილა გაჭრათ, ნერგი მიწიანად ამოიღოთ და ჩარგოთ იმავე სიღრმეზე, როგორზედაც ქილაში იყო.

ოღონდ არ შეგეშალოთ, ფინიკი მოუხარშავი უნდა იყიდოთ — ასეთი ნაყოფი ღია ფერისაა და ერთმანეთზე ნაკლებად შეწებებული.

## ღვინო რომ არ შესქელდეს

**— რა იწვევს ღვინის შესქელებას და რა ეშველება ასეთ ღვინოს?**

***ზვიად სახვაძე***

— წინასწარ შემიძლია მოგახსენოთ, რომ შესქელებული (გალორწოვანებული) ღვინის „გამოსწორების“ გზა არ არსებობს, შეიძლება მხოლოდ პროცესის შეჩერება, რისთვისაც გამოიყენება გოგირდის შემცველი კალიუმის ბისულფატი. ეს ნივთიერება უნდა გახსნათ ღვინოში 10 გრამი — 100 ლიტრზე.

ღვინის შესქელების მიზეზი ჭურჭლის უსუფთაობაა. ცუდად გარეცხილ ჭურჭელში მოთავსებულ ღვინოში იბუდებს ლორწოს გამომწვევი ბაქტერიები. ეს დაავადება ძირითადად ვრცელდება დაბალალკოჰოლიან და დაბალი მჟავიანობის ღვინოში.

ღვინის შესქელება რომ თავიდან აიცილოთ, ჭურჭელი უნდა გარეცხოთ ზედმიწევნით კარგად და ღვინის ჩასხმამდე შეაბოლეთ გოგირდით.

## სირაქლემას „ოინი“



**— საინტერესოა, მართლა მალავს თუ არა სირაქლემა თავს ქვიშაში?**

***რეზო ხურციძე***

— რა თქმა უნდა, მაგრამ შიშის გამო კი არ ყოფს თავს გახურებულ ქვიშაში. ამ მეთოდით იგი აბეზარ მწერებს იშორებს...

რაც უფრო ცხელი დღეა, მით უფრო ხშირად უწევს სირაქლემას ამ „ოინით“ მწერებისგან „გათავისუფლება“...

# ზოგჯერ მთავარი „კადრს მიღმა“ რჩება

ბევრ რესპონდენტთან გულახდილი დიალოგისა და ფსიქოლოგთან საუბრის შემდეგ მივხვდი — როცა დიდი გრძნობა ჩნდება (სულერთია, რა ასაკსა და ვითარებაში), იქ უკვე ზედმეტია დამრიგებლური ტონი და მკაცრი „ჯებირების“ შენება, რადგან აზრი არა აქვს — ერთბაშად მოვარდნილ სიყვარულს ხშირად ვერც მოვალეობა, ვერც პასუხისმგებლობა და კიდევ ბევრი სხვა რამ ველარ აკავებს. „ჯებირი“ თუ დაინგრა, მერე ოჯახიც იშლება ან სხვების თვალში რჩება დაუშლელი, იქმნება ახალი, რომელსაც ტკივილნარევი სიხარული ახლავს, თუმცა, ღრმად მწამს, რომ



სხვის უბედურებასა და ცრემლზე საკუთარ ბედნიერებას ძნელად მოიპოვებ.

ეს შესავალი ისევ და ისევ ჩვენი მკითხველის თხოვნით გავაკეთე, რადგან ყოველი მათგანის წერილი თითქმის ასე იწყება და მთავრდება: „თქვენ როგორ ფიქრობთ, მარინა?“, „როგორ გამოეხმაურება ჩემს ამბავს თქვენი გაზეთის მკითხველი?“, „როგორ შეაფასებთ ჩემს ნაბიჯს თქვენ, როგორც ჟურნალისტი და ქალი?“

ჩემი აზრი ასე თუ ისე მოგახსენეთ, ახლა ჯერი თქვენზეა, მკითხველო, რადგან ამ რამდენიმე დღის წინ ორი წერილი მივიღეთ, ერთი ქალბატონისაა (48 წლის), მეორე კი — მამაკაცისა (58 წლის). ორივე ითხოვს, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება მათი უცნაური, ვერდაძლეული გრძნობის შესახებ.

ამ ქალისა და მამაკაცის ცხოვრებაში „კადრს მიღმა“ დარჩა ყველაზე მთავარი და ლამაზი ეპიზოდი — სიყვარული...

დავიწყებ ქალბატონის წერილით (იგი ვინაობას არ გვიმხელს, თუმცა ამ შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არა აქვს).

## ქალი

„წერილის მოწერა აკვიატებულმა ფიქრმა გადამაწყვეტინა. კარგა ხანია თავს შეუძლოდ ვგრძნობ. მინდა ჩემი სიყვარულის ამბავი გაგიმხილოთ. რა დასანანია, რომ ზოგჯერ ყველაზე მთავარი მიჩქმალული და გამოუმზეურებელი რჩება...

გავიზარდე მრავალშვილიან ოჯახში. გავთხოვდი 22 წლის, სტუდენტი. შემეძინა ვაჟი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ რაიონში მომიწია წასვლა. რაიკომის მდივანმა თავისი თანამშრომლები გამაცნო. კარგად მახსოვს, კართან იჯდა ახალგაზრდა, გამხდარი, მაღალი კაცი, თეთრი პერანგი ეცვა. გამიღიმა და ხელი ჩამომართვა. ზაფხულის თაკარა დღეს რატომღაც შემაჟრჟოლა. თითქოს ვიგრძენი, რომ ამ კაცს ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა.

1-ელი აგვისტოდან შევუდექი მუშაობას. ჩემი მეუღლეც კარგად შეეგუა რაიონს, ბავშვს კი გაუჭირდა. მერე და მერე, ისიც შეეჩვია, რადგან ყველგან სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდნენ.

თითქმის ორი ათეული წელი გავიდა და დღესაც ნათლად მახსოვს, როგორ დაიწყო ეს დიდი გრძნობა...

მალე მთელმა რაიონმა გამიცნო და შემიყვარა. აქტიურად ვცხოვრობდი: ვატარებდი კონფერენციებს, საღამოებს, ვესწრებოდი პლენუმებს. მახსოვს, კონფერენციაზე გამოსასვლელი სიტყვა დავწერე, რომლის წაკითხვა და გადამოწმება „იმას“ ევალებოდა. მის კაბინეტში რამდენიმე ქალი ვისხედით. იგი მხოლოდ მე „მზვერავდა“, მის შემოხედვაზე კი ელეთმელეთი მომდიოდა. ვგრძნობდი, როგორ ნელ-ნელა შემოდიოდა ჩემს გულში. მერე წიგნების ჩუქება დაიწყო. ერთხელ მოულოდნელად მთხოვა: როცა კრებაზე ან კონფერენციაზე სიტყვით გამოვდივარ, დარბაზში ახლობლის თვალებს ვეძებ და თუ შეიძლება შენ შემოგხედავო. მივხვდი, რაც გვჭირდა ორივეს. მივხვდი იმასაც, რომ აღარ შემეძლო უმისობა, მივხვდი, რომ სხვისი ქმარი სხვისი ცოლის თვალებში ეძებდა სითბოს და სიყვარულს... გადიოდა დღეები. სატელეფონო მოკითხვებითა და შემთხვევითი შეხვედრებით გრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა. თუ სადმე ქუჩაში თვალს მოვკრავდი, გული ჯერ გამიჩერდებოდა, შემდეგ საგულეს ანგრევდა და გამოვარდნას ლამობდა. მივხვდი — ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. საახალწლო კარნავალის დილას ვთხოვე: — როგორმე დამივიწყე-მეთქი.

ჩუმად მისმენდა. მეგონა, ამ საუბრით საბოლოოდ დავემშვიდობებოდით ერთმანეთს, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. მაინც მოვიდა კარნავალზე მეგობრებთან ერთად. გავშეშდი. ველარაფერს ვხედავდი. მესმოდა მხოლოდ მისი ხმა. იგი მადლობას მიხდიდა რაიონის სახელით ასეთი აქტიური და ხალისიანი მუშაობისთვის. ცოტა ხანში მივლინებით გამოვემგზავრეთ თბილისში. თერთმეტნი ვიყავით. მცხეთაში, რესტორანში ვისადილეთ. მისმა მეგობარმა განსაკუთრებული ყურადღება რომ მომაქცია, ეჭვიანობამ კინაღამ გააგიჟა. მეგობარი ვერ მიხვდა მისი გაბრაზების მიზეზს. ლხინი ჩაგვეწარდა. საღამოს მე და ჩემმა მეგობარმა მივაკითხეთ სასტუმროს ნომერში. რომ დამინახა, ცოტა დამშვიდდა. მალე მანანას (ჩემს მეგობარს) დაუძახეს და ჩვენ მარტონი დავრჩით. თვალცრემლიანმა ვკითხე: რა გჭირს, რა გემართება? როგორ ვერ იმორჩილებ თავს-მეთქი. ვერაფერი მიპასუხა. ათრთოლებული ხელი შემომხვია და მხოლოდ ერთხელ მაკოცა. ის კოცნა დღესაც მიწვავს სახეს, გულს, სულს და გონებას. რამდენიმე დღის შემდეგ შინ დაბრუნებულს დანაშაულის შეგრძნება გულს მიწიწკნიდა. დასამშვიდებლად ცოტა ხნით დედასთან წავედი, მაგრამ ის რამდენიმე დღე საწოლს მიჯაჭვულმა გავატარე — ნერვიულობისგან სიცხემ ამიწია. შინ დაბრუნებულმა დავიფიცე, — უთუოდ უნდა დავივიწყო-მეთქი. ფიცის შესრულებაში ხელი მომემართა — იგი დააწინაურეს და რაიონიდან წავიდა. გამიხარდა, ვიფიქრე, გადავრჩი ოჯახის ქალი ჭორებს და შერცხვენას-მეთქი. მაგრამ მან ვერ დამივიწყა, თუმცა, მეც ვერ შევძელი ეს... კვირაში ერთხელ მირეკავდა, მკითხულობდა. ამ საუბრით ისიც ბედნიერი იყო და მეც. დღესაც დაწვრილებით ვიცი მისი ცხოვრების, საქმიანობის დეტალები. ვიცი, რა უჭირს, რა ულხინს, როდის რას საქმიანობს...

ჩვენი გაცნობიდან ერთი წლის მერე მის თხოვნას — რა მოხდება, ცოტა ხანს გნახო, თვალი შეგავლო და დაგელაპარაკოო — მაშინვე დავემორჩილე. მისი მეგობრის ბინაში შევხვდი. ახლაც ვერ გამიგია, როგორ, რანაირად მოხდა ყველაფერი. დღესაც მტანჯავს შეგრძნება სხვისი ქმრისა და სხვისი ცოლის თუნდაც დროებით ერთად ყოფნისა, დღემდე მაწვალებს ფიქრი: ეს დიდი, ლამაზი, ჭეშმარიტი სიყვარული იყო თუ თვალთმაქცი გრძნობა, მშვენიერი დღეები იყო სიყვარულისა, მარადისობას რომ შეაჩერებს წუთით მაინც, თუ ზიზღის მომგვრელი ღალატი?

უკვე ასაკოვანი ქალი ვარ და როცა დავფიქრდები, ვაცნობიერებ — ჩემი ცხოვრება არაფერია ამ სიყვარულის გარეშე. ჩემს ცხოვრებას, როგორც ხელისგულს, ისე დავჩერებივარ: მივლინებებში წასული ქმარი, გაუთავებელი მოთხოვნებით — „მასვი“, „მაჭამე“, „მომიარე“. საკმაოდ დარდიმანდი, ზერელე და ფუქსავატი, ერთხელაც რომ არ უკითხავს: „დაიღალე?“, „რა გჭირდება?“, „რას ინატრებდი?“ მყავს ორი კარგი შვილი. მეორე კარგა ხნის მერე გავაჩინე. აგორებულმა ჭორებმა, ოჯახის დანგრევის შიშმა მეორე შვილიც გამაჩენინა. ამით კიდევ ერთხელ ვცადე მისი დავიწყება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მუდამ მსიამოვნებდა მისი ხმის გაგონება ტელეფონში. იგი ხშირად მირეკავდა თბილისიდან, მოსკოვიდან. არ ავიწყდებოდა არც ერთი დღესასწაულის მოლოცვა, მცირე საჩუქრების გამოგზავნა. ბევრჯერ უთქვამს ტელეფონით: ახლა იმის სადღეგრძელოს ვსვამთ, ვინც გულით გვიყვარს და — შენ გაგიმარჯოსო.

დღესაც, როცა ფიქრი მისკენ გამექცევა, ბედნიერი ვარ, ის რომ არსებობს. პატარა გოგოსავით მიხარია მისი ხმის გაგონება. ასე მგონია, არ ვბერდები. არ ვიღლები ამ ცხოვრებით, თუმცა ვიტანჯები. უმისობა დიდხანს არ შემიძლია, მაგრამ მე მას არასდროს ვეძებ. დღე იწყება მასზე და შვილებზე ფიქრით და ლოცვით და ასევე ღამდება.

იგი საოცრად კარგი შვილი, თბილი და მზრუნველი მამა და ბაბუაა. ჩვენ ხანდახან ვხვდებით ერთმანეთს. ვუზიარებთ ტკივილს, სიხარულს, ვურჩევთ, ვანუგეშებთ ერთმანეთს და ეს კარგა ხანს საგზლად გვყოფნის.

არ ვიცი, ვინ რას დამარქმევს: მოღალატე ცოლს, ცუდ დედას თუ მეძავს, მაგრამ მე ვიცი, რომ სიყვარული მშვენიერია, თუნდაც „დანაშაულებრივი“ და მოპარული. ყველა ადამიანმა სიკვდილამდე ერთხელ მაინც უნდა გამოსცადოს ასეთი გრძნობა, რათა აღარ არსებობდეს შური და ბოროტება. მინდა ვუთხრა მას (ისიც თქვენი გაზეთის მკითხველია): ჩემო კარგო, მიყვარხარ და მენატრები ძალიან. შენ ჩემში ხარ, ისევე როგორც მე შენში. მადლობა უფალს ამ სიყვარულისთვის... ჰო, თუნდაც ცოდვილი სიყვარულისთვის“.

## კაცი

„ვარ 58 წლისა. ჩემი ხნის კაცს მრცხვენია კიდეც ამის გამხელა, მაგრამ სიყვარულს სიგიჟემდე მივყავარ.

ვარ აფხაზეთიდან დევნილი. ვცხოვრობ სამეგრელოში. მყავს მეუღლე და შვილები. ჯახირით ვირჩენთ თავს, მაგრამ ახლა სულაც არ ვაპირებ დევნილი კაცის უფერულ ცხოვრებაზე გიამბოთ, მე სულ სხვა რამის გამო გწერთ წერილს (გვარ-სახელები შეცვლილია, არ მინდა, ვინმეს გული ვატკინო).

1975 წლის ზაფხულში უკრაინის ერთ-ერთ პატარა ქალაქში გავდიოდი პრაქტიკას. იმ ორგანიზაციის უფროსმა, სადაც მე ვმუშაობდი, თავის სოფელში დამპატიჟა. საათ-ნახევარში მივადექით თეთრი აგურით ნაშენებ, ერთსართულიან ტიპურ უკრაინულ ხატას. ჩემი მასპინძლის დედა ღიმილით გამოგვეგება. შვილმა დედას მიმართა: აბა, შენ იცი, როგორ გაგვიმასპინძლდები. მართალია, ქართველს ვერაფრით გავაკვირვებთ, მაგრამ შენ შენსას ეცადეო. გალინა ლუკინიჩნამ მეზობლად მცხოვრებ მაზლიშვილს დაუძახა დასახმარებლად. ცოტა ხანში ოთახში შემოვიდა 22 წლის გოგონა, ტანია ერქვა. სუფრა მალე გაიშალა, გაჩაღდა ლხინი. უცებ ტანიამ მითხრა, — მარცხენა ხელი მაჩვენეთო. გაკვირვებულმა გადავხედე მასპინძლებს. მათ კი შემაგულიანეს: — მიდი, მიდი, ნუ გერიდება, ჩვენი ტანია ნათელმხილველია. ხელისგულზე ყველაფერს ხედავს და სრულ სიმართლეს გეტყვისო. გავუწოდე ხელი. ტანიამ დაიწყო: 1976 წლის სექტემბერში ცოლს შეირთავ (ცოლის სახელი და გვარის ინიციალებიც დამიწერა), გეყოლებათ ორი ვაჟი (იმათი სახელები სრულად დამიწერა), მიაღწევთ ცხრა ათეულ წელს, კარგა ხანს სულ სხვაგან მოგიწევთ ყოფნა. მოგვიანებით გაიცნობთ თქვენზე 18 წლით უმცროს ქალს, ქვრივს, ორი შვილის დედას (მისი სახელი და გვარიც დამიწერა) და სიგიჟემდე შეგიყვარდებათო. მერე ცრემლები გადმოსცვივდა. შევცბი, მაგრამ გახუმრება მაინც ვცადე: ხომ არ ვკვდები-მეთქი. არა, იმ ქალის მშურსო.

დრო გავიდა და ტანიას ნათქვამი ამიხდა. ჩემზე 18 წლით უმცროსი, ორშვილიანი, ქვრივი ქალი ისე შემიყვარდა, რომ გაგიჟებას ცოტა მაკლია. არადა ვერ ვამხელ, რადგან მისი რიდიც მაქვს და ჩემი ოჯახის წევრებისაც მრცხვენია... ნეტავ, როდემდე გაგრძელდება ჩემი ტანჯვა? აშკარად გამირბის, თუმცა ვატყობ, არც ის უნდა იყოს ჩემდამი გულგრილი. ერთი დღე რომ არ ვნახო, გიჟივით დავდივარ, მის გზას გავცქერი. რახან პირდაპირ ლაპარაკს თავი ვერ მოვაბი, მინდა თქვენი დახმარებით ვუთხრა: მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო; არ არსებობს ამქვეყნად ამაზე უფრო ძლიერი და წრფელი სიყვარული. ვერანაირი ძალა ვერ მაიძულებს შენს დავიწყებას.

თქვენ კი, მთელ რედაქციას, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ. ჩემი გულის ნადების დაბეჭდვა უკვე თქვენს თანაგრძნობას ნიშნავს. ეგებ, თქვენმა მკითხველმაც მირჩიოს რამე, თუ არადა გასკდა ეს დასამიწებელი გული, საშველი კი არსაიდან ჩანს“.

P.S. ქალმაც და კაცმაც დიდხანს ინახეს თავისი გრძნობა გულში და ახლა ელიან თქვენს გამოხმაურებას, ჩვენო მკითხველო. იმედია, მკაცრი არ იქნებით. ერთსაც და მეორესაც გულწრფელად უყვართ, ამ სიყვარულით არავის არაფერს უშავებენ და დაე, უყვარდეთ. თქვენ რას იტყვით?

**მარინა ბაბუნაშვილი**

# ამ გაზაფხულზე მოდაშია....



სამაისოდ თქვენს გარდეროში აუცილებლად უნდა იყოს წითელი ფეხსაცმელი. ნუ შეგაშინებთ ის, რომ შესაფერისი ტანსაცმელი არ გაქვთ. ამ ზაფხულს წითელი ფეხსაცმელი ყველანაირ სამოსს მოუხდება იმიტომ, რომ არა მარტო მოდურია, არამედ სტილს შეუქმნის ყველას. ასევე მოდურია მწვანე ვაშლისფერი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი ტანსაცმელი, ჩანთა, ფეხსაცმელი, შარფი, ცხვირსახოცი, სამკაული.

# ასეთი მაკიაჟით ვულგარული ჩანხართ...

*ალბათ რამდენჯერ გაუწუწავხართ წვიმაში „ხულიგან“ მძღოლს, რამდენჯერ გიწუწუნიათ ჭუჭყიანი გუბურის შხეფებით დასვრილს. ეგ არაფერი, თუ, რა თქმა უნდა, შინ ბრუნდებოდით და სადმე მნიშვნელოვან წვეულებაზე ან პაემანზე არ მიიჩქაროდით თავის მოსაწონებლად საგანგებოდ გამოწყობილი. ამას წინათ ჩემმა მეგობრებმა ისეთი სახალისო ამბები გაიხსენეს წვიმასთან და გუბურებთან დაკავშირებით, რომ გადავწყვიტე, თქვენთვისაც მომეთხრო...*

**თამარი (34 წლის):** — მაშინ 21 წლის ვიყავი. შეყვარებულმა მითხრა, — დედაჩემი მინდა გაგაცნოო. დიდი ამბით გავამზადე ძალიან ლამაზი, თეთრი კაბა, მოუთმენლად ველოდებოდი სადედამთილოსთან შეხვედრას. გათენდა ის დღეც. წვიმდა, თანაც კოკისპირულად, გული კინაღამ შემიწუხდა. მაინც თეთრი კაბა ჩავიცვი და გავწიე. ზედ მათი სადარბაზოს შესასვლელთან გამოიარა ვიღაც გადარეულმა, ჩახტა გუბურაში და ერთიანად გამწუწა. საშინელი სანახავი ვიყავი, ჩემი თეთრი კაბა აღარ იყო თეთრი. ავტირდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ლიფტი არც გამხსენებია, ნაცემი ბაღლივით ავუყევი კიბეს მე-5 სართულამდე. ზარის ღილაკს თითი დავაჭირე და ისეთი განცდა მქონდა, თითქოს იმ კარიდან მოსამართლე უნდა გამოსულიყო და განაჩენი გამოეტანა. გამოვიდა ჩემი სადედამთილო. გაოცებულმა შემომხედა, ვინ გნებავთო? კახა-მეთქი, — ამოვიკნავლე. კახა შინ არ არისო, მკვახედ მიპასუხა და კარი ცხვირწინ მომიჯახუნა. გული ამომიჯდა. თურმე კახას დედას ვიღაც ცუდი გოგო ვგონებივარ და საცოლის მომლოდინე შვილი საფრთხეს აარიდა. აქვითინებული კიბეზე ჩამოვჯექი. ხმაურზე ყველა გარეთ გამოვიდა, მათ შორის კახაც. მერე ბევრი იცინეს ჩემს ამბავზე. სადედამთილომ „დანაშაულის“ გამოსასყიდად იმ დღესვე დამიტოვა რძლად...



**ნატა (28 წლის):** — მშვენიერი, მზიანი დღე იდგა, ახალ სამსახურში გადავდიოდი, მომავალ უფროსს უნდა შევხვედროდი, საგანგებოდ გამოვიპრანჭე და წავედი. გზაზე გადასვლისას ვიღაც ბედოვლათმა გუბურას გადაუარა და შადრევანივით მომიშვა ჭუჭყიანი შხეფები. მარტო დასვრას ვინ ჩიოდა, დავსველდი. ჩემი ჭკუით გავიწმინდე. უფროსის კაბინეტს მივადექი, მოწიწებით ვეახელი, გაოცებული მიყურებდა, მე კი საუბრის დასასრულამდე ვერაფერს მივხვდი. ბოლოს, მითხრა — ნატა, თქვენ სულ ასეთ მაკიაჟს ხმარობთ? დიახ-მეთქი, — მივუგე შემცბარი ღიმილით, — იცით, რომ არ გიხდებათ? ასე ძალიან ვულგარული ჩანხართო. ჯერ დავიბენი. მერე ამოვიღე სარკე და... ელდა მეცა. როგორც ჩანს, სახეზე წვეთები დაუდევრად მოვიწმინდე და იცით, რას ვგავდი?..

**გურამი (27 წლის):** — მე და ჩემმა შეყვარებულმა ერთხელ ერთმანეთი ჩურჩხელებივით ამოვავლეთ გუბურებში. საგურამოდან წამოსულებმა გადავწყვიტეთ, ჯვრის მონასტერში ავსულიყავით. გზა აგვერია. ნაწვიმარი იყო, სადღაც დანგრეულ, ოღროჩოღრო შარაზე აღმოვჩნდით. ჩამივარდა მანქანა ორმოში და ვერაფრით ამოვიყვანე. საჭესთან თაკო დაჯდა, მე გავიხადე ფეხზე, შარვალი ავიკაპიწე, ჩავდექი გუბეში და მანქანას მივაწექი. თაკომ პედალს ფეხი დააჭირა და ტალახში ერთიანად ამომთხუპნა. მერე მე დავჯექი საჭესთან. თაკომ იმეტიჩრა, ჩემი ნომერი გაიმეორა და ისიც ტალახში ამოისვარა. წვალებით და წამებით ამოვათრიეთ მანქანა წუმპიდან. იცით, რას ვგავდით? მცხეთა-თბილისის ტრასაზე პოლიციამ გაგვაჩერა — მანქანის ნომერი ტალახით რატომ გაქვთ მოსვრილი, მოიპარეთო? — შემოყო თავი სალონში პოლიციელმა და შეიცხადა, — რას ჰგავხართ, ღორებს ეჯიბრებით თუ რა გჭირთო. ისე გავმწარდი, მანქანა გავაქანე და პოლიციელს ფეხებზე გადავუარე უკანა ბორბლით. ეჰ, ამ ამბის გახსენება მიმძიმს. ძალიან ძვირად დამიჯდა...

**ქეთი (42 წლის):** — შეიძლება თოვლზე რომ მოგიყვეთ ერთი ამბავი? მეგობრის დაბადების დღეზე მივდიოდით მე, ჩემი და და ერთი მეგობარი. დიდი თოვლი იყო მაშინ თბილისში. ფალიაშვილის ქუჩაზე მხიარული ყიჟინით მივდიოდით. უცებ თოვლის ზვავი წამოვიდა და მიწაზე დაგვცა. თურმე ვიღაც ოთხსართულიანი სახლის სახურავს თოვლისგან წმენდდა. სამივეს ტვინის შერყევა მოგვივიდა. მას მერე ძალიან მეშინია შენობასთან ახლოს გავლისა. ამ შიშმა კი შარშან სიკვდილისაგან მიხსნა — პუშკინის ქუჩაზე რომ სახლი ჩამოინგრა, იმ დროს იქ მივდიოდი, მაგრამ ტროტუარზე კი არა, ლამის შუა ქუჩაზე. სწორედ ამან გადამარჩინა, თორემ იმ ნანგრევებიდან სული არ ამომყვებოდა.

**ეკა ლომიძე**

CMYK

# მომწონს მოსამართლის პროფესია



*ირინა ონაშვილმა სულ რამდენიმე თვის წინ მთელ მსოფლიოს გააცნო თავი მომხიბლავი გარეგნობითა და ლამაზი სიმღერით. ამჯერად სილამაზის დედოფალზე და გარდასულ კონკურსზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ და შემოგთავაზებთ ირინასთან ინტერვიუს, რომელიც „იუმორინის“ კონცერტზე მისი გასვლის წინ ჩავწერეთ. ჩაწერას ესწრებოდნენ „მის იუმორი“ მზია კვირიკაშვილი და ნანი ბრეგვაძის ცნობილი იმიტატორი ნინაკა გელაშვილი. ეს ქალბატონები საუბარს არ გვაცლიდნენ, დიდ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავდნენ ირინას მიმართ და ჩემს შეკითხვებს რესპონდენტის მიმართ ურეპლიკოდ არ ტოვებდნენ: ძალიან საყვარელი გოგონაა, კარგად აღზრდილიაო და ა.შ.*

— **ირინა, როგორ ფიქრობ, „სილამაზეა მხოლოდ ნაჭი ხორციელების“? თუ ასეა, როგორ წარმოგიდგენია ცხოვრება ყვავილივით დამჭკნარი სილამაზის პირობებში?**

— სამწუხაროდ, გარეგნული მშვენიერება მართლაც ჭკნობადია, მაგრამ ეს ჩემში მძიმე განცდას ვერ ბადებს. იქნებ იმიტომ, რომ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ და ჭკნობამდე დიდი დრო მაქვს. მაგრამ ჩემი სიმშვიდის მიზეზი, სხვა რამ უფრო მგონია. ბარათაშვილი როცა ხორციელი სილამაზის ჭკნობაზე საუბრობს, იქვე აღნიშნავს, რომ სულიდან მომდინარე სილამაზე დიდებულია და უჭკნობი. სულიერი სილამაზე ბრწყინვალებას სძენს ადამიანის გარეგნულ იერს. ეს თუ არ არის, რაც არ უნდა ვარსკვლავებს ეთამაშებოდეს, ქალი ან კაცი, ადამიანი ფუტლარს დაემსგავსება. ვფიქრობ, საქართველოში სულიერ სილამაზეში უნდა გაეჯიბრონ ქალები ერთმანეთს...

— **სილამაზის კონკურსებზე საკმაოდ ლაღი და თამამი ჩანდი, სინამდვილეში კი მორცხვი და მოკრძალებული ხარ. წარმატებამ არ გაგათამამა?**

— არასდროს მიფიქრია, რომ წარმატებით გათამამება შეიძლება. რაც შეეხება ჩემს სიმორცხვეს და მორიდებულობას, ეს ჩემი შინაგანი ბუნებაა. ვფიქრობ, ქალს ეს თვისება ხიბლს სძენს.

— **რომელი ეპითეტით შეიძლება კაცმა შენი ყურადღება დაიმსახუროს — „ხორცშესხმული მშვენიერება“, „ქალღმერთივით ლამაზი“, თუ როგორც დღეს უყვართ თქმა — „დაცემა ქალი“?**

— ძნელი სათქმელია. „ქალღმერთი“ — მეტისმეტია, „ხორცშესხმული მშვენიერებაც“, უხერხულად ჟღერს ალბათ... „დაცემა ქალი“. ვფიქრობ, დღეს, ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ ბიჭს ძალიან მოსწონს გოგონა.

— **სიყვარულს რა შეუძლია? მტრობისგან დანგრეულის შენება რომ შეიძლებია, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ შენ თუ გაქვს „მეცნიერული დასკვნები“?**

— ვფიქრობ, სიყვარულს ტანჯვის და ცრემლის გარდა არაფერი მოაქვს. მართალია, ეს გრძნობა ალამაზებს ადამიანს, სამყაროს სხვა თვალით უყურებ, მაგრამ ამავე დროს უზომოდ იტანჯები.

— **18 წლისამ ასე მტკივნეულად განიცადე სიყვარული?**

— (ეცინება). დიახ. სიყვარულს მხოლოდ ტანჯვა მოაქვს. შეიძლება მან მეამბოხედ გაქციოს, აგირიოს ურთიერთობა იმათთან, ვისაც მართლა ძალიან უყვარხარ და ვინც შენი სიყვარულის ობიექტის ნაკლოვანებებზე მიგითითებს. აი ასეთი აზრი მაქვს სიყვარულზე.

— **ირინა, რომელ პროფესიას ეუფლები?**

— ვსწავლობ იურიდიულ და უცხო ენების ფაკულტეტებზე. თუმცა, არ ვიცი, საბოლოოდ რომელ პროფესიას ავირჩევ. ისე კი იურისტობის სურვილი უფრო მაქვს, ვიდრე მოდელობის. მომწონს მოსამართლის პროფესია.

— **ე.ი. ირაკლი ოქრუაშვილს არ უნდა ეშინოდეს შენი კონკურენციის.**

— ჰო, პროკურორობას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ (ეცინება) თუ ვინმე დააპირებს დაიცვას დამნაშავე, ჩემს სამართლებრივ ნებაზე ზეგავლენას ოქრუაშვილიც ვერ მოახდენს. ისეთი ხასიათი მაქვს, ვერც დამნაშავე და ვერც მისი დამცველი, ვერაფერში შემედავებიან.

— **დღეს თურმე გოგონები პირველები უხსნიან ბიჭებს სიყვარულს, როგორ მოგწონს ეს უცნაური ფემინიზმი?**

— მე რუსთაველი მომწონს და ვეთანხმები სიყვარულის მისეულ გააზრებას. სიყვარული უფრო მოქმედებით უნდა მჟღავნდებოდეს და არა სიტყვით. სიტყვები ხშირად აზრს კარგავს, თუ საქმეც არ ახლავს თან, „საქმენი საგმირონია“ სიტყვებზე მეტად ადასტურებს მამაკაცის გრძნობას. არ მომწონს, როცა ქალი აქტიურია და თავად უხსნის სიყვარულს კაცს.

— **ამას წინათ, „ღამის შოუში“ თქვი — ჩინეთში ყოფნისას ჯეკი ჩანს ვუთხარი, შენხელა ბუტერბროდს ვჭამ „პახმელიაზეო“. ეს თვითონ მოიფიქრე?**

— არა. ეს სცენარისტების მოფიქრებული იყო და ამის თქმა არც კი მინდოდა, რადგან საერთოდ არ ვსვამ და რა „პახმელიაზეა“ ლაპარაკი. ძალიან წარმატებული კი გამოდგა ეს ფრაზა ეკრანზე. ჯეკი ჩანს არც კი დაველაპარაკებივარ, კონკურსის დაწყებამდე მასთან ერთად კულისებში ვიდექი და ვფიქრობდი (ეცინება), მე ვარ ასე მაღალი თუ ჯეკია მართლა ასე დაბალი-მეთქი.

— **მომღერლის კარიერას რას უპირებ, მარტო „იუმორინაში“ სიმღერებით შემოიფარგლები?**

— რა თქმა უნდა, არა. ვწერ სიმღერებს. რამდენიმე უკვე მზად მაქვს და ვემზადები ალბომის გამოსაშვებად. ამისთვის სულ 12 სიმღერაა საჭირო. რეპერტუარში სხვადასხვა ჟანრის სიმღერები იქნება. რაც შეეხება „იუმორინას“, ამ შემოქმედებით გუნდს შორიდან ვიცნობდი, მიყვარდა ყველა, ახლა კი, როცა კონცერტები მთავრდება, მიჭირს მასთან განშორება. ფილარმონიაში ისე მივიჩქარი, ისე მიხარია მათთან მისვლა, რომ ოჯახში ექვიანობენ, ჩვენ აღარც კი გახსოვართო.

# — აღარ მინდა პოლიციელობა, მეყოფა!..

*ახალგაზრდა მსახიობი **ვასიკო ბახტაძე**, რომელიც ძალიან ჰგავს ზღაპრებიდან გადმოსულ კეთილ დევს, ტელემაყურებელთა უმრავლესობას პოლიციელი ჰგონია. იგი შთამბეჭდავად განასახიერებს კაციჭამია პოლიციელს „დაკავებულთა წამების“ შესახებ გადაღებულ კლიპში. თუმცა მისი ეკრანული სახე ისე განსხვავდება ცხოვრებისეულისგან, როგორც ცა და დედამიწა. ვასიკო ამჯერად ჩვენი სტუმარია.*

— **როგორც მსახიობს, თითქმის არ გიცნობთ მაყურებელი. მიუხედავად იმისა, რომ ტელესერიალებსა და სპექტაკლებშიც თამაშობთ, ყველას მაინც პოლიციელი ჰგონიხართ.**

— 1997 წელს დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი. ასე რომ, პროფესიით ნამდვილად მსახიობი ვარ. პირველად გადამიღეს მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „ნუცას სკოლა“. ერთხანს უსაქმურად ვიყავი. მერე თავისუფალი თეატრიდან მეგობრებმა მითხრეს — ახალ ფილმს იღებენ, მსახიობებს ეძებენ, იქნებ რაიმე როლს გამოჰკრა ხელიო... ასე აღმოვჩნდი „ცხელი ძაღლის“ სინჯებზე. წვერმოშვებული და თმაგაბურძგნილი ვიყავი. ვიფიქრე, რადგან კრიმინალურ დეტექტივს იღებენ, ყაჩაღის ან ბანდიტის როლზე მომიწონებენ-მეთქი. ცოტა ხანში შემომითვალეს, — პოლიციელის როლზე ხარ დამტკიცებულიო. გამიკვირდა, მაგრამ რას დავეძებდი. ამავე პერიოდში სამეფო უბნის თეატრში ვითამაშე მთავარი როლი დათო სიხარულიძის სპექტაკლში „ჰიპი“. პატარა „გოგონა“ ვიყავი, კიკინებიანი. თავისუფალ თეატრში „ტელემისტერიაშიც“ მივიღე მონაწილეობა. ახლა კი როლი მაქვს „ქვრივთა ნუგეშისმცემელში“... რაც შეეხება კლიპს, ვარდების რევოლუციის შემდეგ დამირეკეს სტუდია „რედან“, სინჯებს ვიღებთ პოლიციელის როლისთვისო, წავედი და ასე დამამტკიცეს გადაღებაზე. კლიპმა, შეიძლება ითქვას, პოპულარული გამხადა. ყველა არხზე დატრიალდა და მგონი ყველა მცნობს...



— **ამას ქუჩაში გრძნობთ?**

— ვგრძნობ? რა დღეში ვარ, იცით? ამას წინათ ერთმა ქალმა გამაჩერა ქუჩაში — შენ არა ხარ, ბოროტი პოლიციელიო? ჰო-მეთქი ღიმილით მივუგე. რასაც შენ გწყევლი, ცოცხალი როგორა ხარო? რა დაგიშავე, დეიდა-მეთქი? შვილი მყავს პატიმარიო. ვერ დავაჯერე, რომ პოლიციელი არა ვარ. სახე გაქვს ისეთი, რომ ზედ გაწერია, ვინცა ხარო. ვერანაირმა შეგონებამ ვერ გაჭრა.

— **ასეთი შემთხვევა ხშირია?**

— საბედნიეროდ, არა. უფრო ხშირად ბავშვების რეაქციას ვგრძნობ. ქუჩაში ხშირად მესმის ფრაზა კლიპიდან: „დაწერე!..“

— **პოლიციელებთან როგორი დამოკიდებულება გაქვს, ამ კლიპმა თუ შეცვალა რაიმე შენსა და სამართალდამცველთა ურთიერთობაში?**

— ყაჩაღის თავგამოდებული დამცველი არასდროს ვყოფილვარ და შესაბამისად, პოლიციასთან ამ მხრივ ურთიერთობაც არ მქონია. მხოლოდ ბავშვობაში ცელქობის დროს „მაშინებდნენ“ უფროსები, — აი, მილიცია ბიძია მოვაო. მეტი არაფერი. ახლა სადაც ვხვდები პოლიციელებს, ყველგან ღიმილს მაგებებენ. მეგობართან ერთად მანქანით მივდიოდი ამას წინათ. მოძრაობის წესები დაარღვია, გაგვაჩერეს. დამინახეს თუ არა, სახე გაებადრათ — ვა, კაცო, ჩვენ ციხეში გვგონიხარ, შენ კი აქ ყოფილხარო. ასე რომ, პოლიციასთან ჩემი შეხვედრები მხიარულად მთავრდება... ისე კი, ვინც მიცნობს, კარგად იციან, რომ პოლიციასთან და მით უფრო, კაცის წამებასთან საერთო არაფერი მაქვს. ცხადია, დანაშაული არ უნდა ჩაიდინოს კაცმა, მაგრამ თუ ჩაიდენს, წამებით მისი გამოტეხვა არ მიმაჩნია კაცობად. მსმენია, წამებას ხშირად ძალიან ცუდი შედეგი მოჰყოლია...

— **თქვენი გარეგნობის პატრონმა სპორტი რომ არ აირჩიეთ და თეატრალურში ჩააბარეთ, ცოტა არ იყოს მიკვირს, ჭიდაობაში ან სუმოში წარუმატებელი არ იქნებოდით ალბათ.**

— კიდევ კარგი, ის რომ არ მკითხეთ, პოლიციაში რატომ არ წახვედიო (ეცინება).

— **ეტყობა, წინასწარ იცოდით გია ბარამიძე, რომ გახდებოდა შს მინისტრი და ლიპიან პოლიციელებს რომ დაიწუნებდა.**

— იმედი მაქვს, ბარამიძის აკრძალვები ფილმებსაც არ შეეხება, თორემ პოლიციელის როლშიც აღარ გადამიღებენ. „ცხელი ძაღლის“ გადაღების დროს ჩემი გარეგნობის გამო პრობლემა გაგვიჩნდა. ჩემი ზომა პოლიციელის ფორმა ვერ იშოვეს. პოლიციის ერთ-ერთ რაიონულ განყოფილებაში ვიღაც ძველი მოკრივე, ჩინოსანი პოლიციელი ვნახე ფორმის ძიების დროს. რა ტანს აფუჭებ, რას აწვალებ მსახიობებს და რეჟისორს, მოდი, საქმეს გასწავლი, კაცად გაქცევო (ე.ი. პოლიციელად გაგზრდიო). ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მე ჩემი გზა მაქვს-მეთქი, ვუთხარი და ქუდი დავიხურე.

— **ბავშვობაშიც ბუთხუზა იყავით? ალბათ ყველას ეშინოდა თქვენთან წაკინკლავება.**

— ბავშვობაშიც ბუთხუზა ვიყავი, მაგრამ მუშტი-კრივი არასდროს მყვარებია.

— **რატომ? კეთილი დევი იყავით?**

— სწორედ ასე იყო. მე ხომ კეთილ დევსაც ვთამაშობ სატელევიზიო ზღაპარში პირველ არხზე. მომწონს დევობა, აი, ის როლიც მიყვარს, „ჰიპში“ პატარა გოგონა რომ ვითამაშე. ერთხელ სპექტაკლს ყრუ-მუნჯი ბავშვები ესწრებოდნენ, მე „ფრთიანი გოგონა“ ვიყავი, ხელების ნაცვლად ფრთები მქონდა. ბავშვებს დარბაზში ჩამოსვლით ვემშვიდობებოდი. ერთი ბავშვი გამომეკიდა, ვერც გამაგებინა, რა უნდოდა, არადა, აშკარად რაღაც უხაროდა...

— **შვილები გყავთ? ვინ არის ის ბავშვი, თქვენს შვილს რომ თამაშობს კლიპში?**

— ყველა მაგას მეკითხება, რადგან ის ბავშვი გგავსო. დათუნა ერთ-ერთი სკოლიდან აარჩიეს იმისთვის, რომ ნირწამხდარი „ძაღლის“ შვილის როლი ეთამაშა. ისე, ვისაც ვაწამებ, იგი ჩემი მეგობარი და პარტნიორია ერთ-ერთ სპექტაკლში.

— **ახალი ქართული ტელესერიალები როგორ მოგწონთ?**

— ტელესერიალებს არ ვუყურებ, „ცხელ ძაღლში“ კი ვფიქრობ, რომ გამაღიზიანებელი არაფერია. ახლა მალე გავა ეკრანზე „ცხელი ძაღლი-2“ და ნახეთ, რა ხდება ფილმში. აი, მერე თუ ჩათვლით საჭიროდ, გვაკრიტიკეთ რამდენიც გინდათ.

— **რომელიმე როლის თამაშზე ოცნებობთ?**

— კი. ძალიან მომწონს ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები. მინდა დიდრო ვითამაშო. პოლიციელობა აღარ მინდა, მეყოფა.

— **გასაგებია პატიმრების დედების, ბავშვების, პოლიციელების რეაქცია შენ მიმართ. ქალების რეაქცია როგორია?**

— ოო (ეცინება), დამინახავენ, გამიღიმებენ, მეკეკლუცებიან — მე თქვენ გიცნობთო. ძალზე სასიამოვნო პროცესია...

— **თქვენი გარეგნობის პატრონს ალბათ თამადობაც გეხერხებათ... ყანწში თუ ჩავარდნილხართ?**

— ეჰ, კაია, კაი ქეიფი. თამადა ხშირად არა ვარ, ისე კი, გამომდის ეგ საქმე. ისე, ყანწში არა, მაგრამ ქვევრში ნამდვილად ჩავვარდნილვარ. ქვევრის თავზე ვქეიფობდით და... სანამ მკითხავთ, გიპასუხებთ მიყვარს ორი სადღეგრძელო: თბილისის და უბრალოების. უხვსიტყვაობა არ მიყვარს, ვიტყვი უბრალოდ, — უბრალოებას გაუმარჯოს-მეთქი და უბრალოდ ვსვამ. უბრალოება ყველას თავისებურად ესმის, საერთო კი ის არის, რომ უბრალო ადამიანი აუცილებლად თავმდაბალი, სათნო და კაცთმოყვარეა. თბილისი მინდა ასეთი არ იყოს, როგორიც დღეს არის, მინდა ის დაბრუნდეს, რაც ოდესღაც იყო, რაც გადმოცემით მესმის, როცა ქალს ჩუმად აცილებდნენ, როცა შორიდან ეტრფოდნენ და იცავდნენ, როცა წაქცეულ კაცს წიხლს არ უმატებდნენ და, როცა ჩხუბიც კი ლამაზი იცოდნენ, მუშტით და არა იარაღით. როცა ნაჩხუბრები რესტორანში რიგდებოდნენ, ასეთ თბილისს ვნატრობ...

*გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ*


27 აპრილიდან

ყველაფერი
უძრავი ქონების შესახებ
ახალ ყოველკვირეულ ჟურნალში




გარდა სარეკლამო ინფორმაციებისა, ჟურნალშია:
უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები,
ფასები, პროგნოზები, რჩევები...

## ორშაბათი 26 აპრილი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" 15.15 მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა" 1-2ს. 16.30 დოკ. ფილმი „სიკვდილს გადარჩენილნი" 17.15 საქართველო, დრო, მოვლენები 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 მოკლ. ფილმი „სერენადა" 19.25 „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.15 სატ. ფილმი „დაგვიანებული კადიში" 23.30 მხ. ფილმი „მელოდია სარდაფიდან"

19.00 მულტფილმი 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა" 11-12ს. 21.00 „ვმესტე" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „ინდორ-ინეთი"

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ბედის ლდა 16.20 სერიალი „მაშველები" 17.25 პერეკრიოსტოკი 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „ჯაშუში" 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „იქს-ადამიანები 2". მთ. რ-ში: პატრიკ სტიუარტი, ჩამკე იანსენი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.10, 11.20, 13.15, 17.20, 02.05 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის" დილა 10.00 დროება 11.30 სპ. პროგრამა „ასი" 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 02.35 ტვ-მარკეტი 14.05 თამაში „უდაბნოს სამჭედლოები" 15.00, 16.00, 17.00 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „აკოცე ვისაც მსურს" 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.50 ქრონიკა 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 ქართ. სერიალი „27 დრაკონი" მე-5 ს. 21.30 „ვაკაჭი-ნიუსი" 23.00 სპორტ. პროგრამა „გოლი" 23.30 მხ. ფილმი „ფეიერვერკი"

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.10 დღის კინოდარბაზი 12.00, 15.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 18.30 მულტსერიალი „რედვოლი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი „გაშიშვლებული იარაღი" (მეგი კიუ) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „სიცრუის ძალი" (ჰარისონ ფორდი)

12.00 ინდური მხ. ფილმი „პროფესიონალი" 15.00 მხ. ფილმი „რა სურთ ქალებს" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მულტფილმი „მეფე ლომი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „მკვლელის ინსტინქტი" 22.30 „საქმე და ეკონომიკა"

IST 07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი „წადი შენი ფრედი!". მთ.რ-ში ტომ გრინი, რიპ ტორნი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" „წარსულის მეორე მხარეს". მთ.რ-ში ჯინა გერშონი, რადე სერბეჯია. 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 თრილერი „მოკვდი ოღონდ ახლა არა" 11.45 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს" 12.10, 16.10, 18.10, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" 12.20 მხ. ფილმი „ცეცხლი არსებები" 14.10 მხ. ფილმი „აგენტი კოდი ბენქსი" 15.50, 17.40, 21.50, 03.00 მუსიკა 16.20 მულტფილმი „ყველა ძაღლი სამოთხეში ხვდება" 18.20 დრამა „ნორთფორკი" 20.10 კომედია „მე იქ ვიქნები" 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხ. ფილმი „პარსკვლავური ომები" 1-ლი ს. 03.25 თრილერი „დაქირავებული მკვლელები"

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „სუპერპოლიციელი" ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (განმ.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „ასტერიქსი და ობელიქსი" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კინო" 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 23.00 მხ. ფილმი „ციხე 03" 1-ლი ს.

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Худ.фильм "ОДИНОЧНОЕ ПЛАВАНИЕ" 12.10 Док.детектив "Доллары за полцены" 12.40 Следствие ведет Колобков 13.20 Комедия "ДОБРО ПОЖАЛОВАТЬ, ИЛИ ПОСТОРОННИМ ВХОД ВОСПРЕЩЕН" 14.40 Док.фильм "Большой театр. Служебный вход" 15.10 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Шутка за шуткой" 19.50 Сериал "КЛОН" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Жди меня 22.00 Время 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.40 Криминальная Россия. "Прописка на тот свет". 2 с. 00.10 Искатели. "Архив подземного гарнизона" 00.40 "Фабрика звезд" 01.00 "Подорожник" 01.30 Яна Чурикова в программе "Русский экстрим" 02.00 Комедия "ЗЯТЬ" 03.30 Худ.фильм "ПОКРОВИТЕЛЬНИЦА УБИЙЦ" 05.10 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"

## სამშაბათი 27 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა" 3-4ს. 16.35 დოკ. ფილმი „სიკვდილს გადარჩენილნი" 17.30 საქართველო და გარესამყარო 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 და არს მუსიკა 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.15 სათავეებთან 23.30 მხ. ფილმი „ჭამა სიკვდილამდე"

19.00 მულტფილმი 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა" 13-14ს. 21.00 გაცოცხლებული ქვები 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „ათასი მილიარდი დოლარი"

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „ჯაშუში" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 19.10 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ჟუმბარიტი სიყვარული".

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 14.35, 17.20, 02.20 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის" დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.25 „მერიდიანი" 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 01.50 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.00, 16.00, 17.00 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „ფეიერვერკი" 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.35 ქრონიკა 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 ქართ. სერიალი „27 დრაკონი" 21.30 ლარის მახე 23.00 ერთხელ ჰოლივუდში 23.30 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" 1-ლი ს. 00.40 სპ. პროგრამა „გოლი სერია A"

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი "რექვიემი" (პატრიკ დელ მზოლა) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ბატონი „N" (ფილიპ ტორონტონი)

12.00 მხ. ფილმი „მკვლელის ინსტინქტი" 13.30 „საქმე და ეკონომიკა" 14.30 მხ. ფილმი „მგლის საძმო" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მულტფილმი „ბოლტო" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „როგორ გახდე პრინცესა" 00.30 მუსიკა

IST 07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი „მაღალი ქუსლები". მთ.რ-ში ედამ გარსია, სოფი ლი. 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" "სპილო". რეჟ. გა ვან სენტი. 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 თრილერი „დაქირავებული მკვლელები" 11.40, 17.40, 19.45, 21.40 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს" 12.10, 16.10, 18.10, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" 12.20 კომედია „მე იქ ვიქნები" 14.10 დეტექტივი „რვა ქალი" 16.20 მულტფილმი 18.20 კომედია „თქვენი მიხმობით ტაიმირი" 20.10 მხ. ფილმი „დაუმარცხებელი" 22.40 პოზიცია 00.40 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.20 მხ. ფილმი „ვარსკვლავური ომები" მე-2 ს. 03.40 კომედია „რა სურთ ქალებს"

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „მეექვსე გრძნობა" 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (განმ.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „ტელეფონის ჯიხური" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კინო" 22.45 მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი"

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 МультСериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 Худ.фильм "ВОЗВРАТА НЕТ" 15.10 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Кумиры". Ивар Калныньш 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Сериал "ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30 Время 23.40 Тайны века. "Русская любовь Германа Геринга" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Ударная сила. "Траектория огня" 01.40 "На футболе" 02.10 "В погоне за НЛО" 02.40 Худ.фильм "ГОЛОВОКРУЖЕНИЕ" 05.10 Сериал "МЕРТВАЯ ЗОНА"

## ოთხშაბათი 28 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მხ. ფილმი 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი „საგნების ისტორია" 14.40 თქვენი უფლებები 15.15 მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა" 5-6ს. 16.35 დოკ. ფილმი „სიკვდილს გადარჩენილნი" 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 ენერგია 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10 მათი შვილები 23.30 მხ. ფილმი „ყველაფრის ფასად"

19.00 მულტფილმი 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა" 15-16ს. 21.00 და არს მუსიკა 21.30 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმი „უსაფრთხოების ზომები"

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი" 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ტელმა და ლუიზა". მთ. რ-ში: სიუზან სარანდონი, ჯინა დევისი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.35, 17.20, 01.25 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის" დილა 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.05 სპ. პროგრამა „გოლი სერია A" 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 00.55 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.15 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-1" 1-ლი ს. 21.30 „პირველი ნახევარი" 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" მე-2 ს.

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი "მგზავრობა" (ბრენტ ტეილორი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ტაიმ-აუტი" (ორლენ რეკუანი)

12.00 მხ. ფილმი „როგორ გახდე პრინცესა" 14.00 მხ. ფილმი „ლამაზი ჯო" 15.30 მხ. ფილმი „დიკ ტრეისი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მულტფილმი „დინოზავრი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „გატაცება 60 წამში" 00.30 მუსიკა

IST 07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი „საუკეთესო ორი წელი". მთ. რ-ში კირბი ჰეიბორნი, დევიდ ნიბლი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" "ნაძირალას ცოლი", მთ.რ-ში ტატუმ ო' ნილი, ჯულიან სენდსი. 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 კომედია „რა სურთ ქალებს" 11.30 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს" 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" 12.20 მხ. ფილმი „დაუმარცხებელი" 13.50, 15.50, 17.50, 19.55, 03.10 მუსიკა 14.10 თრილერი „ერთხელ მიდლენდში" 16.20 მულტფილმი 18.20 კომედია „არლეტი" 20.35 მხ. ფილმი „ზვიგენები" 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხ. ფილმი „ვარსკვლავური ომები" მე-3 ს. 03.30 მხ. ფილმი „ადამიანი რკინის ნიღბით"

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „შოუს დრო" ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (განმ.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „კ-9" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კინო" 22.45 დებატები 202-ზე 00.30 მხ. ფილმი „ციხე 03" მე-2 ს.

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 МультСериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.20 Худ.фильм "ГЕНЕРАЛ" 15.10 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Другие миры Донатаса Баниониса" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Сериал "ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА: Следствие ведет дилетант" 22.00 Время 23.35 Футбол. Товарищеский матч. Сб. Норвегии - сб. России. В перерыве в - Ночное "Время" 01.30 "Фабрика звезд" 01.50 "Голливудские преступления". Часть 3 02.20 Худ.фильм "ВЫЗОВ" 04.30 Сериал "МЕРТВАЯ ЗОНА"

## ხუთშაბათი 29 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი 11.40 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.25 კვალი 15.15 მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა" 7-8ს. 17.00 დოკ. ფილმი „საგნების ისტორია" 17.05 ანსამბლი „მძლეველი" 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 ჯანმრთელობა 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10 სერიალი „ფსიქფაქტორი" 23.30 მხ. ფილმი „პროზაკის თაობა"

19.00 მულტფილმი 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა" 17-18ს. 21.05 ჟურნალის ისტორია 21.30 „ჩემი მშვენიერი ლედი" 22.00 მხ. ფილმი „მეზღაპრე"

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „სოპრანოს კლანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი" 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ნიუ-იორკის ბანდები". მთ. რ-ში: ლეონარდო დი კაპრიო, დენიელ დეი-ლუისი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.35, 17.20, 00.25 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის" დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.05 X-კლუზივი 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 00.55 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.15 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.30 სერიალი „კლონი" 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-1" 21.30 საქმე № 23.00 ესტაფეტა 23.30 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" მე-3ს.

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი "მხატვრის კონტრაქტი" (ენტონი ჰოპკინსი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „აგენტი ზორგე" (იენ ბლენი)

12.00 მხ. ფილმი „გატაცება 60 წამში" 14.00 მხ. ფილმი „ოთხი ბუმბული" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მხ. ფილმი „40 დღე და 40 ღამე" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „საჰაერო ციხე" 00.30 მუსიკა

IST 07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი „კიდევ რაღაც". მთ.რ-ში კრისტინა რიჩი, დენი დე ვიტო. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" „ცოდვა". მთ. რ-ში გარი ოლდმენი, ვინგ რეიმსი. 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 მხ. ფილმი „ადამიანი რკინის ნიღბით" 11.40 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს" 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" 12.20 მხ. ფილმი „ზვიგენები" 13.45, 15.55, 17.40, 19.50 მუსიკა 14.10 მელოდრამა „ქორწილი" 16.20 მულტფილმი 18.20 თრილერი „კვალისწამშლელი" 20.30 კომედია „ტკბილი წყვილი" 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 ექსკლუზივი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხ. ფილმი „მისიე „N" 03.20 მხ. ფილმი „პატრიოტი"

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „შემოდგომის ლეგენდები" ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (განმ.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „რობინზონ კრუზო" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კინო" 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა 2" 23.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი 2"

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 МультСериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" 13.20 Худ.фильм "СВИДЕТЕЛЬСТВО О БЕДНОСТИ" 14.40 Ударная сила. "Траектория огня" 15.10 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Просто смех! 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Сериал "ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30 Время 23.40 "Человек и закон" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Док.фильм "Ева Браун. Женщина Гитлера" 01.40 Сканер. "Москва. 2024 г." 02.10 "Подводный мир Андрея Макаревича" 02.40 Худ.фильм "УБИЙСТВО НА ОЗЕРЕ" 04.30 Сериал "МЕРТВАЯ ЗОНА"

## პარასკევი 30 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი 11.45 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „ასიზი" 15.15 მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა" 9-10ს. 16.35 დოკ. ფილმი „სიკვდილს გადარჩენილნი" 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 პალიტრა 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10 დოკ. ფილმი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 23.30 მხ. ფილმი „სახიფათო პროფესია"

19.00 მულტფილმი 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა" 19-20ს. 21.00 ენერგია 21.40 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „მომავლის მხსნელი"

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „სოპრანოს კლანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „კარმენი". მთ. რ-ში: პლასიდო დომინგო, ჯულია მიგენეს-ჯონსონი. 02.20 მხ. ფილმი „უძილობა". მთ. რ-ში: ალ პაჩინო, რობინ უილიამსი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 15.50, 17.50, 02.25 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის" დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.05 საქმე № 11.30 მერიდიანი 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 01.55 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.15 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.35 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 არჩევანი თქვენ 23.00 X-კლუზივი 23.55 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" მე-4ს. 01.05 „ნბა"-ს ჟურნალი

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 21.00 მხ. ფილმი "საქორწინო წვეულება" (მაიკლ დუგლასი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „21 გრამი" (ბენისიო დელ ტორო)

12.00 მხ. ფილმი „საჰაერო ციხე" 14.00 მხ. ფილმი „რეალობა იკბინება" 15.30 მხ. ფილმი „დიდი დედილოს სახლი" 17.000, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მხ. ფილმი „თავში უჭრის" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „უჩინარი" 00.30 მუსიკა

IST 07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი „დარჩა შენში". მთ.რ-ში მეფ დეიმონი, გრეგ კინეარი, შერი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 02.00 „ბრავო" "ნოტფორკი", მთ.რ-ში დერილ ჰანა, პიტერ კოიოტი. 03.45 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 მხ. ფილმი „მისიე „5" 11.30 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს" 12.10, 16.10, 18.10, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" 12.20 კომედია „ტკბილი წყვილი" 13.50, 15.55, 17.30, 03.20 მუსიკა 14.10 დრამა „უბრალო ისტორია" 16.20 მულტფილმი „პრინცესა გედი-3" 18.20 ისტორიული ფილმი „მეფეთა მეფე" 20.10 მხ. ფილმი „გაიტაცო 60 წამში" 22.40 „პოზიცია" 00.40 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.20 მელოდრამა „მზის ცრემლები" 03.40 ვესტერნი „შესანიშნავი შვიდეული"

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „პლუტონ ნეშის თავგადასავალი" ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (განმ.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „რომანი ქვაზე" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კინო" 22.45 დებატები 202-ზე 00.30 მხ. ფილმი „კალიგულა"

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.20 Телесериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 11.20 Сериал "КЛОН" 12.20 Мультсериал "Кошки-мышки". 12.40 Мультсериал "Принцесса Сиси". 13.20 Лев Дуров в остросюжетном фильме "34-Й СКОРЫЙ" 14.50 Док. фильм "Женщина Гитлера: Ева Браун". 15.20 Город женщин. 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ". 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Док. детектив "Опасен и склонен к побегу" 19.50 "Основной инстинкт" 20.50 "Поле чудес" с Леонидом Якубовичем. 22.00 Время. 22.30 "Фабрика звезд". 23.50 Кристиан Бэйл в боевике "ВЛАСТЬ ОГНЯ" 01.40 Дэниел Дэй-Льюис в фильме "ПОСЛЕДНИЙ ИЗ МОГИКАН" 03.50 Триллер "СПЕНСЕР: ПРИМАНКА". 05.30 Детективное агентство "ЛУННЫЙ СВЕТ". 06.10 Док. фильм "Русская Аляска".

## შაბათი 1 მაისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.10 მხ. ფილმი 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.20 მხ. ფილმი „წინააღმდეგობა" 13.50 დოკ. ფილმი „საგნების ისტორია" 14.00 სერიალი „ნაპოლეონი და ევროპა" 15.15 მხ. ფილმი „გრაფი მონტე-კრისტო" 5-6ს. 17.00 ისტორიანი 17.30 ტელეთამაში „იმღერე რამე" 17.55 ფეხბურთი. თბილისის „ლოკომოტივი" - „დილა" 20.35 ცაიტნოტი 21.55 ფორტუნა 22.35 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" 23.30 მხ. ფილმი „ადამიანი მატარებლიდან"

19.00 მულტფილმი 19.30 ჯანმრთელობა 20.00 მხ. ფილმი „როგორ მოიშორო მეზობლის ძაღლი" 21.45 გლობუსი 22.15 მხ. ფილმი „ბოროტმზრახველთა ასოციაცია"

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 17.05 „დისკავერი" 18.00, 01.00 კურიერი 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.00 დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები" 19.30 სერიალი „სერიული მკვლელობები" 21.00 კურიერი P.S. 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 „ფსიქო": მხ. ფილმი „წამყვანები". რეჟ. კენ ლოუჩი. 01.20 მხ. ფილმი „უნივერსალური ჯარისკაცი". მთ. რ-ში: ჟან კლოდ ვანდამი.

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 09.15 სერიალი „ტყუპები" 10.05 ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" 10.30, 18.00, 02.20 იმედის მელოდიები 11.00 „NBA"-ს ჟურნალი 11.30, 01.50 ტვ-მარკეტი 12.00 საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) 12.30 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" 13.10 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" 13.35 არჩევანი თქვენ 15.15 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" 16.30 პირველი ნახევარი 17.35 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" 19.30 „ვაკაჭი-ნიუსი" 20.00 ქართ. სერიალი „ჟაკა და ლუდი" 21.00 სერიალი „მართლმსაჯულების 18 გორგალი" 22.00 ქრონიკა 22.30 კლიპ-ლოტო 23.50 ეროვნ. საკალათბურთო ასოციაცია -პლეიოფი.

09.00 მულტფილმი „მხიარული მელოდიები" 10.20 საბ. სერიალი „მომხიბლავი პრინცი" 11.30 საუბრები ბიზნესის შესახებ 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 სერიალი „სენტიმენტალური ამბები" 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.15, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.00 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" 16.30 ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. „არსენალი"-„ბირმინჰემი" 18.30 მზერა ლაზეთიდან 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 20.30 ფეხბურთი მზეზე 21.00 მხ. ფილმი „მოკალი ბილი" (უმა თურმანი) 23.00 მხ. ფილმი „როზენკრანცი და გილდენშტერნი" (ტიმ როთი)

12.00 მხ. ფილმი „უჩინარი" 14.00 მხ. ფილმი „რონინი" 16.00 მხ. ფილმი „თოვლის კაცი" 17.30 მხ. ფილმი „აზარტული თამაშები" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 19.20 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" 19.40 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი „გაიცანით ჯო ბლექი" 00.20 მხ. ფილმი „დაღამებიდან გათენებამდე"

IST 07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 ფილმი „ქალი მუშკეტერი". 1-ლი ნ. მთ.რ-ში ჟერარ დეპარდიე, ნასტასია კინსკი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 03.00 „ბრავო" „მოულენა", მთ. რ-ში პარკერ პოუზი, ოლიმპია დუკაკისი.

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ფილმი „პიფ-პაფ, ვაი, ვაი" 11.50 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს" 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" 12.20 მხ. ფილმი „გაიტაცო 60 წამში" 14.10 ბოევიკი „ბაზა" 15.45, 02.25 მუსიკა 16.20 მულტფილმი 17.40 დრამა „აქ მდინარე მიედინება" 19.45 კომედია „სიყვარული წესებით და წესების გარეშე" 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 „Слово" 00.40 მხ. ფილმი „რიპლის თამაში" 03.00 კომედია „ცამდე მიღწევა"

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ბეჭდების მბრძანებელი-ბეჭდების საძმო" ინგ. ენაზე 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „წითელი პლანეტა" 22.00 მუსიკა 23.00 მხ. ფილმი „ნიუ-იორკის ბანდები"

07.00, 11.00, 19.00 Новости. 07.10 Ролан Быков в фильме "ПОСЛЕДНЯЯ РЕЛИКВИЯ" 09.00 Праздничный информационный канал. 11.10 ПЕСНЯ ГОДА Финал. Часть 1-я. 13.40 мультипликац. боевик "Приключения Флика". 15.10 "КВН-2004". Высшая лига. Третья игра сезона. 17.30 "Ералаш". 17.50 Михаил Ефремов в фильме "ФРАНЦУЗ" 1 с. 19.10 Михаил Ефремов в фильме "ФРАНЦУЗ". 2 с. 20.10 "Кривое зеркало". Евгений Петросян представляет... 22.00 Время. 22.20 "Кривое зеркало". Продолжение. 01.00 Киану Ривз в супербоевике "СКОРОСТЬ" 02.20 Нэнси Трэвис в триллере "КРАСНАЯ РОЗА" 1-я серия. 03.50 Джеймс Кэгни в фильме Милоша Формана "РЕГТАЙМ".

## კვირა 2 მაისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი 09.45 ზოოპარკი 10.00 დილის პაემანი 11.05 საბ. ფილმი „ბავშვობა" 11.30 სპა 12.20 მხ. ფილმი „მზეთუნახავი და ურჩხული" 13.50 დოკ. სერიალი „აეროშოუ" 14.00 სერიალი „ნაპოლეონი და ევროპა" 15.15 სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" 17.40 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 17.55 დოკ. ფილმი „სისი დედოფლობისთვის დაბადებული" 18.50 „იმღერე რამე" 19.15 ჩვენი მისამართია 20.35 დოკ. სერიალი „მე-20 საუკუნის დიდებული ქალბატონები" 21.00 მუს. ოქტაგონი 22.00 ტვ-ლოტო 22.45 მხ. ფილმი „ყვარყვარე" 00.50 მხ. ფილმი „მამაჩემი გმირია"

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" 20.20 „ძველი აფიშა" 21.05 „მრავალსახეობა" 22.00 მხ. ფილმი „ტყუპისცალი".

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.30 კურიერი 18.20 სერიალი „განდგომილი" 18.50 მხ. ფილმი „ადამიანი ოქროს რევოლვერით". მთ. რ-ში: როჯერ მური. 21.45 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „ბარი ლინდონი" 877 45-79-25 რაიან ო-ნილი, მარისა ბერენსონი, „უარესი რაღა უნდა მოხდეს" 877 45-79-26 დენი დე ვიტო, მარტინ ლოურენსი, „ქალის სურნელი" 877 45-79-27 ალ პაჩინო, ჯონ კაზალე. 23.45 მხ. ფილმი „პრეტენდენტი". მთ. რ-ში: გარი ოლდმენი, ჯეფრი რაში.

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 18.45, 00.15 ქრონიკა 09.10, 12.00, 19.45, 03.50 იმედის მელოდიები 09.30 ტვ-მარკეტი 10.05 ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" 10.30 მხ. ფილმი „მაისის ლვინო" 12.30 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" 13.15 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" 13.40 „უდაბნოს სამჭედლოები" 14.30 მერიდიანი 15.15 „რეტროსკოპი"- მხ. ფილმი „ვამპირი" 17.05 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" 17.30 სპ. პროგრამა „ასი" 18.00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 20.00 სერიალი „გაუხსნელ საქმეთა განყოფილება" 22.00 დროება 23.25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 01.20 ეროვნ. საკალათბურთო ასოციაცია - პლეიოფი. 03.20 ტვ-მარკეტი

09.00 მულტფილმი „მხიარული მელოდიები" 10.20 საბ. სერიალი „მომხიბლავი პრინცი" 11.30 საუბრები ბიზნესის შესახებ 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 სერიალი „სენტიმენტალური ამბები" 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 18.05 სერიალი „ოდისევსი" 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 20.30 ფეხბურთი მზეზე 21.00 მხ. ფილმი „ნოტფორკი" (ენტონი ედვარდსი) 23.00 მხ. ფილმი „შორეული გზა" (მაიკლ კეინი)

1200 გადაცემა „შამარერა" 12.30 მხ. ფილმი „გაიცანით ჯო ბლექი" 14.00 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" 15.30 მხ. ფილმი „ბრწყინვალება" 17.00 მხ. ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება" 19.00 ინდ. მხ. ფილმი "გასწირე შენი თავი" 22.00 მხ. ფილმი „ცისფერი კრუიზი" 00.00 მხ. ფილმი „შიშის ოთახი"

IST 07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 ფილმი „ქალი მუშკეტერი" მე-2 ნ. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 პროფათეული 22.35 მუსიკა 23.15 სოლო 03.00 „ბრავო" „პროზაკის ეროვნება" მთ.რ-ში კრისტინა რიჩი, ჯეისონ ბიგზი.

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ფილმი-ზღაპარი „პინოქიო" 11.20 ექსკლუზივი 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს" 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" 12.20 „Слово" 13.30 კომედია „სიყვარული წესებით და წესების გარეშე" 15.20 დოკუმენტური ფილმი 16.20 მულტფილმი 18.20 მხ. ფილმი „მტაცებელი-2" 20.20 მხ. ფილმი „კინდერგარტენი" 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.20 მელოდრამა „მელვინეთა წესები" 03.00 დოკუმენტური ფილმი 04.00 მხ. ფილმი „K-9"

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ბრწყინვალე გონება" ინგ. ენაზე 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „უკანასკნელი მოჰიკანი" 22.00 მუსიკა 23.00 მხ. ფილმი „თამაში"

07.00, 11.00, 19.00 Новости. 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". 08.10 Донатас Банионис в фильме "ПРИКЛЮЧЕНИЯ ПРИНЦА ФЛОРИЗЕЛЯ". 1с. 09.30 Николай Олялин в остросюжетном фильме "МИРОВОЙ ПАРЕНЬ" 11.10 ПЕСНЯ ГОДА. Финал. Часть 2-я. 13.40 "Поколение победителей. Бобров - Тарасов". 14.40 "КВН-2004". Высшая лига. Фестиваль в Сочи. 17.20 Иван Дмитриев в комедии "ПОЛОСАТЫЙ РЕЙС" 19.10 Михаил Пореченков в "ОСОБЕННОСТИ НАЦИОНАЛЬНОЙ ПОЛИТИКИ" 20.50 МАКСИМ ГАЛКИН, "НОВЫЕ РУССКИЕ БАБКИ" И ДРУГИЕ В БЕНЕФИСЕ ЕФИМА ШИФРИНА. 00.00 Сандра Баллок в боевике "СКОРОСТЬ-2" 02.20 Новейший триллер "КРАСНАЯ РОЗА". 2 с. 04.00 Спортивная гимнастика. Чемпионат Европы. Женщины. Передача из Голландии. 04.20 Ирина Метлицкая в остросюжетном фильме "ПАЛАЧ".

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ჩემს ძმას ნერვიულობისას და მძიმე ტვირთის აწევისას უკანკალებს ხელები. რისი ბრალია ეს და საჭიროა თუ არა ექიმთან მისვლა?**

***ერთგული მკითხველი ც.მ.***

ექიმის კონსულტაცია, რაღა თქმა უნდა, აუცილებელია, რადგან ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიმპტომი, შესაძლოა სერიოზული დაავადების ნიშანი იყოს. ახალგაზრდებში ხელების კანკალი ყველაზე ხშირად დაკავშირებულია ხოლმე ჩიყვთან ან ნევროზთან. ხანში შესულებში კი პარკინსონის დაავადების ან სინდრომის (კანკალა დამბლის) ნიშანი უნდა იყოს. ამრიგად, თქვენ დაგჭირდებათ ნევროლოგისა და ენდოკრინოლოგის კონსულტაცია.

**როგორ ვებრძოლოთ სისხლში ქოლესტერინის მომატებას და ამ მიზეზით გამოწვეულ მაღალ არტერიულ წნევას? დიეტას ვიცავ მაქსიმალურად.**

***ადამაშვილი***

ქოლესტერინის დონის მატება სისხლში (ჰიპერქოლესტერინემია) დღევანდელ საზოგადოებაში საკმაოდ გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს: ეს პათოლოგიური პროცესი უდევს საფუძვლად სისხლძარღვთა ათეროსკლეროზულ გადაგვარებას, არტერიული ჰიპერტენზიის სხვადასხვაგვარი გართულებების განვითარებას.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ ქოლესტერინემიის განვითარებას გენეტიკური საფუძველი გააჩნია, ანუ ადამიანს აქვს თანდაყოლილი მიდრეკილება ცხიმოვანი ცვლის დარღვევისადმი. თუმცა, მის გამოსავლენად სათანადო პირობებია (გარეგანი და შინაგანი) საჭირო.

ქოლესტერინის დონის მატება ჯერ კიდევ არ არის საგანგაშო. გაცილებით საშიშია მისი ე.წ. „ცუდი ფრაქციის“ მატება. ცხიმოვანი ცვლის გამოსაკვლევად კეთდება სპეციალური ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენია სისხლში საერთო ქოლესტერინი და მისი „კარგი“ და „ცუდი“ ფრაქციები. დარღვეული ცხიმოვანი ცვლის სამკურნალოდ გამოიყენება სტატინების ჯგუფის პრეპარატები. თუმცა, ჩამოყალიბებული ათეროსკლეროზული პროცესის აბსოლუტური უკუგანვითარება შეუძლებელია, შესაძლოა მხოლოდ მისი შეფერხება. გართულებების თავიდან ასაცილებლად კი უნდა აკონტროლოთ არტერიული წნევის ციფრები, მათი მატების შემთხვევაში, უნდა სვათ საჭირო ჰიპოტენზიური (წნევის დამწევი) საშუალება, მუდმივად არეგულიროთ სისხლის შემდედებლობის უნარი (კოაგულოგრამა) და მისი მატების დროს, უნდა მიიღოთ ანტიკოაგულანტი, რომელსაც ექიმი შეგირჩევთ. ამდენად, თქვენ კომპლექსური მკურნალობა გჭირდებათ, რომელსაც გამოცდილი თერაპევტი ან კარდიოლოგი დაგინიშნავთ.

**ყოველ დილას, გაღვიძებისთანავე მტკივდება თავი, ხოლო დაკუზვისას თავბრუ მესხმის. რა არის ამის მიზეზი, მჭირდება თუ არა მკურნალობა?**

***ერთგული მკითხველი***

ეს ნიშნები შეიძლება იყოს ოსტეოქონდროზის, ჰიპერტენზიის ან ჰიპოტენზიის (დაბალი წნევის), ჰაიმორიტის, ანემიის ან სხვა პათოლოგიის გამოვლინება. დიაგნოზის დასაზუსტებლად დაგჭირდებათ ექიმის კონსულტაცია და საჭირო გამოკვლევები. მხოლოდ ამის შემდეგ დაგენიშნებათ მკურნალობა.

## კარაბადინი

**ვეხმაურები „კვირის პალიტრის“ რუბრიკა „კარაბადინში“ გამოქვეყნებულ თხოვნას, სადაც მკითხველი აღნიშნავს, რომ არადიეტური საკვების მიღებისას ეშლება კუჭი. როგორც ჩანს, მას აწუხებს ნაღვლის ბუშტი — აქვს ქოლეცისტიტი. ამისთვის კი ძალიან კარგია ქონდარი და კამა.**

**ჩვეულებრივი ქონდარი მოხარშეთ, დაშაქრეთ და სვით დღეში 3-4-ჯერ 50 გრამი 10 დღის განმავლობაში. ბევრი არ სვათ, თორემ სმენა დაგიქვეითდებათ.**

**ერთი სუფრის კოვზი თესლიანი კამა წამოადუღეთ 2 ჩაის ჭიქა წყალში და მიიღეთ დღეში 3-4-ჯერ ღვინის ჭიქით, ჭამამდე 10-15 წუთით ადრე. იგი შველის შებერილობას და არჩენს ქოლეცისტიტს.**

**ორივე გამოცდილია და კარგი შედეგი აქვს. ჯერ ქონდარი სინჯეთ. შეგიძლიათ ორივე ერთადაც მიიღოთ.**

***„კვირის პალიტრის“ ერთგული მკითხველი***

**ექიმის კომენტარი:** ცნობილია, რომ ქონდარში არის თიმოლის შემცველი ეთეროვანი ზეთი და მთრიმლავი ნივთიერებები.

ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ, როგორც ამოსახველებელ, ანთების საწინააღმდეგო საშუალებას — ეფექტიანია მწვავე და ქრონიკული ბრონქიტების, ტრაქეიტების, პნევმონიების დროს. გარდა ამისა, ქონდარს აქვს შარდმდენი და ნაღველმდენი მოქმედება. სწორედ ამ უკანასკნელთან უნდა იყოს დაკავშირებული მისი ეფექტი ქოლეცისტიტის მკურნალობისას.

კამა აძლიერებს კუჭ-ნაწლავის სეკრეციას, აქვს ნაღველმდენი, სპაზმოლიზური, შარდმდენი მოქმედება, არეგულირებს ნაწლავთა მოტორიკას, აქვს ანტიბაქტერიული ეფექტი.

გარდა ამისა, კამის ნაყენი დამამშვიდებლად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. აქვს კორონარების (გულის მკვებავი სისხლძარღვების) და პერიფერიული სისხლძარღვების გამაფართოებელი ეფექტი. აუმჯობესებს მადას. ინიშნება კუჭ-ნაწლავის დისფუნქციის, სპაზმების, მეტეორიზმის (გაზების), სპაზმური კოლიტების დროს.

კამა აუმჯობესებს საჭმლის მონელებას; გარდა იმისა, რომ მისი ნაყენი ამოსახველებელი საშუალებაა, აუმჯობესებს ლაქტაციას (რძის გამოყოფას) მეძუძურ დედებში.

**ვეხმაურები „კარაბადინში“ გამოქვეყნებულ შეკითხვას:**

**იმ შემთხვევაში, თუ თირკმელში ან ნაღვლის ბუშტში არ არის კენჭები და შარდში გაქვთ მხოლოდ ცილები, მარილები, ლეიკოციტები, უებარი საშუალებაა მაყვლის ძირების (ფესვების) ან ფოთლების ნახარში.**

**დაახლოებით ორ მუჭა მაყვლის ფესვებს ან ფოთლებს (უმჯობესია ფესვები) დაასხით 3 ლიტრი ცივი წყალი, ნელ ცეცხლზე ადუღეთ მანამ, სანამ სითხე არ დავა 2 ლიტრამდე. მიღებული ნახარში შეფუთეთ და დააყოვნეთ 24 საათი. შემდეგ გაწურეთ და ჩაასხით მინის ჭურჭელში.**

**მიღების წესი: ნაყენი მიიღეთ 1/2 ჭიქა, ანუ 100 გრამი დღეში 3-ჯერ, ჭამიდან ერთი საათის შემდეგ. ამ ნორმის დამთავრების შემდეგ შეისვენეთ 1 თვე. შემდეგ შეგიძლიათ ისევ გაიმეოროთ.**

***პატივისცემით, მკითხველი.***

**ექიმის კომენტარი:** მაყვალი მდიდარია ორგანული მჟავებით, არომატული ნაერთებით, უჯრედისით, B ჯგუფის ვიტამინებით, ასკორბინის მჟავით (C ვიტამინი) და A პროვიტამინით (კაროტინი). გარდა ამისა, მასში ბევრია კალიუმის მარილები, სპილენძი და მანგანუმი.

მაყვალს აქვს სიცხის დამწევი და ანთებსაწინააღმდეგო ეფექტი. რის გამოც იგი გამოიყენება რესპირატორული დაავადებების სამკურნალოდ. მისი ფოთლებისა და ნაყოფის ნაყენი ძლიერი ოფლმდენი და შარდმდენი საშუალებაა. გადამწიფებული ნაყოფი მსუბუქი საფაღარათო თვისებით ხასიათდება. სავარაუდოა, რომ მკითხველის მიერ აღწერილი ხერხი საშარდე გზების ანთებითი დაზიანების დროს გამოიყენება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## დღეგრძელობის რვა ოქროს წესი

*თუკი მიჰბაძავთ იაპონელებს, საუკუნეს ულაპარაკოდ უკან მოიტოვებთო, — გვირჩევენ სპეციალისტები, რომელთაც გამოიკვლიეს 120 წლამდე მიღწეული იაპონელების ცხოვრების წესი და ტრადიციები.*

**გთავაზობთ იაპონელ დღეგრძელთა რვა ოქროს წესს:**

**1.** თუ უგუნებოდ ან ვინმეზე (განსაკუთრებით ოჯახის წევრებზე) გაბრაზებული ხართ, არასოდეს დაწვეთ დასაძინებლად. სჯობს მოუხადოთ ბოდიში ან სთხოვოთ პატიება;



**2.** ყურადღება მიაქციეთ კვებას. პრაქტიკულად, თითქმის ყველა დღეგრძელი იაპონელი კარგად საუზმობს, მათ მენიუში ჭარბობს ბოსტნეული. ამომავალი მზის ქვეყნის ყველა მცხოვრებისათვის ჭამის პროცესი — წმინდა დროა, ისინი არასდროს არღვევენ კვების რეჟიმს და ჭამის დროს მხოლოდ საკვებზე ფიქრობენ;

**3.** ნუ მოსწევთ და ნურც ალკოჰოლს მიეძალებით და თანაც შინ ყოფნისას. იაპონელების აზრით, მავნე ჩვევები დასაშვებია მხოლოდ გარეთ და არა შინ. რადგან ისინი შინ უფრო მეტხანს არიან, ვიდრე გარეთ, მავნე ჩვევები მათ არცთუ დიდ ზიანს აყენებს;

**4.** მონახეთ დრო მედიტაციისა და დასვენებისთვის. წარმოსახვით გააჩერეთ დრო და დატკბით გარემოს სილამაზით. იაპონიაში მიაჩნიათ, რომ ვინც ბუნების სილამაზეს ვერ აღიქვამს, განსაკუთრებით მთვარის, წვიმის, ყვავილების — მას „ქვის გული“ აქვს... გაზაფხულია, ახლა ყველაზე კარგი დროა რომანტიკული განწყობისათვის. შეჩერდით წამით, მიმოიხედეთ ირგვლივ — რამდენი სილამაზეა... შეუშვით თქვენს სულში გაზაფხულის სურნელება და ჯანმრთელობა გარანტირებულია;

**5.** ნუ ინერვიულებთ უფულობასა და მატერიალურ მდგომარეობაზე. ამით არ გამდიდრდებით, თავი კი აგტკივდებათ და ცუდ გუნებაზე დადგებით;

**6.** შეეცადეთ, ყოველდღე აკეთოთ სიკეთე, დადებითი ემოციებით აივსებით, ეს კი ჯანმრთელობის საწინდარია. კარგი საქმე სამმაგად დაგიბრუნდებათ: საჩუქრის, სიურპრიზის და კარგი გუნების სახით;

**7.** სპორტი — დღეგრძელთა განუყოფელი ნაწილია. გაჩერებული მდინარე ჭაობად იქცევა, ამბობენ იაპონელები. ასევეა ადამიანიც. რაც შეიძლება მეტი იმოძრავეთ, ივარჯიშეთ, მაგრამ არა რეკორდებისთვის, არამედ ჯანმრთელობისთვის, სპორტმა სიამოვნება უნდა მოგანიჭოთ და შედეგიც არ დაიგვიანებს;

**8.** თუ გსურთ იყოთ დღეგრძელი, ისწავლეთ ლექსის წერა, არ არის აუცილებელი შედევრის შექმნა, მთავარია, გრძნობდეთ, რა ხდება ირგვლივ და ეს გამოხატოთ სიტყვებით, თუნდაც ძალიან მარტივად, რამდენიმე სტრიქონით.

დადგენილია, რომ ლექსის წერა არა მარტო სასიამოვნოა, სასარგებლოცაა, რადგან როცა ადამიანს ეწვევა შთაგონება, ტვინში სისხლის მიწოდება ძლიერდება, კანის უჯრედები სწრაფად ახლდება, პულსი კი ნელდება, თითქოს დრო ჩერდება. ამ დროს ორგანიზმი ახალგაზრდავდება, ეხსნება დღის განმავლობაში დაგროვილი უარყოფითი ემოციები.

***ლიზა-გოროსკოპი №4***

## დავიწყებული რეცეპტები

**მწვავე ბრონქიტის დროს:**

**1.** დღეში 4-5-ჯერ მიიღეთ თითო ს/კ 1ჩ/ჭ ახალგამოწურული სტაფილოს წვენისა და 2-3 ს/კ თაფლის ნარევი;

**2.** 2-3 ჩ/კ კვლიავის თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და მიიღეთ დღე-ღამის განმავლობაში;

**3.** დაჭყლიტეთ კანიანად მოხარშული კარტოფილი, დაამატეთ 1 ს/კ მცენარეული ზეთი, 2-3 წვეთი იოდი. ნარევი წაუსვით ორფა მარლაზე (ან ბამბის ქსოვილზე) და დაიფინეთ მკერდზე, ზევიდან დააფარეთ ცელოფანი და შალის ქსოვილი;

**4.** 1 ჩ/კ ახალგამოწურული კომბოსტოს წვენი მიიღეთ 3-4-ჯერ დღეში;

**5.** 1-2 ს/კ ახალგამოწურული თალგამის წვენი მიიღეთ 5-6-ჯერ დღეში;

**ქრონიკული ბრონქიტის დროს:**

**1.** შავი ბოლოკის 1 ლ წვენს დაამატეთ 400 გ თაფლი და მიიღეთ 2 ს/კ ნარევი ჭამის წინ და საღამოს, ძილის წინ;

**2.** შეურიეთ ერთმანეთს ვირისტერფას, თავშავას ფოთოლი და გვირილის ყვავილი შემდეგი პროპორციით: 2:1:2. 2 ს/კ ნარევს დაასხით 0,5ლ ადუღებული რძე, შეფუთეთ და გააჩერეთ 10-15 წუთი. გაწურეთ და სვით 0,5 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში ჭამის წინ;

**3.** 1,5 ლ მდუღარე წყალი დაასხით 400 გ ქატოს. გააგრილეთ, გაწურეთ და სვით, როგორც ჩაი;

**4.** ათქვიფეთ 2 ს/კ კარაქი, 2 კვერცხის გული, 1 ჩ/კ ხორბლის ფქვილი და 2 ჩ/კ თაფლი. მიიღეთ 4-5-ჯერ დღეში;

**5.** 0,5 ლ წითელ ღვინოს დაამატეთ ალოეს 4 დიდი ფოთოლი, გააჩერეთ 4 დღე-ღამე. მიიღეთ 1 ჩ/კ ნარევი 3-ჯერ დღეში;

**ხველების საწინააღმდეგო რეცეპტი:** 2 ბოთლი ლუდი ჩაასხით მომინანქრებულ ქვაბში, დაუმატეთ 2 ცალი მიხაკი, დანის წვერით — დარიჩინი, ცოტა ლიმონის ცედრა და გააცხელეთ ადუღებამდე.

ათქვიფეთ 3 კვერცხის გული და 4 ს/კ შაქარი, სანამ არ აქაფდება და დაუმატეთ ამ მასას ცხელი ლუდი. ადუღეთ შესქელებამდე.

ერთ მიღებაზე უნდა დალიოთ 1 ჭიქა და შემდეგ აუცილებლად ჩაწვეთ ლოგინში დასაძინებლად.

***ცელებნიკი***

## მთავარია მოთმინება

ტორონტოელი მეცნიერების აზრით, ბავშვის სრულფასოვან ძილს მისი ტემპერამენტი განაპირობებს. ბავშვისთვის ბუნებრივი იქნება მშობლებთან წოლა, ვიდრე მათგან განცალკევებით. ამ „ხერხს“ სპეციალისტები „საერთო ძილს“ უწოდებენ და ზოგჯერ საუკეთესო დამამშვიდებელ პრეპარატებსაც სჯობია. იმავდროულად, ბავშვი ძალით არ უნდა დააძინოთ. პატარას ჯანსაღი ძილისთვის საჭირო პირობები უნდა შეუქმნათ. მაგრამ მთავარია, ფიქრობენ მეცნიერები, მოთმინება — პერიოდი, როცა ბავშვი ღამით ხშირად იღვიძებს, დიდხანს არ გაგრძელდება.

***ოკნა №14***

## გამაახალგაზრდავებელი ხორბალი

ცნობილია, რომ ხორბლის, სიმინდის, ჭვავის ან ქერის მწვანე ღივი აახალგაზრდავებს და ამაგრებს ორგანიზმს. ბევრ ზარმაცს ურჩევნია, ამ შესანიშნავი სამკურნალო მცენარეების შინ მოყვანას აბები და მიქსტურები ყლაპოს. არადა ეს ძალიან იოლია: კარგად გარეცხილი მარცვალი ჩაყარეთ მინის ან მომინანქრებულ ჭურჭელში, დააფარეთ სველი ხელსაწმენდი. 12-14 საათში გამოვა 1 მმ სიგრძის ღივი. მიიღეთ იგი 50 გრამი დღეში. გაუღივებლად დარჩენილი მარცვალი უვარგისია.

***ოტდოხნი! №16***

## არ არსებობს უწყინარი დიათეზი

ალერგოლოგ-იმუნოლოგების აზრით, არ არსებობს უწყინარი დიათეზი. ადრეულ ასაკშივე ბავშვის ალერგიული რეაქცია იმუნიტეტის დაქვეითების მაჩვენებელია. სტატისტიკით ცნობილია, რომ ხშირ შემთხვევაში ბავშვობაში დიათეზგადატანილთა 50%-ს მთელი სიცოცხლის მანძილზე ალერგია ტანჯავს, 10%-ს — ასთმა.

ასე რომ, დაბადების პირველი დღეებიდანვე უნდა მიაქციოთ ყურადღება პატარას ყველანაირ ალერგიულ გამოვლინებას. დიათეზის შემთხვევაში უნდა დადგინდეს ალერგენი (კანის სინჯი და სისხლის ანალიზი).

ასე უნდა მოუაროთ პატარას დიათეზის დროს: აბანავეთ თბილ წყალში, ოდნავ შეამშრალეთ პირსახოცით და მაშინვე წაუსვით დამარბილებელი და დამატენიანებელი კრემი, არ იხმაროთ ტუტიანი საპონი, შეეცადეთ, კანის დაზიანებული ადგილი არ დაასველოთ. გამოიყენეთ რომელიმე გარეგანი საშუალება ქავილისა და გამონაყარის სამკურნალოდ. ეფექტი დამოკიდებულია არა მარტო წამალზე, არამედ იმაზეც, თუ რით არის ის დამზადებული. თუ ბავშვს ლოყებზე ბუშტუკები უსკდება, უნდა ვიხმაროთ მოსამშრალებელი საშუალებანი, თუ კანი ექერცლება — დასარბილებელი მალამოები, კანზე ნაპრალების წარმოქმნისას — ცხიმოვანი მალამოები.

***კომსომოლსკაია პრავდა №49***

# რომელ მხარეს ჯობს ძილი?



ღამით არანაკლებ 8 საათი უნდა ვიძინოთ, მაგრამ ზოგჯერ ვდგებით დაღლილები, ღონეგამოცლილები. რატომ? მნიშვნელოვანია, როგორ მდგომარეობას ავირჩევთ ძილისთვის. უმჯობესია გამოვიძინოთ ზურგზე მწოლიარემ: ამ დროს კუნთების ყველა ჯგუფი მშვიდადაა, თავს კარგად ვგრძნობთ. ეს რჩევა განსაკუთრებით ეხება მათ, ვისაც აწუხებს შაკიკი, რადგან ამ დროს თავის ტვინს თავისუფლად გადაეცემა სისხლის ნაკადი.

ბალიში უნდა იყოს ბრტყელი და პატარა. თუ გადაიღალეთ მძიმე ფიზიკური შრომით, დაიძინეთ მარცხენა მხარეს. გამოკვლევებმა აჩვენა: რადგან სხეულის მარჯვენა მხარის კუნთები უფრო იტვირთება, ამიტომ ჯობს, ძილის დროს დაასვენოთ. ექიმები მუცელზე წოლას ურჩევენ მათ, ვისი კუჭ-ნაწლავი ცუდად გადაამუშავებს საჭმელს, ვინც მჯდომარე ცხოვრების წესს მისდევს.

თუ გაწუხებთ ღვიძლი, დაწექით მარჯვენა მხარეს. ამ მდგომარეობაში უმჯობესდება ნაღვლის გამოყოფა.

***ოჯი***

# დაიხსომეთ — გამოგადგებათ!

**ზღვის საგანძური აბაზანაში.** ზაფხულამდე ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ ახლაც შეიძლება ზღვის ტალღებში ჩაყურყუმელავება. ამისთვის საკმარისია კვირაში ერთხელ 15-20 წუთით ჩაწვეთ ზღვის მარილიან აბაზანაში. შემდეგ გადაივლეთ წყალი. ზღვის მარილი, რომელიც შეიცავს მინერალურ ნივთიერებებს, დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე. გარდა ამისა, ის თავისი შემადგენლობით ჰგავს იმ მარილს, რასაც ჩვენი ორგანიზმი გამოყოფს და რომელიც იცავს კანს.

**ხილი — სუპერაფროდიზიაკი.** გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ხილი (კერძოდ, მარწყვი, ბანანი, ყურძენი) უფრო ძლიერი აფროდიზიაკებია, ვიდრე ხამანწკა, შოკოლადი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა წყვილმა. აღმოჩნდა, რომ მათგან 54% ჩვეულებრივ ნორმაზე მეტი ხილის ჭამის შემდეგ გრძნობდნენ სექსუალური ენერგიის მოზღვავებას.



**ჭიქა ღვინოს შეცვლის აბები.** იტალიელი მეცნიერები ამზადებენ ჭიქა წითელი ღვინის შემცვლელ აბებს, რომლებიც, გარდა ალკოჰოლისა, შეიცავენ ღვინოში შემავალ ყველა სასარგებლო ნივთიერებას. დასაბუთდა, რომ ზომიერად მირთმეული წითელი ღვინო სასარგებლოა და ხელს უშლის ბევრი დაავადების განვითარებას.

***ლიზა №12***


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

შეიძინეთ!!! 95 ლარად.



• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი
• კარდიოლოგიური ფონეიდოსკოპი

შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

ინფორმაცია ტელეფონით:
8(93) 31 42 35


**რას წარმოადგენს პანკრეასი. როგორ ვლინდება პანკრეატიტი და როგორია მისი მკურნალობის გზები?**

***ბ. ლობჟანიძე***

პანკრეასი ანუ კუჭქვეშა ჯირკვალი ენდოკრინულთან (ჰორმონების გამომუშავება) ერთად სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფუნქციას — საჭმლის მონელების პროცესისთვის აუცილებელი წვენების გამომუშავება — ასრულებს. პანკრეასული წვენი ფერმენტებით მდიდარი სითხეა, რომელიც თორმეტგოჯა ნაწლავში გადადის და ხელს უწყობს საკვების მონელებას. პანკრეატიტი კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებაა. ის შეიძლება იყოს მწვავე და ქრონიკული.

*მწვავე პანკრეატიტი:* დაავადება შეიძლება დაკავშირებული იყოს პანკრეასისა და ნაღვლის სადინრების დახშობასთან, ალკოჰოლიზმთან, მუცლის ტრავმასთან, ინფექციასთან, ზოგიერთი მედიკამენტის გამოყენებასთან.

დაავადების განვითარებას ხელს უწყობს პანკრეასის სადინრის დახშობა, თორმეტგოჯას შიგთავსის უკუსვლა პანკრეასისკენ და სხვა.

მწვავე პანკრეატიტის განვითარების მთავარი მექანიზმია საკუთარი ფერმენტების გააქტიურება, რომლებიც აზიანებენ ორგანოს უჯრედებს.

*კლინიკური სურათი:* მწვავე პანკრეატიტი იწყება ძლიერი, შეტევითი ხასიათის ტკივილით, რომელიც უფრო მეტად გამოხატულია მუცლის ზემო ნაწილში და გადაეცემა წელსა და ზურგს. უფრო ხშირად იგი ღამით იჩენს თავს ან ცხიმიანი საკვებისა და ჭარბი ალკოჰოლის მიღების შემდეგ.

გამოხატულია გულისრევის შეგრძნებით და ღებინებით, რომელსაც კუჭის დაავადებებისგან განსხვავებით შვება არ მოაქვს. ამას თან ერთვის შემაწუხებელი სლოკინი, ტემპერატურის მომატება.

*გართულებები:* მწვავე პანკრეატიტის დროს ხშირია კრუნჩხვა, შესაძლოა განვითარდეს ტაქიკარდია, დაბალი წნევა, სველი პლევრიტი, გულმკერდსა და მუცლის ღრუში სითხის დაგროვება და ა.შ.

*დიაგნოსტიკა:* მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზი ისმება ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების საფუძველზე.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პანკრეასის ფერმენტების, განსაკუთრებით ამილაზას აქტივობის განსაზღვრას სისხლსა და შარდში. უკანასკნელ წლებში გამოიყენება ტრიპსინის აქტივობის განსაზღვრა სისხლში რადიოიმუნური მეთოდით.

მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ლაპარასკოპიას, ექოსკოპიას, კომპიუტერულ ან ბირთვულ-მაგნიტურ ტომოგრაფიას.

*მკურნალობა:* მკურნალობის მიზანია მასში განვითარებული ანთებითი და ნეკროზული პროცესების შემოსაზღვრა, ტკივილის მოხსნა და ინტოქსიკაციის ჩაქრობა.

საჭიროა ადგილობრივად ცივი (ყინულის) კომპრესი, სრული სიმშვიდე და შიმშილი. შეტევის დაწყებიდან მე-2-4 დღეს, ტკივილის შეწყვეტამდე პაციენტს არ უნდა მიეცეს

# პანკრეატიტი



არანაირი საკვები და უნდა მოთავსდეს სტაციონარში. ტკივილის მოსახსნელად ინიშნება ტკივილგამაყუჩებლები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, მორფინი. ინფექციური გართულებებისას — ანტიბიოტიკები, ანთების საწინააღმდეგოდ იყენებენ ინდომეტაცინსაც, რეკომენდებულია სითხის გადასხმა (ზოგჯერ დღეღამეში 6-8-ჯერ).

*ქრონიკული პანკრეატიტი:* არის ქრონიკულად მიმდინარე ანთებითი პროცესი, რომელსაც პერიოდულად თან ახლავს პანკრეასის ფერმენტების თვითგააქტიურება. დაავადების გამომწვევი მიზეზები განსხვავებულია. ყველაზე ხშირია ალკოჰოლის ჭარბი გამოყენება. დაავადება შეიძლება იყოს შთამომავლობითი. გარდა ამისა, ქრონიკული პანკრეატიტი შეიძლება გამოიწვიოს: პანკრეასის სადინრის დახშობამ, კვების რეჟიმის დარღვევამ, ორგანიზმში არსებულმა ქრონიკულმა ინფექციებმა.

ქრონიკული პანკრეატიტის დროსაც ადგილი აქვს ფერმენტების გააქტიურებას. ალკოჰოლის სისტემატური და ჭარბი მიღება ხელს უწყობს პანკრეასის წვენის გასქელებას და ამის გამო სადინრის დახშობას, რაც იწვევს ანთებითი უბნების გაფართოებას, რასაც თან სდევს უჯრედების სიკვდილი.

მეორადი ქრონიკული პანკრეატიტი სხვადასხვა დაავადების გართულებაა — თორმეტგოჯა ნაწლავის პათოლოგია, საკვებში ცილის დეფიციტი და ა.შ.

*კლინიკური სურათი:* ძირითადი სიმპტომი — შემომსარტყველი ტკივილია. ტკივილი შესაძლოა კუჭის არეში დაიწყოს და მუცლის მარცხენა ნახევარსა და მარცხენა მხარზე გავრცელდეს. დაავადების ადრეულ სტადიაზე ტკივილი რამდენიმე საათს ან დღეს გრძელდება, რასაც ხანგრძლივი, ტკივილის გარეშე პერიოდი მოჰყვება. მოგვიანებით ტკივილის ინტენსივობა მატულობს, ხოლო უმტკივნეულო პერიოდი მცირდება. ამასთან, ადრეულ სტადიებზე ქრონიკული პანკრეატიტის კლინიკური სურათი მწვავეს ჰგავს. ამ დროს წინა პლანზეა ძლიერი ტკივილი, სისხლსა და შარდში ფერმენტების აქტივობის მატება.

დაავადების დაწყებიდან 5 წლის შემდეგ თავს იჩენს ცვლილებები ფეკალურ მასაში, წონაში დაკლება, 8-10 წლის მერე შესაძლოა განვითარდეს ჰორმონების უკმარისობა — შაქრიანი დიაბეტის კლინიკით. აღსანიშნავია ისიც, რომ მოხუცებულ ასაკში არსებულმა პანკრეატიტმა შესაძლოა ტკივილი არ გამოიწვიოს.

ტკივილის გარდა ახასიათებს წონაში დაკლება, გულისრევის შეგრძნება, ხშირი დეფეკაცია, განავალი მონაცრისფროა, შესაძლოა აღინიშნოს ცხიმის წვეთები.

*დიაგნოსტიკა:* ემყარება კლინიკურ მონაცემებს, ლაბორატორიულ, ფუნქციურ და ინსტრუმენტულ კვლევებს.

*მკურნალობა გამწვავებისას:* მკაცრი დიეტა, ცილების, ცხიმებისა და ალკოჰოლის შეზღუდვა.

მედიკამენტოზური — ტკივილგამაყუჩებლები (ანალგინი, ბარალგინი), ზოგჯერ ეფექტურია ანტისპაზმური საშუალებები: ნოშპა, ნიტროგლიცერინი, პაპავერინი, ასევე ატროპინი, პლატიფილინი.

პანკრეასის ფუნქციური უკმარისობისას ინიშნება ფერმენტის შემცველი პრეპარატები. ცხიმში ხსნადი ვიტამინები — A, D, K.

ზოგჯერ რეკომენდებულია ქირურგიული ჩარევა.

***მაია მუხიგული***

# ამ პროდუქტების მირთმევა რადიკალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას!



**ისპანახი** შეიცავს ბეტა-კაროტინს, ომეგა-3 ცხიმოვან მჟავებს, $B_1$, $B_2$, P, PP, K, C, E ვიტამინებს, რკინას, კალციუმს, მაგნიუმს, თუთიას, ფოსფორული მჟავას მარილებს. ყოველდღე დალიეთ 2 ჩ/ჭ ისპანახის წვენი. ეს ბოსტნეული შეიცავს ისეთ მიკროელემენტებს, რომლებიც ებრძვის კატარაქტას, შაკიკს და ჰიპერტონიას. ისპანახის კერძი მაცივარში უნდა შეინახოთ. ოთახის ტემპერატურაზე მასში წარმოიქმნება მომწამვლელი ნივთიერებები.

**სოია** შეიცავს ომეგა-3 ცხიმოვან მჟავებს, E ვიტამინს, კალიუმს, მაგნიუმს. მიიღეთ დღეში 15გ. შეუდარებელია ვეგეტარიანელებისთვის, ორგანიზმიდან გამოდევნის ქოლესტერინს.

**კაკალი** შეიცავს C, $B_1$, $B_2$, $B_6$, P, PP, E ვიტამინებს, მაგნიუმს, პროტეინებს, კალიუმს, პროვიტამინებს. მიიღეთ 30გ კვირაში 5 დღე. კაკალი აგაცილებთ გულის დაავადებებს.

**ლობიო** შეიცავს დაბალი შემცველობის ცხიმის პროტეინებს, B ვიტამინს, რკინას, კალიუმს, მაგნიუმს. ის არის ცილების დაბალკალორიული წყარო. ხელს უშლის მხედველობის გაუარესებას. შეიძლება გახდეს მეტეორიზმის მიზეზი. ამიტომ მიირთვით ზომიერად.

**ჰერკულესი** შეიცავს უჯრედისს, პროტეინებს, მაგნიუმს, კალიუმს, თუთიას, $B_1$ ვიტამინს. მიიღეთ 5-7-ჯერ კვირაში. შესანიშნავი საშუალებაა ქოლესტერინის კონტროლისთვის. განსაკუთრებით აქტუალურია მამაკაცებისათვის, — აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

**ჩაი** შეიცავს ფიტოფლავონებს, ფტორიდებს, უკალორიოა. ყოველდღიურად შავი ჩაის მიღება ამცირებს გულის დაავადების რისკს. შავი და მწვანე ჩაი შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ანეიტრალებს თავისუფალ რადიკალებს, ანუ ებრძვის დაბერების პროცესს, სხვადასხვა სახის სიმსივნურ წარმონაქმნებს.

**იოგურტი** შეიცავს ცოცხალ ბიოკულტურებს, კალციუმს, $B_2$ და $B_{12}$ ვიტამინებს, კალიუმს, მაგნიუმს, თუთიას. მიიღეთ ყოველდღე — 1 ჩ/ჭ. იოგურტი ეხმარება საჭმლის მონელების პროცესს, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას.

**გოგრა** შეიცავს ალფა-კაროტინს, ბეტა-კაროტინს, C, E ვიტამინებს, კალიუმს, მაგნიუმს. ხელს უშლის ჩვენი კანის დაბერებას. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომელსაც გოგრა შეიცავს, გამოდევნის ქოლესტერინს და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ამიტომ ის უებარია გულ-სისხლძარღვთა დაავადების დროს.

**ლიმონი** შეიცავს C ვიტამინს, კალიუმს, პექტინს. საკმარისია დღეში ერთი ცალი ციტრუსი. საერთოდ, ციტრუსები შესანიშნავად ებრძვის სიმსივნეებს.

**ინდაურის** ცხიმი შეიცავს დაბალი შემცველობის ცილას, ნიკოტინის მჟავას, $B_6$ და $B_{12}$ ვიტამინებს, რკინას, თუთიას. მიიღეთ კვირაში 3-4 ნაჭერი (85-115 გ). ის აუმჯობესებს ტვინის ენერგოცვლას. ინდაურის ხორცი კიდევ უფრო დიეტური იქნება, თუ მას გააცლით კანს.

**ბროკოლი** შეიცავს უჯრედისს, კალციუმს, C და K ვიტამინებს, ბეტა-კაროტინს... მასში შემავალი სულფორაფანი ანადგურებს კუჭის წყლულის რამდენიმე სახეობის ბაქტერიას, ხელს უშლის სიმსივნის განვითარებას.

**პომიდორი** შეიცავს ლიკოპენს, ალფა და ბეტა-კაროტინს, C, $B_1$, $B_2$, $B_3$, $B_6$, K, PP ვიტამინებს, კალიუმს, ქრომს, უჯრედისს. მიიღეთ დღეში 2-3 ცალი. ლიკოპენი მამაკაცს აცილებს პროსტატის დაავადებას, პომიდვრის კანი შეიცავს კვერცარნს, რომელიც ბუნებრივი ანტიბიოტიკია.

ხალხურ მედიცინაში პომიდორს იყენებენ ჩირქოვანი ჭრილობების და წყლულების სამკურნალოდ.

**სტაფილო** შეიცავს კაროტინს, გლიცინს, პოლიფენოლს. ერთი დიდი სტაფილო ჭამეთ ყოველ მეორე დღეს. ის შესანიშნავად იცავს კუჭის ზედაპირს ალკოჰოლით გამოწვეული დაზიანებისაგან, ხოლო პოლიფენოლი ებრძვის მიკრობებს.

***ჯენტე***







**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**

ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

# მტკიცე ხელი ისევ აქტუალურია

## ლუკაშენკო საბჭოთა ტენდენციის აღდგენას ცდილობს

მას მერე, რაც ალექსანდრ ლუკაშენკომ გამოსცა ბრძანებულება, „საზოგადოებრივი უსაფრთხოების და დისციპლინის განმტკიცების“ თაობაზე, ბელორუსიაში აბსურდული მდგომარეობა შეიქმნა.

მოხელეებმა ამ ბრძანებულებაში საკუთარი შეხედულებები ჩააქსოვეს — დეპუტატებმა პარლამენტის ბუფეტებში სპირტიანი სასმელის აკრძალვა მოითხოვეს. პოლიკლინიკების მთავარმა ექიმებმა კაბინეტები ლუკაშენკოს პორტრეტებით დაამშვენეს, თეატრებმა სასწრაფოდ დაიწყეს საწარმოო თემებზე შექმნილ პიესებზე მუშაობა.

საოცარია, მაგრამ ლუკაშენკოს რეიტინგი ამაღლდა. რუსი ანალიტიკოსები ამბობენ, იგივე მდგომარეობაა რუსეთშიცო. პუტინის ძლიერი ხელი იქაც ამოქმედდა და ხალხში პოპულარობაც კი მოიპოვაო.

ლუკაშენკოს დირექტივები სამუშაო ადგილზე ლოთობისა და უსაქმურობის წინააღმდეგაა მიმართული. გაძლიერდა გზებზე კონტროლი, რადგან ნასვამი მძღოლების მიზეზით ავტოკატასტროფების რაოდენობა ბელორუსიაში მეტისმეტად დიდია. „წესრიგის დამყარებისაკენ“ მიმართული კამპანია ბელორუსთა პირად ცხოვრებაშიც იჭრება. დაწესებულებებში დაიწყო გაუთავებელი ინსპექციები, ხშირად კომისია ნამდვილ ჩხრეკას აწყობს და კაბინეტებში წლების განმავლობაში დაგროვილ ცარიელ ბოთლებს პოულობს (ასე რომ, ლუკაშენკო შესაძლოა ნაწილობრივ მართალიც იყოს).

მინსკის ერთ-ერთი საავადმყოფოს განყოფილების გამგე ამბობს, — პრეზიდენტის პორტრეტი იმიტომ დავკიდე, რომ მის ღირსეულ მეტოქეს ჯერჯერობით ვერ ვხედავ. თანაც მის წინააღმდეგ გალაშქრება უაზრობააო.

ბელორუსიაში კერძო პრესა თითქმის აღარ არსებობს. ტელეარხები სახელმწიფოს მიერაა მონოპოლიზებული და მხოლოდ ლუკაშენკოს აჩვენებენ, ის კი ეკრანზე ხან ობოლ ბავშვებს ურიგებს საჩუქრებს, ხან ჰოკეის თამაშობს, ან ებრძვის კორუფციას. წარმოიდგინეთ, რომ მისი რეიტინგი ერთი წლის წინ 26,2 იყო, წელს კი 33%-ს გადააჭარბა.

***კომსომოლსკაია პრავდა №74***

# კიმ ჩენ ირი პეკინში მალულად ჩავიდა



ერაყის კრიზისის გამო მივიწყებულმა ჩრდილოეთკორეელმა ლიდერმა კიმ ჩენ ირმა მოულოდნელად თავი შეგვახსენა — გაუფრთხილებლად გადაკვეთა ჩინეთის საზღვარი და პეკინში თავისი ცნობილი ჯავშნიანი მატარებლით ჩავიდა. ჩინელი მოხელეები იუწყებიან, — არაფერი ვიცოდით ამ სტუმრობის შესახებო.

პეკინში ჩასვლისთანავე კიმ ჩენ ირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს, ჰუ ძინტაოს შეხვდა. ჩინეთის ახალ ლიდერს კიმ ჩენ ირი ადრე არ იცნობდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ აუცილებლად გაუგებდნენ ერთმანეთს. ამბობენ, ჩინეთის ხელისუფლებაში მოსული ახალგაზრდა პრაგმატიკოსების თაობა მაინცდამაინც არ წყალობს ჩრდილოეთ კორეას, მას მხოლოდ თავისი გავლენის ზონად მიიჩნევს და არა „ძმურ ქვეყნად“, რომლის გამოც 50-იან წლებში „ამერიკელ იმპერიალისტებს“ ეომებოდნენ ჩინელი მოხალისეები. დროდადრო პრესაში ჩნდება ინფორმაცია, თითქოს ჩინეთი ფიქრობს, რომ კორეის სახალხო რესპუბლიკასთან სამოკავშირეო ხელშეკრულებიდან ამოიღოს მუხლი — საჭიროებისას სამხედრო დახმარების თაობაზე.

კიმ ჩენ ირს პეკინის გარდა მფარველი არა ჰყავს. ჩინეთი დიდი ხანია, კორეისათვის სათბობის მთავარი მიმწოდებელია, ყოველწლიურად 200 ათას ტონა ხორბალსაც უგზავნის.

კიმ ჩენ ირის სტუმრობა ჩინეთში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის ტოკიოში, პეკინსა და სეულში ვიზიტით იყო გამოწვეული. ჩეინმა გადაკვრით თქვა, — მართალია, ბუშის ადმინისტრაციის მთავარი საფიქრალი ახლა ერაყია, მაგრამ ფხენიანთან დაკავშირებული ბირთვული პრობლემები კვლავ დღის წესრიგში დგასო.

დიკ ჩეინმა ისიც აღნიშნა, რომ შესაძლოა, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის დამრღვევის წინააღმდეგ გაერომ საერთაშორისო სანქციების შემოიღოს.

კიმ ჩენ ირს სურს გამოიყენოს ერაყის კრიზისით შექმნილი შესვენება ჩინეთთან რამდენიმე საკითხის მოსაგვარებლად. სწორედ ჩინეთია კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვულ პრობლემებთან დაკავშირებული იმ ექვსმხრივი მოლაპარაკების ორგანიზატორი, რომელიც ივნისის დამლევს მოეწყობა.

ფხენიანმა იცის, რომ ამ პრობლემების მოუგვარებლად უცხოეთი სერიოზულ ეკონომიკურ დახმარებას არ გაუწევს — მართლაც, ვინ ჩადებს ფულს ღარიბ ქვეყანაში, რომელიც აშშ-ის პოტენციური სამიზნეა.

***კომერსანტი №71***

P.S. უკანასკნელი მონაცემებით, კიმ ჩენ ირმა ჩინეთიდან დაბრუნებისას ქალაქი რინჩჰონი კატასტროფამდე რამდენიმე საათით ადრე გაიარა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ „საყვარელი ხელმძღვანელის“ უსაფრთხო მგზავრობასთან დაკავშირებით მიღებულმა გაძლიერებულმა ღონისძიებებმა დაარღვია მიმოსვლის გრაფიკი, რაც საწვავით სავსე ვაგონების აფეთქების მიზეზი გახდა.

# ყარაბაღის ბედი დიდი ბიზნესის ხელშია

ბაქოსა და ერევანში ათწლიანი მშვიდობის შემდეგ პირველად ალაპარაკდნენ ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში ომის განახლების შესახებ. აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, — აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომი ნებისმიერ დროს შეიძლება დაიწყოსო და დააზუსტა — ეს შეიძლება იმიტომ მოხდეს, რომ სომხეთის ხელისუფლება კარგავს ქვეყნის მართვის სადავეებს და პოლიტიკური კრიზისი მწვავდებაო.

პარალელურად, ყარაბაღთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ფარგლებში საინტერესო საკადრო ცვლილებები მოხდა: აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრად დიპლომატი ელმარ მემედოვი დაინიშნა. იგი აშშ-ში აზერბაიჯანის საელჩოს ყოფილი მრჩეველია. ეუთოს მინსკის ჯგუფის ყოფილ თანათავმჯდომარეს კი სტივენ მანი შეცვლის (კასპიის რეგიონში აშშ-ის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი), რაც იმის მანიშნებელია, რომ ვაშინგტონი შეწუხებულია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ზონაში მოვლენების შესაძლო განვითარებით. სტივენ მანს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებაში დიდი წვლილი მიუძღვის. მას კარგი ურთიერთობა აქვს არა მარტო აზერბაიჯანთან, არამედ კავკასიით დაინტერესებულ დასავლეთის ნავთობკომპანიებთან. შესაძლოა, ვაშინგტონს მართლაც უნდოდეს ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის დაწყება, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ არ დაუშვებს სომხეთ-აზერბაიჯანის ომს 2005 წლამდე — როცა ამუშავდება ნავთობსადენი ბაქო-ჯეიჰანი. ამის შემდეგ ნავთობსადენის ფუნქციონირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა საერთაშორისო მასშტაბის პრობლემა გახდება და დასავლეთი არ მისცემს კონფლიქტში ჩათრეულ მხარეებს ომის დაწყების საშუალებას.

***ნეზავისიმაია გაზეტა №70***

# პენტაგონი თავის მკვდრებს მალავს



ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაქვეყნეს ერაყში დახოცილ ჯარისკაცთა კუბოების ფოტოები. ეს პენტაგონის დაუდევრობით მოხდა. პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია განრისხებულია, სამართალდამცველები და დამოუკიდებელი მიმომხილველები ცენზურის შემოღებაზე ალაპარაკდნენ.

„ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, რომ აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალთა დოვერის ბაზაში კუბოების გადაღების უფლება ბაზის დირექციას სთხოვა ანტისამხედრო საიტის Memory Holo-ს მთავარმა რედაქტორმა რას კიკმა. ჩანს, მან დაარწმუნა სამხედროები, რომ ფოტოები „ისტორიისთვის სჭირდებოდა“. კიკმა 350 ფოტო თავის საიტზე განათავსა და ჟურნალისტებს მათი გამოყენების ნება დართო. ასე გაჩნდა ეს ფოტოები ამერიკის გაზეთებსა და ტელეეკრანებზე.

აშშ-ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მომხდარის გამო განაცხადეს, რომ ბუში მალავს სიმართლეს ერაყთან დაკავშირებით.

***ნიუს რუ***






# მოკლედ

**ჩრდილოეთ კორეის** ქალაქ რინჩჰონის მახლობლად სარკინიგზო კატასტროფის შედეგად დაიღუპა და დაშავდა რამდენიმე ათასი ადამიანი. ეს ციფრები დგინდება და შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს კიდეც. საწვავით დატვირთული შემადგენლობების შეჯახების შედეგად მთლიანად დაინგრა 2 ათასზე მეტი შენობა, დაზიანდა 6 350-ზე მეტი. ჩრდილოეთ კორეამ ამ რაიონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და მსოფლიო საზოგადოებრიობას ავარიის შედეგების ლიკვიდაციაში დახმარება სთხოვა.

**საუდის არაბეთის** დედაქალაქ ერ-რიადში ნაციონალური უშიშროების სამსახურის შტაბბინასთან მომხდარ აფეთქებაზე პასუხისმგებლობა „ალ-ქაიდამ“ იკისრა. დაზარალებულთა რიცხვმა 148-ს გადააჭარბა. გარდაიცვალა 4 ადამიანი.

**ჰააგის ტრიბუნალის** სააპელაციო კოლეგიამ 1995 წელს სრებრენიცაში 8 ათასი მუსლიმანის სასტიკი მკვლელობა გენოციდის აქტად მიიჩნია. ეს აქტი ბოსნიელმა სერბებმა განახორციელეს მუსლიმანური სათვისტომოს გასანადგურებლად. საერთაშორისო ტრიბუნალმა გენოციდის ორგანიზებისთვის 35-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა ყოფილ სერბ გენერალს რადისლავ კრისტიჩს.

**გაეროს** ხელმძღვანელობამ მრავალი წლის განმავლობაში იცოდა, რომ სადამ ჰუსეინი მილიარდობით დოლარს ითვისებდა პროგრამიდან „ნავთობი — სურსათის სანაცვლოდ“, თუმცა არაფერი უღონია მსოფლიო ისტორიაში ამ ერთ-ერთი უმსხვილესი აფერის შესაწყვეტად. აშშ და დიდი ბრიტანეთი არაერთგზის შეეცადნენ გაეპროტესტებინათ გაეროს სქემა, რომელიც ერაყს საშუალებას აძლევდა, შეენარჩუნებინა ნავთობზე დაბალი ფასი და ბარელზე არაოფიციალურად 10-15%-ის დამატებით დიდი მოგება მიეღო.

**უზბეკეთის** ხელისუფლებამ ხელახალ რეგისტრაციაზე უარი უთხრა ქვეყანაში მოქმედ ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის სოროსის ფონდის განყოფილებას, რომელიც აქ 1996 წლიდან მოქმედებს. თავად ფილანთროპმა, ამ ამბის გაგებისთანავე, აშშ-ის მთავრობას მოუწოდა, გადახედოს ურთიერთობებს თავის უახლოეს მოკავშირეებთან ცენტრალურ აზიაში. ტაშკენტში ამბობენ, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს, არ დაუშვას საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენის ზრდა ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაზე. დამკვირვებლებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ პრეზიდენტმა ქარიმოვმა ეს გადაწყვეტილება საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ მიიღო.

**პალესტინის** ნაციონალური ადმინისტრაციის თავკაცმა იასირ არაფატმა რამალაში, თავის რეზიდენციაში თავშეფარებულ ექსტრემისტულ დაჯგუფება „ალ-აქსის წამებულთა ბრიგადას“ იქაურობის დატოვება მოსთხოვა. ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა ალ-ბარღუთიმ პალესტინის ლიდერის შტაბბინის იძულებითი დატოვების შემდეგ განაცხადა, — ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, „ფათჰის“ (პალესტინის განთავისუფლების მოძრაობა, რომელსაც არაფატი უდგას სათავეში) წევრები ვართ და არაფატი მოვალეა, დაგვიცვას, ის კი ისრაელის კარნახით მოქმედებსო. არაფატი 2001 წლიდან ისრაელის ბლოკადაშია მოქცეული და არ დაუტოვებია რეზიდენცია.

**ბანგკოკში** ძლიერმა ხანძარმა 700 საცხოვრებელი სახლი შეიწირა და სამი ათასამდე ადამიანი უსახლკაროდ დატოვა. ხანძარი დაიწყო მჭიდროდ დასახლებულ რაიონში, სადაც რამდენიმე საელჩოცაა განთავსებული. ხანძრამდე რამდენიმე დღით ადრე მათ მიიღეს ტერორისტების მუქარის წერილები — მოკლე ხანში აშშ-ის მოკავშირე სახელმწიფოთა საელჩოებს გავანადგურებთო. ტაილანდის ხელისუფლება არ იტყობინება დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობას.

**ევროპარლამენტის** დაფინანსებით, 10 წლის შემდეგ, სიცილიას მატერიკთან დააკავშირებს კიდული ხიდი. იმის მიუხედავად, რომ ამ რაიონში ხშირია მიწისძვრა და ახლოსაა ეტნას მოქმედი ვულკანი, იტალიის ტრანსპორტის მინისტრმა პიეტრო ლუნარდიმ განაცხადა, რომ ეს არის 21-ე საუკუნის უდიდესი პროექტი და აუცილებლად უნდა განხორციელდეს. მშენებლობა 5,6 მლნ ევრო დაჯდება და 2015 წლისთვის დასრულდება.

**ნეპალი** — უღარიბესი ქვეყანა — მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 147-ე წევრი გახდა. ნეპალის იმპორტი მნიშვნელოვნად სჭარბობს ექსპორტს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა ამ ქვეყანას საერთაშორისო ბაზარზე გაიყვანს, რაც თავისთავად გაზრდის ექსპორტის მოცულობას და გამოაცოცხლებს ეკონომიკას.

# „თანახმა ვარ, 10 მინისტრს მხოლოდ ჩვენმა კომპანიამ გადაუხადოს ხელფასი“

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

ეს ქართული, ეროვნული ფონდი უფრო გამოადგება ეროვნული საქმის გაკეთებას. მეგონა, ამ ინიციატივას ვინმე გამოეხმაურებოდა, მაგრამ შედეგად კომპანია „ყაზბეგზე“ დაიწყო შეტევა, რაღაც დავალიანებები მოგვიძებნა ფინანსურმა პოლიციამ, რაღაც მასალები პროკურატურასაც ჰქონია თურმე. ვიცი, ეს რას ნიშნავს — ერთი ლარის გადამხდელიც არ ვარ, რაც არ მეკუთვნის, იმას რატომ გადავიხდი?! მაგრამ ეს იმის მიმანიშნებელია, დაანებე სოროსს თავიო. სოროსის კრიტიკას არ მოვეშვები... თუ გვერდით არავინ დამიდგება, 10 მინისტრს მხოლოდ ჩვენი კომპანია გადაუხდის ხელფასს. სოროსმა კი, რაკი ასე აწუხებს ჩვენი მძიმე მდგომარეობა, კულტურას, სპორტსა და მეცნიერებას წააშველოს ხელი. საბაჟოსა და საგადასახადო ხელმძღვანელებს, შინაგან საქმეთა მინისტრს და ბერკეტების მქონე სხვა უწყებებს კი ჩვენმა ეროვნულმა ფონდმა გადაუხადოს ხელფასი. თანახმა ვართ, იმ ბიზნესმენების ვინაობაც არ გახმაურდეს, რომლებიც ამ ფონდს დააფინანსებენ. ხელისუფლებამ განკარგოს სურვილისამებრ ეს თანხა.

რაც უფრო დამოუკიდებელი იქნება ახალი ხელისუფლება ქვეყნის მართვისას, მით მეტად აღორძინდება ქვეყანა. ხელისუფლებამ წინამორბედივით გარე ძალებთან კუდის ქიცინი არ უნდა გააგრძელოს. თუ ხელისუფლება იტყვის, ჩვენ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ და უცხოურ ფონდებს თუ ეს არ მოსწონთ, კარგად იყვნენო, ასეთ ხელისუფლებას გვერდით დავუდგებით კი არა, მეტსაც ვიზამთ. კარგია, რომ პრეზიდენტმა ინდმეწარმეებს მოუხსნა გადასახადი. გადასახადები სხვა მნიშვნელოვან საწარმოებსაც (რძის გადამამუშავებელ, საკონსერვო) უნდა შეუმცირდეთ. კი, ბატონო, გაუზარდონ გადასახადი ისეთ საწარმოებს, რომლებიც ფუფუნების საგნებს — ხიზილალას და მაღალი ხარისხის ძვირფას კონიაკს აწარმოებენ, მაგრამ არ შეიძლება იმ საწარმოს დააკისრო დიდი გადასახადი, რომელიც ბავშვის საკვებს ან პირველადი მოხმარების პროდუქციას აწარმოებს.

— **ზემოთ ბრძანეთ, იმუნიტეტის საკითხზე „მრეწველებსა“ და „ახალ მემარჯვენეებს“ განსხვავებული აზრი გვაქვსო. კულუარებში უკვე ლაპარაკობენ თქვენ შორის არსებულ განსხვავებულ სხვა შეხედულებებზეც და კეთდება პროგნოზიც, ამ ორი პარტიის გაერთიანება სათუოაო.**

— არჩევნებში ერთად მონაწილეობა ტაქტიკური ნაბიჯი იყო, ცალ-ცალკე რომ გვებრძოლა, პარლამენტში ვერ მოვხვდებოდით. ერთ პარტიად ჩამოყალიბებაც გვაქვს განზრახული, მაგრამ გაერთიანებამდე ბევრი საკითხია გადასაწყვეტი, თუნდაც საკადრო და იდეოლოგიური. „ახლები“ ამერიკელებთან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, „მრეწველები“ კი ვფიქრობთ, რომ ამერიკელები ისევე დაგვღუპავენ, როგორც არაერთი ქვეყანა დაღუპეს. ეს სერიოზულ წინააღმდეგობას ქმნის. თუმცა ბოლო დროს ბატონი დავითი თანდათან ეროვნულ პოზიციაზე დგება, — ხედავს, რომ ამერიკელების დახმარება და მოჩვენებითი თანამშრომლობა სიკეთეს არ დაგვაყრის.

— **აჭარაში სამშვიდობო მისიით ისევ ჩახვალთ?**

— აღარ წავალ... ხომ ნახეთ, პაციფისტები გვიძახეს. კი, ბატონო, ვარ პაციფისტი, მაგრამ ჩვენი აჭარაში ჩასვლა ხელისუფლებასთანაც ხომ იყო შეთანხმებული? ხელისუფლებამ ან კონფრონტაციის გზა უნდა აირჩიოს, ან შეთანხმების. როდესაც პრეზიდენტი გვეუბნება, შეთანხმება და მოლაპარაკება მინდა აბაშიძესთანო, მისი თანაგუნდელები კი მისგან აგრესიულ ქმედებას ითხოვენ, ჩვენს მცდელობას რა შედეგი მოჰყვება?! მთავარია, პრეზიდენტმა გადაწყვიტოს, როგორი გზით უნდა სიარული. თუ მოლაპარაკებებს არჩევს, ისევ ჩავალ აჭარაში, ოღონდ პარალელურად თბილისში არ უნდა დაიწყონ მუშტების ქნევა და ჩახმახზე ყურება.

***მარი ზანდუკელი***

# „პირიმზის“ თანამშრომლები ინდმეწარმის სტატუსის მიღებაზე უარს აცხადებენ

## რატომ გამოაკრა კონრად ადენაუერმა საგადასახადო კოდექსი თავისი სამუშაო ოთახის კედლებზე?!

*ამ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ახალი საგადასახადო კოდექსის მოლოდინშია, პრეზიდენტი მოვლენებს უსწრებს და „პირიმზეში“ სტუმრობისას, ინდივიდუალურ მეწარმეებს გადასახადებისაგან ათავისუფლებს. თუმცა, ჯერ არც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა არსებობს და არც გასაიდუმლოებული ლიბერალური კოდექსის შინაარსია ცნობილი. კანონით გამაგრებული არ არის არც პრეზიდენტის ცნობილი დაპირება დამალული გადასახადების დეკლარირებისა და ჩამოწერის შესახებ, რომელიც ჩვენში „ფინანსურ ამნისტიად“ მოინათლა. ნათქვამია: „მეფის სიტყვა კანონია, აღარ უნდა ლაილაი“. „პირიმზის“ თანამშრომლებმა სააკაშვილის სიტყვა კანონთან გააიგივეს და გადასახადების გადახდაზე უარს აცხადებენ. მაგრამ ირკვევა, რომ „პირიმზე“ არის სააქციო საზოგადოება, ხოლო ე.წ. ინდმეწარმეები კი — მისი აქციონერები. როგორც „პირიმზის“ დირექტორმა, ქალბატონმა* ***მზია ვაწაძემ*** *განგვიმარტა, თანამშრომლები მანამ არ ჩაითვლებიან ინდივიდუალურ მეწარმეებად, სანამ შესაბამისი სტატუსის მისაღებად საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციას არ გაივლიან. ამ პროცედურის შემდეგ ინდმეწარმეებს „პირიმზესთან“ საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება მოუწევთ, ხოლო აქციონერის სტატუსი ავტომატურად ჩამოერთმევათ. ქალბატონი მზიასგან შევიტყვეთ, რომ ამ მიზეზით „პირიმზის“ თანამშრომლები ინდმეწარმის სტატუსის მიღებაზე უარს აცხადებენ, თუმცა არც გადასახადების გადახდა სურთ. „პრეზიდენტს სააქციო საზოგადოება „პირიმზე“ არ გაუთავისუფლებია გადასახადებისგან, ბიუჯეტში თანხა ხომ უნდა შევიტანო? მუშები კი ამბობენ: ჩვენ პრეზიდენტმა ყველა გადასახადი მოგვიხსნაო. მოკლედ, ასეთი გაურკვეველი მდგომარეობაა“ — ამბობს ჩვენთან საუბარში „პირიმზის“ დირექტორი. ორი წლის გადასახადებისგან გათავისუფლებას მცირე ბიზნესის წარმომადგენლებიც ელოდებოდნენ, ვინაიდან პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიას ლაიტმოტივად გასდევდა მცირე ბიზნესის აღორძინების ლოზუნგი. რატომ არ შეასრულა სააკაშვილმა დანაპირები? ხომ არ გამოიწვევს ინდმეწარმეებისთვის გადასახადების მოხსნა ბიზნესის დაქუცმაცებას? ამ და სხვა თემებზე საკუთარი მოსაზრებები მცირე მეწარმეთა დაცვის ასოციაციაში გაგვიზიარეს.*

***ანზორ საკანდელიძე,*** *ასოციაციის თავმჯდომარე:*

— ეს არის პრეზიდენტის ნაჩქარევი ნაბიჯი, ვინაიდან ჯერ არ არსებობს კანონი, ნორმატიული აქტი, რომლის მიხედვითაც მოხდება ინდმეწარმეების გათავისუფლება გადასახადებისაგან. პრეზიდენტს მისი წინასაარჩევნო დაპირების ტვირთიც ადევს, როდესაც მცირე ბიზნესს ორი წლის გადასახადებისგან გათავისუფლებას დაჰპირდა. მაგრამ მას არა ჰყავს მრჩეველი, რომელიც ამ სფეროში მართებულ რჩევას მისცემდა. ხუთ წელიწადზე მეტია, საქართველოს მცირე მეწარმეთა ასოციაციას დამუშავებული აქვს საქართველოს გადამრჩენი ნორმატიული აქტები, რომელთა კომპლექსური ამოქმედებით გარანტიას ვიძლევით, რომ ორ წელიწადში ჩრდილოვანი ეკონომიკიდან გამოვიყვანთ ათასამდე მცირე მეწარმეს, დამატებით შევქმნით ათეულათასობით ახალ სამუშაო ადგილს, მინიმუმამდე შევამცირებთ კორუფციას, მთლიანი შიდაპროდუქტის მაჩვენებელს გავზრდით 12 მილიარდ ლარამდე, ბიუჯეტში დამატებით შევიტანთ ორ მილიარდამდე ლარს და სიღარიბის დაძლევასაც ორ წელიწადს მოვანდომებთ, განსხვავებით თორმეტი წლისა, რასაც ითვალისწინებს — პრეზიდენტის მიერ უკვე ხელმოწერილი 141 მილიონი დოლარის ღირებულების ბასილიასეული სიღარიბის დაძლევის პროგრამა. ხუთი წელი იდო ჩვენი ნორმატიული აქტები ძველი ხელისუფლების სამუშაო კაბინეტებში, რომელმაც ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმაც არ ინება. პასუხი არ მიგვიღია, არც იმ წერილებზე, რომელიც გავუგზავნეთ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძეს და სახელმწიფო მინისტრ ჟვანიას. წერილებს თან ერთვოდა ნორმატიული აქტები. ფინანსთა სამინისტროში ჩვენი კანონპროექტი და მასთან ერთად განმარტებითი ბარათი ჯერ დაკარგეს, ხოლო როცა კიდევ ერთი ასლი მივიტანეთ, ერთმა ჩინოსანმა პირდაპირ მთხოვა: მოკლედ მომიყევი, თუ კაცი ხარ, ამას რა წაიკითხავსო.

— **ბატონო ანზორ, ვინ ითვლება დღეს მცირე მეწარმედ?**

— დღეისათვის მცირე ბიზნესი გულისხმობს 1-20 კაცამდე დასაქმებულს. თანხების ბრუნვა კი საშუალოდ 500.000 ლარია წელიწადში.



— **ხომ არ ფიქრობთ, რომ მცირე ბიზნესი გადასახადებისგან გათავისუფლების მიზნით შესაძლოა დანაწევრდეს და ყველამ ინდმეწარმედ გახდომა მოინდომოს?**

— ეს პროცესი გარდაუვალია, დაიწყება საწარმოთა ფორმალური დაქუცმაცება და ამას ვერ აღკვეთავ. ალბათ ისევ ბაზარმა და ლიბერალურმა საგადასახადო კოდექსმა უნდა დააბალანსოს მდგომარეობა. სწორედ ამიტომ არ ვეთანხმებით პრეზიდენტის ამ წინადადებას. გადასახადისაგან სრულიად შეიძლება გაათავისუფლო დამწყები მეწარმე, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი პროდუქციას აწარმოებს. იცით, რა მოხდება კიდევ? მაგალითად, თუ მეწარმეს ხუთი მუშა ჰყავს, ფორმალურად დაითხოვს ყველას და დოკუმენტებში თვითონ ინდმეწარმედ გაფორმდება, ხელფასს კი „ლევად“ გადაუხდის. ამიტომ აუცილებელია, რომ მთლიანად მცირე ბიზნესს დაუწესონ შეღავათები, რადგან თავიდან ავირიდოთ დანაწევრების პროცესი. მეტსაც გეტყვით, დღეს ყოველდღიურად იხურება მცირე საწარმოები, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარებაა.

— **იქნებ „ჩრდილიდან გამოსვლას“ ბევრი თვითლიკვიდაციას ამჯობინებს?**

— 1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსით, რომელიც სამწუხაროდ დღესაც მოქმედებს, მცირე და საშუალო ბიზნესი ერთნაირად იბეგრება. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება და ეს ეკონომიკურ „ნონსენსად“ ითვლება. მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდა ეს ხალხი „ჩრდილში“. დასავლეთი ყველანაირად ცდილობს, რომ საქართველოში წარმოება არ აღორძინდეს, რათა საკუთარი ვერაფერი ვაწარმოოთ და მათთვის ბაზარი ვიყოთ. არსებული გადასახადების პირობებში კი ჩვენთან წარმოებული პროდუქცია გაცილებით ძვირია, ვიდრე იმპორტირებული. თუნდაც ეს ფაქტი ავიღოთ: საგზაო გადასახადი, რომელიც რეალურად ბრუნვის გადასახადია, წარმოების სფეროსთვის 10-ჯერ(!) მეტია, ვიდრე ვაჭრობის სფეროსთვის. როგორ დავიჯერო, რომ ეს კანონი ქართველის დაწერილია?! ჩვენ არ უნდა გვინდოდეს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნაჩუქარი ფული, მოგვცენ ამ ფულის კეთების საშუალება. ამის შესაძლებლობას არ გვაძლევენ. ჯერ ერთი ქვეყანაც არ მინახავს მათი დახმარებით აყვავებული.

***ოთარ დოლიძე,*** *შპს „წიდას“ დირექტორი:*

— საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთ პირველ ინდმეწარმედ ვითვლებოდი, რადგან კოოპერატიული წარმოების პიონერი გახლდით. 1986 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მცირე საწარმოები ორი წლით გაათავისუფლა გადასახადებისაგან, რასაც ერთ წელიწადში 50 000 მცირე საწარმოს შექმნა მოჰყვა და შედეგად, დამატებით 500 000 ადამიანი დასაქმდა. მცირე მეწარმეს ადარებენ ფუტკარს, რომელსაც ჭკვიანი მეფუტკრე უნდა ჰყავდეს. როდესაც მეფუტკრე „ოჯახს“ ჩახედავს, თუ სისუსტე შენიშნა, დამატებით საკვებს შეუტანს, წამალს დაახმარს, სკას შეაკეთებს, მაგრამ იმ წელიწადს თაფლს არ ამოიღებს. მეორე წელს მეფუტკრე მხოლოდ იმდენ თაფლს ამოიღებს სკიდან, რამდენიც „ოჯახს“ არ დააზარალებს. ასეთი მიდგომით კი ფუტკარი ძლიერდება და სამომავლოდ, მეფუტკრე თაფლის ორ მოსავალს იღებს: მაისის და შემოდგომის თაფლს. სწორედ ასეთი მიდგომა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მცირე მეწარმესთან და საერთოდ, ბიზნესთანაც. ჩვენი ხელისუფლება კი ცუდად ერკვევა იმაში, ვინ არის მსხვილი გადამხდელი და ვინ მცირე მეწარმე. როგორც ადამიანისთვის სიცოცხლის მთავარი ორგანო გულია, ასევეა მცირე მეწარმეც სახელმწიფოსთვის. სწორედ მცირე წარმოება ქმნის ქვეყანაში საშუალო ფენას, ხოლო როცა საშუალო ფენა არსებობს, ქვეყანა მდიდარია.

— **იმედოვნებთ, რომ ამგვარ მიდგომას გაითვალისწინებენ ახალ საგადასახადო კოდექსში?**

— ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობა გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობს. კოდექსზე მუშაობს 17-კაციანი ჯგუფი, რომელშიც არც ერთი მეწარმე არ არის. შვიდი ე.წ. ექსპერტიდან ვერც ერთ ცნობილ სახეს ვერ ნახავთ. სერიოზული ეჭვი გვაქვს, რომ რეალურად გადასახადების შემცირება არ ხდება, უბრალოდ, ხუთ გადასახადს ერთში მოაქცევენ და საგადასახადო ტვირთი უცვლელი დარჩება. ერთი ცნობილი მაგალითი მინდა მოგიყვანოთ: 1945 წლის შემდეგ განადგურებულ და ეკონომიკურად დასუსტებულ გერმანიას ჰყავდა საკმაოდ ჭკვიანი პოლიტიკოსი კონრად ადენაუერი, რომელიც მოგვიანებით კანცლერი გახდა. ადენაუერმა მოქმედი საგადასახადო კოდექსი თავისი სამუშაო ოთახის კედლებზე გამოაკრა და მეწარმეები მიიწვია. თითოეულ მეწარმეს სთხოვა ყურადღებით წაეკითხათ კოდექსი და მათთვის მიუღებელი პუნქტები ამოეშალათ, თან საკუთარი კორექტივებიც შეეტანათ. აღმოჩნდა, რომ საგადასახადო კოდექსის 75% მეწარმეებისთვის მიუღებელი იყო. შესწორების შემდეგ კი ადენაუერმა მიმართა მეწარმეებს: ეს თქვენი მოწონებული კოდექსია, კეთილი ინებეთ და ხვალიდან ყველამ პირნათლად გადაიხადეთო.

დაპირებისამებრ, ახალი მოწვევის პარლამენტს, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტს მაისში წარუდგენენ. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ კოდექსი, რომელზეც ექვსი მინისტრი მუშაობს, მისაღები იქნება ბიზნესის განვითარებისა და, შესაბამისად, ქვეყნისათვის, და არა ჩინოვნიკებისა და ბიუროკრატებისათვის.

***ემა ტუხაშვილი***


ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება

● უნივერსალური ●
სასათბურე ფირები
გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ
სიახლე
მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში
შპს შალი, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
● მობ: 8.99. 569195; 899 931110 ●
ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
იყიდება მხოლოდ თბილისის ოფისიდან

შპს „გეოკორი“

აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 24 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9850 |
| ევრო | 2,3623 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5188 |
| რუსული რუბლი | 0,0685 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4353 |

„ტონზტრონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „პოლიგრაფისტი“ (სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13 (რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎ 95-00-97

ფარმაცევტული კომპანია აცხადებს მიღებას:
1. სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანსიაზე (ასაკი 35 წლამდე) ქ. თბილისში.
2. სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანსიაზე (ასაკი 35 წლამდე) ქ. თელავში.

საბუთები მიიღება ფარმაცევტულ კომპანია "პე-ეს-პე"-ს ოფისში 06.05.04-მდე
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ.148/III
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით კომპანია "პე-ეს-პე"-ს საინფორმაციო სამსახურის ტელეფონზე: 911101

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ვინ არის დამნაშავე?



უნივერსიტეტში შესასვლელად თან სკოლაში ვსწავლობდი და თან სამ საგანში ვემზადებოდი. დროის უკმარისობის გამო მამაჩემს დავყავდი მანქანით ქართულის მასწავლებელთან, მელიქიშვილის ქუჩაზე (ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ვცხოვრობ).

ერთ დღეს მამაჩემს სამსახურიდან მოსვლა დაუგვიანდა, ფაცაფუცით მოვარდა მანქანით. მე ეზოში ველოდებოდი, უკანა კარი რომ გამოვაღე, მაშინ გამახსენდა, რომ სიჩქარეში რვეული შინ დამრჩენოდა. მაშინვე კარი მივხურე და სახლისკენ გავიქეცი, მანქანა კი დაიძრა და... წავიდა. მამას ისე უვლია უნივერსიტეტის მე-5 კორპუსამდე, რომ მანქანაში ვგონებივარ.

შუქნიშანთან გაუჩერებია და რომ მოუხედავს უკან, გაგიჟებულა კაცი, ხომ არ გადავარდაო.

მე ტაქსით მივედი მასწავლებელთან, ის უკვე სადარბაზოსთან იდგა და ბოლთას სცემდა. დამინახა თუ არა, გინებით გამომენთო, ძლივს ავასწარი კიბეზე. დღესაც არ იცის, საიდან მოვხვდი იქ...

***ზურაბ ხიტალიშვილი, თბილისი***

## 2. მოწყობაც ამას ჰქვია!



ცნობილი ექიმი-გინეკოლოგის, ბატონ ნოდარ ძნელაძის ნაამბობიდან: — 60-იან წლებში მომიწია მოსკოვში ჩასვლა. მაშინ საბჭოეთის დედაქალაქის სასტუმროებში მოწყობა, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში დიდი პრობლემა იყო. მეც ვიარე, ვიარე, ვერსად ვერაფერი მოვახერხე. ბოლოს ვიღაცამ მიმანიშნა. აგერ, აქვე ახლოს საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს საუწყებო სასტუმროა, იქნებ იქ შეძლოთ დროებით მოწყობაო. მოვძებნე სასტუმრო. ვხედავ, ფოიეში ხალვათობაა. მივადექი მორიგე ადმინისტრატორს, საკმაოდ სიმპათიურ, ქერა ქალბატონს.

— თავაზიანი მისალმების შემდეგ თავისუფალი ნომერი მოვითხოვე.

მეკითხება, — ორგანოში მუშაობთ?

— დიახ! — ვპასუხობ მოკლედ.

ადმინისტრატორი მაწვდის ანკეტის ბლანკს, რომელსაც ვავსებ და უკან ვუბრუნებ. მან ყურადღებით ჩაათვალიერა ბლანკი და ადრე დასმული კითხვა ისევ გამიმეორა, რაზედაც იგივე პასუხი მიიღო.

კვლავ კითხვა: — კი მაგრამ, რომელ ორგანოში მუშაობთ? მეც ვპასუხობ: — ქალთა!.. გინეკოლოგი გახლავართ...

მომხიბვლელმა ადმინისტრატორმა ჯერ პირი დააღო, მერე გულიანად გადაიკისკისა...

ასე და ამგვარად, თბილისში რომ ჩამოვედი, სატრაბახო მქონდა. მოსკოვში, სასტუმროში ისე დავბინავდი, „მოსაწყობი" ფულიც არ გადამიხდია-მეთქი.

***იოსებ ნაცვლიშვილი, თბილისი***

## 3. ექსკურსია ერევანში



ერევანში ვიყავით ექსკურსიაზე. წამოსვლისას საუზმესთან ერთად საკმაო ღვინოც მივირთვით, რომელმაც გზაში თავი შეგვახსენა. ჩუმად მძღოლს ვთხოვეთ მანქანის გაჩერება. გავჩერდით ტრიალ ადგილზე. დღეა, სხვაგან ვერსად მოვეფარეთ რაიმეს და ოთხი მამაკაცი დავდექით ავტობუსის უკან...

ის-ის იყო, შვებით უნდა ამოგვესუნთქა, რომ... მანქანა ნელ-ნელა დაიძრა წინ, ჩვენც ფეხაწყობით მივყვებით. მაგრამ ავტობუსმა მოუმატა სიჩქარეს და ჩვენც სირბილზე გადავედით, რადგანაც ვიცით, რომ თუ ჩამოვრჩით, ავტობუსიდან ქალები დაგვინახავენ.

როგორც იქნა, გასრულდა ჩვენი ტანჯვა და გაჩერდა ავტობუსი. რის ვაი-ვაგლახით ავედით და ვხედავთ, ქალების სიცილს ბოლო არ უჩანს. თურმე ნუ იტყვით, ეს ყველაფერი მათ მოუფიქრებიათ...

***„თბილისელი"***

## 4. „რესტორანა" მოვიდა!..

ერთი ჩემი თანამშრომელი ჩემს სახელსა და გვარს ვერ იმახსოვრებდა, რადგან ყოველთვის ნასვამი იყო. ამიტომ „ხერხი ვიხმარე":



— რესტორანში რომ შეხვალ და კერძი მოგეწონება, მისი გამეორება რომ გსურდეს, როგორ იტყვი?

— რეპეტე! — მიპასუხა მან.

— აი, სწორედ ჩემი სახელი და გვარი გამოდის: რეზო პეტრიაშვილი!..

ერთი ოთხჯერ მაინც გაიმეორა.

ერთი კვირის მერე შემხვდა და სიხარულით წამოიძახა:

— გამახსენდა, გამახსენდა, „რესტორანა" მოდისო.

***რ.პ., თბილისი***

# ყურადღება!
## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____

კვირის პალიტრა №17

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 28 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 29 აპრილის 13 საათამდე.*

## 5. ღვინის „არითმეტიკა"



მთელი წელიწადი ვიწერდი, რამდენი ღვინო დავლიე, როცა ბოლო დღეს ვიანგარიშე, გამოვიდა 298 ლიტრი. ვიფიქრე, წელიწადი დამთავრდა, დარჩა რაღაც 4 საათი, გული რომ არ დამწყდეს, დავლევ ორ ლიტრ ღვინოს და ციფრიც დამრგვალდება-მეთქი.

თანამეინახე არავინ მყავდა. ამიტომ ღვინო შეუმჩნევლად ჩემს ოთახში შევიტანე და გადავმალე (რადგან მოგეხსენებათ, ყველა ცოლი დალევის წინააღმდეგია). დაღამდა. სამზარეულოში ვართ მარტონი. მეუღლე მეუბნება: — რეზიკო, მოდი „დურაკა" ვითამაშოთო...

გულში ვფიქრობ, რა მეკარტება-მეთქი, მაგრამ მაინც დავთანხმდი. ვითამაშე ერთი ხელი, წავაგე. მეუღლეს უხარია, სანამ მიმოფანტულ კარტს თავს მოუყრის, ვსარგებლობ, გავდივარ და ვსვამ ღვინოს, ზედ არაფერს ვაყოლებ. წავაგე მეორედ, მესამედ (ახლა უკვე შეგნებულად ვაგებ). მეუღლე გახარებულია, მეც არა მიშავს — მოგებული ვრჩები(!). უკვე კისკისებს. მე კი ხმას არ ვიღებ, ისევ იმ ორ ბოთლ ღვინოზე ვფიქრობ. ჰოდა, მეხუთე ხელიც რომ წავაგე, გავედი ჩემს ოთახში — ციფრებიც დავამრგვალე და მეც დავმრგვალდი, რადგან კახურმა ღვინომ თავისი გაიტანა. უკან დაბრუნებული ცოლმა ველარ მიცნო, ველარც ვლაპარაკობდი და ფეხებიც ერთმანეთში მებლანდებოდა... სანამ საწოლამდე მიმიტანდა, თურმე სულ „შევასრულე, შევასრულეს" ვიძახდი. გათენდა მეორე დილაც და როცა ჩემი ოთახის კარი შევაღე, ელდა მეცა — ერთი ჭიქა ღვინო დასალევი დამრჩენია.

***რევაზ პეტრიაშვილი, თბილისი***

## 6. ექსპრომტი



გალაკტიონმა გულდასმით წაიკითხა ახალგაზრდა პოეტის, შალვა ამისულაშვილის ლექსები და ღიმილით ჰკითხა — მამაშენს ულვაში თუ ჰქონდაო. დიახო, — უპასუხა შალვამ.

*ლექსებს რად წერ,*
*ამისულაშვილო,*
*რატომ არცხვენ*
*მამის ულვაშს, შვილო?*

— წაუწერა წიგნზე გენიოსმა.

***ვანო ცინცაძე, თბილისი***

## 7. „სიცხიანი" რადიატორები



გასული საუკუნის 70-იანი წლებია, საბჭოთა ხანა. ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი სულ უკმაყოფილოა თავისი ბინის გათბობით. არადა, ახალციხეში საკმაოდ მკაცრი ზამთარი იცის. საქვაბეს უფროსი, ეროვნებით სომეხი, გურგენა იყო, რომელიც რამდენჯერმე ბიუროზე მკაცრად გააფრთხილეს — პირველი მდივნის ბინის რადიატორები (ბატარეები) წესიერად გაეთბო, რადგანაც მდივანს პატარა შვილები ჰყავსო. მით უმეტეს, ახალციხეში ქვანახშირის დეფიციტი მაშინ ნამდვილად არ იყო. ბიუროდან წამოსულმა გურგენამაც საქვაბეში ორმაგი ნორმა ქვანახშირი შეზიდა და გაახურა და გაახურა ქვაბი. კმაყოფილი გამოემართა მდივნის სახლისკენ, იცოდა კვირადღე იყო და შინ იქნებოდა. მართლაც, მდივანი გურგენას აივანზე გადმომდგარი დახვდა. სიგარეტს აბოლებდა და მანაც ქვემოდან შესძახა ქართულად (რომელთანაც საკმაოდ მწყრალად იყო) — სეკრეტჯან! ბატარეები (ე.ი. რადიატორები) როგორ არიანო. მდივანმა იფიქრა ბავშვებზე, პატარებზე მეკითხებაო და უპასუხა — კარგად არიან, არა უშავთო. იმედმოცემულმა გურგენამ გააგრძელა — სიცხე თუ აქვთ, სიცხეო? მდივანმა გაოცებულმა უპასუხა, — არა, კაცო, სიცხე არა აქვთო!

— არა აქვთო? — შეიცხადა გურგენამ, ნერვებაშლილმა ველარ მოითმინა და შეჰყვირა — მე მაგ „ბატარების" დედაც ასე და ისე, რამდენი ნახშირი შეჭამეს, სიცხე მაინც არა აქვთო?

აქეთ მდივანი გადაირია, როგორ თუ ჩემს პატარებს ჯერ ნახშირი აჭამა, მერე კი დედას აგინებს, სიცხე რატომ არა აქვთო...

ამ გაწევ-გამოწევაში, ბედად კომუნალური მეურნეობის დირექტორმა გამოიარა, ქართველმა, რომელმაც სომხურიც იცოდა და თავისი თარჯიმნობით, სასწრაფოდ მოაგვარა გაუგებრობა...

გახარებულმა პირველმა მდივანმა ორივენი შინ მიიპატიჟა და ცხელ „ბატარებთან" თითო ჭიქა კონიაკიც მიირთვეს.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

**8.** ჭირვეული გაზაფხულით შეწუხებული სვანი ეკითხება მეგრელს: — ვიცი, რომ მარტმა აპრილისგან სამი დღე ისესხა და რატომ აღარ გამოიდარა, ხომ გავიდა ნასესხებიო?

— ბიჭო! პროცენტიანი ვალი აუღია, ვერ ისტუმრებს და იმიტომო.

— აგაშენა ღმერთმა, მე კიდევ ეგ არ ვიცოდი და მიკვირდაო!

***თ.ვ., თბილისი***





**9.** სტომატოლოგთან შეშფოთებული პაციენტი შედის ხელების ქნევით და ეუბნება: — ექიმო, იცით, მე მგონია, რომ ღამის პეპელა ვარ.

ექიმი: — მე სტომატოლოგი ვარ, ფსიქიატრის კაბინეტი ზემოთაა!

— ვიცი, რომ ზემოთაა, მაგრამ თქვენთან შუქი ენთო და იმიტომ შემოვფრინდი...

***გ. რ., გურჯაანი***

**10.** ქურდი მოხუც კახელ მამაკაცს ჯიბიდან ფულს ჰპარავს. მოხუცმა ხელი ხელზე მაგრად მოუჭირა. ქურდმა უთხრა: — გამიშვი, ხელზე რევმატიზმები მაქვსო. კახელმა მიუგო: — მერე ჩემს ჯიბეში რომელი ტალახის აბანოები ნახეო!..

***გიორგი სიხარულიძე, ქუთაისი***



## მილოცვა



**პატარა ანი მაზანაშვილს!**

პატარა მოჭიკჭიკე ჩიტო და ვარდის კოკორო! გილოცავ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო შვილი. იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი დედიკოსთან და მამიკოსთან, ყველა კეთილის მსურველთან ერთად. დალოცვილი იყავი უფლისაგან. ღმერთი იყოს შენი მფარველი, პატარა ანგელოზო!

*დიდი სიყვარულით და მონატრებით, შენი მზია ბებო*

**ტყუპებს!**



ჩემო საყვარელო გვრიტებო, **ლიზი და** ნიკუ, გილოცავთ სამი წლის შესრულებას! ბედნიერება და სიცილი ნუ მოგაკლოთ ღმერთმა. სულ ასეთ მხიარულებს და ჩახუტებულებს გველოთ მთელი ცხოვრების მანძილზე თქვენს ახლობლებთან ერთად. გისურვებთ სიტკბოს და ჯანმრთელობას.

*ნამცო ბებია*



**ნაზიბროლა ლორთქიფანიძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს, 26 აპრილს. დაესწარი მრავალს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, სილაღეს.

*ცოლქმრული ყოფისთვის არასოდეს არ გელალატოს,*
*უმანკოება თუ გაირყვნა, არ იკურნება.*
*მასზე ძვირფასი გოგონასათვის არ არსებობს რა,*
*ფრთებშესხმული შენი მეუღლე მარად მღლღება.*
*პატივისცემით ხ.ჩ.*

**ვაზისუბნელ ნინო ფიფიას!**



ჩვენო საყვარელო მუნტურა, ნინიკო! გილოცავთ დაბადების დღეს – 27 აპრილს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას.

გკოცნით, გვენატრები. ზაფხულში გელოდებით ბანძაში.

*ნელი ბებო, ციცო დეიდა, საშა ბიძია*

**გოგუცა ფანჩვიძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერებას შენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად. ღმერთმა დაგლოცოს და ჯანმრთელობა არ მოგაკლოს მრავალი წელი.

*ნათია, თამუნა, თორნიკე, ნანა, გივი ფანჩვიძეები*

## ბინები

იყიდება 2-სართულიანი სახლი ქვიშხეთში (აივანი – 32კვმ, სათავსოები – 32კვმ, ხეხილიანი ეზო – 234კვმ). ტელ: 877 40-35-00; 824 15-30-34

## მოგზაურობა, სამუშაო

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

Международная компания объявляет дополнительный набор на конкурсной основе. Возраст 30-40 лет. Образование высшее. Тел: 77-63-37

ყურადღება! უცხოურ პრესტიჟულ ორგანიზაციაში მიმდინარეობს კადრების შერჩევა. გვესაჭიროება თანამშრომლები საორგანიზაციო სამუშაოს შესასრულებლად. ანაზღაურება მაღალია. აუცილებელი პირობები: უ/განათლება და ასაკი – 25-55 წელი. ასევე გვაინტერესებს არატრადიციული მედიცინის მიმდევრები „ვიზიონში", „დერმაკეტიქსში", „ნიუვეისში", „დოვგანში", „ორიფლეიმში"... მუშაობის გამოცდილების მქონე კადრები. ტელ. 30-09-49 (20 სთ-ის შემდეგ); 893 37-33-00

ყურადღება! რეალური სამუშაო უმაღლესი და ტექნიკური განათლების მქონე ადამიანებისათვის. ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან. ტელ: 96-29-30

ორგანიზაციას ესაჭიროება ადმინისტრაციული ან პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მქონე პასუხისმგებელი პირი ოფისში სამუშაოდ. ტელ: 64-63-40; 893 99-90-89

მრავალპროფილიანი კომპანია გთავაზობთ თანამშრომლების მიღებას მზარდანაზღაურებად სამსახურში. აუცილებელია უ/გ. გასაუბრება – წინასწარი ჩაწერით. ტელ: 38-86-87

„გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" სამუშაოდ იწვევს 18-დან 45 წლამდე მანდილოსნებს მენეჯერ-კონსულტანტის თანამდებობაზე, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან, მაღალი ანაზღაურებით. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო

## მომსახურება

ტურისტული კომპანია „დილა +" გთავაზობთ კანის დაავადებების – ფსორიაზი, აკნე, ეგზემა – მკურნალობას უნიკალური თევზებით, თურქეთის უნიკალურ კურორტზე. ტელ: 98-69-51; 899 54-00-79

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სხეულის წონის კორექცია მცენარეული პრეპარატებით, რომლებიც დამზადებულია მოსკოვის ВИЛАР ლაბორატორიაში, ორგანიზმის სრული გაჯანსაღებით და ოპტიმალური წონის შენარჩუნებით. პრეპარატები სერტიფიცირებულია და გვერდითი მოვლენები არ გააჩნია. ტელ: 893 96-50-32. მაია

## მკურნალობა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა); ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37,2°C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გაბაშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით, უნებლიე შარდვას, ნევროზებს, რადიკულიტს, სექსუალურ დარღვევებს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს. საერთო მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: დავით აღმაშენებლის №113. ტ: 95-74-29 (სამს.); 96-38-27

გაჯანსაღება უახლესი მცენარეული პრეპარატებით – ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზები, უძილობა, ინსულტის შემდგომი მდგომარეობა, კოლიტი, ბუასილი, დიფუზური ჩიყვი, თმის ცვენა, ბრონქიტი, პნევმონია, ჰაპერტონია, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ფსორიაზი. ტელ: 32-39-46; 899 16-44-59. ნათია

ყურადღება! ხერხემლისა და სახსრების პათოლოგიების, ნევრალგიების, რადიკულიტების, პლექსიტების მაღალეფექტური მკურნალობა. ეფექტი – პირველსავე დღეებიდან!!! მეთოდი აპრობირებულია ნევროლოგიის ინსტიტუტში. შედეგი მაქსიმალურად გარანტირებულია! ავადმყოფთა მიღება – წინასწარი ჩაწერით, ტელეფონზე: 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი მ. ალექსიშვილი

ალერგენების კომპიუტერული დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით, მაღალი შედეგებით. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხაჩაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

გულ-სისხლძარღვთა პრობლემები, ინსულტისა და ინფარქტის შემდგომი რეაბილიტაცია, ჰიპერტონია, სისხლძარღვოვანი პრობლემები, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ბუასილი, კოლიტი, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, გასტრიტი, ჰეპატიტი – მაღალეფექტური, სერტიფიცირებული, ექსკლუზიური პრეპარატებით (კრემლის ყოფილი ლაბორატორია, აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით). ტელ: 53-08-02 ნინო

ექიმი-ფიტოთერაპევტი ტასო ელიზბარაშვილი გთავაზობთ ბავშვთა და მოზრდილთა ორგანიზმის კომპლექსურ მკურნალობას მცენარეული პრეპარატებითა და აპითერაპიის (ფუტკრის) პროდუქტებით. აქვე ტარდება კომპიუტერული დიაგნოსტიკა. მიღება წინასწარი ჩაწერით (კვირის გარდა), 10-18 სთ. მის. აღმაშენებლის №109 (ეზოში, ხელმარცხნივ, ნაცრისფერგისოსებიანი კარი). ტელ: 94-18-84 (სამს.); 899 74-23-69; 96-35-92

ნაბახუსევის („პახმელიის") სინდრომის მოხსნა და ალკოჰოლიზმისაგან გათავისუფლება; ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გამოწვეული გართულებებისაგან (ჰეპატიტი, ნევროზი) განკურნება. მკურნალობა ექსკლუზიური, მაღალეფექტური, სერტიფიცირებული პრეპარატებით. მკურნალობა შესაძლოა პაციენტისგან ფარულად (ოჯახის წევრის მიერ). ტელ: 899 22-63-90. ნინო

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით! პროდუქცია, რომლითაც იკურნება: ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზი, უძილობა, შიშები, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, თვალის დაავადებები, ფსორიაზი, კუჭის წყლული, სახსრების მარილოვანი დაავადებები, კლიმაქსი, პროსტატიტი. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ალკოჰოლიზმთან ეფექტური ბრძოლა, მოსკოვის ლაბორატორიაში დამზადებული სერტიფიცირებული პროდუქციით, გვერდითი მოვლენების გარეშე; ამ დაავადების გართულებებისაგან გათავისუფლება; ფსიქოლოგიური პრობლემები, ღვიძლის დაავადებები; „ანტითამბაქო". კონსულტაცია და მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 893 36-87-62; 99-75-90 (12-18 სთ) ავთანდილი

გთავაზობთ მცენარეულ გამაჯანსაღებელ საშუალებებს, რომლებიც ეფექტურად მოქმედებს შემდეგ ნოზოლოგიებზე: ნევროზები, შიშები, დეპრესია, აკვიატება, თავის ტკივილი, თმის ბუდობრივი ცვენა, ქრ. ბრონქიტი, კოლიტი, ბუასილი, პროსტატიტი, ალერგია, ასთმა, სოკო, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, რევმატიზმი. ტელ: 899 96-38-92. მზია

## განათლება

კომპიუტერული სტუდია „დავჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური". კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70. ტელ: 29-48-61

უცხო ენათა სასწავლებელი „ოცდამეერთე" (ხელმძღვანელი – ტ. ბუკია) აცხადებს მიღებას 2004-05 სასწავლო წელს: ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ ენებში; ტესტური გამოცდებისათვის; TOEFL. განცხადებების მიღება – 17-19 სთ. ტელ: 36-20-37; 877 74-21-46. მის: ბახტრიონის №24 (მ. „პოლიტექნიკური")

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „გრაცია" იწვევს 15-დან 50 წლამდე მსურველებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ინსტრუქტორთა შემსწავლელ კურსებზე. დაგეხმარებით კლუბის გახსნით თქვენს რეგიონებში. მის: დ. უზნაძის №59, 23-ე სკოლა. ტელ: 56-61-63; 61-73-18; 93-13-45; 899 55-16-09

## იყიდება

პურის ქარხანა „ბნ" ტიპის, ყველა დანადგარით, აწყობით. რეალიზაციით 9000 ცალი. ფასი $15.000. ტელ: 893 96-06-47

ახალი სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. უჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. ანტენის მეშვეობით შეგიძლიათ უყუროთ ქართულ, რუსულ და ევროპის 300 ტელეარხს, უმაღლესი ხარისხით. კომპლექტის ფასი – $135, მონტაჟი – $20. რუსეთის 23 ტელეარხი – ფასი მონტაჟით, $200-დან $220-მდე. ტელ: 899 94-27-04

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, როზმარინი, იასამანი, იუკა, ტირიფი, ცაცხვი, ნუში, კაკალი, კვიპაროსი, მოცხარი, ჟოლო, ჟასმინი, ტუია, კედარი, ფიჭვი, ნეკერჩხალი, ლიგუსტრუმი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობის დასახლება (თბილისის ზღვასთან). ტელ: 69-97-05. გივი; 899 16-93-15. ამირანი

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## შევიძენ

33 სმ-ზე გრძელ თმას. მის: ცენტრალური სადგური, მე-2 სართული, მაღაზია „ესთეტი". 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.


**LCG**

law consulting group

საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი" – „LCG" (ელ-სი-ჯი) გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3

☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38

ფაქსი: (+995 32) 98 39 38



**თამაზ ძებნიაურის მოგონება**



ძმაო თამაზ! სამი წელი გასრულებულა. რამდენი ოცნება, ფიქრი დაგრჩა ხორცშეუსხმელი... ყოველთვის გვახსოვს შენი ძმებს საოცრად სათნო და მოსიყვარულე შენი თვალები. შენი კრძალი იყო გაჭირვებულთა დახმარება.

შენი გმირული სიკვდილით უკვდავებაში გადასული, შენი ძმები შენს დაბადების დღესთან დაკავშირებით გიკრებთ. გიხსენებთ მარად დაუვიწყებელს.

*ძმები*

**თეიმურაზ ტარიელის ძე ურუშაძის მონატრება**



30 აპრილს 24 წლის გახდებოდი, ჩემო ლამაზო და მონატრებულო შვილო. ილევა უშენობით სიხარულწართმეული 11 თვე. გილოცავ, დედიკო, დაბადების დღეს.

ჩემო პატარავ, 23 წლისამ დასტოვე შენი ხანმოკლე სიცოცხლე. აკადემიაში ასაკით ყველაზე პატარა იყავი, სამსახურშიც „მალიშის" სახელით გიცნობდნენ. ახალ სამსახურზე ოცნებობდი, ბევრს მპირდებოდი, დედიკო, მაგრამ მოხდა საოცრება... ვინ გაგიმეტა 4 ივნისს, ვინ მომიკლა შენი თავი? ისევ დაგეძებ, დედიკო, მაგრამ ვერ გპოულობ. შენი ცხედარიც არ მაჩვენეს, დედა. კიდევ ვეძებ, ბევრს ვეძებ მანამ, სანამ არ გიპოვი. შენი ხანმოკლე სიცოცხლე ბევრი სიკეთე დათესე, დედიკო, არა მარტო ჩვენი ოჯახისთვის, არამედ ყველასთვის — ვინც კი გიცნობდა.

ძალიან, ძალიან მენატრები, კიდევ გელოდები, დედიკო. ღმერთს ვთხოვ, მალე მაპოვნინოს შენი თავი.

*ნაზი*

**დევი უჩანეიშვილს!**



ძმაო დევი!

როცა ამ ქვეყნიდან წასულ ახლობელ ადამიანს იგონებ, ტკივილი გიმძაფრდება, რადგან მისი ხსოვნის წინაშე უმწიქველ ვალს მაინც იხდი. ამიტომ გვინდა, ჩვენც შევიხსენიოთ ტკივილით და ამ გახსენებით ღირსეული პატივი მივაგოთ ერთი წლის წინათ წასულს, ჩვენი საყვარელი, სათაყვანო, საამაყო, სამაგალითო ძმისა და მეგობრის დევი უჩანეიშვილის ნათელ ხსოვნას.

უშენობის ერთი წელი ტკივილით, ცრემლით, მონატრებით სავსე ერთი წელი და უშენოდ დალოდებული გაზაფხული...

ერთმა წელმა ვერ გაანელა შენი მონატრების გრძნობა, ვერ გაალღო შენი გარდასახვით გაყინული გული, ვერ მიეხმარა შენს ახლობლებს უშენობის გადატანაში და ჩვენთვის ყველასთვის უალრესად მკაცრი, სასტიკი და ულმობელი იყო ეს დრო უშენოდ.

შენი საოცრად ლამაზი, ჰარმონიული, უფაქიზესი სულის ოჯახი ხომ მთელი სამეგობროს მყუდრო ნავსაყუდელი იყო მუდამ, სადაც საოცრად ნოყიერი ნიადაგი ჰქონდა შექმნილი სიყვარულს, ერთობას, მეგობრობას, მოყვასის უზადო თაყვანისცემასა და თანადგომას, რწმენას ხვალინდელი დღისას.

დევი უჩანეიშვილმა კაცურად განვლო ცდუნებებით სავსე ცხოვრების ხეივანი.

ბედმა თუ ზენამ ღირსეული თანამეცხედრე გარგუნა, ჩვენი ლამარას სახით. თქვენ ხომ იდეალური, ტრადიციული, ქართული, წმინდა, შეუბღალავი ოჯახის ეტალონი იყავით. ყველა თქვენკენ მოვილტვოდით ნუგეშისა და თანადგომის საძიებლად და ვპოულობდით კიდეც... თქვენ ორივენი მაღალი ზნეობისა და კეთილშობილების განსახიერება, ყველა გაჭირვებულის თანამდგომი და უშურველი შემწენი იყავით. ასეთივე ზნეკეთილად აღზარდეთ ორი ქალიშვილი — სოფიო და მარიამი. ბედნიერი კაცი იყო ჩვენი დევი, რამეთუ სიკეთეს თესდა და სიყვარულს იმკიდა. ბედნიერები ვიყავით ჩვენც, განგებამ შენ გვერდით ცხოვრება რომ გვარგუნა, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით.

იესო ქადაგებს: ადამიანი სანამ გონებაშია, ის უკვდავიაო. შენ კი ჩვენს გონებაში, სულში ხარ, ჩვენში ცოცხლობ, მართლაც რომ შენზე უთქვამს ნეტარსახსენებელ ლადო ასათიანს: ნათელო კაცო, სიკვდილის ფრთა ვერ დაგაბნელებსო; ხოლო აკაკის: შენებრ რჩეულებს ათასში ერთხელ ზეცა უგზავნის მიწას იმედადო.

გფარავდეს ნათელი უფლისა და ჩაუმქრალი კელაპტრისა, მარად რომ ენთება შენი ოჯახისა თუ მეგობრების გულებში.

*თბილისის ვაკეთა №7 საშ. სკოლის 1955 წლის კურსდამთავრებულები*

**მერაბ სანიკიძის ხსოვნას!**



ჩემო საფიცარო ძმაო, 29 აპრილს, შენი დაბადების დღეა და... შენი გარდაცვალებისაც. განა შენი სული არ გრძნობს, რას განვიცდით შენიანები, დედა, და... შენ ხომ ჩემი გაზრდილი ხარ, ჩემო პატარა, კეთილო, ხალისიანო, ყველას მოყვარულო ძმაო... მხარჩამოტეხილი დაგვტოვე... ძნელია უშენობის დაჯერება, მაგრამ... ვევედრები უფალს, შენს სულს ულხინოს და მოუოხოს, დაამკვიდროს მართალთა თანა...

*შენი დაიკო ციური*

**ნელი ბუსხრიკიძე-თავბერიძის ხსოვნას!**



ყოველმხრივ რჩეული იყავი — გარეგნობით, აღზრდით, ბუნებით... შენ გვერდით მყოფთ მოდუნების და მოწყენის ნებას არ აძლევდი. ყოველგვარი გასაჭირი ღიმილით გადაგქონდა. სანაქებო ოჯახს — მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს — ბურჯად ედექი. შენს სენსაც მამაცურად უმკლავდებოდი — უკანასკნელ წუთამდე არავის გაუმხილე შენი სატკივარი, რათა ახლობლები არ დაგეღონებინა, განსაკუთრებით მშობლებს უფრთხილდებოდი... ღამღამობით თურმე ჩუმად წერდი, ყველას ეფერებოდი, ემშვიდობებოდი, პატიებას სთხოვდი მეუღლეს — ჯემალს, შვილებს — ნანას და ეკას, შვილიშვილებს — მიშიკოს, პაატას, ლევანს, ზუკას; ძმას, რძალს, სიძეებს, ახლობლებს, მეგობრებს... შენი წასვლა ყველა მათგანს დააკლდა. დღეს მეორმოცე დღეა შენი წასვლიდან, ჩვენო მშვენიერო, გიჟმაჟო გოგო.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სპეტაკ სულს.

*ოჯახი, ახლობლები, მეგობრები*

**ნოდარ ბორისის ძე თორიას ხსოვნას!**



როცა გულთან შეზრდილი ძვირფასი ადამიანი აღარ არის, მუდამ ეკითხები ამ წუთისოფელს — რატომ დაიფერფლა ასე მოულოდნელად, უღმერთოდ, ლამაზი სიცოცხლე? ამ მტანჯველი კითხვით ცხოვრობ მუდამ და გიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ ეს ადამიანი მხოლოდ ხსოვნაში დარჩა.

ჩვენო ნოდარიკა! 26 აპრილს 21 წელი უნდა შეგსრულებოდა, შენ კი ექვსი წელიწადია, ზეცაში ხარ, იქიდან დასცქერი ამ სამყაროს, უშენობით გულმოკლულ მშობლებს და ერთადერთ დაიკოს. მათ უჭირთ შენ გარეშე ცხოვრება, აკლიათ შენი სითბო, ღიმილი და ყველაზე მტკივნეული — შენი სიცოცხლე. შენ 15 წელიწადში ჩატიე ყველაფერი ის, რასაც ბევრი, უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ შეძლებდა. ასაკით პატარას, საოცრად დიდი გული გქონდა, რადგან იტევდი ყველას დიდ სიყვარულს, სითბოს, ვაჟკაცობას, სისუფთავეს, სიკეთის საოცარ უნარს. გამორჩეულად სწავლობდი. გინდოდა, ყოველივე სწრაფად შეგეთვისებინა, ყველაფერი მოგესწრო...

ვინც გიცნობდა, არავის ავიწყდები. შენთან დროებით დამშვიდობებაც უჭირდა ყველას, სამუდამოდ კი ვინ გაგიმეტებდა?! ამიტომაც დატოვე ამოუვსები სიცარიელე მათ გულებში.

აქედან გილოცავთ დაბადების დღეს, როგორც ცოცხალს, მაგრამ ჩვენგან შორს მყოფს. შენი სული ისეთივე წმინდა და ნათელია, როგორიც ის სანთლები, რომელსაც შენთვის ვანთებთ. შენ მხოლოდ გადასახლდი იმ სამყაროში, რომელსაც სამოთხე ჰქვია და იქ განაგრძობ სიცოცხლეს. ანგელოზის ცხოვრებით იცხოვრე და ანგელოზებმა აგიყვანეს ცად.

ვინც ღმერთს უყვარს, უდროოდ კვდებიან.

*ნანა თორია*

**თემურ ძიძიგურის ხსოვნას!**



საშინლად ტკივილიანი ერთი წელი იწურება იმ ავბედითი 24 აპრილიდან, რაც ჩვენს ბედნიერ ოჯახში მწუხრის ზარმა ჩამოჰკრა.

დაუბერა უბედურების ქარიშხალმა და ქარს გაატანა უამრავი აუხდენელი ოცნება და სიხარული. ოთხი შვილისთვის საფიცარო და სანატრელო, ტირიან შენი პატარები, შენი სითბო და სიყვარული ენატრებათ. დაგეძებს შენი ნაოცნებარი მემკვიდრე, პატარა გიორგი, — დედიკო, ძალიან დიდი კიბე მიშოვე, რომ მამიკოსთან ავიდე ზეცაში და მოვეფეროო. ყოველივე ამის შემდეგ როგორი სულგამწარებული დავიარები მე, ჩემო თბილო და მზრუნველო მეუღლევ?! ტირის შენით გაუბედურებული მოხუცი დედა და ჩვენი მოყვასი.

შენი ტკივილი არ განელებია გულში შენს ძმად შესისხლხორცებულ კოლექტივს, რომელმაც დიდი პატივი მიაგო შენს ხსოვნას. ღმერთმა დალოცოს თითეული მათგანი.

თემურ, საყვარელო, ძალიან მიჭირს ტკივილთან გამკლავება, მაგრამ სხვა რა დამრჩენია?! ბრძენს უთქვამს: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსაო", ჰოდა, ამ ჭირის გამაგრებაში მართლაც დიდი ბრძენი, ჭეშმარიტი მოძღვარი მამა მიქაელი (გაბრიჭიძე) დამეხმარა. მისმა ქადაგებამ დამარწმუნა, რომ ვნების კვირაში გარდაცვლილი შენი სული უფლის სავანეშია და უნდა ვილოცო მის სადიდებლად.

დედათა მონასტერში დასვენებულ შენს ცხედართან ნათქვამ პირობას არ დავარღვევ, გპირდები არდავიწყებას. შენს სახელზე დანთებული სანთელი არასოდეს ჩაქრება. ჩვენ მიერ აღვლენილი წირვალოცვა გაგინათებს სასუფეველს.

მშვიდად იძინე, ჩემო ძვირფასო, დიდი სიყვარულით ვზრუნავ და ვიზრუნებ, ვიდრე ცოცხალი ვარ. ცოცხალიც და მკვდარიც შენ გეკუთვნი. უფლის ნებით მეც შენთან მოვალ — მარადიული ბედნიერება ხომ გარდაუვალია.

*დიდი მონატრებით, შენი ოჯახი*

**ხვიჩა უსანეთაშვილის მონატრება**



გაირა ცრემლით და ტკივილით სავსე სამმა წელმა.

სამი წელია, რაც აღარ გვესმის შენი ტკბილი ხმა, სამი წელია, რაც გაჩერდა შენი კეთილშობილი გული — გული, რომელიც ოჯახის, ნათესავებისა და ახლობლების უსაზღვრო სიყვარულს იტევდა. შენით ვამაყობდით, შენ ამშვენებდი მთელ ჩვენს სანათესავოს.

როგორ გვაკლიხარ... ოჯახს, ახლობლებს, ნათესავ-მეგობრებს შენი ამაყი სიარულით, შენი ლამაზი გარეგნობით, შენი ვაჟკაცობით ხიბლავდი და ამშვენებდი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები, ჩვენო ლამაზო ხვიჩა.

*ოჯახი*

**მიშა (მიხეილ) ქობალიას მონატრება**

26 აპრილს 60 წელი შეგისრულდებოდა. ცრემლებით, მოგონებებით, მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს. უშენოდ გამოწვეული ტკივილი არ განიკურნება. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. შენი სახელის უკვდავსაყოფად შენი ორი შვილიშვილი, ორი მიშიკო გააგრძელებს შენს სავალ გზას.

*„მე შენზე ფიქრი აღარ მასვენებს,*
*ცხადად თუ მალივ შენს სახეს ვხედავ,*
*გული გოდებს და მწარედ ვიხსენებ*
*იმ წარსულ დღეებს განშორებისას".*

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული, ძვირფასო, საყვარელო მეუღლევ და მამავ.

თვალცრემლიანები გილოცავთ დაბადების დღეს.

*შენი ელისო, ვეფხია, ზვიადი*

**ნათელა ტაბატაძის ხსოვნას!**



აგერ უკვე ორმოცი დღეა, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე მოუნელებელი ტკივილი. ჩვენთვის დღესაც წარმოუდგენელია უშენობა. ტკივილით ვიხსენებთ შენს მზრუნველ ხმას, სითბოთი აღსავსე გამოხედვას...

ღმერთი გფარავდეს წმინდა სასუფეველში. ვილოცებთ შენი სულისთვის მარადჟამს!

*მეუღლე და შვილები*

**მამუკა პაჭკორიას გახსენება**



29 აპრილს 40 წლის გახდებოდი, ჩვენო საყვარელო მამუკა, რომ არა ის ავბედითი დღე.

როგორ ვიტანჯებით უშენოდ, დღეები მიგვაქვს, სული გვიდგას, ვითომ ვცოცხლობთ, მაგრამ ვაი ასეთ ცხოვრებას... ყველას გვენატრები. ძნელია უშენოდ, ვიტანჯებით, ყველას თვალში გვაკლიხართ — ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო საყვარელო მამუკა.

*მშობლები*

**ტრისტან ქამხაძის მონატრება**



ტრისტან, დღეს შენი დაბადების დღეა — 29 აპრილი, რომელიც ასე ძლიერ გიყვარდა. გიყვარდა სიცოცხლე, გიყვარდა გაზაფხული. გული მტკივა, შენ რომ არა ხარ ჩვენ გვერდით. მენატრება შენი, სიცოცხლით სავსე სახე. რვა გაზაფხული, რვა დაბადების დღე მოვიდა უშენოდ.

დღეს 53 წელი შეგისრულდებოდა. ძნელია, იყო ამქვეყნად და გვერდით არ გყავდეს შენთვის ძვირფასი ადამიანი. მენატრები, ჩემო ძვირფასო ტრისტან.

*შენ ნაადრევად წახვედი ჩემგან,*
*დამტოვე მარტო, აღსავსე სევდით.*
*იძინე ტკბილად, ჩვენს შვილთან ერთად,*
*ვფიქრობ, ოდესმე მეც მოვალთ თქვენთან.*

*შენი მეუღლე ტასო გველესიანი*

**რეზო მარსაგიშვილის გახსენება**



ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წახვედი, დაგვიტოვე დარდი და ტკივილი. სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრე, შესაშური თვისებებით, თხემით ტერფამდე ჭეშმარიტ პიროვნებად.

ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მკვეთრად წარმოაჩინე შენი ნიჭი, საქმისადმი ერთგულება, მიზანსწრაფვა, ცოდნა, რაც გამოიხატებოდა შენს სამსახურებრივ წინსვლაში. შენთვის იქ ყოფნის წლები აღმოჩნდა საკუთარი უნარისა და შესაძლებლობების გამოცდის ასპარეზი.

დიდ პატივისცემას იმსახურებდი საქმის ღრმა ცოდნით, კეთილსინდისიერებით, უმაღლესი პროფესიონალიზმითა და ორგანიზაციული ნიჭით. იცხოვრე კაცური კაცის სახელით. შრომით აშენებდი და ქმნიდი ოჯახს. იყავი კეთილი, სადა და უბრალო, ფუტკარივით მშრომელი, სანთელივით წმინდა და თაფლივით ტკბილი; არ იცოდი სიძულვილი, შური, მტრობა; გძულდა სიცრუე, ორპირობა, მლიქვნელობა, გაუტანლობა და სიზარმაცე; სხვისი სიხარულით ცხოვრობდი.

სამწუხაროდ, დღეს წარსულ დროში ვსაუბრობთ შენზე. 30 აპრილის დილამ სამუდამოდ დაგიხუჭა თვალები და გადაგიყვანა მეორე სამყაროში, რომელსაც სიკვდილი ჰქვია, მაგრამ ეს არ იგრძნობა, ძვირფასო მამა, თქვენს ნათელ ოჯახში. იქ ყველაფერი თქვენით სუნთქავს.

მშვიდობით, საყვარელო მამავ და პაპავ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა და ნათელი სული.

*შენი ოჯახი*

**ლალი წულაია-რეკვავას ხსოვნას!**



ჩვენო საყვარელო დედა! მოგილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და დაბადების დღეს — 27 აპრილს. მეექვსე თვეა, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. ნაადრევად წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე დიდი ტკივილი. წახვედი და უნუგეშოდ დატოვე უბედური შვილები, მეუღლე, ძმა, დები, მეზობლები, ახლობლები. ყველას ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული და ფაფუკი იყოს შენს გულზე უდროოდ დაყრილი ხობის მიწა. ამინ.

*ოჯახი*

**ინგა ერაძის გახსენება!**

ორი უსაშველოდ ტკივილიანი, დარდიანი, ცრემლებითა და მოგონებებით სავსე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გზაზე ჩასაფრებული სიკვდილის გამო, შენს უახლოეს ნათესავებთან ერთად ტრაგიკულად დასრულდა შენი სიცოცხლე, ინგა!

ძალიან გვენატრები. გვიჭირს რეალობასთან შეგუება. მეორედ მოდის შენი დაბადების დღე — 27 აპრილი.

გეფერებით, თვალცრემლიანი შენი მამიდის ოჯახი.

დაე, ჩვენმა მონატრებამ, შენს სახელზე ანთებულმა სანთლებმა, ლოცვამ გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*მამიდა ნაზი; მამიდაშვილები: ნინო, მამუკა, კახა მეტრეველები*

**მერაბ გაბუნიას!**



26 აპრილი შენი დაბადების დღეა. მესამედ ვხვდებით ამ დღეს უშენოდ, ჩვენო მერაბ. ჩვენო სიყვარულო, ჩვენო ტკივილო, საშინელებაა იმის გააზრება, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარასოდეს იქნები.

გვინდა, გულში ჩაგიკრათ და მოგილოცოთ დაბადების დღე, მაგრამ ვაი, რომ უძლურნი ვართ ბუნების წინაშე.

კიდევ ერთხელ შევიკრიბებით ყველანი შენს საფლავზე. იქ მოგილოცავთ დაბადების დღეს.

გვენატრები ყველას, ჩვენო სიამაყევ, ჩვენო სიყვარულო.

*შენი ოჯახი*

**ნარგიზა ჭითაშვილის გახსენება**



1 მაისს 40 დღე შესრულდება, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, საყვარელო დეიდა! არც ისე ასაკოვანი იყავი და რა უეცრად წახვედი ამ წუთისოფლიდან. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო მწუხარება და ტკივილი, ბევრი ცრემლიანი მოგონება.

მძიმე იქნება ჩვენთვის დედულეთში სტუმრობა, რადგან შენ აღარ შეგვეგებები ჭიშკარში.

მხოლოდ რწმენა გვამშვიდებს, რწმენა იმისა, რომ შენი სათნო და კეთილი სული ზეცაში დაიმკვიდრებს ადგილს. მუდამ შენი სულისთვის ვილოცებთ და ყოველთვის გვემახსოვრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

გვიყვარხარ და მუდამ გვეყვარები.

*შენი საყვარელი დისშვილები — ნინო და ნანა*

**კოკი ელბაქიძეს!**



წელს პირველი გაზაფხული მოვიდა უშენოდ. ძალიან გვიჭირს მზესთან თვალის გასწორება, ყვავილების ცქერა და ჩიტების ჭიკჭიკის მოსმენა. შენ შენი წილი გაზაფხული თან გაიყოლე... ქრისტეს შობის დღეს, შუადღისას წახვედი წუთისოფლიდან. შენ ხომ ბუნების ნამდვილი შვილი იყავი და კიდევ — წიგნის კაცი — განსწავლული, ფიქრიანი, შრომისმოყვარე. ერთნაირად გიყვარდა ქართული სიტყვა, ქართული ცა და ქართული მიწა, მეგობრებთან ერთად სუფრასთან ჯდომა, ქართული ლხინი და დროს ტარება. გატაცებით გიყვარდა ცეკვა, ნადირობა, თევზაობა, გიტაცებდა სპორტი, იყავი ფოტომოყვარული, გიყვარდა ფრინველები და ცხოველები. ასეთი იყო შენი ცხოვრების ერთი მხარე. ხოლო შენს პიროვნებაზე რაიმის თქმა, ჩვენ უხერხულად მიგვაჩნია, ამიტომ გავკადნიერდებით და ბატონ ოტია იოსელიანს დავესესხებით. მისგან შენთვის ნაჩუქარ ერთ-ერთ წიგნს ასეთი წარწერა ამშვენებს: „ბატონო კოკი! შენი არსებობა დასტურია იმისა, რომ ჩვენდა საბედნიეროდ, კაცი არ გადაშენებულა."

სიცოცხლე შენი დასრულდა, ძმაო, არსებობა კი გრძელდება... გრძელდება შენს ქალაქში, შენს სოფელში, შენს ფუძეზე, შენს შთამომავლობაში, შენს გვარსა და გენში. ამას ყოველ წუთს და ყველგან ვგრძნობთ.

პირველი გაზაფხული მოვიდა უშენოდ. ნაგვიანევ გაზაფხულს გილოცავთ, ძმაო! ძალიან გვიჭირს უშენოდ, ძალიან გვენატრები მარადიული გაზაფხულის საუფლოში გადასახლებულო, გაზაფხულივით ნათელო და მართალო კაცო.

ვლოცავთ და ვეფერებით ყველას, ვინც კი ალალი და გულწრფელი ცრემლი გაგაყოლა.

*შენი დები*

**ნანა კილაძის ხსოვნას!**

შენი გარდაცვალებიდან უკვე ორი წელი გავიდა. მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი გარდაცვალება. 54 წლის ასაკში დაასრულე ლაღი, კეთილი სიცოცხლე და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი ყველას, ვისაც ძალიან გვიყვარდი. სულ ჩქარობდი — თითქოს გრძნობდი, რომ ცოტა ხნით იყავი ამქვეყნად მოვლინებული. როცა მეგობრებისათვის ასე ძნელი ასატანია უშენობა, რით უნდა ვანუგეშოთ შენი ოჯახი?! ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დიდი სიყვარული დათესე.

ყველას ძალიან გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ლეილა, ნონა, ნათელა, ლილი*

ნინა პარკაძის ოჯახი დიდი გულისტკივილით იუწყება

**ვახტანგ პეტრეს ძე სორდიას**

გარდაცვალებას.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს განსვენებულის სულს.

*პანაშვიდი:* 27, 28 აპრილს, 16 საათზე.
*გამოსვენება:* 29 აპრილს, 15 საათზე.
*მისამართი:* ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-4 კვარტალი, II° კორპუსი (№93), მე-3 სადარბაზო.



მეუღლე ამალია, შვილები ირინა, მალხაზი, მაია, და ნაზიკო, სიძე გივი ჯილაური, რძალი ლეილა ლაზარაშვილი, შვილიშვილები ზურა ტაბატაძე, გიორგი, ირაკლი, ია ჯილაურები, ძმისშვილი ნოდარი, დისშვილები გოჩა, თამრიკო მეკოშკიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კარლო ზაქარიას ძე ტაბატაძე.**

*პანაშვიდი:* 26 აპრილს, 16 საათზე.
*გამოსვენება:* 27 აპრილს, 14 საათზე.
*მისამართი:* საგარეჯოს რაიონი, სოფელი მანავი.

# შეიცან თავი შენი...

ადრე სადმე რომ წავიკითხავდი ან ყურს მოვკრავდი, „შეიცან თავი შენიო“, მეღიმებოდა. არასოდეს მიფიქრია, თუ კაცს თავისი თავის გაცნობა და შესწავლა სჭირდება. ვიცოდი, რომ არსებობდნენ დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, მაგრამ მეგონა, მათი ეს უნარი ღვთისგან იყო ნაბოძები, მკითხავებსა და „ნათელმხილველებს“ ალმაცერად ვუყურებდი — მჯეროდა, ყველა მათგანი აფერისტი იყო.

დღეს თვითონაც არ ვიცი, რა ვიფიქრო. ისეთი რამ გადამხდა თავს, ყველა ჩემი შეხედულება თავდაყირა დადგა. ერთი წელი იქნება გასული მას შემდეგ, სამსახურში მივდიოდი, მობილური ტელეფონი აწკრიალდა. საჭესთან ვიჯექი, ამიტომ ბრმად მოვიფათურე ხელი ჯიბეში. აპარატი არ დამხვდა. არადა, ზარი ისევ რეკავდა. მანქანა შევაჩერე. გულმოდგინედ დავიწყე ძებნა, საქაღალდეების გადაწყობა-გადმოწყობა, ჯიბეების ამობრუნება. ამასობაში, ზარის ხმა შეწყდა, მაგრამ მე აფორიაქებული განვაგრძობდი დაკარგული ტელეფონის ძებნას. ტელეფონი არ ჩანდა. თავი საჭეზე ჩამოვდე და თვალები დავხუჭე. გამწარებული ვიყავი, გადაღლილი. თავდაუზოგავმა შრომამ ჯანმრთელობა შემირყია-მეთქი, ვფიქრობდი და არ ვიცოდი, რა მექნა. უცებ რაღაც ვიგრძენი და გონება გამინათდა: მე ხომ შინიდან მირეკავდნენ (მას მერე ვფიქრობ და ვერაფრით ავხსენი, როგორ მივხვდი, რომ შინიდან მირეკავდნენ!). მანქანა დავძარი და პუშკინის სკვერთან გავაჩერე, ავტომატთან მივიჭერი და შინ დავრეკე. ტელეფონი სიდედრმა აიღო და სხაპასხუპით მომაყარა:



— რაც ჩვენ შენ გირეკეთ... სად ხარ, კაცო! ტელეფონის ზარი არ გესმის? ბავშვი სასწრაფოთი წაიყვანეს, ბრმა ნაწლავი გაუსკდა, დედამისიც გაჰყვა, რესპუბლიკურ საავადმყოფოში არიან.

თავქუდმოგლეჯილი გავვარდი საავადმყოფოში. ჩემი ცოლი, მისი მეგობარი და ჩვენი კარის მეზობელი ფოიეში იდგნენ და ოპერაციის დასრულებას ელოდნენ. წარმოიდგინეთ, როგორ ვღელავდი. უცებ ისევ ზარი დაირეკა (ჩემი ჰალუცინაცია!) მივხვდი, სამსახურიდან იყო. მეზობელს მობილური ვთხოვე და უფროსს ველაპარაკე. მანაც დამიდასტურა, დააგვიანე და დაგირეკეო... მერე ჩემს კოლეგასთან დავრეკე, — დილით, ვიდრე ეს ტელეფონის ზარის მოჩვენებები დამეწყებოდა, მასთან შევიარე, იმან — ახლა ოფისში ვარ, ჩემთან ტელეფონი დაგრჩა და მოგიტანეო.

საგონებელში ჩავვარდი, წარმოსახვა დავძაბე და უცებ საოპერაციო ოთახი დავინახე. დახურულ ჭრილობას იოდს უსვამდნენ... მერე რაღაც ხმაური ატყდა... ერთმა მაღალმა ქირურგმა სკალპელი აიღო და ხელმეორედ გაკვეთა... კინაღამ გული შემიწუხდა. ჩემს მეუღლეს შევხედე, ფერი არ ედო: — ოპერაცია ძალიან გაგრძელდაო, ამბობდა... ნახევარი საათის შემდეგ გავიგონე ოპერატორის ნათქვამი: — მორჩა, გადავრჩით! გახარებულმა თვალები ვჭყიტე და რისკზე წავედი, გარშემოხვეულ ახლობლებს ვახარე: — გადავრჩით, ათ-თხუთმეტ წუთში გამოვლენ-მეთქი. არავინ გამომხმაურებია. მგონი, იფიქრეს, ნერვიულობისაგან გონება დაებინდაო. 5 წუთი იქნებოდა გასული, ექთანი გამოვიდა: — ყველაფერი კარგად არისო. ცნობისმოყვარეობამ მძლია და უკან მივყევი — ქალბატონო, მეორედ რატომ გახსნეს ჭრილობა-მეთქი.

დაიბნა, შევატყვე, გულისცემაც კი აუჩქარდა. თქვენ რა იცითო? — მომიბრუნდა გაოცებული. აბა, მე რა ვიცი, რა ვიცი... დავინახე და... მერე მითხრა: — ყველაფერს ქირურგი გეტყვითო და უკან, საოპერაციოში, შებრუნდა.

იმ დღის მერე დავაკვირდი. თურმე ყველაფრის დანახვა შემძლებია. მოსკოვში რომ კოლეგა იყო წასული მივლინებით, იმისი „მხიარული“ თავგადასავლებიც კი ვიხილე. რომ დავურეკე (უფრო ჩემი თავის შესამოწმებლად) და საკუთარი „ეშმაკობანი“ ჩამოვუთვალე, გაოცებულმა დამიწყო ხვეწნა, — მითხარი, ვინ გითხრა, რომელი „შპიკი“ დამყვებაო.

მას მერე, აგერ ერთი წელიც გავიდა. მე შევძელი და „დავინახე“ ქურდები, რომლებმაც ჩემი ბიძაშვილის სახლი გატეხეს, სამსახურში, უფროსის კაბინეტში რაც ხდება, იმას ხომ ვხედავ და ვხედავ. ვიცი, რას ლაპარაკობს ჩემი სიდედრი თავის მეზობლებთან, როგორ ცელქობენ ჩემი შვილები და ათასი სხვა რამ...

რა ვქნა, რომ გავამხილო, რაც მჭირს, მეც ხომ ისევე შემომხედავენ, როგორც ადრე მე ვუყურებდი მკითხავებსა და ნათელმხილველებს, არადა, მე ხომ ვხედავ!.. მართლა ვხედავ... ამ წერილსაც ვხედავ, სიტყვასიტყვით დაბეჭდილს.

***დიმიტრი გ., თბილისი***

# სიზმრის საიდუმლო

ხშირად გამიგონია, რომ თუ გოგონა სიზმარში ნახავს საბედოს, მოგვიანებით ცხოვრებაში შეხვდება მას. თქვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში „სიზმრად ნანახი საბედო“ წავიკითხე და გადავწყვიტე, ჩემი ამბავიც გიამბოთ.

16 წლის ვიყავი, ძილში ხმა ჩამესმა — დაჟინებით მიმეორებდა მამაკაცის სახელს, გვარსა და მამის სახელს. როცა გავიღვიძე, აღარ მახსოვდა არც სახელი და არც გვარი, მაგრამ ზედიზედ ორჯერ განმეორდა იგივე და ამჯერად, სამუდამოდ ჩამებეჭდა გონებაში. გავიდა დრო და მიუხედავად იმისა, რომ ნუგზარი იშვიათი სახელი არაა, ჩემს ნაცნობებში არავინ გამოჩნდა ამ სახელის მქონე. არც გოცირიძეს ვიცნობ ვინმეს. იქნებ, ესეც ბედისწერაა, რომ ამდენი წლის მერე მაინცდამაინც ახლა მომინდა ამ სიზმრის გამხელა. ახლაც ყურში ჩამესმის მამაკაცის ხმა: შენი საბედოა „ნუგზარ ვლდიმერის ძე გოცირიძე“. თუ ნამდვილად არსებობს ასეთი პიროვნება, იქნებ გამომეხმაუროს თქვენი გაზეთის საშუალებით.

ვინ იცის, იქნებ მართლაც არსებობს ბედისწერა.

***თქვენი ერთგული მკითხველი, ლელა***

# ხარმა პატრონის საფლავს მიაგნო



ფერმერ ალფრედ გრიუნმაიერის სიკვდილმა მისი ხარი ბარნაბი ძალიან დაადარდიანა. ერთ დღეს ბარნაბმა საძოვარი მიატოვა და დაადგა კარგა დიდი მანძილით დაშორებული სასაფლაოს გზას, სადაც მისი პატრონი განისვენებს. ჭკვიანმა ცხოველმა მიაგნო საფლავს და იქვე ჩაიმუხლა. რამდენიმე დღე მესაფლავეები და პოლიციელები ამაოდ ცდილობდნენ მის გაყვანას სასაფლაოს ტერიტორიიდან. ხარმა მხოლოდ ერთი კვირის მერე დატოვა იქაურობა.

ზოოლოგები და ვეტერინარები მსგავს ფენომენს პირველად შეხვდნენ. მანამდე ცნობილი იყო, რომ მხოლოდ ძაღლები დარდობდნენ პატრონის დაკარგვას. ხარმა საოცარი ნიჭი გამოავლინა. ვერც ერთი ცხოველი ვერ მოძებნიდა პატრონის საფლავს ისეთ დიდ სასაფლაოზე.

ფერმერის მეზობლები და ოჯახის წევრები ამბობენ, — ალფრედი ხარს ძმასავით ექცეოდა, შინ შეჰყავდა, საათობით ესაუბრებოდა, როგორც ადამიანსო. შესაძლოა, ასეთმა ჰუმანურმა დამოკიდებულებამ გააღვიძა საქონელში ინტელექტი, — ასკვნიან მეცნიერები.

***ოჯი***

### „საზალდო-სალალდო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ბ); 2) — გ); 3) — დ); 4) — ა); 5) — ბ); 6) — გ); 7) — გ); 8) — ა).

**II.** დათვი.

ჩვენ გვწერენ

# თურმე მაუგლი ჩვენც გვყოლია!



შარშან ზაფხულს რაჭაში, 82 წლის ვალიკო სოხაძემ მეტად უცნაური ამბავი მიამბო:

— მე მაშინ 5-6 წლის ვიყავი... გზა და კვალი ახლაც ჭირს ჩვენში და მაშინ ხო სულ დამოუკიდებელ სახელმწიფოსავით ვცხოვრობდით ამ ტყე-ღრეში.

ზამთარში ნადირი გვაწუხებდა ძალიან, ტყეში რომ ვეღარ იშოვიდა რამეს, სოფელში ჩამოდიოდა და პირდაპირ ბოსელში გვივარდებოდა. მგელს გამოედევნა იმ ზამთარს ბაბუა. მიუგნია ბუნაგისთვის და ერთიანად ამოუწყვეტია მთელი ხროვა. მერე ბუნაგში ცეცხლი შეუნთია — ლეკვებიც რომ ამოწყვეტილიყვნენ, თუ დამალულები იქნებოდნენ. მართლაც გამოვარდნილა კვამლით შეწუხებული ორი ლეკვი და ოთხზე დამდგარი 4-5 წლის ბიჭი... ლეკვები დაუხოცავს ბაბუას. ამის შემხედვარე ერთიანად აკანკალებული ბიჭი მგელივით ჩაცუცქულა და ყმუილი დაუწყია... ბაბუას დაუჭერია და მოიყვანია შინ. იკბინებოდა, იკაწრებოდა. ხალხის დანახვაზე სულ გაგიჟდა და გაწყვიტა ის ბაწარი, რითაც საწოლის ფეხზე იყო მიბმული. გალია შეუჭედეს კაცებმა და შიგ ჩასვეს. ბევრი იმსჯელეს და იკამათეს, მარა ვერაფრით დაადგინეს — ადამიანის შვილს რა უნდოდა მგლის ბუნაგში, ან რატომ არ შეჭამეს იგი მტაცებლებმა!.. ჩემზე ცოტათი უმცროსი იყო და მიხაროდა — ბაბუამ ძმა მომიყვანა-მეთქი. შორიახლოს ვუჯექი, „ველაპარაკებოდი“ — სახელიც შევურჩიე — დათიკო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, წარბი არ შერხევია. ახლა ვფიქრობ, იმასაც ვერ ხვდებოდა, რომ ადამიანი იყო და მგლად მიაჩნდა თავი — ხშირად ყმუოდა მოწყენილი — „თავისიანებს“ ეძახდა ალბათ... გამომცხვარ პურს და მჭადს არ ჭამდა, არც მოხარშულს და შემწვარს, უმს ბაბუა არ აძლევდა — თუ არ გადავაჩვიე, გაგვიჩანაგებს ფრინველს და ცხოველს, როცა გამოვუშვებ, სულ გალიაში ხომ არ გვეყოლებაო. რძეს თქვლეფდა მხოლოდ... ორი თვე გაძლო და მერე მოკვდა. დილით რომ ავდექით, ფეხებგაფშეკილი დაგვხვდა იმ თავის გალიაში... რაც მე მაშინ ვიტირე, რა დამავიწყებს, ავადაც გავხდი, სიცხე მომცა დარდზე და სულ „დათიკოს“ ვაბოდებდი თურმე... მაშინ მღვდელი გვყავდა სოფელში და სასაფლაოზე არ დაგვამარხვინა, ბაბუამ ტყეში წაიღო და იქ დაფლა. მღვდელმა — ეგ სატანის ნაშიერი იყო ალბათო!.. მაშინ არც მაუგლი გაგვეგონა და არც მსგავსი რამ. ეს მოგვიანებით გავიგე — ცხოველები რომ ზრდიან თურმე ხანდახან ტყეში დაკარგულ ადამიანის ნაშიერს... ალბათ იმ ჩვენს „დათიკოსაც“ რაცხა იმნაირი დაემართა და ვინ იცის, რომ ენახათ მეცნიერებს, იმ მაუგლიზე ნაკლებ ამბავს კი არ დაწერდნენ მაგაზეც, მარა მაშინ არც წიგნი ვიცოდით და არც გაზეთი, ჰოდა, ასე დარჩა მხოლოდ ჩვენი სოფლის მახსოვრობაში ის „დათიკო-მაუგლი“... ისე, ხშირად მესიზმრება, ზის ჩაცუცქული და ყმუის საცოდავად. გულდამწვარს მეღვიძება ხოლმე...

*...მოკლედ, ქართველებს რომ არ დაგვმართნია და გადაგვხდენია, ნეტავი თუ არსებობს რამე ისეთი. ვინ იცის, რა ბედისა იყო რაჭველი მაუგლი და რამ შეაგდო მგლების ბუნაგში კაცის შვილი, ან ის რა ძალაა, სისხლისმსმელ მტაცებელს რომ აიძულებს, ადამიანის შვილზე ღვიძლივით იზრუნოს!..*

***ინგა ჯაყელი***



# ტურინის სუდარის მეორე მხარეზე სწავლულებმა კიდევ ერთი გამოსახულება აღმოაჩინეს





ტურინის სუდარა 4-მეტრიანი ბამბის ქსოვილია, რომელზეც, ისე, როგორც ფოტოფირზე, აღბეჭდილია მამაკაცის ნეგატიური გამოსახულება. მკვლევართა აზრით, ეს ქრისტეს სახეა. სწორედ ამ ტილოში გაახვიეს ჯვრიდან ჩამოხსნილი იესოს ცხედარი და მასზე დარჩენილია უფლის გამოსახულება.

დღემდე ითვლებოდა, რომ ტურინის სუდარაზე იყო ორი — ფრონტალური და ზურგის — ანაბეჭდი. ახლახან ლონდონის ფიზიკის ინსტიტუტის სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ არსებობს მესამე ანაბეჭდი ქსოვილის უკუღმა მხარეზე, კერძოდ, იმ ადგილას, რომელიც სახეზე ეფარა მაცხოვარს. მეორე სახე ბუნდოვანია. ის მეცნიერებმა აღმოაჩინეს, როცა სუდარას 1534 წელს ხანძრის შემდეგ მიკერებული სარჩული მოარღვიეს.

ორივე ანაბეჭდის სახის ნაკვთები ერთმანეთს სრულად ემთხვევა, მაგრამ ახალაღმოჩენილი გამოსახულება, პირველისგან განსხვავებით, ქმნის სამგანზომილებიანის გამაოგნებელ ეფექტს.

საოცარია, რომ ქსოვილის ორივე მხარეზე უფლის ძის სახე აღბეჭდილია მხოლოდ ზედაპირის გარე ბოჭკოებზე, — ამბობს პადუას უნივერსიტეტის პროფესორი ჯულიო ფანტი.

გამოსახულება ამომწვარს წააგავს. საკვირველია, რა იდუმალმა ძალამ ამოწვა ეს სახეები ისე, რომ ქსოვილში გამჭოლად არ გააღწია და მხოლოდ ზედა ფენა აილანძა. მეცნიერთა ვარაუდით, ეს ე.წ. დამწვრობა გამოიწვია იესოს უძლიერესმა აურამ — ბიოველმა. ეს ენერგია გამოსხივების ან დიფუზიის კანონების მიხედვით არ გავრცელებულა, არამედ სტატიკური იყო.

***კომსომოლსკაია პრავდა №71***

# ქვის სტუმრები ჯუნგლებში დაიკარგნენ



ინდონეზიის კუნძულ სულავესზე აღმოჩნდა იდუმალი ქვის ფიგურები, რომელთა წარმოშობასაც ვერავინ ხსნის. ზოგი მათგანი სიმაღლეში 4 მეტრს აღწევს, თანაც მათ ხანდახან ჯუნგლების სიღრმეში პოულობენ, ანუ იმ ადგილებში, სადაც არასოდეს არავის უცხოვრია. გარდა ამისა, ქვის ანალიზმა, საიდანაც არის გამოთლილი ფიგურები, აჩვენა, რომ მსგავსი სახის ქვა ახლომახლო არსად არის. ბევრი ფიგურა მიწაზეა გართხმული და ზედ ბალახიც არის ამოსული.

საიდუმლოს გამოცნობის არანაირი გასაღები არ ჩანს. ისიც კი გაურკვეველია, რა იარაღებია გამოყენებული ამ უმაგრესი მასალისგან დახვეწილი ფიგურების გამოსაკვეთად.

***პოსლედნიე ნოვოსტი №13***

# ფეხმძიმეებს ეროტიკა იზიდავთ?



ევროპასა და ამერიკაში ფეხმძიმობა მოდაში შემოვიდა.

ბევრი ქალი, ისეთებიც კი, ვისაც არ უყვარდა ფოტოგრაფირება, ეროტიკულ პოზაში იღებს ფოტოსურათს, თანაც გაბერილი მუცელი უსათუოდ ფოტოს ცენტრში უნდა იყოს მოქცეული. ამ ფოტოებს შემდეგ ქმრებს ჩუქნიან.

ფეხმძიმე მანდილოსნები ამტკიცებენ, რომ არასოდეს უგრძნიათ თავი ისე სექსუალურად, როგორც ბავშვის გაჩენის წინა პერიოდში. თავიანთ მდგომარეობას ისინი უწოდებენ ქალურობის აყვავების პერიოდს და ტკბებიან მისი ყოველი გაელვებით.

***ოჯი***

# ბანანის როლი კრიმინალისტიკაში

კამბოჯის პოლიციამ ბოროტმოქმედებისგან ჩვენების მიღების არაორდინარული ხერხი მოიფიქრა.

ხუთი ყუთი საპნის ქურდობაში ეჭვმიტანილ რამდენიმე მოზარდს პოლიცია ბანანებით კვებავდა. ბანანოთერაპია მანამ გაგრძელდა, სანამ დამნაშავეებმა დანაშაული არ აღიარეს. პოლიციის წარმომადგენელმა დაკავებულთა მიმართ არაკორექტული დამოკიდებულების ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ მოზარდებს ბანანები მხოლოდ და მხოლოდ დასანაყრებლად მიართვეს. „ბიჭები მშივრები იყვნენ და კითხვებზე პასუხს არ იძლეოდნენ, — თქვა პოლიციელმა, — მაგრამ, როგორც კი ბანანები კიდევ ერთხელ შევთავაზეთ, მაშინვე აღიარეს დანაშაული“.

***მირორი***

# რუსები მოდიან!



გერმანიის ქალაქ ჰაიდენაუს მცხოვრებთ ამას წინათ თავზარი დასცა ქუჩებში მოჯირითე რუსულმა ტანკმა. მიუხედავად იმისა, რომ ელვის უსწრაფესად გავრცელდა ხმა, რუსები შემოვიდნენო, ყველაფერი სხვანაირად ყოფილა — ტანკი საკოლექციო აღმოჩნდა. მას თვითონ კოლექციონერი მართავდა. როგორც გაირკვა, მშვიდობიანი ბიურგერების დაშინება ტანკის პატრონს არც ნდომებია. უბრალოდ, მეგობრებთან ერთად ცოტა დალია და სწორედ მაშინ გაახსენდა, რომ ძველი გარაჟი უნდა დაენგრია. ჩახტა ტანკში და მოტორი ჩართო, მაგრამ მართვის ბერკეტები და პედლები აერია და პირდაპირ ქუჩაში გავარდა. დაახლოებით კილომეტრი რომ გაიარა, როგორც იქნა, მრისხანე სამხედრო მანქანა გააჩერა და დააკავა კიდეც პოლიციამ.

***ოკნა №13***

# მსუქნებმა დატოვეთ ოპერა!

დღეს მსოფლიოს სცენაზე იმდენი მომხიბვლელი და მიმზიდველი მომღერალი ქალი გამოჩნდა, რომ პატივსაცემ პრიმადონებს მძიმე პერიოდი დაუდგათ. ახლახან მოხდა მოვლენა, რაც გრანდიოზულ სკანდალში გადაიზარდა. სამსახურიდან დაითხოვეს მსოფლიო ვარსკვლავი და პრიმადონა 43 წლის დებორა ფოიგტი, დრამატული სოპრანო, რომელიც ძალიან პოპულარული იყო მილანში, ნიუ-იორკში, პარიზში. მუსიკალური კრიტიკოსები მას „ღვთაებრივ დებორას“ ეძახდნენ. ის სამსახურიდან დაითხოვეს მეტისმეტი სიმსუქნის გამო! ეს მოხდა ლონდონის პრესტიჟულ საოპერო თეატრში, რომელშიც სამეფო ოჯახს უკვე 146 წელია, საკუთარი ლოჟა აქვს. მომღერალს რეჟისორმა პიტერ კატონმა მიუთითა კარისკენ. დებორა გადიოდა რეპეტიციას რიჰარდ შტრაუსის „არიადნაში“. რეჟისორს თავისი შეხედულება ჰქონდა დიდი კომპოზიტორის ნაწარმოებზე, რომლის თანახმადაც, მის ფოიგტი სცენაზე უნდა გამოსულიყო მინიქვედაკაბით, მუცელმოშიშვლებული, უნდა სცმოდა მოკლე კოფთა და მოდელივით გაევლო სცენაზე. მაგრამ დებორას კიდევაც რომ მოესურვებინა, მაინც ვერ დაძლევდა ამ როლს, ვინაიდან 120 კგ-ზე მეტს იწონის... დღეს ბევრი კრიტიკოსი თვლის, რომ დებორას ამბავი არ არის ჭირვეული რეჟისორის მორიგი ახირება, არამედ სიმბოლური ნიშანია იმისა, რომ დასრულდა ძველი და დაიწყო ახალი ეპოქა, სადაც ჩასუქებული ქალებისთვის არ არის ადგილი. დრო იცვლება, მოდის ახალი თაობა, და, რაც მთავარია, გემოვნება თანამედროვე მუსიკაშიც.



***ელ მუნდო***

# ნიანგზე ნადირობა კვლავ ნებადართულია



ნიანგის ტყავი ძვირფასი მასალაა, ამიტომ 1971 წელს ავსტრალიის მთავრობამ აკრძალა ნიანგებზე ნადირობა. მაშინ ამ რეპტილიის პოპულაციამ კატასტროფულად იკლო — ქვეყანაში სულ 3 ათასი ნიანგი იყო დარჩენილი. დღეს კი ნიანგების რაოდენობამ 75 ათასს მიაღწია და ისინი ერთობ დიდ საშიშროებას უქმნიან ფერმერებს. ავსტრალიელ აბორიგენთა დელეგაცია, პოლიტიკოსები და ტურიზმის ექსპერტები ცდილობენ, დაარწმუნონ მთავრობა, რომ აუცილებელია ავსტრალიაში ნიანგებზე ნადირობის კვლავ დაშვება. პროექტს თუ გზა მიეცა, მაშინ წელიწადში 25 ნიანგის მოკვლის ნებას დართავენ ეგზოტიკური ნადირობისა და ტყავის მოყვარულთ. გარდა ნიანგების რაოდენობის შემცირებისა, პროექტს კიდევ ერთი პლუსი აქვს — მდიდარი ტურისტების ტალღა ადგილობრივი მცხოვრებლების მატერიალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

***დენგი №13***

# კბილები თაროდან

ქალაქ დიუსელდორფის (გერმანია) მახლობლად მდებარე ნეანდერტალელების მუზეუმიდან გამოქვაბულის ადამიანის კბილები დაიკარგა. კბილები სათითაოდ, ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდა. შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს გაუკვირდათ, როგორ შეძლო დამნაშავემ ორჯერ უსაფრთხოების სისტემის გამოთიშვა და იმ მინის სარქვლის მოხსნა, რომლის ქვემოთ არქეოლოგიური რარიტეტები ინახებოდა.

მეცნიერების აზრით, გატაცებული კბილები დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. ისინი მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერთა ყურადღების საგანია. მიუხედავად ამისა, პროთეზისტები აცხადებენ, რომ კბილები შესაძლოა ხელოვნური ყბის მქონემ მოიპარა კბილების გამოსაცვლელად.

***ვოკრუგ სვეტა №14***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ჰორაციო ნელსონის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **რ.** სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **ჩ.** პატარა ჩიტი; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ვ.** ქალის პირბადე; **ა.** სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ნ.** ევას შესაქმნელად ღმერთის მიერ გამოყენებული „ნახევარფაბრიკატი“; **შ.** ქალის კაბის გრძელი უკანა კალთა, რომელიც ძირს მისთრევს; **ი.** ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; **ა.** კარტოფილის სამშობლო; **რ.** რისამე მარაგი; **შ.** ქარიშხალი ზღვაზე; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **მ.** ისტორიკოსი ლეონტი ...; **ც.** ცალთვალა გოლიათი ბერძნულ მითოლოგიაში; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა.** ბავშვის სარწეველა საწოლი; **რ.** კარდინალ რიშელიეს გვარდიის ოფიცერი, რომელმაც დაბა მენგში დე ტრევილისადმი განკუთვნილი წერილი მოპარა დ'არტანიანს; **ხ.** რა ჰქვია ბულგარელ ფეხბურთელ სტოიჩკოვს; **ა.** ადამიანის მთავარი არტერია; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **თ.** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც საკუთარი რძით გამოკვება კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დემონი; **ა.** ანხელი; **ი.** ილაჯი; **ს.** სატურნი; **ვ.** ვივალდი; **ე.** ეპარქია; **ნ.** ნარცისი; **ე.** ეკიპაჟი; **პ.** პლეადა; **ა.** ანჯამა; **ლ.** ლეი; **ი.** იობი; **ტ.** ტერტერა; **რ.** რეესტრი; **ი.** იუბილე; **ს.** სვანეთი; **ფ.** ფაბრიკა; **ე.** ერუდიტი; **რ.** რინგი; **ე.** ელე; **ბ.** ბაბალე; **შ.** შვაბრა; **ი.** იოსები.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მხატვარი ეჯიბრება ბუნებას.**

# „კრწანისის ბრძოლა შეიძლება „განმეორდეს"!..



## „საქართველოში ბევრი ხარბი ჩინოვნიკია"

ახლოსაა ის დღე, როცა უკანონო მშენებლობების შეჩერებისა და ამგვარადვე ნაშენები სახლების დანგრევაც კი დადგეს დღის წესრიგში. მზადდება კანონპროექტი და, იმედია, მალე ჩვენი კულტურული და მატერიალური ძეგლები დამახინჯებასა და განადგურებას გადაურჩებიან, მაგრამ...

გიფიქრიათ, ჩვენივე ხელით როგორ ვჭრით იმ ტოტს, რომელზედაც ვსხედვართ, როგორ ვამღვრევთ წყალს, რომლის დალევაც აუცილებლად დაგვჭირდება?.. უბრალო გულისხმიერება და კეთილსინდისიერება იყო საჭირო, რომ დღეს სათუო არ გამხდარიყო კრწანისის ველის გადარჩენა-არგადარჩენის საკითხი. 300 თავდადებული არაგველის წმინდა ნაწილები, რომლებიც მისხალ-მისხალ მოაგროვეს და წმ. ნიკოლოზის ტაძარს შეაფარეს ღვთისნიერმა მამულიშვილებმა, გზამართალს ელიან.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ივანე ლიქოკელი** რედაქციაში გვეწვია და გვითხრა: — როდემდე უნდა ვიყოთ ეროვნული სიამაყის, მატერიალური და სულიერი კულტურის, სიწმინდეთა შეგინებისა და წაბილწვის მომსწრენი? 1795 წლის ეროვნული ტრაგედიის — კრწანისის მარცხისა და მის მსხვერპლთა — 300 თავდადებული არაგველის ხსოვნის წინაშე მთელმა საქართველომ უნდა მოიყაროს მუხლი! აქ კი ვიღაც სასტუმროსა და მიწისქვეშა ავტოფარეხის აშენებას აპირებს.

ბატონი ივანე მარტო არ არის.

**იულონ გაგოშიძე,** არქეოლოგი: — 1948 წელს, აქ ბაღის გაშენების დაწყებისთანავე გამოჩნდა არქეოლოგიური მასალა და ოთარ ჯაფარიძეს დაევალა გათხრა. ეს საქმე მერე გიორგი ლომთათიძემ გააგრძელა. კრწანისის ომამდე გაცილებით ადრე აქ ყოფილა თიხის ჭურჭლის სახელოსნო. გაითხარა რამდენიმე ქურა. გაიწმინდა გალავანიც... აქ, სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან ძვლები გამოჩნდება. კრწანისის გმირთა დახოცვის შემდეგ აღა მაჰმად-ხანი ათი დღე და ღამე არბევდა ქალაქს. დახოცილთა დაკრძალვის თავი ვის ჰქონდა. მტერი რომ გაბრუნდა, მერელა გადააყარეს მიწა. მშენებლობის დროს გამოჩნდა — ზოლად მიდიოდა უწესრიგოდ დაყრილ მეომართა ძვლები... ჯერ კიდევ 1976 წელს აქვე, ახლოს, საბავშვო ბაღის აშენება განიზრახეს. სამშენებლო თხრილიდან საოცარი მასალა ამოვიტანე — ის დღესაც თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება. სასტუმროს მშენებლობა რომ განაახლეს, ვიფიქრე, აქაც იქნება რამე-მეთქი, მაგრამ ნიადაგი მოეხსნათ და გაეტანათ... 2003 წლის 4 თებერვალს ანდრია აფაქიძეს, ვესილი გოგიბერიძეს, კახა ტრაპაიძეს (ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე), ვანო ზოდელავას, მიხეილ სააკაშვილს და ვახტანგ ჯაფარიძეს გადავეცი წერილი: „ვინმე ილია მოსიაშვილს ამას წინათ უყიდია (ვისგან?) თბილისის კრწანისის რაიონის მოსწავლეთა სახლი (გრიშაშვილის ქ. №56) და იქ მშენებლობა წამოუწყია. ამოუთხრია ქვაბული.

1. ქვაბული ამოთხრილია კრწანისის პარკის ტერიტორიაზე, განადგურებულია მრავალწლიანი ნარგავები.

2. ქვაბული 50 მ-ით არის დაშორებული სახელმწიფოს მიერ დაცულ საკულტო, ისტორიულ და არქიტექტურის ძეგლებს — კრწანისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია და შუა საუკუნეების თბილისის გალავნის ფრაგმენტი, რომლის წინ აგებულია განჯისკარისა და კრწანისის მემორიალი ობელისკითურთ.

3. ქვაბულმა გაანადგურა ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი — IX-Xსს თბილისის კერამიკული სახელოსნო, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ იყო გათხრილი 1948-49 წლებში. ქვაბულში კულტურული ფენა მთლიანად განადგურებულია, მხოლოდ თხრილის აღმოსავლეთით და დასავლეთ ჭრილებში ჩანს ქვითკირის კაპიტალური კედლის ნაშთი და ორმოები ადამიანის ძვლებით.

საკითხავია, ვინ გასცა ამ მშენებლობის ნებართვა და თუკი ის კანონიერად გაიცა, არსებობს თუ არა არქეოლოგიური სამსახურის დასკვნა?

დაბოლოს, საქართველოში ვინმემ ოდესმე უნდა აგოს თუ არა პასუხი არქეოლოგიური ძეგლის ხელყოფისათვის?"

მოსიაშვილს დაუჟინია, — ფულს მოგცემთ და არქეოლოგიური გათხრები ჩაატარეთო. რა უნდა გავთხაროთ? ნიადაგი მთლიანად მოხსნილია და გატანილი, კლდემდეა დასული, არქეოლოგები ვმუშაობთ ნიადაგში და არა კლდეზე... რაც დარჩა, იმის გატანასაც აპირებენ. ამას წინათ საკრებულოში დაგვიბარეს... ბევრნი მივედით. საზოგადოების განწყობა მშენებლობის საწინააღმდეგო იყო. ერთმა ბიჭმა ისიც თქვა: რა დადგენილებაც არ უნდა გამოიტანოთ, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, იქ ვერაფერს ააშენებთო... მეც მჯერა, რომ ვერ შეძლებენ მშენებლობის გაგრძელებას. მე მაბრალებს, — ვითომ მივიტანე იქ ძვლები და დავყარე... ჯერ ერთი, სად უნდა ამეკრიფა ორი ყუთი ძვალი და მეორეც, რას უნდა ვერჩოდე მოსიაშვილს? არც ვიცნობ. ილია მოსიაშვილმა კი აი, რა მისწერა ანდრია აფაქიძეს: „არქეოლოგიური კვლევის მიმდინარეობის პერიოდში გთხოვთ, ნება დაგვრთოთ, მონაწილეობა მიიღოს ჩვენმა წარმომადგენლებმა, რათა არ მოხდეს რეალური ფაქტების დამახინჯება. ჩვენ უკვე გვქონდა მაგალითი, გვენახა, თუ როგორ მოახერხეს მშენებლობის ტერიტორიაზე იქ არარსებული საგნების შემოტანა, რასაც დაადასტურებენ ამ ფაქტის მომსწრეები. ბატონო ანდრია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასტუმრო შენდება გეოლოგიურად მყარ ნიადაგზე, შურფების გათხრისას ვიზუალურად ჩანდა ნიადაგის ჭრილი, სადაც ძირითადად დაფიქსირებული იყო მე-5 და მე-7 კატეგორიის გრუნტები, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს იქ რაიმე სამარხების არსებობას" (სტილი დაცულია).

შეიძლება ასე? სამარხები გაძარცულია, უცხოეთში გადის განძი, აქ კი უდიერად ყრიან არქეოლოგიურ მასალას სანაგვეზე და აცხადებენ, რომ თურმე მე შევიტანე აქ დროშის ბუნიკი, თიხის ჭურჭელი, ძვლები... ისიც კი მითხრა, გაჩვენებთ, სად გადავყარეთ აქ მოჭრილი მიწა, მიდით და გათხარეთო. ეს ხომ მასხრად აგდებაა?

ვახტანგ გურულმა თქვა, არაგველები ჟინვალში დაიხოცნენო. ასეთი გაყალბება შეიძლება? შეიქმნა კომისია, სადაც მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები შევიდნენ. საერთო აზრს (რომ კრწანისის ველი სამასი არაგველის ბრძოლის ადგილია) მხოლოდ ორნი შეეწინააღმდეგნენ — ლიჩელი და ნონეშვილი.

**ზურაბ გორდელაძე,** თბილისის საკრებულოს წევრი (რელიგიურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე): — ეს ტერიტორია, პეტრე ბაგრატიონის ძეგლიდან მოყოლებული, აბანოებისა და მემორიალის ჩათვლით, ის საკრალური ადგილია, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლები. 1964 წელს, რომელიღაც „ჭკვიანმა" გადაწყვიტა, რომ ძეგლთა დაცვის ზონაში შესულიყო ტერიტორია მხოლოდ ბაგრატიონის ძეგლიდან XIII საუკუნის კედლამდე... პარკი, სადაც ახლა მემორიალია და, სადაც კრწანისის ომი მიმდინარეობდა, რატომღაც ამ ზონაში არ მოხვდა. შარშან, საკრებულოში გამართულ თათბირზე მეცნიერებმა: ანდრია აფაქიძემ, მარიკა ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ და სხვებმა, დაადასტურეს, რომ ამ პარკის ტერიტორიაც უნდა შესულიყო ძეგლთა დაცვის ზონაში. მეცნიერებათა აკადემიამ, ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ, კულტურის სამინისტრომ გამოიტანეს დადგენილება, რომ ეს ადგილი ნაკრძალია, მაგრამ რად გინდათ... ამ მშენებლობის ნებართვა გაიცა მაშინ, როცა იულონ გაგოშიძის საგანგაშო წერილი უკვე ცნობილი იყო ხელისუფლებისათვის... ამის შემდეგ 12 თებერვალს, მოსიაშვილს არქიტექტურის სამსახურმა დართო მშენებლობის ნება, 17 თებერვალს — „ალმშენინსპექციამ." 17 მარტს ჩემთან შემოვიდა წერილი 800-მდე ხელმოწერით, სადაც ქართველი ხალხი, თბილისის მოსახლეობა შველას გვთხოვდა. საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა და მთელმა საკრებულომ გადაწყვიტეს, მშენებლობა შეჩერებულიყო. შევქმენით კომისია, დავიწყეთ გამოძიება. გამოირკვა, რომ ილია მოსიაშვილი ნებართვამდე 8 თვით ადრე თხრიდა აქაურობას(?!). როცა ვკითხე, რატომ მოიქეცით ასე-მეთქი, მიპასუხა, — რა ვიცოდი, თუ ნებართვა საჭირო იყო. არავინ მოსულა და არაფერი უთქვამთო.

**— როგორ გაიყიდა ეს ადგილი?**

— ესეც დიდი კანონდარღვევით მოხდა. განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ახალგაზრდობის ცენტრის შენობა მოეწონა ბატონ ილია მოსიაშვილს. კანონით ამ ობიექტის პრივატიზება აკრძალულია. მხოლოდ პრეზიდენტის განკარგულებით შეიძლება მოხდეს განათლების ობიექტის პრივატიზაცია. კარტოზიამ და მისმა მოადგილემ, სანაძემ გამოსავალი იპოვეს — მათ, კრწანისის გამგებელმა და ამ რაიონის განათლების განყოფილების გამგემ შენობა ავარიულად გამოაცხადეს და გამგეობას გადასცეს ბალანსზე — თქვენ მიხედეთ, ამისი მოვლის თავი ჩვენ არ გვაქვსო. ამის შემდეგ მათ ამ ბაღში არსებულ ახალგაზრდობის ცენტრს შესთავაზეს — დროებით ბაგა-ბაღში გადაგიყვანთ, ინვესტორი ამ შენობას გაგირემონტებთ, ერთ სართულზე თქვენ იქნებით, მეორეზე — ისო. ხელშეკრულებაში მხოლოდ რესტავრაცია იყო ნახსენები. როგორც ხდება ხოლმე, ჯერ გააპარტახეს შენობა, მერე განაცხადეს, — ამის ფასი კაპიკიაო და იოლად ჩაიგდეს ხელში. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დასკვნით, შენობა ავარიული არ იყო და მისი გარემონტება შესაძლებელი გახლდათ. ოღონდ, დაშენების შემთხვევაში საძირკველი უნდა გამაგრებულიყო. მოწმეების თქმით, კოლექტივის შენობიდან გასვლისთანავე, ღამით ვილაცები მოცვივდნენ, იქაურობა ისე მიანგრ-მოანგრიეს, რომ ავარიულს დაამსგავსესო. ამის შემდეგ გაიტანეს აუქციონზე. მოსიაშვილმა 101.000 დოლარად ჩაიგდო ხელში ეს შენობა. სკვერის ტერიტორიას ხომ ვერ გაყიდდნენ და მოვლა-პატრონობის მიზნით გადასცეს მოსიაშვილს. ეს ტერმინი თურმე იურისპრუდენციაში არ არსებობს. ასე რომ, 3.000 კვადრატული მეტრი ფართობი შემოლობა მოსიაშვილმა და განაგრძო თავისი საქმე.

**— თუ იცით, ამავე ტერიტორიაზე წამოჭიმული ახალი შენობა ვის ეკუთვნის?**

— ამბობენ, ნუგზარ შევარდნაძის იყო და ილია მოსიაშვილმა შეიძინაო. მას დიდი კომპლექსის გაკეთება უნდა. ამბობს, ბაზალეთის ტბაზე სასტუმროების კომპლექსში, 2 000 კაცი მინდა დავასაქმო, თქვენთვის ვზრუნავ, ავსტრიის მოქალაქე კი ვარ, მაგრამ აქ დავიბადე, გავიზარდე, მიყვარს საქართველო, მინდა მოგება მოგიტანოთ, თქვენ კი ამის საშუალებას არ მაძლევთო. ეს კომპლექსი (კრწანისის) ბაზალეთის კომპლექსს მიაბა — იქ რომ ჩამოვიყვან ტურისტებს, თბილისის დათვალიერება ხომ მოუნდებათ? მოვიყვან, ამ სასტუმროში დავაბინავებ და ძველ უბანს ვაჩვენებო(?!).

**— რატომ გაჭირდა ამ საქმის გადაწყვეტა?**

— იმიტომ, რომ ილია მოსიაშვილს ფული აქვს, საქართველოში კი ბევრი ხარბი ჩინოსანია. მეც კი მითხრა, — ეს საქმე გამიკეთე და პატივს გცემო(!)... შევთავაზეთ სხვა ადგილი, არ დაგვთანხმდა. გვინდოდა გაგვესტუმრებინა მისი დანახარჯი, ამაზეც უარი გვითხრა.

ილია მოსიაშვილმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი. 9 სუბიექტს უჩივის: ჩემით დაწყებული, საპატრიარქოთი დამთავრებული. პროცესი ჯერ არ დაწყებულა. მოითხოვს, არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა ნახოს, თუ არის აქ რაიმე არქეოლოგიური ღირებულებაო. დალოცვილო, 8 თვე უკანონოდ რომ თხრიდი, ჯერ ამაზე გაგვეცი პასუხი-მეთქი. ის კი — მერე რა, რომ უნებართვოდ ვთხრიდი, მე ხომ ინვესტიციები შემომაქვსო. მუშებმა მითხრეს, — ძვლები ტომრებით გაგვქონდაო. მოსიაშვილმა კი განაცხადა, ეს ძვლები მამა ბესარიონმა (წმ. ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი) ჩამილაგა მიწაშიო(!)...

...ბოლოს, პრემიერ-მინისტრთან შესულა. ბატონმა ზურაბმა ეკონომიკისა და კულტურის მინისტრებს უბრძანა: გთხოვთ გამოიკვლიოთ და მომახსენოთ 5 დღის ვადაში. განკარგულებას მინაწერი აქვს: გაითვალისწინეთ საქართველოში ინვესტორის ინტერესები და ინვესტიციების აუცილებლობაო.

**— ხუთი დღე გავიდა?**

— გავიდა... ეკონომიკის მინისტრმა მოიწვია თათბირი, შემთხვევით მოვხვდი ამ თათბირზე (არავის მივუწვევივარ). ჰარმონია სუფევდა. მინისტრმა თქვა: ჩვენი ქვეყნის პრესტიჟს სასწორზე ვდებთ, ინვესტორებს ვერ ვუვლით, არ ვაძლევთ მუშაობის საშუალებასო...

თუ საქართველოს პრესტიჟია სასწორზე, მეორე მხარეს საქართველოს სულიერებაა. ინვესტორმა არ უნდა შელახოს ჩვენი ინტერესები.

კიდევ კარგი, ზაზა ბეგაშვილმა (თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე) თქვა: კრწანისის ომში ერთხელ დავმარცხდით, მეორედ არ დავმარცხდებითო! მეც ამის იმედი მაქვს.

*ჩვენ დავუკავშირდით ბატონ* ***ილია მოსიაშვილს*** *და ვკითხეთ, რატომ არ თმობს დიდი დავის საფუძვლად ქცეულ ისტორიულ ადგილს და არ თანხმდება შემოთავაზებას ადგილმონაცვლეობის შესახებ.*

— არავის არაფერი შემოუთავაზებია.

**— არც სააკაძის მოედანთან?**

— შემომთავაზეს სააკაძის ძეგლთან სადავო შენობა. იქ არ წავალ, რადგან ტურიზმის განვითარებისათვის ეს ადგილი უპერსპექტივოა. ხომ გინდათ ქვეყანაში რაღაც სიკეთე?

**— კრწანისის ველი ისტორიულია და იმავე სახით გვინდა შევინარჩუნოთ.**

— ასე დანგრეული? როგორ, თბილისი ისტორიული ქალაქი არ არის? რითი მიმტკიცებენ, რომ სწორედ აქ მოხდა კრწანისის ბრძოლა? მობრძანდით და გაჩვენებთ ისტორიულ ნარკვევებს. მერე თვითონ გაარკვიეთ მტყუან-მართალი.

**— ბატონო ილია, მაინცდამაინც კრწანისის ველზე გნებავთ სასტუმროს აშენება?**

— რას ჰქვია, მაინცდამაინც? ეს ადგილი ჩემია, მე ვიყიდე და რატომ უნდა წავიდე? კერძო საკუთრება ხელშეუხებელია. დამიმტკიცონ, რომ მართლა იქ გაიმართა კრწანისის ომი. მოვითხოვ არქეოლოგიურ გათხრებს. უნდა დადგინდეს სიმართლე. თბილისში აღა მაჰმად-ხანი რომ შემოიჭრა, ბრძოლა ლილოდან ნატახტრამდე მიდიოდა. ქალაქი მთლიანად იწვოდა. ასე რომ, მთელი თბილისია ისტორიული, აქ კიდევ უფრო საშინელი ტრაგედიის ადგილებიც არის, ვიდრე ორთაჭალაა. თუ ეს ადგილი გჭირდებათ, სხვანაირად უნდა მოიქცეთ. მოვიდნენ, ალტერნატიული ადგილი შემომთავაზონ, ზარალი ვნახე, ამინაზღაურონ. მაგათ რქებით უნდათ გაიტანონ? ასე არ არის. მე კანონი არ დამირღვევია.

P.S. ხემ თქვა, ცული რას დამაკლებდა, შიგ ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო. მართლაც, ვინ მიჰყიდა ილია მოსიაშვილს კრწანისის ველი?

***ლელა ჯიყაშვილი***

# „მოლაშვილის საკითხს პირად კონტროლზე ავიყვან"

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

**— გასულ კვირას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეთ მიხეილ მაჭავარიანის ვიცე-სპიკერად არჩევას.**

— ყველა ვიყავით მოწმე, რომ გენერალური პროკურორი „კვირის პალიტრაში" აცხადებდა, მაჭავარიანის მოადგილეებისა და მასზე დაქვემდებარებული თანამდებობის პირების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების კვალმა შესაძლოა, მიშა მაჭავარიანამდეც მიგვიყვანოსო. ამიტომაც მოვითხოვე, რომ მოგვეწვია გენერალური პროკურორი და მაჭავარიანის ესოდენ საპასუხისმგებლო პოსტზე არჩევის წინ მოგვესმინა მისი არგუმენტები ამ საკითხზე. პარლამენტის ასეთი მაღალი თანამდებობის პირების ეჭვქვეშ დაყენება მთელი პარლამენტის დისკრედიტაციას იწვევს და ამიტომ მიმაჩნდა საჭიროდ ამ საკითხის გარკვევა. არ შეიძლება გენერალური პროკურორის საჯარო ნათქვამის ჰაერში გამოკიდება და იგნორირება. ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს. თუკი პროკურატურას აღარ აქვს კითხვები მაჭავარიანთან, ესეც ასევე საჯაროდ უნდა განაცხადოს ოქრუაშვილმა. თუ მაჭავარიანი უდანაშაულოა, უნდა მოვუბოდიშოთ, ხოლო თუ კიდევ აქვთ ეჭვი, მას ასეთი მაღალი თანამდებობა არ უნდა ეკავოს.

**— სულხან მოლაშვილის დაპატიმრებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგიერთი ამ ფაქტში მაღალი თანამდებობის პირების დაინტერესებას ხედავს, თქვენ რა აზრის ხართ?**

— სულხან მოლაშვილთან დაკავშირებით მოვლენები უცნაურად განვითარდა, რამაც ძალზე შემაშფოთა. დეკემბერში გავრცელდა ხმა — მოლაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრაო. ამის შემდეგ მოლაშვილმა საჯაროდ განაცხადა — თუ ჩემს წინააღმდეგ საქმე აღიძვრება, მაქვს კომპრომატები დღევანდელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობების პირებზე და გამოვაქვეყნებო. მას შემდეგ მოლაშვილზე ლაპარაკი შეწყდა. ეს უცნაური დუმილი არანაკლებ მაწუხებდა, ვიდრე მოლაშვილის დაკავება-არდაკავების საკითხი. ყურადღებით დავაკვირდები მოლაშვილის საქმის გამოძიებას. ძალიან მაინტერესებს, რა კომპრომატები ჰქონდა მოლაშვილს და ვისზე. თუ კომპრომატები მართლაც არსებობს, მოლაშვილთან ერთად ის თანამდებობის პირებიც უნდა დაისაჯონ, რომელთაც ეს ეხება. იმედი მაქვს, კომპრომატები არ მიჩუმათდება და საზოგადოებაც მოგებული დარჩება იმით, რომ ერთის ნაცვლად, ორი ან რამდენიმე დამნაშავე დაისჯება. ამ საკითხს პირად კონტროლზე ავიყვან.

**— პარლამენტში თქვენს აქტიურობას ერთგვარი ახსნა მოუძებნეს — დავითაშვილი თავისი ქმედებებით ცდილობს თავი მოაბეზროს ხელისუფლებას, რათა პარლამენტს მოაშორონ და კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დანიშნონო.**

— ამ ვერსიის ავტორი მაია ნადირაძეა და მინდა მას ვუთხრა — ორ ძალზე მაღალ პოსტზე ვთქვი უარი (კონტროლის პალატის თავმჯდომარეობასა და თავდაცვის მინისტრობაზე). ვინ როგორ იბრძოდა თანამდებობისთვის, კარგად ეტყობა ქალბატონი მაიას თანამდებობასაც და ჩემსასაც. აქტიური ყოველთვის ვიყავი და კიდევ ვიაქტიურებ, როცა კანონი დაირღვევა.

**— ოპოზიციის მიერ საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ თქვენი დასახელება ბევრისთვის მოულოდნელი იყო...**

— ჩემთვის სამწუხაროა, რომ მემარჯვენე ოპოზიციამ დამასახელა. ასევე სამწუხაროა ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ ჩემსა და ხათუნა გოგორიშვილს შორის არჩევანი გოგორიშვილზე შეაჩერა. წავიდოდი ამ პოსტზე და თუ კანონის დაცვა მართლაც უნდოდათ, დავიცავდი. ხოლო თუ კანონის დაცვა არ უნდათ, მაშინ ხათუნა გოგორიშვილი ზედგამოჭრილია. თანამდებობისთვის თავი არ მომიკლავს და არც მომავალში ვაპირებ თვითმკვლელობას.

***იზო რეკაძე***

# გადაწყვეტილება მიღებულია — გადაწყვეტილება მიუღებელია

საქართველოს მთავრობის მიერ პარასკევს მიღებულმა გადაწყვეტილებამ მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის თბილისში გამართვის შესახებ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

როგორც აზმაიფარაშვილი აცხადებს, ერთი მხრივ, კარგია, როდესაც საქართველოს მთავრობა ასე სერიოზულად ერთვება ჩემპიონატის გამართვასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში, მაგრამ მეორე მხრივ, ქვეყნის ხელისუფლება ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის დაუკითხავად არ უნდა წყვეტდეს აღნიშნულ საკითხს, რადგან ეს „არაეთიკურია“. თუ რას გულისხმობს ცნობილი მოჭადრაკე „არაეთიკურში“, ამაზე ქვემოთ მოგითხრობთ.



მოგეხსენებათ, ათიოდე დღის წინ, აღნიშნული ჩემპიონატის ბათუმში ჩატარება გადაწყდა, რის დასტურადაც, აჭარის მეთაურს ასლან აბაშიძესა და ფიდეს პრეზიდენტს ყირსან ილუმჟინოვს შორის ხელშეკრულებაც



ზურაბ აზმაიფარაშვილი

გაფორმდა. თუმცა, საქართველოს ხელისუფლება, რომლის სახელითაც ყველაზე მეტად კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გიორგი გაბაშვილი აქტიურობს, ფიდე-აბაშიძის „გარიგების“ წინააღმდეგი წავიდა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აჭარაში შექმნილი კრიმინოგენული ვითარების გამო, ბათუმში ამ ჩემპიონატის გამართვას ვერ დაეთანხმება და ტურნირზე ჩამოსასვლელ მოჭადრაკეებს უსაფრთხოების გარანტიას ვერ მისცემს.

ამ გარანტიას იძლეოდა ასლან აბაშიძე, რომლის სიტყვაც, როგორც ჩანს, ყირსან ილუმჟინოვისთვის ცოტას არ ნიშნავს. ეს რომ ასეა, ფიდეს პრეზიდენტმა ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაზე საკუთარი ხელმოწერით დაადასტურა, მაგრამ ეს საქართველოს მთავრობას ნაკლებად აინტერესებდა. სამაგიეროდ, საქართველოს მთავრობის პოზიციით დაინტერესდა თავად ილუმჟინოვი. ბათუმში ყოფნისას მან გარკვევით განაცხადა, რომ დაპირისპირების გაგრძელებისა და მსოფლიო ჩემპიონატის ჩაშლის შემთხვევაში, ქართველებისადმი მისი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას დიდი ფულადი ჯარიმა და რამდენიმეწლიანი საერთაშორისო იზოლაცია ემუქრება.

აი, ეს კი უკვე აღარ მოეწონათ ტურნირის ბათუმში ჩატარების მოწინააღმდეგეებს, თანაც, მარტო თბილისსა და ბათუმს „ვინლა ჩივის“, ქართულ საჭადრაკო სამყაროშიც სერიოზული განხეთქილება დაიწყო — ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას საპირისპირო მოსაზრებები ამის საუკეთესო დასტურია. ალექსანდრია აჭარაში დარიგებულ იარაღსა და მოჭადრაკეთათვის საშიშ მდგომარეობაზე აკეთებს აქცენტს. გაფრინდაშვილი კი, ჩემპიონატის აუცილებლად გამართვას მოითხოვს. იგი ბათუმში არაერთი საერთაშორისო დონის ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებას იხსენებს.

ალექსანდრიას მსგავსად, საქართველოს მთავრობას მხარი დაუჭირა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა კახი ჩიგოგიძემ. აზმაიფარაშვილი კი ასეთ პოზიციაში ქართული ჭადრაკისთვის უდიდეს საფრთხეს ხედავს.

მოჭადრაკეების გარდა, უკმაყოფილების ტალღამ გადაუარა მთლიანად ქართულ საზოგადოებასაც, რომელიც ჭადრაკს ლამის ეროვნულ სახეობად თვლის. მოკლედ, ყველა წინაპირობა შეიქმნა იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობას სასწრაფოდ რაიმე ქმედითი გადაწყვეტილება მიეღო და მიიღო კიდეც, მაგრამ...

კომენტარები, რომელთაც აქვე გთავაზობთ, თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არაფერი გარკვეულა.

**გიორგი გაბაშვილის** თქმით: „მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი თბილისში გაიმართება და მისი დაფინანსებისთვის საჭირო თანხის (რაც პირველადი ინფორმაციით 670 ათას დოლარს, ბოლოდროინდელით კი 500 ათას დოლარს შეადგენს. — რედ.) ნაწილს სახელმწიფოს ბიუჯეტი გაიღებს, ხოლო ნაწილს სპონსორები და ბიზნესმენები დაფარავენ. ეს გადაწყვეტილება აჭარის ლიდერთან, ასლან აბაშიძესთან შეთანხმებული არ არის და ამის აუცილებლობა არც არსებობს“.

სრულიად საწინააღმდეგოს ამბობს ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი **ზურაბ აზმაიფარაშვილი**: „ფიდეც და მისი პრეზიდენტიც ყველაფერს გააკეთებენ, რათა სპორტის ამ სახეობას ზიანი არ მიადგეს. ასლან აბაშიძესთან შეუთანხმებლად, საერთაშორისო ფედერაცია და ყირსან ილუმჟინოვი მსოფლიო ჩემპიონატის თბილისში გამართვის შესახებ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, რადგან ხელშეკრულება ამ ჩემპიონატის ბათუმში გამართვის შესახებ უკვე დადებულია“, იქვე ამატებს, რომ „ფიდე საკუთარ რიგებში 162 ქვეყანას აერთიანებს და როდესაც მისი პრეზიდენტი ყირსან ილუმჟინოვი ხელს აწერს რაიმე დოკუმენტს, იგი იძულებულია, შეასრულოს თავისი ვალდებულებები არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიმართ, არამედ თითოეული ამ ქვეყნის წარმომადგენლის წინაშე“.

ჯერ არდაწყებული, მაგრამ უკვე მრავალნატანჯი, მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს პირადი ჩემპიონატი 21 მაისიდან 7 ივნისამდე უნდა გაიმართოს, მაგრამ სად, ჯერჯერობით, თავად ილუმჟინოვმაც არ იცის...

**ნიკა ლებანიძე**

# ქართველი წყალბურთელები რუსეთის ჩემპიონები გახდნენ



საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებმა რუსეთის ღია ჩემპიონატი მოიგო. თავად ეს ფაქტი გახლავთ უჩვეულო და მრავლისმთქმელი — სწორედ ამიტომ დაუთმო გამორჩეული ყურადღება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჩვენს ტრიუმფატორებს და თბილისში ჩამოსვლიდან ერთი საათის შემდეგ საკუთარ რეზიდენციაში მიიწვია, — პრეზიდენტმა სამახსოვროდ დაიტოვა წყალბურთელთა ავტოგრაფებით დამშვენებული საქართველოს დროშა. საპასუხოდ კი ქვეყნის ხელისუფალი სპორტსმენებს ფინანსურ დახმარებას დაჰპირდა. არადა სწორედ უფინანსობის გამო იყო, რომ წყალბურთელები ვერ ახერხებდნენ შეჯიბრებებზე სრული შემადგენლობით გამგზავრებას.

რაც შეეხება თავად ტურნირს, საუკეთესო ექვსეულში გამართული მატჩები ჩვენმა სპორტსმენებმა დიდი ალმავლობით ჩაატარეს: სძლიეს მოსკოვის „ბურევესტნიკს“ 8:1, ასტრახანის რეგიონის გუნდს 12:4, ფრედ ითამაშეს ვოლგოგრადის „სპარტაკ ლუკოილთან“ 4:4, შემდეგ მოუგეს მოსკოვის „დინამოს“ 10:4. ქვეჯგუფის ბოლო მატჩი ცსკა-სთან, რომელსაც პრაქტიკულად არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, დათმეს — 5:6. ნახევარფინალში ჩვენი ბიჭები ისევ ცსკა-ს შეერკინნენ და დაამარცხეს 8:3. ფინალში კი ვოლგოგრადელებს დაუპირისპირდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მსაჯების ტენდენციურობა აშკარა იყო, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები, რომელიც ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე, ვერავინ დაჩაგრა. ფინალური შეხვედრა ქართველებმა 3:1 მოიგეს და რუსეთის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლნენ.

## ჩემპიონთა ლიგა

ნახევარფინალი. პირველი შეხვედრები
მონაკო — ჩელსი 3:1
პორტო — დეპორტივო 0:0
საპასუხო შეხვედრები გაიმართება 4–5 მაისს.

## უეფას თასი

ნახევარფინალი. პირველი შეხვედრები
ვილიარეალი — ვალენსია 0:0
ნიუკასლი — მარსელი 0:0
საპასუხო შეხვედრები გაიმართება 6 მაისს.

# ზიდანი საუკეთესოა




უეფა ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ზეიმობს. ამასთან დაკავშირებით ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, გულშემატკივართა შორის გამოკითხვა ჩაეტარებინათ და ევროპის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი დაესახელებინათ. იმისთვის, რომ ქომაგებს არჩევანი გაადვილებოდათ, თავდაპირველად დასახელდა 250 ფეხბურთელი, რომელთაგან პირველ ეტაპზე გამოკითხვით 50 საუკეთესო შეირჩა — უეფას არსებობის თითოეული ათწლეულიდან ათი საუკეთესო. საერთო გამოკითხვისას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 650 ათასმა გულშემატკივარმა, გამოიკვეთა სამი ლიდერი: ფრანც ბეკენბაუერი, იოჰან კრუიფი და ზინედინ ზიდანი.

კვიპროსზე მიმდინარე უეფას კონგრესზე ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ საუკეთესოდ გულშემატკივრებმა მიიჩნიეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ლიდერი ზინედინ ზიდანი. ზიდანის პირველობა 123.582 კაცმა აღიარა. მეორე ადგილზე გავიდა ფრანც ბეკენბაუერი, რომელმაც 122.569 ხმა მიიღო, მესამე ადგილი კი იოჰან კრუიფს ხვდა წილად 119.332 ხმით.

# სამყარო, რომელიც კიდევ ერთხელ შეძრა მარადონა-რეიმ





უჩვეულო ფენომენია სამყარო — ეს უკიდეგანო სივრცე ბევრჯერ დაპატარავებულა ერთი ადამიანის წინაშე — პოლიტიკაში ეს მოვლენა მსოფლიო ომის სინდრომად აღიქმება, ფეხბურთში კი, სადაც ვნებათაღელვა ერთიორად აღემატება პოლიტიკისთვის ნიშანდობლივ ემოციებს, ახალი ერის დასაწყისის მანიშნებელია.

დღეს, როდესაც მეოცე საუკუნის უდიდესი ფეხბურთელი არგენტინელი დიეგო არმანდო მარადონა სიკვდილს ებრძვის, მართლაც დაპატარავდა სამყარო ფეხბურთის მეფის თვალში...

გასული საუკუნის 80-იან წლებს თამამად შეიძლება ვუწოდოთ მარადონას ერა — ერა რომელმაც სპორტის ამ სახეობის ტექნიკური, და ესთეტიკური ნიშან-თვისებების უპირატესობა აღიარა.

ხალხმა მარადონა მეფედ შერაცხა — მარადონა-რეი („რეი“ არგენტინულად მეფეს ნიშნავს“). ასეთი შეძახილით ამხნევებდნენ არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავს არა მხოლოდ მის სამშობლოში. მარადონაც თავისი დიდებული თამაშით ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ წოდება „რეი“ გაემართლებინა.

მარადონა ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც მარტომ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. ბუნებრივია, ბევრი იტყვის ფეხბურთი გუნდური თამაშიაო. სწორედ ამაშია საქმე, რომ გუნდურ თამაშში, მარადონამ ფაქტობრივად ეულად შეძლო 1986 წლის მექსიკის ჩემპიონატისას დიდების მწვერვალისკენ მიმავალი გზის ტრიუმფით გავლა... ტრიუმფალური იყო მისთვის მომდევნო ჩემპიონატი იტალიაშიც, მაგრამ „გერმანული მანქანა“ იმ მომენტისთვის უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ერთი მარადონა...

მიუხედავად მუნდიალზე მარცხისა, არავის დაუყენებია ეჭვქვეშ, რომ მარადონა მეფეა. მსოფლიოს სტადიონებზე ისევ გაისმოდა ფრაზა:

მარადონა-რეი!...

მარადონას დიდების წლების მსგავსად ასეთივე შეძახილები ისმის დღეს ბუენოს-აირესის ერთ-ერთი კერძო კლინიკის ფანჯრების წინ, სადაც ათობით ათასი გულშემატკივარი შეკრებილა და თავისი კერპის გადარჩენას ღმერთს ევედრება.

დიეგო თავისი ყოფილი გუნდის „ბოკა ხუნიორსის“ თამაშზე შეიქნა შეუძლოდ. საჭირო გახდა სასწრაფოდ მისი კლინიკაში გადაყვანა.. — თავდაპირველი დიაგნოზიც დაისვა — ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზის მიღება, თუმცა ამ ვერსიას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა მარადონას პირადი ექიმი ალფრედო კაე, რომელმაც გარკვევით აღნიშნა, რომ მიზეზი გაცივებით გამოწვეული ფილტვების ინფექციაა და სხვა არაფერი.

თუმცა, ახლა აღარავის აინტერესებს დიეგოს ავადმყოფობის მიზეზი — ყველა ერთი აზრითა და გონებითაა შემართული — როგორმე გადარჩეს მარადონა.

დიეგოს ჯანმრთელობის საკითხი აღელვებს ყველას — დაწყებული არგენტინის პრეზიდენტით, ნესტორ კირხენენით, დასრულებული უბრალო მეეზოვით. ხშირად კლინიკის წინ ისეთი სიტუაცია იქმნება, რომ წესრიგის დასაცავად პოლიციის დამატებითი ძალების გამოძახებაც ხდება საჭირო.

მთელი არგენტინა უფლის იმედზეა — ღმერთს „ფეხბურთის მეფის“ გადარჩენას სთხოვენ...

საინტერესო გახლდათ არგენტინის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის ლუის სესარ მენოტის სიტყვები: „მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელმა დიდება შეირგოს, ამას სწავლა უნდა. დიეგოს ამგვარ მდგომარეობაში ყოფნა კი პრესის სინდისზეა — რას არ უძლებდა მარადონას გული, თუმცა, ყველაფერს აქვს საზღვარი...“

ბუნებრივია ამ ფრაზაში ბევრი ქვეტექსტია — ჩანს თუ როგორ არ აპატიეს მარადონას იტალიელებმა მათი ნაკრების დამარცხება 1990 წლის ნახევარფინალში. ბევრი იმასაც ამბობს, რომ მარადონაზე სწორედ ამიტომ იძიეს შური იტალიელებმა. მაშინ არგენტინელი იტალიურ „ნაპოლიში“ გამოდიოდა და იტალიური საკლუბო ფეხბურთის იმდროინდელ წარმატებებშიც ლომის წილი ჰქონდა. არადა, სწორედ იტალიიდან დაიწყო მისი ნარკოსკანდალები.

დიეგომ კი, ჩაყოლას ჩათრევა სჯობიაო და... გადაეშვა სულ სხვა სამყაროში.

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მარადონას იმ დროისთვის მსოფლიო რეკორდი უნდა მოეხსნა — მაშინ არავის ჰქონდა მუნდიალზე 22 მატჩი ნათამაშები, თუმცა ისევ ნარკოტიკები და ისევ დისკვალიფიკაცია...

2000 წელს მონტევიდეოში დიეგო გულის შეტევით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. დიაგნოზი მაშინ ნარკოტიკის გადამეტებული მიღება გახლდათ. ვარსკვლავმა იზრუნა იმისთვის, რომ განკურნებულიყო სენისგან და კუბას მიაშურა, სადაც, როგორც ამბობენ, მიაღწია მიზანს. თუმცა, საკმაოდ მოიმატა წონაში, რამაც კიდევ ერთხელ შეუქმნა პრობლემები მის გულს, რომელსაც მოსვენება არ ჰქონია. თუნდაც ის რად ღირს, რომ 2000 წელს გულშემატკივრებმა ფეხბურთის მეფედ სწორედ მარადონა აღიარეს, არადა ფიფამ ყურად არ იღო ხალხის გულისთქმა და რჩეულის ტიტული პელეს მიაკუთვნა. ყველას ახსოვს მარადონას რეაქცია — უსიტყვოდ, დარბაზიდან მიმავალმა ფეხბურთის ჭეშმარიტმა მეფემ თავისი დემარშით მიანიშნა იქ შეკრებილთ, რომ გადაწყვეტილება არცთუ მართებული იყო...

ერთი სიტყვით, გულმა, რომელმაც „ბოკას“ მატჩისას შეახსენა თავი მარადონა-რეის, ბევრს გაუძლო...

ამის შემდეგ ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — ნუთუ არ შეიძლება სიცოცხლეშივე მიუზღო კეისარს კეისრისა?

უკანასკნელი ინფორმაციით, მარადონას უკვე მოუხსნეს ხელოვნური სუნთქვის აპარატი, მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა ექიმები ჯერაც ვერ ადასტურებენ, რომ დიეგო სიკვდილს ხელიდან დაუძვრა.

**გიგა ხირსელი**

შავი ყვითელი ლურჯი წითელი

## №16 (394) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 438 მკითხველი გამოეხმაურა. მხოლოდ ერთი ბარათი იყო არასწორად შევსებული. კონკურსში 206 ქალისა და 231 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

რესპონდენტი მამაკაცების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, მათთვის ნაკლებად საინტერესოდ გამოიყურება თემა — ჰოლივუდის მსახიობი ქალები. ისე, სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ყველაზე მეტი მკითხველი მაინც პოლიტიკურ თემებს ეხმიანება...

**„ვინ მიგაჩნიათ ჰოლივუდის საუკეთესო მსახიობად?“** — ასეთი იყო კითხვა.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველები ყველაზე მეტად ჯულია რობერტსის მიმართ არიან კეთილგანწყობილნი. რესპონდენტთა 69%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით, **8,31** საშუალო ქულით შეუდარებელი „ლამაზმანი“ პირველ ადგილზეა.

მკითხველთა 15% კი საუკეთესო მსახიობად ნიკოლ კიდმანს მიიჩნევს, საშუალო ქულაა 7,15. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა სწორედ მან დაიმსახურა — რესპონდენტთა მხოლოდ 1%-მა შეაფასა 1 ქულით.

მართალია, დემი მური ჰოლივუდის საუკეთესოთა შორის მესამე ადგილზეა, მაგრამ მისთვის მინიჭებულ მაქსიმალურ ქულებს (3,9%) მინიმალური ქულები (5,0%) სჭარბობენ.

იგივე შეიძლება ითქვას კიმ ბესინჯერის შესახებაც.

მკითხველმა შედარებით დაბალი შეფასება მისცა წლევანდელ ოსკაროსანს — შარლიზ ტერონს — დაახლოებით 41%-მა დაუწერა მას — 1 ქულა, მაქსიმალური — 9 ქულა კი 2%-მა მიაკუთვნა. 2,88 საშუალო ქულით ტერონი, როგორც ვხედავთ, სულ ბოლო ადგილზეა.

საინტერესოა, რომ ასაკობრივ ჯგუფებს შორის პასუხებში განსხვავება არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება ქალებისა და მამაკაცების შეფასებებს, აქ რამდენიმე საინტერესო განსხვავება შეიმჩნევა:

როგორც ჩანს, სანდრა ბალოკი და გვინეტ პელტროუ მამაკაცებს უფრო მეტად ხიბლავთ, ვიდრე მანდილოსნებს; ჯოდი ფოსტერსა და მეგ რაიანს კი პირიქით — მამაკაცებთან შედარებით მეტ უპირატესობას ქალები ანიჭებენ.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 25 წლის **ეკა ბერიკაშვილია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 28 აპრილს, 17 საათზე.

## №17 (395) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას».**

**№17 (395) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 28 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 29 აპრილის 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №17(395) — პარლამენტარი ქალები**

**რომელი ქალი პარლამენტარი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№17(395) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ფიქრია ჩიხრაძე — „მრეწველები-ახლები“ | |
| 2 | მაია ნადირაძე — „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“ | |
| 3 | ნინო კალანდაძე — „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“ | |
| 4 | მზია თოთლაძე — „მრეწველები-ახლები“ | |
| 5 | ნინო ბურჯანაძე — მაჟორიტარი დეპუტატი | |
| 6 | მარიკა ვერულაშვილი — „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“ | |
| 7 | ხათუნა გოგორიშვილი — „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“ | |
| 8 | ელენე თევდორაძე — „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“ | |

**დამატებითი კითხვა**

**მისაღებია თუ არა თქვენთვის თბილისის მერის პოსტზე ზურაბ ჭიაბერაშვილის დანიშვნა?**

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✔ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

**თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### რომელი პიროვნება ახდენს ყველაზე დიდ გავლენას საქართველოს პრეზიდენტზე?

| | | |
|---|---|---|
| 1. | ზურაბ ჟვანია | 40.6% |
| 2. | ჯორჯ სოროსი | 16.0% |
| 3. | სანდრა რულოვსი | 7.2% |
| 4. | ნინო ბურჯანაძე | 5.0% |
| 5. | ირაკლი ოქრუაშვილი | 3.1% |
| 6-7. | ვანო მერაბიშვილი | 1.6% |
| 6-7. | ასლან აბაშიძე | 1.6% |
| 8-9. | ედუარდ შევარდნაძე | 1.3% |
| 8-9. | რიჩარდ მაილსი | 1.3% |
| 10-11. | სალომე ზურაბიშვილი | 0.9% |
| 10-11. | ვლადიმირ პუტინი | 0.9% |
| | არავინ | 6.0% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 5.0% |
| | სხვა პიროვნებები | 8.6% |

მკითხველთა 0,9% თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტზე მხოლოდ უწმინდესი და უნეტარესი ახდენს გავლენას.

***მკითხველის რეიტინგში 318 რესპონდენტი მონაწილეობდა***

# ფოტოანტიკვარი © ·ფოტოპალიტრა·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

დღე და ღამე „გარჯასა და შრომაში“

**ნ. ლ.** — ჩემს ადგილს რომ იკავებ, რა საბუთით! მაჩვენე საბუთი!

**ბ.პ.** — რა არის აბა ეს, არ არის საბუთი? არის თუ არა ეს საბუთი?!

***(კინოფილმ „ბურთი და მოედანის“ მიხედვით).***

***რეზო სვანიძე, თბილისი***

**ბ.პ.** — თბილისის ზოოპარკს ვყიდულობ!

**ნ.ლ.** — ქორწინების სასახლეს, კიდევ მესმის, საცხოვრებელ ბინად იყენებ, მაგრამ ეს ზოოპარკი რაღად გინდა?

**ბ.პ.** — ნადირობა მიყვარს ძალიან, მაგრამ მთაში სიარული მეზარება. გადავწყვიტე მანდ ვინადირო ხოლმე.

***დათო ხვედელიძე***

**ნ.ლ.** — ბადრი, შენი ერთი თვის შემოსავლით „ვოლგას“ იყიდი?

**ბ.პ.** — რა ჯანდაბად მინდა ეგ მდინარე თავისი პორტებით და გემებით?!

***ალიკო ნადირაშვილი, თბილისი***

**ბ.პ.** — ერთ კონცერტს გადასცემ მიშას, ხოლო მეორეს — ასლანს.

**ნ.ლ.** — რა მოიფიქრე ასეთი?!

**ბ.პ.** — ორივეს ჩემს ცირკში ვთავაზობ შეთავსებით მუშაობას, პირველს მომთვინიერებლად, ხოლო მეორეს — ლომად. მაგარი შოუ იქნება!

***მამუკა იაშვილი, თბილისი***



ნიკო ლეკიშვილი, ბადრი პატარკაციშვილი

**ბ.პ.** — ნიკო, ბათუმში რომ წამომყევი, რა გინდოდა?

**ნ.ლ.** — მე ჩემი ბიზნესი მაქვს, შენ რა გინდოდა?

**ბ.პ.** — რა ვიცი, პრეზიდენტმა თქვა, ბათუმში ბაბუინები არიანო და თბილისის ზოოპარკისთვის მინდოდა მეყიდა!

***თემურ ფაჩულია, ზუგდიდი***

პრეზიდენტის მისაღებში:

**ნ.ლ.** — ასე უცებ როგორ დაითანხმე აქ პრეზიდენტი, იქ ასლანი?!

**ბ.პ.** — აბაშიძეს მისივე მოთხოვნები პრეზიდენტის მოთხოვნად წავუყენე. აქ კი პრეზიდენტს — თავისივე მოთხოვნები აბაშიძის მოთხოვნად.

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

# ფოტო განწყობისთვის



— შენც მამალი ხარ და მეც!

ტრანსპორტში:

— რა უნდა თქვენს ხელს ჩემს ჯიბეში?!

— ასანთს ეძებს.

— შეგეძლოთ გეთხოვათ!..

— შემრცხვა...



27/IV

**პირველი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეა**

27/IV 18-დან 20 საათამდე

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. აირზენა; 2. რეგალია; 3. ბერლუსკონი; 4. ზეიმი; 5. გნუ; 6. ნურეევი; 7. ავი; 8. ლიგა; 9. უმა; 10. სოლისტი; 11. ლისტი; 12. კია; 13. დრაიზერი; 14. რა; 15. კალორიმეტრი; 16. თვალადი; 17. შვეიცარია; 18. დროშა; 19. ავტობანი; 20. ტლუ; 21. ლეილა; 22. ბანი; 23. რე; 24. ლორენი; 25. ეროსი; 26. ბრასლეტი; 27. ბზა; 28. მაკარონი; 29. ციცერო; 30. ციცერონი; 31. წერა; 32. ტუგრიკი; 33. მეტრი; 34. ვექტრა; 35. ეკალი; 36. ემისია; 37. სია; 38. სიურტუ; 39. ტრიო; 40. გორკი; 41. ალი; 42. კაი; 43. ლი; 44. ინკები; 45. კები; 46. ლეო.

1. „აი, ასე ვუბერავ"; 2. აიწონა-დაიწონა.

***პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.***






**თარაზულად:** 1. XV-XIX სს-ში ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მონაწილე ბალკანელი; 4. ნიკოტინის შემცველი მცენარე; 6. ყურძნის ჯიშის „იზაბელას" ქართული სახელწოდება; 7. მგელთა ხროვის წინამძღოლი „მაუგლიში"; 8. უდანაშაულობის მტკიცებულება; 9. კუპიდონის იარაღი; 10. თეიმურაზ I-ის დიპლომატი, კულტურული და სასულიერო მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (მეტსახელი). 13. სიგრძის ერთეული 200 მეტრამდე (ძველ საბერძნეთში); 16. სპორტის სახეობა, რომელსაც კარგად „ითვისებენ" ავსტრალიური კენგურუები; 18. ბიბლიური წყალდიდობა; 19. დონ კიხოტის მშობლიური მხარე; 20. ქართული ტელეკომპანია; 22. ნიადაგის წარეცხვა; 23. შერიფი გრეგორი პეკის შესრულებით; 25. სტეფან ცვაიგის ნოველა; 27. წმინდა გამარჯვება ძიუდოში; 28. ფილოსოფიური მოძღვრება მორალის, ზნეობის შესახებ; 29. ესტონელი რეჟისორი, მსახიობი, სახალხო არტისტი; 30. ეტიკეტი; 31. ვალტერ სკოტის რომანი.

**შვეულად:** 1. რომაელი პოეტი, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: „ისარგებლე დღევანდელი დღით, მომენტი არ გაუშვა"; 2. გაზაფხულის ყვავილი; 3. აიბოლიტი, როგორც სამედიცინო მუშაკი; 4. კრისტალური მინერალი სადასტაქრო არტახებისთვის; 5. სათბური; 11. ფრანგი კინომსახიობი, 60-იანი წლების სექსსიმბოლო; 12. წყალწაღებულის მოსაჭიდი; 14. მდინარე ლონდონში; 15. „ღვთაებრივი კომედიის" ავტორი; 16. პერსონაჟი ანდერსენის ზღაპრისა „თოვლის დედოფალი"; 17. მდინარე ჩინეთსა და ყაზახეთში; 21. ეკონომიკის სპეციალისტი; 22. სწრაფად მზარდი ხე; 24. ნოშრევანის მეუღლე ფილმში „ლონდრე"; 25. ბრედ პიტის ახალი პერსონაჟი; 26. არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს დამსგავსებული რამ.

## ჯერი ჰოლის მუსიკალური მარათონი



ბოლო დრომდე ჯერი ჰოლი ცნობილი იყო, როგორც მიკ ჯაგერის ყოფილი ცოლი და ჟურნალ „ვოგის" გარეკანის მშვენება. ახლა ჯერიმ ყველა აალაპარაკა — დაამყარა თავისებური მსოფლიო რეკორდი — ბრიტანეთის დედაქალაქში ერთი საღამოს მანძილზე გამოვიდა 6 სხვადასხვა თეატრში. 3 საათის მანძილზე ჯერი გამოჩნდა 6 მიუზიკლში. თავის გამოსვლებს მან თეატრალური მარათონი უწოდა.

## დასტინ ჰოფმანი „აუდის" რეკლამაში



ჰოლივუდის ვარსკვლავები დიდი ხალისით უკეთებენ სხვადასხვა საქონელს რეკლამას, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებლად აშშ-ის ფარგლებს გარეთ. გაგიკვირდებათ და ისეთი ბრწყინვალე მსახიობიც კი, როგორიც დასტინ ჰოფმანი გახლავთ, არ თაკილობს სარეკლამო რგოლში მონაწილეობას. უცნობია ჰონორარის რაოდენობა, რომელიც მსახიობმა მიიღო. ჰოფმანს არ სურს ამ თემაზე რეპორტიორებთან საუბარი.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## 17 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№17 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 29 აპრილის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია:* ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ *— მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში:* ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲮᲝᲑᲘ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲤᲝᲗᲘ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ᲕᲐᲜᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, ᲑᲐᲦᲓᲐᲗᲘ, ᲮᲝᲜᲘ, ᲑᲐᲜᲫᲐ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ, ᲝᲜᲘ, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, ᲬᲜᲝᲠᲘ, ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ, ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, ᲐᲮᲛᲔᲢᲐ, ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ.

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54

**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".

შავი ყვითელი ლურჯი წითელი